

მაყვალა მიქელაძე

წოვათუშური ენის სახელთა

მოწყოლობის

2011

გამოქვემდნობა „საარი“

ISBN 978-9941-427-74-9

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქართული ფილოლოგის კათედრა

## მაყვალა მიქელაძე

### წოდათუშური ენის სახელთა

#### მორთოლოგია

მონოგრაფია შეიქმნა სამეცნიერო პროექტის –  
„აულის ენები – კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმები –  
გლობალიზაციის პირობებში (წოდათუშურ-ქართული  
ორენოვნების მასალების მიხედვით)“ –  
ფარგლებში

- |               |   |
|---------------|---|
| რედაქტორი:    | ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,<br>პროფესორი თელო უთურგაძე  |
| რეცენზენტები: | ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,<br>საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული<br>აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,<br>პროფესორი ვაჟა შენგელია<br>ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,<br>პროფესორი გრიელ სიხარულიძე |

**Iakob Gogebashvili Telavi State University  
Department of Georgian Philology**

**Makvala Mikeladze**

**Morphology of Nouns of  
TsovaTush Language**

**Editor: Doctor of Philological Sciences,  
Professor Tedo Uturgaidze**

## წინასიტყვაობა

„ენები კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმებია“, - ბრძანა გენიოსმა ვილჲელმ ფონ ჰემბოლდმა და მოახდინა ე.წ. „დიდი“ და „პატარა“ ენების საბოლოო და უპირობო იდენტიფიკაცია. ამაზე დაყრდნობით დღეს უკვე თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ, თუ რომელიმე ენაზე ორი კაცი მაინც ელაპარაკება ერთმანეთს, ეს ენა ფუნქციონირებს და თავის მაღალ შინაგან შესაძლებლობებს იცავს.

ამ ფონზე უკვე უხერხული ხდება, ვინაროთ აქამდე ფართოდ გავრცელებული გამოთქმები: „დიდი“ და „პატარა“ ენები, რადგან აქ თითოეული მათგანის შინაგანი გამოშხატველობითი საშუალებების მასშტაბები კი არ იგულისხმება, არამედ ბედი ენებისა.

ამ თვალსაზრისით სავსებით მოზომილია ენათმეცნიერებაში ბოლო ხანს გავრცელებული ტერმინები „დაცული“ და „საფრთხის ქვეშ მყოფი ენები“. ასეთ შემთხვევაში ზედმიწევნით არის მინიშნებული, რომ მსჯელობა ეხება შესადარებელ ერთულთა ბეჭდს და არა შინაგან ღილაკს.

წოდათუმური დღეს საფრთხის ქვეშ მყოფი ენაა. ის მოქცეულია ხუთი მილიონი მცხოვრებით დასახლებული საქართველოს ერთადერთ სოფელში - ზემო აღვანში და უჭირავს ამ საკმაოდ დიდი სოფლის მხოლოდ ნახევარი. მისი მოსახლეობა 420 კომლს ითვლის და 3000-მდე მოუბარიდა ჰყავს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მოსახლეობის ამ შეზღუდული რაოდენობიდან დღეს ბევრი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნებაყოფლობითი

ემიგრანტია, ცხადი გახდება ამ ენის მძიმე სოციალ-პოლიტიკური ვთარება და ის დიდი საფრთხე, რომელიც მას ემუქრება. აკად. ნ. მარი, რომელიც 1916 წელს ადგილობრივ სწავლობდა ამ ენას, წოგათუშებს „ანეკდოტურად მცირერიცხოვან ხალხს“ უწოდებდა.

წოგათუშები ორენოვანნი არიან, ქართულია მათვების სწავლა-განათლებისა და საერთოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ენა, ხშირად კი უკვე საოჯახო ურთიერთობის ენაც. წოგათუშები და ქართული ენების ურთიერთობის სახით საქმე გვაქვს მკვეთრად ჩამოყალიბებულ ცალმხრივ გავლენასთან: ქართული ინტერერენციის წყაროა, წოგათუშები კი - ინტერერენციის ობიექტი. აქ ორენოვნებამ დღეისათვის ზებილინგვიზმის სახე მიიღო: იმის გამო, რომ ქართული ენის კარგი ცოდნა ზრდიდა ბილინგვთა სოციალურ მობილურობას, ბეჭრა წოგა-თუშმა ქართული უკეთ იცის, ვიდრე მშობლიური ენა.

ორენოვნების მოცემულ რეგიონში თავისებური მინიატურული მოდელი გვაქვს მსოფლიო ენათა კონტაქტების გლობალური პროცესებისა, რომელთა განსაკუთრებული, მაქსიმალურად დაჩქარებული ტემპები საშუალებას იძლევა თვალი გავადენოთ ინტერერენციის მთელ დინამიკას დასაწყისიდან დასასრულამდე.

ქართული და წოგათუშები ენათა ერთი და იმავე ოჯახის წევრებია და საერთო წარმომავლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ დივერგენტულ პროცესთა მოქმედების შედეგად იმდენად არიან განსხვავებული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რომ მათი ნათესაობა მხოლოდ ღრმადმეცნიერული ანალიზის დონეზე ხდება შესამჩნევი. პირველი აღნიშნული ოჯა-

ხის ქართველურ ენათა შტოს წევრია, მეორე კი იმავე ოჯახის ნახურ ენათა შტოს ეკუთვნის.

გარდა წოვათუშურისა, ნახურ ენათა შტო აერთაინებს ჩეხ-ნურსა და ინგუშურ ენებს. მკვლევართა ერთი ნაწილი წოვათუშურის ჩეხნურისა და ინგუშურის მიმართ დამოუკიდებელ ენად მიაჩნევს, ზოგს კი იგი ამ უკანასკნელთა დიალექტად ესახება. აზრითა სხვადასხვაობის მიზეზი ნათელი ხდება, როცა ვითვალისწინებთ, რაოდენ ძნელია და პირობითი ზღვარის გავლება ენასა და დიალექტებს შორის (გლისონი, 1959, 436). ამ ერთეულთა სხვაობა, ჩვენი აზრით, დღეს აშკარად სცილდება დიალექტთა ფარგლებს და ისინი განსხვავებული ღექსიკური ფონდითა და გრამატიკული წყობით ახლო მონათესავე, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ ენებად გვევლინებიან.

ორ საუკუნეზე მეტია წოვათუშურ ენას ყურადღებას აქცევენ და მეცნიერული თვალსაზრისით სწავლობენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები: ი. გიულდენშტეკი, მ. ბროსე, ა. შიფნერი, ა. სომერთელდი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე და სხვები. ამ ენის მორფოლოგიის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომი გამოაქვეყნა აკად. ი. დეშერიეგმა; მანვე საგანგებო მონოგრაფია უძღვნა წოვათუშური, ჩეხნური და ინგუშური ენების შედარებითი გრამატიკის საკითხებს. ამ შერივ შეტანილი მნიშვნელოვანია აგრეთვე პრიტ. კ. ჭრელაშილის ბოლო დროს გამოქვეყნებული მონოგრაფია „წოვათუშური ენა“.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ, ცხადია, ვიყენებთ ჩამოთვლილ მეცნიერთა კვლევის შედეგებს წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგიის შესახებ: ვიზიარებთ მათ, ან ვასაბუთებთ ჩვენს განსხვავებულ შეხედულებას ამა თუ იმ საკვანძო საკითხზე; ნაშრომ-

ში ზოგჯერ მთლად ახლად არის შესწავლილი და განხილული წოდათუშურის სახელთა მორფოლოგის გარკვეული მონაკვეთები, როგორიცაა, მაგალითად:

წოდათუშური ენის სიტყვათმოდელები და მათი როლი ბრუნების პარადიგმებში; მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპები და ბრუნების თავისებურებანი;

წოდათუშური ენის სიტყვათსაწარმოქმნო სისტემა და უკუთქმითობის მოდელები...

ჩვენი ნაშრომის სტრუქტურა წოდათუშური ენის მორფოლოგის საკითხების შესახებ დღემდე გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან მთლიანად განსხვავდება იმ მხრივ, რომ სახელთა ფლექსიის ყოველი მონაკვეთი განხილული გვაქვს უხვად მოძალებულ მორფოლოგიურ ინოგაციებთან დაკავშირებით, გვკვლევთ ცალკეული მეტყველების ნაწილების ღიაობის საკითხებს ორენოვნების დონე-ებთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით მსჯელობისას ხშირად მივმართავთ წყარო ენისა (C) და მსესხებელი ენის (S) მორფოლოგიური სისტემების პარალელური დახასიათებისა და შეპირისპირების გზასაც.

თავისი ორმხრივი ხასიათის გამო ნაშრომი შეიცავს უხვ საილუსტრაციო მასალას, სადაც ვლინდება საინტერესო კანონზომიერებები ინტერფერენტულ პროცესთა მასშტაბებისა და სიღრმის შესახებ. ის გარემოება, რომ წყარო ენის გავლენით დღეისათვის ცვლილება შეეხო მსესხებელი ენის მორფოლოგის თითქმის ყველა რეალურს, სიახლე კი ერთგანაც ვერ განვითარდა ბოლომდე, ახლებურად სვამს გლობალიზებული მსოფლიოს ერთი საერთო ენის საკითხს.

## ტრანსკრიფცია

სამეცნიერო პროექტის მონაწილის, ლეგან ჯაშაშვილის, მიერ არსენ ბერთლანთან ერთად **GEO-Gorda**-ს ბაზაზე სპეციალურად იქნა შემუშავებული ფონტი პირობითი სახელწოდებით **berTlan-gorda**, რომელიც ასევე გამოყენებულია ამავე პროექტით გათვალისწინებულ თუშურენოვან ტექსტებში და ლექსიკონში. რაც შეეხება დიაკრიტიკას, სულ მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, როგორც ქართულენოვანი, ისე ლათინური ტრანსკრიფციისთვის გამოყენებულია ის დამატებითი ნიშნები, რომელიც ენათ-მეცნიერების თბილისური სკოლის მიერაა გამოყენებული და შემოთავაზებული იბერიულ-კავკასიური ენებისათვის (ქურდიანი, 2007). საანალიზო მასალა საჭიროებისამებრ წარმოდგენილია რუსული გრაფიკითაც.

იმ გრაფემებს, რომელთა ადეკვატური ფონემებიც არ მოგვებოვება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, აქ წარმოდგენილი სატრანსკრიფციო ცხრილით ეძღვევა შესაბამისი განმარტებები, ხოლო ქართულენოვანი მკითხველისთვის ცნობილი (ნაცნობი) გრაფემები წარმოდგენილია განმარტებით „ჩვეულებრივი“.

გრაფემების რიგი შეესაბამება ქართულ ანბანურ რიგს. გრაფემები, რომლებიც არ გააჩნია ქართულ ანბანს, განთავსებულია ქართული ანბანური რიგის მიმყოლ.

## ტრანსკრიფცია : Транскрипция : Transcription

ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆԻ ՑԱՆԿԱՅԻ ՀԱՅՈՒԹՅԱՅԻ		ՀԱՅԱՀԱՐՄԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ	ՀԱՅԱՀԱՐՄԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ	ՀԱՅԱՀԱՐՄԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ
№		Հայություն	Հայություն	Հայություն
		Հայություն Հայություն	Հայություն Հայություն	Հայություն Հայություն
		Հայություն Հայություն	Հայություն Հայություն	Հայություն Հայություն
1	2	3	4	5

1.	ሃ	TNR A a	1. ሃ	
2.	ሻ	Ã ä		1. የመሃጌ Краткий ስ Short
3.	ሂ	â		2. አጥቃቀውንልግምዴ Иrrациоn. Irrational
4.	ህ	Ā ā		3. የጊዜነት Долгий ስ Long
5.	ሻ	ā		4. የፋይነት Сверхдолгий ስ Hyper long
6.	ጀ	Ã ã		5. ንባረሙበገብርዴ Назализов. Nasal
7.	ጀ	Ā ã		6. የጊዜ ንባረሙ Долг. назал. Long nasal

8.	ঁ	<b>A a</b>		7. মাদাস'জফালো Свободный      ৱ Free
9.	ঁঁ	<b>ାଙ୍ଗାଙ୍ଗା</b>		8. মাদাস'জফ. বাঙ୍କ. Своб. назал.      ৱ Free Nasal
10.	ঁ	<b>TNR B b</b>	2. ଁ	
11.	ঁ	<b>TNR G g</b>	3. ଁ	
12.	ঁ	<b>TNR D d</b>	4. ଁ	
13.	ঁ	<b>TNR E e</b>	5. ଁ	
14.	ঁ	ঁ		9. হ্ৰংজ Краткий      ৱ Short
15.	ঁ	ঁ		10. অৰাচ. Иrrаци.      ৱ Irrational



24.	օ	<sup>TNR</sup> լ ի	9. օ	
25.	Ճ	՚		16. ռժա՞Յ. Иrraц. ՚օ Irrational
26.	Ճ	՚՚		17. զժժյո՞ջ Долгий ՚օ Long
27.	Ճ	՚՚՚		18. ճա՞շալու.՝ Назал. ՚օ Nasal
28.	՛օ	՚՚՚՚		19. տաջովսյոյ.՝ Свободн. ՚օ Free
29.	Ջ	<sup>TNR</sup> Ջ յ		20. ժօ. վարդայո՞ջ Древн. груз. ՚Ջ Old Georgian
30.	Ջ	՚		21. ճա՞շալու.՝ Назал. ՚Ջ Nasal

31.	Ճ	Կկ	10. Ճ	
32.	ՅՅ	TNR ԼԼ	11. ՅՅ	
33.	ՅՅ	Լ		22. աԵՅԵՆ. Интенс. ՅՅ Intensive
34.	ՅՅ	Ի		23. յՇԵՐ Глухой ՅՅ Voiceless
35.	Ճ	TNR Մմ	12. Ճ	
36.	ճ	TNR Նն	13. ճ	
37.	Յ	TNR Օօ	14. Յ	
38.	Յ	Ծ		24. ՅՅՅՅՅ Кратк. ՅՅ Short
39.	Ր	Ծ		25. ռՆԱՅ. Иrrаци. Ր Irrational

40.	ମ	ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀ		26. ଶ୍ରୀଜ୍ଞାନ ଦୋଲିଯ ମୁଖୀ Long
41.	ଶ୍ରୀ	ଶ୍ରୀ		27. ଶ୍ରୀଶ୍ରୀଶ୍ରୀ ସ୍ଵେରହଦୋଳି. ମୁଖୀ Hyper long
42.	ନ୍ତର୍ମ	ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀ		28. ଶ୍ରୀନ୍ତର୍ମ. ନାଶାଲ. ମୁଖୀ Nasal
43.	ନ୍ତର୍ମ	ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀ		29. ଶ୍ରୀ. ଶ୍ରୀନ୍ତର୍ମ. ଦୋଲି. ନାଶାଲ. Long nasal
44.	ମୁଖୀ	ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀ		30. ମାଧୁବିଜ୍ଞାନ. ସ୍ଵାକ୍ଷରିତ ମୁଖୀ Free
45.	ଶ୍ରୀ	ପ୍ରୀତି ପ୍ରୀତି	15. ଶ୍ରୀ	
46.	ଶ୍ରୀ	ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀ	16. ଶ୍ରୀ	
47.	ଶ୍ରୀ	ଶ୍ରୀ R ର	17. ଶ୍ରୀ	

48.	Շ	Շ'		31. Ջ՛՛՛ Глух.      ՚Շ Voiceless
49.	Ց	TNR Տ Տ	18. Ց	
50.	Ա	Ա		32. ՈԲՋԵՑ. Интенс.      ՚Ա Intensive
51.	Օ	Տ Ւ	19. Օ	
52.	Ո	Ւ		33. ՈԲՋԵՑ. Интенс.      ՚Ո Intensive
53.	Յ	TNR Ս Ս	20. Յ	
54.	Յ	Յ		34. ՅՉՅՐՅ Кратк.      ՚Յ Short
55.	Յ	Ա		35. ԱԽԱՅ. Иrraц.      ՚Յ Irrational

56.	҆	Ū ū		36. զ՞ծյլո Долг. ՚յլ Long
57.	՞Շ	Ւ ՞ւ		37. նախալ. Назал. ՚յլ Nasal
58.	՞յ	Ռ ՞ւ		38. տագօսոյց. Свободн. ՚յլ Free
59.	՞յՇ	Ւ ՞՞ւ		39. տագօսոյց. նախ. Своб. назал. ՚յլ Free nasal
60.	Ց	TNR P p	21. Ց	
61.	Ձ	TNR K k	22. Ձ	
62.	Յ	Ր Ր	23. Յ	
63.	Ց	Ք Վ	24. Ց	

64.	ڦ	ڦ		40. ۾ڻڻڻ. ڦ Интенс. ڦ
65.	ڦ	ڦ ڦ	25. ڦ	
66.	ڦ	ڦ		41. ۾ڻڻڻ. ڦ Интенс. ڦ
67.	ڦ	ڦ ڦ	26. ڦ	
68.	ڦ	ڦ ڦ	27. ڦ	
69.	ڦ	ڦ ڦ	28. ڦ	
70.	ڦ	ڦ ڦ	29. ڦ	
71.	ڦ	ڦ ڦ	30. ڦ	
72.	ڦ	ڦ ڦ	31. ڦ	
73.	ڦ	ڦ		42. ۾ڻڻڻ. ڦ Интенс. ڦ
				Intensive

74.	§	<sup>TNR</sup> Q q		43. ძ. ქართული Древн. груз. ჸ Old Georgian
75.	ძ	q		44. ძ. ბენცის. Интенс. ჸ Intensive
76.	ჯ	ჯ ჯ	32. ჯ	
77.	ჸ	<sup>TNR</sup> H h	33. ჸ	
78.	ჴ	H h		45. ფარინგალური Фарингальный ჴ Pharyngeal
79.	ბ	' <sup>TNR</sup>		46. ლარინგალური Ларингальный ჵ Laryngeal
80.	ზ	ω		47. ფარინგი Фаринг. ჵ Pharyng.

81.	ξ	TNR		48. ξωστ.-φωστ. Ларинг.-фаринг. ξ Laryng.-pharyng.
-----	---	-----	--	--

## თავი |

### წოვათუშური და ქართული ენების სახელთა მორთოლოგის ზოგიერთი საკითხი

ბრუნებასთან დაკავშირებული ინტერვერენტული პროცე-  
სების გამოვლენისა და სწორი კვალიფიკაციისათვის ერთმანეთს  
ვუპირისპირებთ ქართული და წოვათუშური ენების ბრუნვათა რა-  
ოდენობას, სინტაქსურ შინაარსსა და ფორმაწარმოების მოდე-  
ლებს. ასეთი მიღობა შესაძლებლობას მოგვცემს, გამოვავლინოთ  
და თანამიმდევრულად აფხინათ უცხოენობრივი გავლენით გამოწ-  
ვეული ინოვაციები წოვათუშური ენის სახელთა ბრუნების სისტე-  
მაში.

აღნიშნული მიმართულებით ჩასატარებელ მუშაობას ხელს  
უწყობს ის გარემოება, რომ როგორც ქართული, ისე წოვათუშუ-  
რი ენების სახელთა მორთოლოგია შეცნიერთა რიგი თაობების  
ჩალრმავებული კვლევის შედეგად სათანადოდ არის შესწავლილი  
და დასისტემული. ჩვენს შედგომ მსჯელობაში ინტერვერენ-  
ტული პროცესების შესახებ მთლიანად ვეყრდნობით ამ მონაცე-  
მებს, განსხვავებული შეხედულება გვაქვს მხოლოდ შესათანხმე-  
ბელ ენათა მორთოლოგიის რამდენიმე საკითხის ირგვლივ: სხვაგ-  
ვარად წარმოგვიდგება, ერთი მხრივ, წოვათუშური ენის ბრუნვათა  
რაოდენობა და რიგი, მეორე მხრივ კი – ქართული ენის სახელთა  
ბრუნების პარადიგმებში ფუნქციონირებადი ხმოვანთა რელუქცი-  
ისა და კვეცის პროცესები. წარმოვადგენთ ჩვენს შეხედულებას  
აღძრული საკითხების შესახებ.

## I. §1. წოდათუშური ენის ბრუნვათა რაოდენობა და რიგი

წოდათუშურ ენას ბრუნების კარგად ჩამოყალიბებული სისტემა გააჩნია, რაც აღნიშნული აქეს ყველა მკვლევარს, ვინც კი ამ ენის მორფოლოგით დაინტერესებულა: ი. ცისკაროვს, ა. შიფნერს, ა. დირს, ი. დეშერიევს, დ. იმნაიშვილს, რ. გაგუას, კ. ჭრელაშვილს. აზრთა სხვადასხვაობას მხოლოდ ბრუნვათა რაოდენობის საკითხი იწვევს. სირთულეს ქმნის ერთის მხრივ, საკვლევი ენის სიტყვაწარმოების სიუხვე, მეორეს მხრივ კი – ბრუნვის ფორმანტებიანი და თანდებულდართული ფორმების გამიჯვნა. ამიტომ, მაგალითად, ა. შიფნერსა და ი. დეშერიევთან ბრუნვათა რაოდენობამ ოცდაორს მიაღწია (შიფნერი, 1856, 36; დეშერიევი 1953, 22). საკითხის მთელი სირთულე ნათელი გახდება, თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამ ორ მკვლევართან მხოლოდ რიცხვი ემთხვევა ერთმანეთს ბრუნვებისა, შინაარსი კი განსხვავებულია.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა პროფ. დ. იმნაიშვილმა. მან დასმული პრობლემა შეისწავლა ნახეულ ენათა მთლიანი შტოს მასშტაბით და შეძლო გამოეყო ამ ენებში ფუნქციონირებადი სამგვარი ფორმები ბრუნვებისა: ძირითადი, ერთთანდებულიანი და ერთზემეტთანდებულიანი. ამ გზით, როგორც ჩეჩინერში, ისე ინგუშურსა და წოდათუშურში გამოიკვეთა ოთხი ძირითადი და ოთხიც ერთთანდებულიანი ბრუნვა. ორ – და მეტთანდებულიანი ბრუნვები მკვლევარს პარადიგმებში არ შეუტანია. ძირითად ბრუნვებად გამოყოფილია: სახელობითი, ნათესაობითი, ერგატიფი და მიცემითი, ერთთანდებულიან ბრუნვებს კი წარმოადგენს: გამსჭვალვითი, მიმართულებითი, თანაობითი და გარდაქცევითი (იმნაიშვილი, 1942, 115).

დ. იმნაიშვილის ეს თვალსაზრისი საფუძვლად დაედო დოც. რ. გაგუას საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც წარმოადგენს

უუნდამენტურ ნაშრომს საკუთრივ წოვათუშური ენის სახელთა ბრუნების საკითხებზე (გაგუა, 1930). შემდეგ ამავე პრობლემას მიეძღვნა მკვლევარის რიგი სტატია და მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც უხვით საილუსტრაციო მასალის საფუძველზე განვითარებულია შეხედულება წოვათუშურ ენაში ოთხი ძირითადი და ოთხი ერთობანდებულიანი ბრუნვის არსებობის შესახებ, გარკვეულია სახელთა ფლექსის რიგი კარდინალური საკითხი.

აღნიშნული გზით წოვათუშური ენის წარმოქმნილი, ბრუნვის ფორმანტებიანი და თანდებულიანი ფორმების სიმრავლიდან გამოიკვეთა შეყობრი, ოთხწევრიანი სისტემა ძირითადი ბრუნვებისა, რომლებიც გარკვეული თანამიმდევრობითაა დალაგებული: კერძოდ სახელობითი დგას, მერე - ნათესაობითი, შემდეგლა ერგატივი და ბოლოს - მიცემითი.

წოვათუშური ენის ბრუნვათა რაოდენობისა და რიგის საკითხებში მნიშნელოვანი კორექტივი შეიტანა პროფ. კ. ჭრელაშვილმა, რომელმაც მონოგრაფიაში წოვათუშური ენის შესახებ ათიუთანდებულობის ბრუნვა გამოყო და გარკვეულად შეცვალა ე. წ. ძირითადი ბრუნვათა რიგით. (ჭრელაშვილი, 2002, 111). რადგან ბოლომდე ვერც პროფ. კ. ჭრელაშვილის კვალიფიკაციას ვიზიარებთ, წარმოგადგენთ ჩვენს შეხედულებას აღძრულ საკითხებზე.

დავიწყით ე.წ. ძირითად ბრუნვათა რიგის საკითხით; თვალსაჩინოებისათვის გაბრუნებით ნივთისა და ადამინის კლასის თითო სახელს. სიმარტივისათვის მხოლობითი შემოვიფარგლებით, რაკი მრავლობითში აღარა გვაქვს სახელთა გამიჯვნა კლასკატეგორიის მიხედვით.

ა) ადამიანის კლასის სახელები: ნანა(ა) – „დედა“, დად(ა) – „მამა“, მიხრა – საკ. სახ.

სახ.	ნანა(ა)	დად(ა)	მიხრა
ნათ.	ნანა-ჭ	დადა-ქ	მიხუ-ჭ

ერგ.	ნანა-ს	დადა-ს	მიხო-ს
მიც.	ნანა-ღ-ნ	დადა-ღ-ნ	მიხუ-ღ-ნ
ბ)	ნიფთის კლასის სახელები: დო - „ცხენი”, „ჩა - დათვი”, ჟაგნი - „წიგნი”		
სახ.	დო	ჩა	ჟაგნი
ნათ.	დონ-ქ	ჩა-ძ	ჟაგნუ-ძ
ერგ.	დონ-ე-ვ	ჩა-ი-ვ	ჟაგნუ-დ-ვ
მიც.	დონ-ე-ნ	ჩა-ი-ნ	ჟაგნუ-დ-ნ

როგორც ცნობილია, წოდათუშურის ორზე მეტმარცვლიან სახელებში დაუშენებელია ორი სრული ხმოვნის უშუალო მიმდევრობა. ამ მიზეზით ხმოვანთუშიან სახელთა ნათესაობითსა თუ მასზე დაფუქმნებულ სხვა ბრუნვებში ხორციელდება დიფთონგიზაცია თავმოყრილი ხმოვნებისა, რასაც თითქმის ყოველთვის მოსდევს რეგრესული ასიმილაცია, მერე კი ხშირ შემთხვევაში იკარგება თვითონ მაასიმილირებელი ხმოვანი.

მაგალითად: ნანა - ძ → ნანა - ღ → ნანე - ღ → ნანე

ბილინგვთა ასაკობრივი დონეების მიხედვით დღეს კადევ დავადასტურებთ ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურის მასალას, თუმცა მეტი თვალსაჩინოებისათვის ამჯერად ამოსავალი ფორმით წარმოგადგინეთ პარადიგმის წევრები.

პარადიგმებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წოდათუშურის ბრუნვის ნიშანთა ერთი წყება აქვს, საიდანაც გამონაკლისს ქმნის მხოლოდ ერგატიული ბრუნვა თავისი ორი (ს და გ) ფორმანტით. ეს სუფიქსები ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და ერთი მორფემის ალომორფუებად წარმოგვიდგებიან: ს ადამიანთა კლასის ერგატიგს აწარმოებს, ვ კი ნიფთის კლასის სახელებთან გვხვდება. ეს მოვლენა თვალსაჩინო თავისებურებაა წოდათუშური ენისა და დიდი ხანია მკვლეფართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. სანიანსა და ვინიან ერგატიგს შორის განსხვა-

ვება სხვაცა გვაქვს: პირველი მონისემიური ფორმა და მხოლოდ რეალურად მოქმედი საგნის აღმნიშვნელია, ვინაინ ფორმები კი, გარდა რეალური სუბიექტისა, თანაობისა და საჭურვლის უბრალო დამატებებსაც აღნიშნავს. ამის გამო პირველს თავისთავადი ერგატივი უწოდეს, მეორეს კი - საზიარო.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივად დგება ორგვარი ერგატივის ურთიერთმიმართებისა და ვინაინი ერგატივის იმავე ნიშნიან ინსტრუმენტალისთან საზიარო ფორმათა კვალიტივაციის საკითხები, ამასთან დაკავშირებით კი - ბრუნვათა რიგში ერგატივის ადგილის საკითხიც. რაკი საკვლევი ენის ბრუნვათა რიგი საყრდენი ფუძის მიხედვით არის შედგენილი, რომელიმე ბრუნვის ადგილის დაზუსტება, ანუ საყრდენი ფუძის გამოკვეთა დაგვეხმარება მოცემული ბრუნვის სტატუსის დადგენაში. სწორედ ამიტომ ერგატიული ბრუნვის ფორმებზე მსჯელობას საყრდენი ფუძის საკითხით ვიწყებთ.

წოვათუშურში სახელის ზოგადი ბაზისური ფუძის გარდა ბრუნვის ფუძეც გამოიყოფა, რის გამოც თავისებური ორფუძიანობა იქმნება. ეს ფაქტი დიდი ხანია იქცევს ყურადღებას და აღნიშნული აქვს ამ ენის თითქმის ყველა მკვლევარს (გაგუა, 1983, 220). საგულისხმოა, რომ ამ მხრივ იკე ენათა შორის წოვათუშური მარტო არაა. პროფ. გ. თოფურიას ანალოგიური ორფუძიანობა მონიშვნათულად აქვს შესწავლილი დაღესტნის ენათა მთლიანი შტოს მასშტაბით და გამოტანილია მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები (თოფურია, 1989).

ორფუძიანობაზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ წოვათუშურში სახელობით ბრუნვაში დასმული ყოველგვარი სახელი ფორმანტის გარეშე, ანუ წრთველი ფორმითაა წარმოდგენილი, მერე კი რომელიმე სხვა ბრუნვის ფორმაა ფუძედ განზოგადებული და მასზე ხდება ახალი განმასხვავებელი

ფორმანტების დართვა. ეს მოვლენა თვალსაჩინოდ არის ასახული ზემოთ ნაბრუნები ნივთის კლასის სახელთა პარადიგმებში. გვაქვს თავისებური საფეხურებრივი გზა: სახელობითის ზოგადი ფუძისა-გან ნაზალური ხმოვნის დართვით იწარმოება ნათესაობითი ბრუნ-ვის ფორმა, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ნაზალობადაცარგუ-ლი აუსლაუტის ხმოვნით საყრდენ ფუძედ იქცევა სხვა ბრუნვები-სათვის. როგორც გხედავთ, ამ ტიპის სახელუბრი საყრდენი ფუძის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, სახელობითი, მეორე მხრივ კი - ყველა სხვა ბრუნვა.

საყრდენი ფუძის საკითხში ნივთის კლასის სახელებთან არსებული ეს ვითარება საფუძვლად დაედო წოვათუშური ენის ძი-რითად ბრუნვათა უკვე ტრადიციადქცეულ რიგს, სადაც პირველ ადგილზეა სახელობითი, მას მოსდევს ნათესაობითი, რომელიც წარმოადგენს ახალ საყრდენ ფუძეს სხვა ბრუნვებისთვის და მერეა ის ბრუნვები, რომლებიც ნათესაობითის ფუძეს იმეორებს თავის შემადგენლობაში: ერგატივი და მიცემითი.

არსებული წყობა ბრუნვებისა ოპტიმალური იქნებოდა, საყრდენი ფუძის მიხედვით განსხვავებულ ვითარებას რომ არ გვიჩვენებდნენ ადამიანის კლასის სახელები. თუ ახლა უკვე მათს პარადიგმებს დაფაკვირდებით, დაფინახავთ, რომ ერგატივს აქ საყ-რდენად სახელობითის ბაზისური ფუძე აქვს და არა ნათესაობი-თის, როგორც ეს ნივთის კლასის სახელებთან დაფიქსირდა. საყ-რდენი ფუძის მიხედვით სანიანი ერგატივი სახელობითთან იგვებს ადგილს და მასთან ერთად ყველა სხვა ბრუნვას უპირისპირდება.

როგორც გხედავთ, სანიანი და ვინაიანი ერგატივი საყრდე-ნი ფუძის მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად განირჩევა: პირვე-ლი სახელობითს ეყრდნობა და მასთან ერთად უპირისპირდება ყველა სხვა ბრუნვას, მეორეს კი სახელობითთან არაფერი აქვს სა-ერთო და დანარჩენი ბრუნვების რიგშია მოქცეული. ამ ნიშნით

ერთ ჯგუფს ქმნიან სახელობითთან დაკავშირებული ბრუნვები, მეორეს კი – ნათესაობითთან დაკავშირებული ბრუნვები. აღნიშნული ორგვარი ერგატივი საყრდენი ფუძის მიხედვით ბრუნვათა ორ სხვადასხვა ჯგუფშია მოქცეული, რაც ფორმანტების მასალობრივ სხვადასხვაობასთან ერთად იმაზე მიუთითებს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს მორფოლოგიურად განსხვავებულ ოდენობებთან, რომელთაც განსხვავებული სინტაქსური ფუნქცია გააჩნიათ.

ცხადია, ორგვარი ერგატივის ფორმებში სახელობითისა და ნათეაობითის ფუძეთა აღნიშნულ დაპირისპირებას გარკვეული გრამატიკული იერარქია უდევს საფუძვლად, რაც, როგორც გადმონაშთი ძველი ვითარებისაა, ჯერ კიდევ დევს გაუაზრებლად ბილინგვთა ენობრივ ცნობიერებაში. ამ ფაქტის მეტად მნიშვნელოვანი გამოვლენა დააფიქსირა დოც. რ. გაგუამ ო-ზე ფუძეებთავებულ სახელთა ბრუნების პარადიგმებში, სადაც სუფიქსი **g** ნიშანდობლივად გამოხატავს ერგატივს, ან ინსტრუმენტალისს იმის მიხედვით, თუ რომელ ფუძეზე მოხდება მისი დართვა. მკვლევარი წერს: *Когда суффикс –v присоединяется непосредственно к основе, то он, наподобие падежа образованного суффиксом с первичен и имеет только функцию эргатива, а когда – v наращивается на основу родительного, то образуется только инструменталис*“ (გაგუა, 1983, 230).

გარდა ასებით სახელთა ბრუნების პარადიგმებისა, სანიანი ერგატივის კავშირი სახელობითთან რელიქტურად სხვაგანაც დაუცაგს წოვათუმური ენის მორფოლოგიას. ამ მხრივ საყურადღებოა ინკლუზიური ვა(ჩვენ) ნაცვალსახელის გაუდიფერენცირებელი გამოყენება სახელობითსა და ერგატივში, მაშინ როდესაც პირის ყველა სხვა ნაცვალსახელი ამ ორ ბრუნვაში ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმებითაა წარმოდგენილი. მაგალითად:

I. სახელობითი:

ა) გად ისე დითქ ნანას –ჩვენ აქ დაგეტოვა დედამ.

ბ) ოსი გად ცოპანნა დაპწე - იქ ჩვენ არავინ გვიცნობს.

გ) დალ დუქ დითალ გად - ღმერთმა დიღხანს გვაცოცხლოს ჩვენ.

॥. ერგატიფი:

ა) გად ნიტსხოლ დეწე ალაქ ნახერ - ჩვენ სიმართლე უნდა ვუთხრათ ხალხს.

ბ) გად ლაპდიენრ ძოწ-ბუბუკ ქერიგო მახვა დაპინო - ჩვენი დაკრეთილი ყვავილები ქერისთან (ჭიპნიმია) ქარს წაურია (ხალხური ლექსიდან).

გ) ჰამახეც ღაზივხ მოკ გად ალაქ ქუმრწლეხ - ყველაზე კარგი სიძლერა ჩვენ ვთქვით ქორწილში.

ამავე თვალსაზრისით საინტერესო ვითარება შემოუხავს კითხვით მქ (გინ) ნაცვალსახელის პარადიგმასაც. როგორც აკად. არნ. ჩიქიბავა ვარაუდობს, წოდათუშურში ეს ნაცვალსახელი ქართულიდანაა შემოსული და გინ-ის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს.

ნასესხები მქ სახელობითში გვხვდება, ერგატიფში კი მას ენაცვლება საკუთრივ წოდათუშური ჸქ, რომელზეც არის დაყრდნობილი შემდგომ ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები. პარადიგმის წევრთა ურთიერთშეპირისპირება გვაფიქრებინებს, რომ ერგატიფში დაცულია ბაზისური ფუძე, რომელიც თავის დროზე საზიარო უნდა ყოფილიყო სახელობითისთვისაც. ისტორიულად ამ ნაცვალსახელის პარადიგმა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: სახ. \*ჸან/ჸენ

ერგ. ჸქ

---

\* თვალსაჩინოებისათვის შემოხაზულია ნათესაობითთან დაკავშირებული ბრუნვები.

ნათ. ჰან-ძ → ჰავნი

მიც. ჰან-ინ → ჰან-ნ

აღდგენილ პარადიგმაში თვალსაჩინოდ გამოიკვეთა სახე-ლობით-ერგატივის ურთიერთკავშირი და ოდინდელი ფორმობრი-ვი გაუდევენენცირებლობა. თუ გავიხსენებთ, რომ გინ კითხვა აქ ენებში მხოლოდ ადამიანს დაესმის, მაშინ ნათელი გახდება, რა-ტომ უჭირს მხარს მისი ბრუნება ადამიანის კლასის სახელთა სანი-ან ერგატივში დაცულ ვითარებას.

სანიანი ერგატივის კავშირი სახელობითთან რეალური ფაქტია, რომელსაც წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ადამიანის კლასის სახელთა ბრუნების პარადიგმები, მეორე მხრივ კი, ნაცვალსახელ-თა ბრუნებაში შემორჩენილი მორფოლოგიური არქაიზმები. ამ მი-მართებას მნიშვნელობა ენიჭება საკვლევი ბრუნების როგორც გე-ნეზისის, ისე სტატუსის დადგენაში; ის საინტერესოა ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც. მიგვაჩნია, რომ სახელობითს უშეალოდ უნდა მოჰყვეს ის ბრუნეა, რომელიც ფუძით მასთან არის გაერთიანებული, შემდეგ კი მოექცევა ნათესაობითი და მას-თან დაკავშირებული ბრუნები. ასეთი რიგი, ერთი მხრივ, თვალსა-ჩინის გახდის სანიანი ერგატივის კავშირს სახელობითთან, მეორე მხრივ კი, გამოკვეთს მის პრინციპულ სხვაობას ვინიანი ერგატი-ვისგან. სახელობითს უნდა მოჰყვეს ვინიანი ერგატივიც. მართა-ლია, ასეთ ადგილმონაცემებისას ერთგვარი შეუსაბამობა მოჰ-ყვება რაკი ეს ფორმა მოექცევა ნათესაობითის წინ, მაშინ როდე-საც საყრდენად სწორედ ამ უკანასკნელის ფუძეს იღებს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მხარს დაგვიჭირს ის გარემოება, რომ ამ-ჯერად აღარ მოხდება ერთნაირი წარმოების ფუძეთა გათიშვა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სანიანი ერგატივის ძველი მიმდევ-რობის დროს. ამასთან, ცხადია, პრიორიტეტი მოცემულ საკითხში

სანიან ერგატივს უნდა მიენიჭოს, რადგან ისაა სწორედ პირველა-დ ერგატივი, ანუ საკუთრივ ერგატივი.

ბრუნვათა რიგის აღნიშნული ცვლილების შემდეგ პარა-დიგმები ასე წარმოგვიდგება:

ა)ადამიანთა კლასის სახელები:

სახ.	ნანა(ა)	დად(ა)	მიხო
------	---------	--------	------

ერგ.	ნანა-ს	დადა-ს	მიხო-ს
------	--------	--------	--------

ნათ.	ნანა - ფ	დადა - ფ	მიხო-ფ
------	----------	----------	--------

მიც.	ნანა - დ - ნ	დადა - დ - ნ	მიხო-დ-ნ
------	--------------	--------------	----------

~

ბ)ნივთის კლასის სახელები

სახ.	დო	ჩა	ჟაგნო.
------	----	----	--------

ერგ.	დონ - ე - გ	ჩა-ი-ვ	ჟაგნო-ვ - ვ
------	-------------	--------	-------------

ნათ.	დონ - ე	ჩა - ი	ჟაგნო- ფ
------	---------	--------	----------

მიც.	დონ - ე - ნ	ჩა-ი-ნ	ჟაგნო-ვ - ნ
------	-------------	--------	-------------

როგორც ვხედავთ, ასეთი ადგილგადანაცვლების შემდეგ კარგად გამოიკვეთა ორ საყრდენ ფუძეს შორის არსებული იე-რარქიული დამოკიდებულება, ერთმანეთს დაუბირისპირდა ორი წყება ბრუნვებისა: ცალკე ჯგუფი შექმნეს სახელობითთან დაკავ-შირებულმა ბრუნვებმა, ცალკე ჯგუფს კი ქმნიან ნათესაობითთან დაკავშირებული ბრუნვები.

მიგვაჩნია, რომ ბრუნვათა რიგის გარდა ცვლილება უნდა შეეხოს ბრუნვათა რაოდენობასაც. როგორც ისტორიული, ისე თა-ნამედროვე ვითარების მიხედვით წოვათუშური ენის ძირითად ბრუნვათა შორის ადგილი უნდა დაეთმოს ინსტრუმენტალისს.

მსჯელობისათვის კვლავ ერგატივს უუბრუნდებით, მაგრამ აშკარად არა სანიანს, ანუ თავისთავადს, არამედ - ვინიანს, ანუ საზიაროს. ვინიანი ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძეების ერთიანობა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, ისევე როგორც არაა შემთხვევითი სანიანი ერგატივისა და სახელობითის ფუძეთა ერთიანობა. გვაქვს ერთი და იმავე ბრუნვის ორი სხვადასხვა მაწარმოებელი და ორი განსხვავებული ფუძე. ამ ფაქტში უკვე დევს თვითონ ბრუნვის ფორმათა გენეზისისა და სინტრაქტური შინაარსის საკითხები. ერგატივის ამ ორი ფორმის სახით საქმე გვაქვს ისტორიულად განსხვავებულ ორ ოდენობასთან.

აღნიშნული კუთხით პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ გარდა დათითოებული ფორმანტებისა და საყრდენი ფუძეებისა, ერგატივის ამ ორ ფორმას ფუნქციური სხვაობაც გააჩნია: სანიანი ერგატივი მონოსემიურია და მხოლოდ რეალურად მოქმედი საგნის აღმნიშვნელია, ამავე ბრუნვის ვინიანი ფორმები კი ინსტრუმენტალისის ფუნქციებსაც ითავსებს, რაკი იმავდროულად თანაობისა და საჭურვლის უბრალო დამატებებსაც აღნიშნავს. ვინიანი ერგატივით გამოხატული რეალური სუბიექტისა და თანაობა-საჭურვლის უბრალო დამატების აღმნიშვნელ ფორმებს შორის გამოხატვის პლანში სხვაობა არა გვაქვს და ომოფორმათა გარჩევის ერთადერთ საშუალებას კონტექსტი წარმოადგენს. მაგალითად:

1. ა) **დონ-ე-გ დაჟარ ჩალაძე - „ცხენება ბალახი შეჭამა.“**  
ბ) **სტაკ დონ-ე-ვეცე - „კაცი ცხენით მოვიდა.“**  
გ) **სტაკ შერ დონ-ე- გ კმატმაქა თასგალძ - კაცი თავის ცხენით (ცხენიანად)კლდეზე გადავარდა.**


2. ა) ო გირ-ე-ვ ისე ვუხ თევზოდო – „ეს გირი ( გირმა ) აქ რას აკე-  
თებს.”\*

ბ) სე დად მიჩხმაც გირ-ე-ვ-ლელერ – „მამაჩემი ყველგან  
გირით დადიოდა.”

გ) ილო შერ გირ-ე-ვ წენის ც თვეგალძ – „ილო თავისი გი-  
რით ( გირიანად ) სახლს მოეფარა.”

საძიებელ ს და გ სუფიქსებს შორის სინტაქსური ფუნქციე-  
ბის მხრივ არსებული სხვაობა სქემატურად შემდეგი სახით შეიძ-  
ლება გამოვხატოთ:

ს → რეალური სუბიექტი აღამიანის კლასის სახეებისა



მოცემული მარტივი სქემიდან კარგად ჩანს, რომ ეს ორი  
სუფიქსი ფუნქციურად ერთმანეთს ბოლომდე არ ემთხვევა, ანუ  
თანაბარი სინტაქსური შინაარსი არ გააჩნია. გასარკვევია, ერთი  
მხრივ, სანაბანი და ვინიანი ერგატივის ურთიერთმიმართება, მეორე  
მხრივ კი – თვითონ ვინიანი ფორმების დისტრიბუციის საკითხები.  
სანაბანი ერგატივის ფორმათა ერთთუმიანობის ფონზე განსაკუთ-  
რებულ ყურადღებას იქცევს ვინიანი ფორმებით ორი სხვადასხვა  
ბრუნვის გადმოცემა.

როგორ დგას სამეცნიერო ლიტერატურაში ინსტრუმენ-  
ტალისის საკითხი?

\* ერგატიული კონსტრუქცია წოდათუშურის ზმნებს გასდევს დრო-კა-  
ლოთა ყველა სერიაში.

ამ ბრუნვას დოც. დ. იმნაიშვილი დამოუკიდებლად საერთოდ არ მოიხსენებს წოვათუმური ენის სახელთა ბრუნვებში. მკვლევარი გვაწვდის მხოლოდ ზოგად ცნობას იმის შესახებ, რომ ერგატიფი ითავსებს ინსტრუმენტალისის სემანტიკურ ფუნქციას.

ინსტრუმენტალის ცალკე ბრუნვად მიიჩნევს და ვრცლად მსჯელობს მის შესახებ აკად. ი. დეშერიევი. სამწუხაროდ, მკვლევარი ამ ფუნქციით გამოყენებული გინიანი ფორმების შესახებ საერთოდ არაფერს ამბობს და სავარაუდო პარადიგმას ცინ თანდებულიანი ფორმებით შემოფარგლავს. საანალიზო მასალას რუსულ თარგმანში (ნაშრომი რუსულ ენაზე დაწერილი) მართლაც ენაცვლება ინსტრუმენტალისი, მაგრამ ამის მიხედვით, ცხადია, ვერ გადაწყდება საკითხი. დავიმოწმებთ ი. დეშერიევის მაგალითებს მისეულივე რუსული თარგმანით:

ა) **დაღ-ე-ცძ გუდგას მოსკოვი – С сопром еду в Москву.**

ბ) **თერმომეტრი დილლ წომლეცძ – Термометр клауди (еместе) с лекарством** (დეშერიევი, 1963, 434).

მკვლევარის თვალსაზრისს მოცემულ საკითხში ვერ ვიზიარებთ, რადგან ინსტრუმენტალისის სავარაუდო გაფორმებისათვის გამოყოფილი -ცძ დაბოლოება თანდებულია და არა ბრუნვის ნიშანი. იგი მოცემულ შემთხვევაში ზუსტი აღეკვატია ქართული -თან თანდებულისა, როცა ეს უკანასკნელი თანაობას აღნიშნავს. ამიტომაც იმავე წინადადებების ქართულ თარგმანში გვექნება:

ა) **მამას-თან** (ერთად) მივდივარ მოსკოვში.

ბ) **თერმომეტრი დადე წამალ-თან.**

ი. დეშერიევი, როგორც ჩანს, ხედავს ცძ დაბოლოების კავშირს თანდებულებთან, რის გამოც იქვე შენიშნავს, რომ, როცა აღნიშნული ფორმები ბრუნვათა რიგში შეაქვს, მხედველობაში აქვს მათი შხოლოდ ერთი შნიშნელობა - თანაობა. მოცემული ენობრივი ფაქტი რუსული თარგმანის მიხედვით ჩანს კვალიფიცი-

რებული და შეცდომაც სწორედ მას ეფუძნება. აღნიშნული ცინ – დაბოლოებიანი ფორმები დოც. რ. გაგუას სამართლიანად შეაქვს ერთობანდებულიან ბრუნვებში და იხსენებს, როგორც თანაობითს (გაგუა, 1983, 223).

ინსტრუმენტალისის გენეზისური და ფუნქციური ასპექტების კვლევას უდიდესი წელილი დასდო დოც. რ. გაგუამ. მართალია, მას ეს ბრუნვა პარადიგმაში არ შეაქვს, მაგრამ საგანგებოდ მსჯელობს ვინიანი ფორმების საზიარო ფუნქციების შესახებ. იგი ყურადღებას ამახვილებს თავისთავადი და საზიარო ერგატივის ფუძეთა სხვადასხვაობაზე, რის მიხედვითაც სანიან ერგატივს პირგელად ბრუნვად მიიჩნევს, ვინიანს კი – მეორეულ ერგატივს უწოდებს. მკვლევარი უხვ საილუსტრაციო მასალას მიმოიხილავს და ასკვნის, რომ „ამგვარი მაგალითების მიხედვით **გ** სუფიქსისათვის თოთქოს ინსტრუმენტალისის გადმოცემა უნდა იყოს ძირითადი“ (გაგუა, 1948, 89). წლების შემდეგ დოც. რ. გაგუა კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და აკეთებს უკვე შემდეგი სახის კატეგორიულ დასკვნას: *Только в последствии расширяет этот суффикс своего употребления переходя в эргатив*“ (გაგუა, 1983, 208).

საინტერესოა აკად. ა. შიფნერის მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ სუფიქსი **გ** წარმოშობით თანაობის ფორმათა აღმნიშვნელია და მისი ამოსავალი ფუნქცია ინსტრუმენტალისთან ჩანს დაკავშირებული (შიფნერი, 1856, 72). როგორც გხედავთ, აკად. ა. შიფნერი და დოც. რ. გაგუა სხვადასხვა კუთხით განიხილავენ ჩვენთვის საინტერესო საკითხს, მაგრამ აკეთებენ ერთნაირ დასკვნას იმის შესახებ, რომ სუფიქსი **გ** წარმოშობით ინსტრუმენტალისის მაწარმოებელია და ერგატივის ფუნქცია მისთვის მეორადია.

ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა ამ მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ სანიანი და ვინიანი ფორმების სახით გვაქვს ისტორიულად გასხვავებული ორი ბრუნვა სხვადასხვა ფორმანტებითა და სხვა-

დასხვა სტატუსით: ერგატივი და ინსტრუმენტალისი. აქედან გამომდინარე, რაკი სუფიქსი ს მხოლოდ გონიერთა კლასის სახელებს დაერთვის, უნდა დაფასკვნათ ისიც, რომ ნივთის კლასის სახელებს თავის დროზე არც უნდა ჰქონილათ ერგატივი. მხოლოდ შემდეგ ერგატიული კონსტრუქციის, როგორც ახალი სინტაქსური კატეგორიის თანდათანობითი განხოგადების გზით უნდა შესძენლდა ინსტრუმენტალისის ფორმებს ნივთის კლასის სახელთა რეალური სუბიექტის გამოხატვის ფუნქცია. როგორც ცნობილია, ინსტრუმენტალისი ან სხვა ბრუნვა პარარელურად ერგატივსაც რომ გამოხატავს, არაა უცხო იკე ენებისათვის.

ნათქვამი საკითხის ისტორიას ეხება, როგორია განვითარების თანამედროვე საფეხურზე ინსტრუმენტალისის სინტაქსური ფუნქციები, მოქალაქება თუ არა დღეს ამ ფორმებს დამოუკიდებელი ბრუნვის სტატუსი?

რ. გაგუა მოცემულ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა. მკვლევარი თავის მოსაზრებას შემდეგნაირად ასაბუთებს: „В парадигмах склонения мы не выделяем творительный падеж отдельно, поскольку в классе вещей он совпадает с эргативом, а в классе человека хотя и имеет самостоятельную форму на *v*, но эта последняя употребляется весьма редко так как человек обыкновенно бывает деятелем, агентом, а не инструментом орудиям. Суффикса *v* исторически и не было в словах I класса (გაგუა, 1983, 208).

თუ ნივთის კლასის სახელთა გითარებას იზოდირებულად აგილებდით, ამ კითხვაზე მართლაც უარყოფითი პასუხი უნდა გაგვეცა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული თვალსაზრისით საკვლევი ფორმები სწორედ ინსტრუმენტალისის კუთვნილებაა და ერგატივის შინაარსი მათ გვიან შეითავსეს, ერთი და იმავე ფორმის ეს მრავალთუნენტურობა არ იქნებოდა საკმარისი ნივთის კლასის სახელთა აღნიშნული ზიარი ფორმები სხვადასხვა ბრუნვებად დაგვეუყო: ერგატივად და ინსტრუმენტალისად. ასეთ შემთხვევაში

დარჩებოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც შეიძლებოდა დარქმეოდა  
როგორც ერგატივი, ისე ინსტრუმენტალისი. დოც. რ. გაგუა მას,  
მართლაც, უწოდებს ერგატივ—ინსტრუმენტალისს.

მდგომარეობა რთულდება, როცა იმავე საკითხს სანიანი ერ-  
გატივის ფორმებთან მიმართებაში განვიხილავთ. დაბრკოლებას  
ქმნის ის გარემოება, რომ ესენი არაა თანაბარი ღირებულების  
მორფოლოგიური ოდენობები და მათი ნაძალადევი გაერთმნიშ-  
ვნელიანებით, ანუ ერთ ბრუნვად გამოცხადებით იგნორირებული  
რჩება ვინიანი ფორმების რიგი განსხვავებული ფუნქცია. როგორც  
ცნობილია, ენის სინგრეულ ინვენტარში არ არსებობს მნიშვნე-  
ლოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი ფუნქციები, რაღაც, რაც რეა-  
ლიზდება, ის საჭიროც არის. ამდენად ვინიანი ფორმების ზოგი-  
ერთ ფუნქციაზე თვალის დახუჭვა და სანიან ერგატივთან გაერ-  
თიანება გამართლებას მოკლებულია.

ნათქვამს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ინსტრუმენტა-  
ლისის ვინიანი ფორმები, გარდა ნივთის კლასის სახელებისა, ადამი-  
ანის კლასის სახელებსაც მოეპოვება და რაც მთავარია, აქ ეს ფორ-  
მები ერთფუნქციურია (იშვიათ გამონაკლისებზე მსჯელობა გვექ-  
ნება მოძევებო პარაგრაფში). სწორედ ეს ერთფუნქციურობა სძენს  
ამ ფორმებს დამოუკიდებელი ბრუნვის სტატუსს. გარეგნულად ეს  
ფორმები არც ერთ სხვა ბრუნვას არ ემთხვევა, რის გამოც საჭირო  
ხედება მათი ცალკე გამოყოფა. ეს უკვე საკუთრივ ინსტრუმენტა-  
ლისია, რომელსაც უნდა შეუერთდეს აგრეთვე ნივთის კლასის სა-  
ხელთა ერგატივთან ნაძალადევად გაზიარებული ფორმები.

როგორია ფორმისა და ფუნქციის თავალსაზრისით ადამიან-  
თა კლასის სახელების ინსტრუმენტალისი?

გარეგნულად ეს ფორმები მისდევს ნათესაობითის საყრდენი  
ფუნქციასაგან ნაწარმოები სხვა ირიბი ბრუნვების რიგს, კერძოდ: ნა-

თესაობითი ბრუნვის ფუძეს მარტივად დაერთვის საკუთრივ ინ-  
სტრუმენტალისის მაწარმოებელი ვინი. ვგაქს:

ნან-ე-ვ (დედით), დად-ე-ვ (მამით), დაშ-ე-ვ (დით), ვაშ-ე-ვ  
(მმით), აგ-ე-ვ (ბებით), ბაბუ-ვ-ვ (პაპით), მამუ-ვ-ვ (მამიდით),  
ბაჯ-ე-ვ (ქვისლით), უჩიტლ-ე-ვ (მასწავლებლით), მეზობლ-ე-ვ  
(მეზობლით), ნათესვ-ე-ვ (ნათესავით), ნაყბისტ-ე-ვ (მეგობრით),  
შიჩ-ე-ვ (დეიდაშვილით)...

ადამიანის კლასის სახელთა ვინიან ფორმებს, ანუ ინსტრუ-  
მენტალის დღეს ყველა თაობის მეტყველებაში ვხვდებით, მაგრამ  
ასაკობრივი დონეების მიხედვით გარკვეულ სხვაობას აქვს ადგი-  
ლი მათს გამოყენებაში: საგულისხმოა, რომ, როგორც თანაობის  
უბრალო დამატება, ეს ფორმები ფართოდ არის გაფრცელებული,  
ხოლო როგორც საჭურვლის უბრალო დამატება, მათი გამოყენება  
თითქმის მხოლოდ ახალგაზრდათა შეტყველებით არის შემოფარ-  
გლული. გვაქს, მაგალითად:

ა) ტადსი შერ ბადრივ ჩუჭ ცო და – „ტასი თავისი შვი-  
ლებით სახლში არ არის”.

ბ) მიტრ შერ ჰადშივ პუნახ ქიფებალა – „მიტო თავისი  
სტუმრებით ტყეში ქეიფობს”.

გ) არსე შერ დაშვე ქალიქ ჰაჭვინას – „არსენა თავისი  
დით ქალაქში გავგზავნე”.

სუფიქსი გინი ანალოგიურ კონტექსტში დამოუკიდებლად  
ნაკლებად გეხვდება, უფრო ხშირად მას დამატებით დაერთვის სუ-  
ფიქსი -აც რომელიც შინაარსობრივად და ფუნქციურადაც ქარ-  
თული -ვე ნაწილაკის ფარდია. როგორც ჩანს, ამ სუფიქსის მოშვე-  
ლიებით ენა ცდილობს, თავი აარიდოს ადამიანის კლასის სახელე-  
ბისათვის საკმაოდ უხერხულ მორფოლოგიურ ომონიმიას საჭურ-  
ვლის დამატებასთან. ამ გზით მიღებული რთულსუფიქსიანი ფორ-  
მები თანაობის უბრალო დამატებისა უკვე მონოსემურია და ფარ-

თოდ არის გამოყენებული. ეს ფორმები კონტექსტის მიხედვით ორგვარ გაგებას იგუებს: გაუდიფერენცირებული თანაობისა და გამეორებული თანაობისა.

ზემოთ დასახელებული მაგალითები რთული სუფიქსის დართვის შემთხვევაში შემდეგ სახეს მიიღებს:

- a) ნაყბისტ ნანე-გ-აც ვეყენ სოჭ ჰაშელ.
1. „მეგობარი დედ-ით-ვე მეწვია სტუმრად”.
2. „მეგობარი ისევ დედ-ით-ვე მეწვია სტუმრად”.
- b) არსე შერ დაშე-გ-აც ქალიქ ჰაჭვინას.
1. „არსენა დ-ით-ვე ქალაქში გავგზავნე”.
2. „არსენა ისევ დ-ით ქალაქში გავგზავნე”.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად წოვათუშერ ენას სხვა საშუალებაც აქვს: -ცტ (თან) თანდებულიანი და ვრცელი აღწერითი ფორმები. ასეთ შემთხვევაში უკვე სრული ანალოგია გვაქვს ქართულის თან თანდებულიანსა და აღწერითს ფორმებთან. მაგალითად:

- a) 1. ნაყბისტ ნან-ე-ცტ ცტალ ვეყენ სოჭ ჰაშელ.  
„მეგობარი დედასთან ერთად მომიგიდა (მეწვია) სტუმრად.”
2. ნაყბისტ ნან დალოშ ვეყენ სოჭ ჰაშელ.  
„მეგობარი დედს მიყვანით მეწვია სტუმრად“.
- b) 1. არსე დაშე-ცტ ცტალ ჰაჭვინას ქალიქ.  
„არსენა დასთან ერთად გავგზავნე ქალაქში”.
2. არსე დაშე მიკოშ ჰაჭვინას ქალიქ.  
„არსენა და (დის) წაყვანით გავგზავნე ქალაქში”.

სხვა მდგომარეობაა, როცა საქმე საჭურვლის უბრალო დამატებას ეხება. ქართული ენის გავლენით ახალგაზრდები ასეთი დამატების გადმოსაცემად სწორედ ვინაონ ფორმებს იყენებენ. გავიგონებთ:

1. შერ ზორამარტი ვაშ-ე-ვ და ი დაჰგო დაჭირ დოკ.  
„თავისი ყოჩაღი ძმითა აქვს ამ გოგოს დიდი გუ-  
ლი”.

2. მოწაფი წინჩი უჩიტლ-ე-ვ ზორამარტი კმა-  
ყუდული და.

„მოსწავლები ახალი მასწავლებლით ძალიან კმაყო-  
ფილები არიან”.

უფროსი თაობის ბილინგვებისათვის მსგავს კონსტრუქცი-  
ებს ხელოფნურობისა და ნაძალადევობის განცდა ახლავს, რის გა-  
მოც მათ ვრცელი, აღწერითი, ან კიდევ რამდენიმე თანდებულიანი  
ფორმით ცვლიან.

სხვადასხვა თაობის ბილინგვთა მეტყველებაზე დაკვირვებით  
ცხადი ხდება, რომ ინსტრუმენტალისი, რომელიც მრავალთუნები-  
ურია ნივთის კლასის სახელებთან, ადამიანის კლასის სახელებთან  
უზრდებულად გამოიყენება; როგორც ჩანს, აღრინდელ საფეხურ-  
ზე მათთან ეს ბრუნვა მხოლოდ თანაობას აღნიშნავდა, დღეს კი სა-  
ჭურვლის უბრალო დამატების ფუნქციასაც იძენს. მოცემულ დას-  
კვნას შემოწმება ვერ უხერხდება მონათესავე ენათა ვითარებით,  
რადგან ჩეჩენურისა და ინგუშურში საკუთრივ ინსტრუმენტალისის  
გადმოსაცემად სუფიქსი გინი აღარ იხმარება.

იმის გამო, რომ დღეს წოვათუშურში ადამიანის კლასის სა-  
ხელებს აქვთ მარკინებული ფორმები საკუთრივ ინსტრუმენტალი-  
სისათვის, ხოლო ნივთის კლასის სახელებთან გინიანი ფორმები  
ერგატივის პარალელურად ინარჩუნებენ ამ ბრუნვის ფუნქციასაც,  
მან სათანადო ადგილი უნდა დაიგავოს ძირითად ბრუნვათა რიგში,  
რაც გამართლებული იქნება როგორც ისტორიული, ისე თანამედ-  
როვე ვითარების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი  
დაკარგულ ბრუნვად უნდა გამოვაცხადოთ ისევე, როგორც და-  
კარგულია, მაგალითად, ქართულში ივ დაბოლოებიანი მოქმედე-

ბითი ან უნიშო წრთელობითი. მაგრამ ფაქტია, რომ ინსტრუმენტალისი წოვათუშურ სახელებს არ დაუკარგავთ, როგორც ეს მოხდა, მაგალითად ჩაჩნურსა და ინგუშურში, პირიქით: ერთის მხრივ, ნიგოსის კლასის სახელებთან იგი გამოიკვეთა როგორც ერგატივი, მეორეს მხრივ კი ამ ბრუნვამ ფუნქციები გაიფართოვა ადამიანის კლასის სახელებთან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ინსტრუმენტალისის არსებობა წოვათუშურში რეალური ფაქტია როგორც ისტორიული, ისე სინქრონიული თვალსაზრისით. იგი უნდა შევიდეს ამ ენის ბრუნვათა რიგში როგორც ნათესაობითზე დაფუძნებული კიდევ ერთი ირიბი ბრუნვა. საგულისხმოა, რომ ინსტრუმენტალისი, როგორც დამოუკიდებელი წევრი პარადიგმისა, ბრუნვათა რიგში შეტანილია პროფ. კ. ჭრელაშვილის მონოგრაფიაში წოვათუშური ენის შესახებ (ჭრელაშვილი, 2002, 119). მართალია, მკვლევარი ამას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აკეთებს, მაგრამ თავისთვის ფაქტი ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს, თუმცა არ ვეთანხმებით მკვლევარს განცხადებაში იმის შესახებ, რომ „ეს ბრუნვა აქვთ მხოლოდ არაგონიერთა კლასის სახელებს და ნიგოსის კლასის სახელებს“ (იქვე, 119). მკვლევარს მხედველობიდან აქვს გამორჩენილი ჩვენ მიერ ზემოთ დახასიათებული საგანგებო კონტექსტები ადამიანთა კლასის სახელთა ინსტრუმენტალისისა, რასაც ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ ბრუნვის სტატუსის დასაღვენად. ვვარაუდობთ, რომ თანაობის აღნიშნული ფორმები ადამიანის კლასის სახელებს თან დაჲყებათ, ან საკმაოდ დიდი ხნის წინ გაუჩნდათ ქართული ენის გავლენით, რადგან უფროსი თაობის მეტყველებაში ისინი უკვე ორგანულადაა ჩართული.

განსხვავებულია ჩვენი მოსაზრება კიდევ რამდენიმე ბრუნვის შესახებ. ეს ბრუნვებია: გარდაქცევითი, მიცემითი ||, მიცემითი III და მიცემითი IV.

დავიწყოთ გარდაქცევითი ბრუნვით. სავსებით ვეთანხმებით პროფ. კ. ჭრელაშვილს, როცა ეს ბრუნვა გამოარჩია ტრადიციული კლასიფიკაციის ე.წ. ერთოთანდებულიანი ბრუნვებიდან და მარტივი (უთანდებულო) ბრუნვათა რიგში მოაქცია (ჭრელაშვილი 2002, 120). აგებულების მიხედვით იგი ნათესაობითზე დამყარებულ სხვა ბრუნვებს მისდევს, მაწარმოებლად კი აქვს სუფიქსი დ. განსხვავებით ქართული ვითარებითისგან, რომელსაც რამდენიმე ფუნქცია აქვს, წოდათუშურიში ეს ბრუნვა მხოლოდ ერთი დანიშნულებით გამოიყენება – გადმოსცემს ახალ ვითარებას, სიახლეს აღნიშნული საგნის ფუნქციაში. ამ მიზეზით გამართლებულად მიგვაჩნია, დარჩეს მას სახელად გარდაქცევითი, როგორც უწოდებენ დ. იმნაიშვილი და რ. გაგუა. ამ სახელწოდებით კარგად გამოიკვეთება, რომ ის არაა ქართული ვითარებითის ადეკვატური და აკლია ვითარების გარემოებისა და ადგილის გარემოების ფუნქციები. ოვალსაჩინოებისათვის დაგასახელებთ მაგალითებს:

1. უჩნახ ხე ადმენ-ელ ჩვენბადბალი სო.

„სიბნელეში ხე ადამიანად მეჩვენა”.

2. მიტოს ვაშე მოჳ ბადრ-ე-ღ ღაცა.

„მიტომ ძმის გოგო შვილად დაიჭირა (მიიღო)”.

3. მამრამ ქუმრწლეს მაყრ-ე-ღ გარასრ.

„მარიამის ქორწილში მაყრად ვიყავი”.

განსაკუთრებული ვითარება იქმნება წოდათუშურის მიცემით ბრუნვასთან დაკავშირებით. ქართული მიცემითის ფუნქციები აქ ითხ სხვადასხვა ბრუნვას შორის არის განაწილებული: ადგილი აქვს ფორმათა კონკრეტიზაციას შინაარსობრივ ნიუანსებთან დაკავშირებით.

შდრ. I. ვაშ-ე-ნ ეცა<sup>ნ</sup> – „მმას უყიდა”.


II. ვაშ-ე-გო დაკა<sup>ნ</sup> – „მმას წართვა”.

III. ვაშ-ე-გრ თაგდითე<sup>ნ</sup> – „მმას გააკეთებინა”.

#### IV. გაშ-ე-ხ ხატი – „მშას ჰკითხა”.

წოვათუშურში თთოეული ტიპის მაგალითის გავრძელებად ანალოგიური შინაარსის ზმნურ ფორმათა გრძელი რიგები დგას, რომელთაც სახელების ამ ფორმებთან მყარი სინტაქსური დამოკიდებულება აქვთ.

ქართულ-თუშური ენების მიმართება მოცემულ საკითხში თვალსაჩინოებისთვის შეიძლება შემდეგი მარტივი სქემით გამოვ-ხატოთ.



განხილულთაგან პირველი ფორმა ყველა მკვლევარს აქვს ბრუნვათა რიგში შეტანილი და ერთხმად მოხსენიებული მიცემითად, დანარჩენი სამი ფორმის მიმართ კი დამოკიდებულება განსხვავებულია. დ. იმნაიშვილს და რ. გაგუას ისინი ერთიანად თანდებულიან ბრუნვებში აქვთ მოქცეული, პროფ. კ. ჭრელაშვილი კი მეორე ფორმას თანდებულიან ბრუნვებში ტოვებს ისევ, ხოლო მესამე და მეორე ფორმებს ძირითად ბრუნვებში ათავსებს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც არაა ბოლომდე სწორი მათი კვალიფიკაცია.

მიგიჩნევთ, რომ ოთხივე ეს ფორმა ძირითად ბრუნვათა რიგში უნდა მოექცეს, რადგან მათთან აქტანტების ზმნებთან მიმართებაა დაკაგშირებული. ჩვენს სასარგებლოდ დავიმოწმებთ პროფ. თ. უთურგაიძის მოსაზრებას მორთვემათა (ჩვენს შემთხვევაში ბრუნვის ნიშნების) როლის შესახებ; მკვლევარი წერს: „მორთვები ხომ სწორედ სინტაქტიკურ ურთიერთობათა განმახორციელებელი ელემენტია ენისა. ისინი თავიანთ ფუნქციას ასრულებენ აქტან-

ტებთან მიმართებით და როგორც მოლაპარაკე, ისე მსმენელი ადეკვატურად არჩევს გრამატიკულ ფორმებს“ (უთურგაიძე, 2002, 88).

რადგან ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ბრუნვები ერთსა და იმავე სინტაქსურ როლს ასრულებს და ფორმაწარმოების მიხედვით და-მატებითი დისტრიბუციის მიმართებაში არიან, მათ ერთი და იმავე სახელით – მიცემითით მოვიხსენიებთ და ერთმანეთისაგან გასარჩევად ვნომრავთ; გვექნება: მიცემითი I, მიცემითი II, მიცემითი III და მიცემითი IV. ცხადია, შეიძლებოდა ეს მიცემითები ფორმანტების მიხედვითაც გაგვერჩია, მაგალითად, ნარიანი მიცემითი, სანიანი მიცემითი და A. შ. სიმარტივისათვის პირველ გზას ვირჩევთ. ასეთი სახელდებით ნათელი გახდება მათი მიმართება, ერთი მხრივ, ერთმანეთან, მეორე მხრივ კი ქართულ მიცემითან.

ერთი და იმავე სინტაქსური ფუნქციის რამდენიმე ბრუნვაზე განაწილების თვალსაზრისით წოგათუშური მარტო არაა. ამ მხრივ ყურადღებას იცევს უდური ენის ორი მიცემითი. საინტერესოა ამ ორი ენის მიცემითი ბრუნვის ფორმანტთა მასალობრივი დამთხვევაც (ფაჩვიძე, 1974, 51; ალექსიძე, 2003, 152).

მსჯელობას დაფიტუებთ საყოველთაოდ აღიარებული მიცემითით, რადგან სწორედ მასთან მიმართებაში იკვეთება ნათლად დანარჩენი ბრუნვების შინაარსობრივი პლანი. ამ ბრუნვას მიცემითი I – ის სახელით მოვიხსენიებთ. ეს ბრუნვა ზედმიწევნით ამართლებს წოგათუშურში თავის სახელწოდებას, რადგან მხოლოდ ისეთი ზმნები უკავშირდება, რომლებიც ირიბი თბიერების სასარგებლოდ გამიზნულ მოქმედებას აღნიშნავენ. ქართულში ამ შინაარსობრივ დამოკიდებულებას სახელის ბრუნვასთან ერთად ზმნის სასხვის ქცევის ფორმა აწესრიგებს, თუშურში კი, რადგან მას ქცევის კატეგორია არა აქვს, მთელი დატვირთვა ბრუნვის ფორმანტს ეკისრება.

გვაქვს:

ნაწერი (დედას) – დალაძ (მისცა), დიკე (მიუყვანს), დითე (დაუტოვა), გაგდიე (შეუნახა), დაწდიე (გაუზარდა), დაჭრ (მიუტანა), კარჩდიე (გაუგორა), ჩუქბადიე (აჩუქა), აბძ (შეუკერა), ეცძ (უყიდა), დოფცძ (მოუქსოვა), ლაჭრიე (დაუკრიფა), დივე (დაუთესა), დითე (გაურეცხა), გათოჯნადიე (გაუთოხნა), გასხლადიე (გაუსხლა), ქეკდიე (დაუჭრა), დაბაროლიე (დაუბარა), ლაქრიე (მიუგდო), დაწერადიე (დაუწერა), კექდიე (მოუქმდა), ჭეხკდიე (მიუხმდა), დათა (შეუწვა), ლახძ (უპოვა), ლაფსდიე (გაუშრო), ლეტოდო (უმატებს)...

საგულისხმოა, რომ ეს ბრუნვა ზოგიერთ ისეთ ზმნასთანაც გვხვდება, რომელიც ქცევის გაგებას არ იგუებს და კუთვნილება-დანიშნულებით ურთიერთობასაც ვერ გამოხატავს. ჩამოვთვლით ასეთ ზმნებს:

ხეთძ (იძოვა), გუ (ხედავს), ლეტე (შველის), იშრ (აკლდება), ხაწე (ესმის), ლეცე (უნდა), ყახეთე (ეცოდება), ღეწე (უყვარს), მაკ (შეუძლია), კეთე (იცის, ნასწავლი აქვს), ხეცე (იცის გაგებული აქვს), წაცე (მოხვდა), დაკოდა(ახსოვს), დიცდალძ (დაავიწყდა), დაკდეცე (გაახსენდა), პარტებადიე (აპატია), ხეთძ (დაუცა).

განსხვავება ზმნათა ამ ორ რიგს შორის დიდია: პირველი ჩა-მოყალიბებულ სისტემას ქმნის და რიცხვებრივალია, მეორე თით-ქმის შხოლოდ გამოყენების ტრადიციას ეფუძნება და რაოდენობრივად შეზღუდულია.

მიცემითი || ნათესაობითის ფუძეს ეყრდნობა ისევ და მაწარ-მოებლად სუფიქსი გო აქვს. შინაარსობრივად ის მთლიანად უპი-რისპირდება პირველს.

შრომა:

ა) მიცემითი |:

ნან-ე-ნ აბი<sup>6</sup> (შეუკერა), დაჭირ (მიუტანა), დიკქ (მიუყვა-ნა)....

ბ) მიცემითი ||:

ნან-ე-გო — დაწირ (გამოართვა), დეჭირ (მოჰპარა), დავირ (დაეკარგა)...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მიცემითი ||—ის შინაარსობრივი ასპექტი, რომელსაც ქართულში გამოხატვის ფორმა არა აქვს და სემანტიკური კატეგორიის დონეზე რჩება. მხედველობაში გვაქვს გო სუფიქსანი მიცემითი ისეთი მოქმედების გამოხატვა, რომელიც ამ ბრუნვაში დასმული სახელის სურვილის გარეშე მოხდა, ხდება, ან მოხდება. მაგალითად: დედის ეზოში დგას ხე. თუ ის მოიჭრა დედის სურვილით, თანხმობით, მაშინ ნარიანი მიცემითია საჭირო, ხოლო თუ მისი სურვილის ნებართვის გარეშე და მის საზიანოდ მოხდა ეს მოჭრა, მაშინ აუცილებელია გო სუფიქსანი მიცემითი. ზმნა ამ დაპირისპირებაში მონაწილეობას არ იღებს და ორსავე მიცემითს ერთი საზიანო ფორმით შეეწყობა. გვაქვს ზმნათა გრძელი წყება, რომლებთანაც ამ ორი სუფიქსის ურთიერთდაბირისპირება გამოხატავს ორიბი ობიექტის სურვილითა თუ უსურვილოდ, სასარგებლოდ თუ საზიანოდ შესრულებულ მოქმედებას. მიგვაჩნია, რომ ასეთი ოპოზიციის შექმნა არის გო სუფიქსის ძირითადი ფუნქცია.

აღნიშნული დაპირისპირება ბუნებრივია, მაგალითად შემდეგი ზმნებისთვის:

ნან-ე-ნ || ნან-ე-გო (დედას):

დრევი (დაუკლა), დოხკი (გაუყიდა), თიტქ (მოუჭრა), დოხდიე (დაუნგრია), დაცი (გაუთიბა), ლაჭყდიე (დაუმალა), დეჭირ (მოჰპარა), ლაპდიე (დაუკრიფა), ტატდიე (დაუსველა), დატდიე (მოსტაცა), დაკეტადიე (დაუკეტა), დაბერტყადიე (და-

უბერტყა), ხარცდიენ (შეუცვალა), თასძ (ჩაუგდო), გაჯაგოდიენ (გაუჯავა)....

მსგავსი შინაარსობრივი დაპირისპირება გასდევს იმავე ზმინათა ენებითებსაც, მაგ:

### ნან-ე-ნ || ნან-ე-გო (დედას):

თეთვსლა (უვარდება), დაცლა (ეთიბება), ღეჭლა (ეკრი-ფება), ხერცლა (ეცვლება), თეტლა (ეჭრება), დეხკლა (ეყიდება),

ცხაგლა (ეკვლება), ბერტყალა (ებერტყება)...

მოქმედების ასეთ ნებსითი თუ უნებლივ ხასიათის დაპირისპირებას მოკლებულია სტატიკური ვნებითები, რომელთაც ირიბი ობიექტი ყოველთვის მიცემითის ფორმით შეეწყობა. გვაქვს:

### ნან-ე-გო (დედას):

ლათე (უდგას), ხვადწუ (უკიდია), დიშუ (უწევს), ოუხუ (ას-ხმული აქვს), დათუ (უსხია), ოუკუ (უნთია), დატე (უწყვია), დოუხუ (უყრია)..

ზემოთ აღნიშნული შინაარსობრივი დაპირისპირება გო სუფიქსიანი მიცემითის დომინანტური ფუნქციაა, პარალელურად კი ზოგჯერ ის ადგილის გარემოებასაც გამოხატვს. გვაქვს:

სანგო (სახლთან), სანიგო (კარებთან), აკოშკიგო (ფანჯა-რასთან), ბუხრეგო (ბუხართან), ლაპიგო (კარებთან) ...

პროფ. კ. ჭრელაშვილი ამ ფორმებს თანდებულიან ბრუნვებში განიხილავს, | ლოკატივს უწოდებს და სრული სახით აღადგენს მაწარმოებელ გო ფორმანტს, მიზნევს, რომ ეს გამარტივებული სახეა გო-ჲ-რთული სუფიქსისა, სადაც „ჲ თავისი ფუნქციით უდრის ში თანდებულს“ (კ. ჭრელაშვილი, 2002, 124). ვფიქრობთ ჲ-ს ფუნქციას დაზუსტება სჭირდება და საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს. გასარკვევია და დასაზუსტებელი გო მაწარ-

მოებლის თანდებულური ბუნების საკითხიც, თუმცა ეს არ უშლის ხელს იგი ბრუნვის ნიშნად გამოვაცხადოთ.

თავისი ძირითადი და დამატებითი ფუნქციები აქვს III მიცე-  
მითსაც. აქ საყრდენად ნათესაობითის ფუძეა აღებული, მაწარმო-  
ებლად კი – სუფიქსი გრ. მისი მთავარი ფუნქცია კაუზატივის  
ფორმებში მოქმედების რეალური შემსრულებლის ნიშანდებაა.  
ყოველი მოქმედებითი გვარის ზმნას მოეპოვება შუალობითი კონ-  
ტაქტის ფორმა, რომელიც ით სუფიქსით იწარმოება და გულის-  
ხმობს სამ პირს: მოქმედების ხელმძღვანელს, შემსრულებელსა და  
სამოქმედოს – პირდაპირ ობიექტს. მოქმედების ხელმძღვანელია  
ერგატივშია, პირდაპირი ობიექტი – სახელობითში, ხოლო შემ-  
სრულებელი გრ-სუფიქსიან ფორმაში, რომელსაც მიცემით III  
დავარქვით. გასაგებია, რომ მოცემული ფუნქციით ამ ბრუნვას  
ფართო ასპარეზი აქვს, რაკი ასეთი კონსტრუქცია მოქმედებითი  
გვარის ყველა ზმნას მოეპოვება.

၂၁၇

- ა) ნინო-ს ბადერ დაკოდო – ნინო-ზ შეილი ზრდის (ნინო შეილს ზრდის).

- ბ) ნინო-ს ნან-ე-გრ ბადერ დაწყდ-ით-რ - ნინო-მ დედა-ს  
შვილი აზრდევინებს (ნინო დედას შვილს აზრდევი-  
ნებს)

გვაქვს უსასრულო წყება კაუზატიური წარმოების ზენებისა, მაგლითად:

## ნან-ე-გო (დედას):

- წერადითო (აწერინებს), ხატოდითო (ახატვინებს), ხაზო-  
დითო (ახაზვინებს), ნიფსდითო (ასწორებინებს), ხეტითო  
(აკითხვინებს), დითითო (არეცხვინებს), თეკითო (აკერძი-  
ნებს), აბითო (აკერინებს), გაგდითო (ანახვინებს), დუს-  
ტითო (აზომინებს), აჭითო (ათქმევინებს), ლესითო (აკ-

რეგინებს ფქვილს), დათითო (აცხობინებს), პექიდითო (ამზადებინებს), დარღითო (ათლევინებს), დეკარდითო (ათვლევინებს)...

გარდა კუზატიური ფორმებთან რეალური მოქმედის აღნიშვნისა, **გო** სუფიქსი სხვა ფუნქციითაც გვხვდება:

1. რამდენიმე ზმნასთან ჩვეულებრივ (არამოქმედ) ირის აღნიშნავს. ეს ზმნებია:

დექინ(დაუძახა) ხაწდიენ (გააგონა) თეყე (ეხვეწება) ჰიჭუ(უყუ-რებს) დაგოდო(აჩვენებს), თეწოდო (ასწავლის)....

2. **წასვლა, გაგზავნა** ზმნებთანაგან **გო** დართული სახელი ქართული-თვის თანდებულიანი უბრალო დამატების შინაარსს გადმოსცემს, მაგალითად:

ხი-გო დახე-წყალზე, წყლისათვის წავიდა.

მაკო-გო დახე-პურზე, პურისათვის წავიდა.

უაგნო-გო ჰაჭდიე-წიგნისათვის გაგზავნა....

3. **ზოგჯერ** ეს სუფიქსი მოქმედების მიმართულებას გამოხატავს რომელიმე საგნისაკენ. როგორც ცნობილია, „მიმართულებითს აქვს ერთგვარი ფუნქციონალური კავშირი მიცემითთან“ (ჩიქობავა, 1936, 20). ასეთ შემთხვევაში იგი ქმნის ოპოზიციას მიცემითი ||-ის გო-სთან, როცა ეს უკანასკნელი საგნის მყოფობის ადგილს აღნიშნავს.

შდრ.: ა) სანიგო დუდტუ-კარებისკენ მიდიან.

ბ) სანი-გო დატე-კარებთან ყრია.

სრულიად განსხვავებული ფუნქციები აქვს ფორმებს, რომელთაც მიცემითი IV ვუწოდეთ. ფორმაწარმოების თვალსაზრისით აქ დანარჩენი მიცემითებისგან განსხვავებით სხვაობა გვაქვს: თანხმოვანფუძიანები ისევ ნათესაობითის ფუძეს იყენებენ, ხმოვან-ფუძიანები კი – სახელობითის. ბრუნვის ფორმანტის როლში გვევლინება სუფიქსი -ხ.

სახელის ასეთ კონსტრუქციასთან ძალიან ბევრი ზმნაა მოქმედი და რაიმე ნიშნით მათი გაერთიანება არ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში გამორიცხვის მეთოდს შეიძლება მიღმართოთ და ვთქვათ, რომ ზმნა, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით არ იგუებს I, II ან III მიცემითს, ამ ფორმით შეიწყობს სათანადო წევრს – ირიბ დამატებას. შევეცდებით სრულად ჩამოვთვალოთ ეს ზმნები: ნანა-ხ (დედას, დედაზე):

ახე (უყეფს), ალი (თქვა), ბარბადო (აბარებს), ბჭ არიხო (ხვდება), დილი (იცინის), დეხო (სთხოვს), დოწა (მიაბა), დაკლივი (ფიქრობს), დარდბალა (დარდობს), დარბადო (ადარებს), დათხე(ტირის), დებწლა(მისდევს), დავბალა (ედავება), დადე (ფიცულობს), დაშვალი (დაევახა), დეხდალი (დაეთხოვა), გალბადო (ავალებს), თეშე (უჯერებს), თოლქ (მოერია), თოუგუ (უხდება), თოუკუ (აეერია), თეყე (ეხვეწება), თებლოდო (ამჯობინებს), ლეთე (ეჭიიდება), ლაჭი (დააბრალა), ლაჭიდიქ (შეახო), ლოცალა (ლოცულობს), ლიგო (ამბობს), მდურბალა (ემუდარება), ნიფსლა (ეტოლება), ნატროლა (ნატრობს), რიდბალა (ერიდება), რიგბალა (ჭორაობს), სერტე (იწყევლება), ქატე (უჩივის), ქირჯოლა(ქილიკობს), ჩაბარბადიქ (ჩაბარა), ჯარბალა (უჯავრდება), ხეტრ (ეკითხება), ხარცი (გაცვალა), ცხ ეფხეთე (სცხვენია), ცხ ამლა (ეჩვენა), ცხ ეფლა(ეფარება)...

არ მიგვაჩნია სწორად ამ ფორმებისათვის საშეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული სახელწოდება – გამსჭვალვითი, რაღან, როგორც მავალითებიდან ჩანს, სულ რამდენიმეა ისეთი ზმნა, რომელთანაც ამ ბრუნვის ფორმით გამოიხატება სუბიექტისა თუ პირდაპირი ობიექტის ფიზიკური შეხება რაიმე საგანზე.

უფროობითი ხარისხის ფორმებთან ეს ბრუნვა გამოხატავს საკანი, რომელთანაც ხდება შედარება. ეს წესი უგამონაკლისოა და მწყობრ სისტემას ქმნის. გვაქვს, მაგალითად:

**ღაზიებ** (უფრო კარგი):

ნანა-ხ (დედაზე), დაშა-ხ (დაზე), გაშა-ხ (ძმაზე), დადა-ხ (მამაზე), ადმენე-ხ (ადამიაზე), მეზობლე-ხ (მეზობელზე), ნათესვე-ხ (ნათესავზე), უჩიტლე-ხ (მასწავლებელზე), ჟაგნო-ხ (წიგნზე), მიქლე-ხ (მიქელზე), მადრე-ხ (მარიამზე), კორე-ხ (ვაშლზე), ვარდე-ხ (ვარდზე), მაკო-ხ (პურზე), ნაჩხო-ხ (ყველზე)...

აღნიშნული ფუნქციით ეს სუფიქსი წოვათუშურში მეტად პროდუქტიულია. ანალოგიური მაგალითების უსასრულო წყება გვექნება ნებისმიერ სხვა ზედსართავ სახელთანაც.

ცალკე უნდა ითქვას იმავე -ხ სუფიქსის კიდევ ერთი ფუნქციის შესახებ: გარკვეული ტიპის სახელთა მრავლობითის ფუძეებთან იგი ში თანდებულის ფუნქციას იძენს. მაგალითად: წენბო-ხ (სახლებში), ლამნა-ხ (მთებში), ცერნა-ხ (ნაპირებში), კმატნა-ხ (კლდებზე), მინდრნა-ხ (მიონდვრებში).

ნათქვამის მიხედვით თანამედროვე წოვათუშურ ენაში ცხრა ბრუნვას გამოვყოფთ, რომლებიც შემდეგი თანამიმდევრობითა და მაწარმოებლებით წარმოგვიდგება:

სახელობითი -  $\emptyset$

ერგატივი -ს/ვ.

ნათესაობითი -ძ

მიცემითი | -ნ

მიცემითი || -გო

მიცემითი ||| -გრ

მიცემითი IV -ხ

გარდაქცევითი -ღ

ინსტრუმენტალისი -ვ

ჩვენი მომდევნო მსჯელობა აღნიშნულ პარადიგმებზე იქნება დამყარებული.

## I.§ 2. სიტყვის მოდელი და ბრუნების პარადიგმები ქართულში

ქართული ენის ბრუნვათა რაოდენობის, რიგის თუ ფორმასა-წარმოებელ აფიქსთა გენეზისის საკითხები დაზუსტებულია სამეცნიერო ლიტრატურაში და დავას არ იწვევს. განსხვავებული შეხედულება გვაქვს მხოლოდ ბრუნების პარადიგმებში ფუნქციონირებადი ფუძისეული ხმოვნის მოკვეცა – რედუქციისა და ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნის დასუსტება–დაკარგვის პროცესთა შესახებ. მიგვაჩნია, რომ დასახელებულ შემთხვევაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პროცესები კი არ მოქმედებს, არამედ კონკრეტული ფონეტიკური გარემოს შესაბამისად სხვადასხვა სახით იჩენს თავს სიტყვის ორმარცვლიანობის ფონოლოგიური მოდელით შებირობებული ერთიანი წესი მარცვალდაკლებისა.

წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხზე.

დღეისათვის დამტკიცებულად ითვლება აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ენის სიტყვათმოძელი ორმარცვლიანია და CVC–VC ფორმულით გამოიხატება, სადაც CVC მიმდევრობა სიტყვის ძირის გულისხმობს, ხოლო CV – ფორმისა თუ შინაარსის მცვლელ მორფებს. ძირის მოდელში თანხმოვანთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს მარჯვნივ, ან მარცხნივ.

მიგვაჩნია, რომ სწორედ სიტყვის ამ ორმარცვლიანი მოდელის შენარჩუნების ერთი და იგივე ფონოლოგიური წესი მოქმედებს მარცვალდაკლების სამსავე დასახელებულ შემთხვევაში, როგორიცაა: ფუძისეული ხმოვნის რედუქცია, ფუძის აუსლაურის ხმოვნის მოკვეცა და ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნის დასუსტება–

დაკარგება. რეალური საფუძველი ამ პროცესებისა დღეს მნიშვნელოვნად დაჩრდილულია. აკად. გ. ახვლედიანი საგანგებოდ აღნიშნავს ისტორიულ ქართულში ხმოვანთა რედუქციის პროცესის სრული გრამატიზაციის შესახებ (ახვლედიანი, 1949, 216), რის შედეგადაც თავდაპირველში ფუნქციაში უკანა პლანზე გადაიწია. მსგავსი გადააზრებაა საგულვებელი ხმოვნის დაკარგვის სხვა შემთხვევებშიც. მიუხედავად აღნიშნულისა, ხმოვანთა რედუქციის დისტრიბუციულ წესებში ჯერ კიდევ კარგად იკითხება ამოსავალი ვითარება. მჯელობასაც აქედან ვიწყებთ.

სახელთა ბრუნების პარალიგმებში მოქმედი ხმოვანთა რედუქცია დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ეს პროცესი აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ანტონ კათალიკოსს „ქართულ ლრამებაზი“ (ანტონ I, 1997, 216). შემდეგ კი მის დებულებებს გარკვეული ცვლილებებით იმეორებენ მომდევნო ხანის გრამატიკოსები: ს. დოდაშვილი, პ. თისელიანი, დ. ჩიბინაშვილი, დ. ყიფიანი. რაც შეეხება მოვლენის მეცნიერულ შესწავლას, დისტრიბუციული მოდელების დაზუსტებას და ამ მხრივ ქართველურ ენებსა და კილოებს შორის არსებულ მიმართებათა დადგენას, ეს საკითხები დაკავშირებილია აკადემიკოსების ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, გ. თოფურიას და პროფ. თ. უთურევაძის სახელებთან.

დღეისათვის კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ ქართველურ ენათაგან ეს მოვლენა ყველაზე სრული სახით დაუცავს სეანურს, კერძოდ მის სამ კილოს: ბალსზემოურს, ბალსქვემოურს და ლაშეურს. რაც შეეხება ამავე ენის მეოთხე კილოს ლენტეურს, იგი რედუქციას არ იცნობს. შედარებით შეცვლილი სახით მოაწია ამ მოვლენაში ქართულში, ხოლო შეგრულსა და ჭანურს იგი საერთოდ არ ახასიათებს. ცნობილია, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ქართული ენის აღმოსავლური და დასავლური კილოები.

მიიჩნევა, რომ ქართველური ენების ერთიანობის პერიოდში ეს მოვლენა საერთო იყო ამ შტოს სამიგე წევრისათვის. აკად. ა. შანიძე აღნიშნულ ფაქტს ასეთ შეფასებას აძლევს: „პრეფიქს-სუ-ფიქსების გავლენა ფუძის ხმოვაზე როგორც ჩანს, განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად, ქამესური ენების ერთობის ხანაში, ხოლო ერთობის დარღვევის შემდეგ, დაცალკევებისა და დაშორების პროცესში, თითოეულ კილომეტრის განვითარებულად ეს კანონი“ (შანიძე, 1981, 314).

ქამესური, ანუ ქართული, მეგრული და სვანური, ენების ერთიანობის პერიოდს ხმოვანთა რედუქციის საკითხში ყველაზე მიაღლობულად ახასიათებს თანამედროვე სვანურის ვითარება. აკად. გარლაშ თოფურიას გამოკვლევით, დღეს სვანურში:

1. რედუცირდება ყველა არაგრძელი ხმოვანი;
2. სარედუქციო პოზიცია სამმარცვლიანია;
3. რედუქციის არ ემორჩილება ერთმარცვლიანი სიტყვა გაორმარცვლიანებისას;
4. რედუცირდება მხოლოდ ერთი ხმოვანი(თოფურია, 1946, 61–89).

როგორც გხედავთ, სვანურში დღემდეა დაცული თანხმოვანურიან სახელთა სიგრძის მარეგულირებელი სრულქმნილი სისტემა. მისი მექანიზმი სრულ შესატყვისობაშია ქართველურ ენათა სიტყვათმოდელთან, რომლის სიგრძე ორი მარცვლით განისაზღვრება: ყველა თანხმოვანურიანი ორმარცვლიანი სახელი მოსალოდნელი გასამმარცვლიანების შემთხვევში კარგავს ერთ ფუძისეულ ხმოვანს.

საინტერესოა, რომ სიტყვის ორმარცვლიანობისკენ სწრაფვის ეს პროცესი სხვაგანაც იჩენს თავს სვანური ენის სახელთა მორფოლოგიაში. როგორც პროფ. ა. ონიანი წერს: სვანურში „სახელის ფუძესთან, რომელიც ერთზე მეტი მარცვლისაგან შედგე-

ბა, მოთხრობითი ბრუნვის წარმომადგენლად შესაძლებელია მხოლოდ /დ/-ს და არა /ემ/-ის გამოვლენა. ერთმარტველიან ფუძესთან კი დასაშვებია როგორც /დ/, ისე /ემ/ სუფიქსი, ე. ი.: ასეთ ფუძესთან შესაძლებელია აღნიშნული ორი ალომორფის თავისუფალი მონაცემებია, მაგალითად: ბეფშუ-დ // ბეფშუ-ემ „ბავშვმა“, ჭყინტ-დ // ჭყინტ-ემ „ბიჭმა“ (ონიანი, 1989, 112).

იმავე მკვლევარის ცნობით, სიტყვის სიგრძის რეგლამენტაციის ტენდენცია თავს იჩენს სენტრ სახელთა მრავლობითის ფორმებშიც. კერძოდ: მრავლობითი რიცხვის ფორმებში, სადაც ფუძე რიცხვის ნიშნის დართვის გამო მუდამ ერთ ზემეტმარტველიანი ხდება, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ „დ“ ფუნქციონირებს (ონიანი, 1998, 61).

ხმოვანთა რედუქციის ამოსავალი მოდელი, რომელიც თითქმის ზედმიწევნით დაუცავს სენტრს, მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებულია თანამედროვე ქართულში; უცვლელი დარჩა მხოლოდ წესი იმის შესახებ, რომ რედუქციის შედეგად სიტყვას უნდა მოაკლდეს ერთი ხმოვანი. მეტ – ნაკლებად შეიცვალა ამ მექანიზმის ყველა სხვა რგოლი, კერძოდ:

ა) რედუქციის პროცესს, ნაცვლად ხუთივე ხმოვნისა, ექვემდებარება მხოლოდ სამი: ა, ე, ო;

ბ) სარედუქციო პოზიცია ძირითადად ისევ სამშარტველიანია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში დასაშვები გახდა ორმარტველიანი პოზიციაც;

გ) რედუქციას იწვევს მხოლოდ სუფიქსი, პრეფიქსი ამ მხრივ ძალას მოკლებულია.

ძველი ქართული წერილობითი წყაროების ენობრივი ანალიზი საჩინოს ხდის იმ გარემოებას, რომ განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურზე რედუქციის ისეთივე მოდელი ფუნქციონირებდა ქართულში, როგორიც დღემდე დაუცავს სენტრს. პროფ.

ი. იმნაიშვილის დაკვირვებით, ერთმარცვლიან ფუძეთა კუმშვა ძველად უფრო ნაკლებად ხდებოდა. არ იკუმშებოდა, მაგალითად: მტერი, მტვერი, ძვალი, ამბავი, თვალი, ჯვარი, მღვდელი..... თუმცა ერთეულ შემთხვევებში შებრუნებული პროცესიც დასტურდება (იმნაიშვილი, 1956, 29). ხოლო რაც შექება მრავალმარცვლიან სიტყვებს, ახალ ქართულთან შედარებით მათი კუმშვა მეტად იყო გაფრცელებული ძველში (იმნაიშვილი, 1956, 49). აკად. ვ. თოფურიას დაკვირვებით, ძველ ქართულში დასტურდება ი და უ ხმოვნების რედუქციის ფაქტებიც (თოფურია, 1946, 88).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე სეანური და ქართული ენების ხმოვანთა რედუქციის მოდელებში ძირითადი სხვაობა შეაქვს, ერთი მხრივ, ერთმარცვლიანი სიტყვების ჩართვას ქართულის სარედუქციო პოზიციაში, მეორე მხრივ კი – ი და უ ხმოვნების მთლიან ამოვარდნას ამავე ენის მარცვალდაკლების საერთო პროცესიდან. რა შეიძლება ითქვას ამ გადახრებზე, რით შეიძლება მათი ახსნა?

მკვლევარნი საერთო აზრისანი არიან იმის შესახებ, რომ ქართულში ერთმარცვლიანი სახელური ფუქუმების კუმშვა მეორეულია, რადგან რეტროსაექტულად მათი რიცხვი მკვეთრად კლებულობს (უთურგაიძე, 1976, 183). ასეთ შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა მარცვალდაკლების საერთო პროცესში ორ- და მეტმარცვლიანი ფუქუმების გვერდით ერთმარცვლიანი ფუქუმები გაჩნდა, როგორც ხელშეწყობ პირბას, გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა რედუქციის პროცესის გრამატიზაციას. სახელთა შეკუმშული და შეუკუმშავი, ანუ გრძელი და მოკლე ფუქუმები ამჯერად უკვე ერთმანეთს დაუბირისპირდა, როგორც პირდაპირი და ირიბი ბრუნვის ფორმები. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვაწვდის პროფ. თ. უთურგაიძე: „ახალ ქართულში რომ იმატა სახელთა ერთმარცვლიან ფუქუმებთა კუმშვამ, ეს უნდა უკავშირდებოდეს, გან-

სხვავებით ძველი ქართულისგან, საზღვრულის მეორე ადგილზე (მსაზღვრელის მომდევნოდ) ხმარების დიდ გავრცელებას, რამაც ხელი შეუწყო ერთმარცვლიან სახელთა ენკლიტიკად ქცევას: ძვ. ქართ. ცუარი ცისკრისა, ჯუარი ძელიასა, თუალი ურმისა და სხვ.; შდრ. ახალი ქართულის ცისკრის ცვრისა.

(← ცისკრის ცვარისა), ძელის ჯვრისა, ურმის თვლისა – აი ძირითადი გზა ერთმარცვლიან ფუქტთა კუმშვისა“ (უთურგაიძე, 1976, 180).


გაცილებით უფრო ძნელი ასახსნელია გამონაკლისების მეორე შემთხვევა: იდა უ ხმოვნების განსაკუთრებული მიმართება რედუქციის პროცესისადმი ქართულში. რატომ არ შეეხო მათ ხსენებული გრამატიზაცია გრძელი და მოკლე ფორმებისა?

ცნობილია, რომ ი და უ ხმოვნები რედუქციაში მონაწილეობის თვალსაზრისით ცალკე იდგნენ ძველსავე ქართულში (შანიძე, 1976, 34). თუ მიგაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ რედუქციის პროცესიდან ამოგარდნილ ორივე ხმოვას ღიაობის სამკუთხედზე უკიდურესი ადგილი უჭირავს, შეიძლება დავუშვათ, რომ მარცვალდაკლების აღნიშნულ პროცესში გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდა სარედუქციო პოზიციის ხმოვანთა ურთიერთიმიმართებას ღიაობის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში უპავი ქართულის ვითარება დაუკავშირდება არა სეანურ მოდელს რედუქციისა, არამედ პარალელს იპოვის წოვათუშური ენის ხმოვანთა რედუქციის სისტემასთან. მოგზიწევს, მოკლედ დავახასიათოთ ეს უკანასკნელი.

ჩვენ გამოწვლილებით გვაძეს შესწავლილი წოვათუშური ენის სახელთა რედუქციის მოდელი, დადგენილია სათანადო კანონშიომიერებანი და კვლევის შეღეგებიც გამოქვეყნებულია (მიქელაძე, 1977, 118–128). გაანალიზებული მოდელი წოვათუშური ენისა მნიშვნელოვნად ჰგავს სეანურისას იმით, რომ მოიცავს ყვე-

ლა ხმოვანს და არა აქვს მნიშვნელობა სარედუქციო მონაკვეთის თანხმოვანთა ურთიერთიმიმართებას ნაპრალოგნობის ხარისხის მიხედვით. იმავდროოულად მნიშვნელოვანი სხვაობაც გვაქვს ამ ორი ენის სარედუქციო სისტემებს შორის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რედუქციის პროცესში მონაწილეობისას ხმოვანთა ღიაობის ხარისხი მნიშვნელობას მოკლებულია სფანურიში, წოვათუშურიში კი მას უდიდესი დატვირთვა აკისრია.

რედუქციის პროცესისადმი მიმართების თვალსაზრისით წოვათუშურიში რელევანტურია ხმოვანთა ღიაობის სამი საფეხური:



ღიაობის ხარისხი მატულობს ისრის მიმართულებით. ხმოვანთა ღიაობის მოცემულ საფეხურებზე დამყარებით წოვათუშურ ენაში მოქმედებს ორგვარი რედუქცია: ე. წ. მარტივი რედუქცია და რედუქცია ეპენთეზისის გზით. უგამონაკლისოა შემდეგი ორი წესი მარტივალდაკლებისა:

ა) სარედუქციო სეგმენტში მარტივი რედუქციით მთავრდება თანაბარი ღიაობის ხმოვანთა ნებისმიერი მიმდევრობა, ან არათანაბარი ღიაობის ხმოვანთა ისეთი მიმდევრობა, როცა წინამავალი ხმოვანი უფრო ვიწროა მომდევნოზე.

ბ) ეპენთეზისით, ანუ რედუცირებული ხმოვნის დასუსტებითა და რედუქციის საყრდენი სეგმენტის ხმოვანთა გადანაცვლებით მთავრდება სარედუქციო სეგმენტის არათანაბარი ღიაობის ხმოვანთა ისეთი მიმდევრობა, როცა წინამავალი ხმოვანი მომდევნოზე ფართეა. შედეგად ვიღებთ დამავალ დიფთონგს.

თუ ასეთი საზომებით მივუდებით ქართული ენის ვითარებას, ცხადი გახდება, რომ ა, ე, ო ხმოვნების ნებისმიერი მიმდევრობა რედუქციის საყრდენი სეგმენტის ხმოვანთან პირველი წესის

მოქმედების არეში ექცევა, რის გამოც თვითონ ეს ხმოვნები ყველა შესაძლო შემთხვევაში მხოლოდ მარტივი რედუქციას დაექვემდებარება. მათი დასაშვები მიმდევრობებია:

ა) თანაბარი ღიაობის ხმოვანთა მიმდევრობა სარედუქციო სეგმენტი:

ა - ა: ქათამ-ი, კალამ-ი, ატამ-ი, ალამ-ი, საყდარ-ი, ტაბაკ-ი.....

ე - ე: კედელ-ი, ედემ-ი, მატარებელ-ი.....

ო - ო: გოგორ-ი, ფოთოლ-ი, ობოლ-ი.....

ა - ე: საცერ-ი, სახელ-ი, სანთელ-ი, საბელ-ი, აქლებ-ი, სარკმელ-ი.....

ა - ა: საცობ-ი, ტაფობ-ი, მაწონ-ი, მაღლობ-ი.....

ე - ა: მედალ-ი, მხედარ-ი, მწერალ-ი, მძევალ-ი, მხევალ-ი, მელან-ი.

ე - ო: ღექტორ-ი.....

ო - ა: დოლაბ-ი, გორაკ-ი, კიდობან-ი, ხელოსან-ი, გორგალ-ი.....

ო - ე: მშობელ-ი, მახარიბელ-ი, სოუელ-ი.....

ბ) არათანაბარი ღიაობის (ვიწრო-ფართე) ხმოვანთა მიმდევრობა სარედუქციო სეგმენტი:

ი - ა: ნიღაბ-ი, ნიჩაბ-ი; ნიკაპ-ი..

ი - ე: სიგელ-ი, დილეგ-ი, ირემ-ი, წიფელ-ი.....

ი - ო: ლიმონ-ი, ნიგოზ-ი, მინდორ-ი, დიპლომ-ი.....

უ - ა: დუღაბ-ი, გუჯარ-ი, სურათ-ი, ბუხარ-ი, უურნალ-ი.....

უ - ე: დუმელ-ი, ქუმელ-ი, ურემ-ი, გუნელ-ი.....

უ - ო: რულონ-ი, კუბონ-ი.....

ხუთმეტივე დასახელებული მიმდევრობა ხელსაყრელ გარეში ა, ე, ო ხმოვნების მარტივი რედუქციით მთავრდება. როგორც თ. უთურგაიძემ დაადგინა, ყველა შემთხვევაში „სახელის

უუქეში რედუქცია ხორციელდება მაშინ, თუ სარედუქციო მონაკვეთის თანხმოვნები მარცვლებში იცავენ მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპს“ (უთურგაიძე, 1976, 154).

როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებული ვითარება იქმნება ი და უ ხმოვნებთან მიმართებით. მათი ვიწრო ღიაობის გამო ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ როგორც თანაბარი ღიაობის პოზიციაში, ისე უფრო ფართე ხმოვნების მომდევნოდ, რას გამოც დაექვემდებარებიან ერთ შემთხვევაში მარტივ რედუქციას, მეორე შემთხვევაში კი ეპნოთეზისა. შესაბამისად საფარაუდო მიმდევრობები ამ ხმოვნებისა სარედუქციო სეგმენტში იქნება შემდეგი:

მარტივი რედუქციის მიმდევრობა:

უ – უ: შურდულ-ი, ურდულ-ი, კუნძულ-ი, ბულბულ-ი....

ი – ი: ჩითილ-ი, ბილბილ-ი.....

ო – უ: ჩიბუხ-ი, საკიდურ-ი.....

საეპენთეზისო მიმდევრობა:

ა – უ: აგურ-ი, სადგურ-ი, მსახურ-ი, მსაჯულ-ი, ჭანჭურ-ი.....

ე – უ: მეგზურ-ი.....

ო – უ: გომურ-ი, ჩონგურ-ი.....

ა – ი: მანდილ-ი; დანბილი-ი, მანბილ-ი, ასკილ-ი.....

ე – ი: ჯეჯილ-ი, ჯებირ-ი.....

ო – ი: ბორკილ-ი, ბოგირ-ი, ქორწილ-ი, დობილ-ი.....

უ – ი: ღუნიბ-ი, ბუნიქ-ი.....

რაკი ძეგლი ქართულისათვის დიფთონგები უცხო არაა, შეიძლება გიგარაუდოთ, რომ უფრო ადრე არც ხმოვანთა ეპენთეზისი უნდა ყოფილიყო გამორიცხული და მისი მოშლა დიფთონგების მოშლის ზოგად ტენდენციას შეიძლებოდა მოპყოლოდა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ძეგლ ქართულ-ში დადასტურებული ი და უ ხმოვნების რედუქციის შემთხვევები

სწორედ ზემოთდასახელებული მარტივი რედუქციის პოზიციაშია განხორციელებული.

შურდული → შურდლი-ის

საკიდური-ი → საკიდრი-ის

ამავე მიზნით შეიძლება დავიმოწმოთ აგრეთვე ზეპირსიტ-ყვიერებაში შემორჩენილი ზღაპრის გმირის სახელი - კუმწლელი:

კუნძულელი > კუნძლელი > კუმწლელი

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ საინტერესოა ის გარემოება, რომ ძველი ქართულის მასალასთან დაკავშირებით სარედუქციო სეგმენტის ხმოვანთა მიმდევრობას გარკვეულ ყურადღებას აქცევს პროფ. ი. იმანაშვილი. იგი წერს: „ძველ ქართულში დადასტურებული შეკუმშული ფუძეებიდან, სადაც ო იკარგება და ფუძე ორი მარცვლისგან შედგება, მეორე ხმოვანიც თითქმის ყოველთვის ო-ა. გამონაკლისს შეადგენს ნიგოზი, მინდორი, რომელთა მეორე მარცვალი არა ო, არამედ ო არის“ (იმანაშვილი, 1956, 49). აქ საყურადღებოა ის, რომ დასახელებული მაგალითების ხმოვანთა მიმდევრობები მთლიანად ემთხვევა მარტივი რედუქციის ჩვენს მოდელებს.

ცხადია, მოსაზრება წინარე ქართულის სარედუქციო პოზიციაში ხმოვანი ბერების ღიაბის რელევანტურობის შესახებ ჰიპოთეტურია და საკითხი ამ მხრივ საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ისიც ცხადია, რომ ამ მიმართულებით მიღებული დასკვნები ანუ დადგენა იმისა, თუ რომელი მოდელი ფუნქციონირებდა რედუქციისა ქართულში (სეანური თუ წოვათუმური), ვერ აგვიხსნის რედუქციის საფუძველს, ანუ მისი მოქმედების გამომწვევა მიზეზს.

მკვლევართა აზრით, რედუქცია შედარებით გვიანდელი პროცესია, მის გავრცელებამდე კი სამიუე ქართველური ენისათვის სრულხმოვნობა იყო დამახასიათებული (ჩიქობავა, 1942, 271).

„რედუქცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა, – წერს აკად. გ. თოფურია, – იგი შეტ-ნაკლები ძალისა და გაფრცელებისა ქარ- თველურ ენებსა და მთის კილოებში მათი განვითარების სხვადას- ხვა სტადიაზე და სრულხმოვნობა ზანურთან ერთად ქართულისა და სკანდალის პირველი თვისებაა (თოფურია, 1946, 87).

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი მხოლოდ იმის შესა- ხებ თუ რა ფაქტორი განაპირობებს რედუქციის მექანიზმის მოქ- მედებას. მკვლევართა უმეტესობა ფიქრობს, რომ ესაა ოდინდელი ძლიერი დინამიკური მახვილის მოქმედების შედეგი (ჩიქობავა, 1942, 107). გვაქვს განსხვავებული მიღვომაც ამ საკითხისადმი, იგი აკად. ა. შანიძეს ეკუთვნის. მკვლევარი მოვლენას ასეთ ახსნას აძ- ლებს:

„თუ პრეფიქსი ხმოვნით თავდება და, მაშასადამე მისი მარ- ცვალი ღიაა ბოლოში, იგი ჩვეულებლივ ფუძის თავკიდურ თანხმო- ვანს მოიკრავს და მარცვალი დაიხურება, რასაც შედეგად მოჰყვე- ბა უმეშვეოდ დარჩენილი მომდევნო ხმოვნის ამოღება ფუძიდან, ხოლო როდესაც სუფიქსი ხმოვნით იწყება და მაშასადამე ღიაა თავში, მაშინ იგი წინამავალ ფუძისეულ თანხმოვანს მოიკრავს და ამით წინამავალ ფუძისეულ ხმოვანს ამოღებს ხოლმე“ (შანიძე, 1981, 314).

აკად. ა. შანიძის მიხედვით კარგად იხსნება ის შემთხვევები, როცა რედუქციას იწვევს სახელის ფუძეზე ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვა, სარედუქციო პოზიცია სამშარცვლიანია და ამოღების საკითხი შეა ხმოვანს ეხება, მაგრამ ის ფაქტი, რომ ზოგჯერ რედუქცია ორმარცვლიან პოზიციაშიც ხორციელდება, სადაც მარტო დარჩენის საშიშროება ხმოვანს არ ემუქრება, ასეთ ახსნას ეწინააღმდეგება. ასეთი დასკვნის ხელშემულელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მარედუცირებული სეგმენტი ზოგჯერ შეიძლება თავხმოვნითაც იწყებოდეს (წიფლ-ნარ-ი).

საპირისპირო მოსაზრება ჩნდება მაშინაც, როცა რედუქტიას მახვილის გაფლენას მიაწერენ. ძირითად სირთულეს აქაც ორმარცვლიანი სარედუქტია პოზიცია ქმნის, რადგან წესით მახვილს აქაც უნდა დაეტოვებინა თავისი კვალი. პროფ. თ. უთურგაიძე, რომელმაც შეისწავლა და გამოავლინა ქართული ენის სახელთა სარედუქტია პოზიციის თანხმოვანთა ურთიერთშემიმართების მორფო-ფონოგრამური მოდელები, ეჭვებეჭვებს ასეთ შეხედულებას. „ქართული ენის სახელებში მოქმედი კუმშვის მექანიზმი, ჩვენი აზრით, გამორიცხავს ინტენსიური მახვილის დაშვების აუცილებლობას ისტორიულად.“, – წერს მკვლევარი და იქვე აკეთებს ზოგად დასკვნას იმის შესახებ, რომ სახელის ფუძის კუმშვა ქართულში დამყარებულია მარცვალთა რაოდენობაზე“ (უთურგაიძე, 1976, 184).

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მკვლევარის მოცემულ შეხედულებას და, როგორც ზეგით უკვე მივუთითეთ, მიყიჩნევთ, რომ რედუქტია ქართულში ფონოლოგიური პროცესია, რომელიც სიტყვის სიგრძეს არეგულირებს.

რედუქტიას მექანიზმი გასარკვევად განსაკუთრებულ უზრადლებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქართული ენის სახელთა ბრუნების პარადიგმებში იგი არაა ერთადერთი პროცესი, რომელიც გაფლენას ახდენს სიტყვის მარცვალთა საერთო რაოდენობაზე. ბრუნვის მთლიანი ფორმის ფარგლებში ასეთსავე შედეგს იძლევა ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის კვეცა, ან კიდევ ბრუნვის ფორმანტის თავისიდური ხმოვნის დასუსტება-დაკარგვა. საბოლოო ჯამში მარცვალდაკლების ერთიანი ფონოლოგიური მოვლენა სამი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის სახით რეალიზდება, რაც ბაზისურ ფუძეთა აგებულებაზეა დამოკიდებული. მართალია, ყოველი კონკრეტული შემთხვევა ფორმანტის ხმოვანს უკავშირდება, მაგრამ ეს უკანასკნელი აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობს მხოლოდ

იმდენად, რამდენადაც ზრდის მარცვალთა რაოდენობას, ანუ სიტყვის საერთო სიგრძეს. ისე რომ სახელის ფუძეზე ახალი მორთვების დართვა პირობას წარმოადგენს მარცვალდაკლების ზოგადი პროცესისათვის და არა მიზეზს.

თუ ქართულისათვის ამოსაგალში ხმოვანთა რედუქციის სფანურისებურ (ან წოვათუმურისებურ) მოდელს ვივარაუდებთ, მაშინ მარცვალდაკლების აღნიშნული კონკრეტული წესების მიხედვით სახელები სამ ჯგუფად უნდა დავყოთ. ამ ჯგუფებს შექმნიან:

- I. ფუძეკუმშვადი სახელები;
- II. ფუძეკვეცადი სახელები;
- III. მორთვემაკვეცადი სახელები.

ფუძეკუმშვადი ფუძის შიგნით კარგავენ „ზედმეტ“ ხმოვანს, ფუძეკვეცადი – ფუძის აუსლაუტში, ხოლო მორთვემაკვეცადი – ბრუნვის ნიშნის ანლაუტში. დაგვასახელებთ ტიპიურ საილუსტრაციო მაგალითებს მხატვრული ღირებულებისათვის:

1. **სოფლის დედაკაცობას** ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა (ი. ჭავჭავაძე)

**სოფლის ← სოფელ-ის**

2) **რკინის გადნობას** ხელში ჭერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში ცრემლს კი არა (იქნება).

**რკინის ← რკინა-ის**

**დედის ← დედა-ის**

3. **გოლასთვის თედოს ქამრის ღილები წაერთმია (იქნება).**

**გოლა-ს-თვის ← გოლა-ის-თვის**

რადგან ქართულისათვის რედუქციის ისეთ ამოსაგალ მოდელს ვვარაუდობთ, რომელიც ბოლო მარცვლის ყველანაირ ხმოვანს თანაბრად ეხება, უნდა ვთქვათ, რომ ხმოვანდაკლების ჩამოთვლილი წესები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუ-

ცის მიმართებაშია და მათ შორის უგამონაკლისოდ არის განაწილებული სამ- და მეტმარცვლიანი პოზიციები. ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ მოცემული წესები წარსულში მთლიანად ფარავდნენ ენის ჰორიზონტალურ ჭრილს და ღიობს არსად ტოვებდნენ.

სწორედ იმის გამო, რომ ეს წესები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და მათ შორის ნაწილდება მთლიანი ენობრივი სინამდვილე, დგება საკითხი მათი ერთი საერთო ტენდენციით შეპირობებულობის შესახებ. მოცემულ დასკვნას ქართული ენის თანამედროვე ვითარების მიხედვით ეწინააღმდეგება ერთმარცვლიან სახელთა ვითარება, კერძოდ:

ა) ერთმარცვლიანი სახელების კუმშვა;

ბ) ერთმარცვლიანი სახელების კვეცა;

გ) ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნის დასუსტება – დაკარგვა ერთმარცვლიანებთან.

ამჯერად ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მიგვაჩნია რამდენიმე გარემოება:

1. ქართულის ერთმარცვლიან სახელთა ჩართვა რედუქციის პროცესში გვიანდელ მოვლენად მიაჩნია ყველა მკვლევარს, ვინც ამ საკითხს შეხებია;

2. ზოგიერთი ერთმარცვლიანი ფუქს, რომელიც ცალკე არ რედუცირდება, მრავალმარცვლიანი სიტყვის შემადგენლობაში რედუცირებადი ხდება, რაც აშკარად გახაზავს ამ პროცესის უშუალო კავშირს სიტყვის სიგრძესთან; შდრ.: ბერ-ი ბერ-ის, დედაბერი დედაბრ-ის.

3. საყურადღებოდ მიგვაჩნია აგრეთვე ერთმარცვლიან სახელებთან დაცული პარალელური ფორმები: რუს || რუ-ის, ყრუს || ყრუის; ცრუს || ცრუის..

ორმარცვლიანი პოზიცია ხმოვანთა კვეცისა შედარებით ახალი შეიძლება იყოს ქართული ენის ფონოლოგიაში. მაგალითად, წოვათუშურ ენაში, საღაც რაფინირებული სახით არის დაცული ეს მექანიზმი, ერთმარცვლიან სახელთა პარადიგმები მთლიანად დაცულია რაიმე სახის მარცვალდაკლებისგან: როგორც ჩედუქციისა, ისე ფუძისეული თუ ბრუნვისნიშნისეული ხმოვნის დასუსტება—დაკარგვისგან. ეს მაშინ, როცა ამ ენის ორმარცვლიანი სახელები ახალი მარცვლის მიმატების შემთხვევაში უგამონაკლისოდ ექვემდებარების მარცვალდაკლების განხილულ წესებს.

ჩვენი შეხედულებები ფუძისეული თუ ბრუნვისნიშნისეული ხმოვნების დასუსტებისა და კვეცის საკითხებზე სავარაუდო მოსაზრებათა დონქზე რჩება. ჩვენთვის ცნობილია აკად. შ. ძიძიგურის საყურადღებო გამოკვლევა ქართული ენის პრეფიქსურ ხმოვანთა კომპლექსების შესახებ, საღაც მკვლევარი აკეთებს ფუნდამენტურ დასკვნას იმის შესახებ რომ „ყოველი რიგის ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაგენ: კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია ერთ ხმოვაზე დასვლა. საამისო გზა სხვადასხვაგარია“ (ძიძიგური, 1946, 33). ამავე აზრს აღრმავებს და ხმოვანთკომპლექსების საკითხს ახალი ასპექტით განიხილავს პროფ. თ. უთურგაიძე. იგი ადგენს მნიშვნელოვან ფონოლოგიურ წესს იმის შესახებ, რომ ხმოვანთა თავმოყრა ერთი მორფების ფარგლებში დამახასიათებლი არ იყო ქართულისათვის და რომ აღნიშნული ფონებაგური სტრუქტურის დაწოლით მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთკომპლექსებიც ერთხმოვნობის გენ მიისწრაფებიან, რაც ხორციელდება სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილების გზით (უთურგაიძე, 1976, 208).

მიუხედავად აღნიშნულისა, მივიჩნევთ, რომ ქართულ ენობრივ სინამდვილეს ტრანსფორმირებული სახით შემორჩა დღემდე კვალი ბრუნების პარადიგმებში მოქმედი ფუძისეული

ხმოვნის რედუქცია-მოკვეცისა თუ ბრუნვის ფორმანტისეული ხმოვნის დასუსტება-დაკარგვის ერთიანი ფონოლოგიური პროცესისა, რომელიც შარცვალთა საერთო რაოდენობას არეგულირებს სიტყვის ფარგლებში.

ჩვენს ასეთ დასკვნასა და მსჯელობაშიც მნიშვნელოვანწილად ვეყრდნობით წოვათუშური ენის ვითარებას, რომელიც ზემოთ საკმაოდ დაწვრილებით წარმოვადგინეთ. წოვათუშური ენის სახელთა რედუქციის პროცესებმა თავის დროზე ა. შიფნერის ყურადღება მიიქცია. მკვლევარს ეს მოვლენა საგანგებოდ არ შეუსწავლია, მაგრამ განსაკუთრებული შეცნიერული ერუდიციის მეონებით შესანიშნავად აუღო აღღო და უწოდა „შიში მრავალ-მარცვლიანობის წინაშე“ (შიფნერი, 1856, 46). მიგვაჩნია, რომ იგივე „მრავალმარცვლიანობის შიში“ განაგებს ხმოვანთა რედუქციის, კვეცისა და დიფთონგიზაციის პროცესებს ქართული ენის სახელთა ბრუნების ბარადიგმებშიც.

დიდი მსგავსება ქართული და წოვათუშური ენების მარცვალდაკლების სისტემებისა გვაფიქრებინებს, რომ განხილულ პროცესთა სახით წოვათუშურში საქმე გვაქვს უძველეს სუბსტრატულ მოვლენასთან, რადგან ადსტრატის სახით ქართულს არ შეეძლო გაეცა ის, რამაც მასში საუკუნეებზე ადრე დაკარგა რათი-ნირებული სახე. კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ამ დონის ზეგავლენას ნასესხები ლექსიკის ძალიან დიდი რაოდენობა სჭირდება, რაც შაშინ, ქართულთან ურთიერთობის ადრინდელ საფეხურზე, წოვათუშურს არ გააჩნდა.

აღნიშნული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მარცვალდაკლების ეს სისტემა ამოსავალი სახითაა წოვათუშურში დაცული და ენის სხვა თავისებურებებთან ერთად ქმნის მის ფონებაზურ მოდელს.

ცნობილია, რომ „ყოველ ენას აქვს მისთვის დამახასიათებელი ფონემატური მოდელი, რომელიც ქმნის მის სპეციფიკას და ამით გასხვავდება იგი სხვა ენებისგან (უთურგაძე, 1973, 243). იგი არსებობს ამ ენის მორთულობიური და სინტაქსური მოდელების-გან დამოუკიდებლად და უცხოენობრივი გავლენისადმი განსა-კუთრებული გამძლეობით გამოიჩინა. ასეთ პირობებში, რაკი ახ-ლო მონათესავე ჩეჩნურისა და ინგუშურის არ ახასიათებს მარცვალ-დაკლების აღნიშნული პროცესები, იმულებული გართ უცხოენობ-რივ სუბსტრატს მივაწეროთ იგი წოვათუშურში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი ახსნა ურთიერთობის იმ საფეხურზე, როდე-საც მისი სესხება იყარაუდება. ამ თვალსაზრისით შეიძლება არ იყოს ინტერქსმოკლებული ის გარემოება, რომ თვითონ წოვათუ-შურის სუბსტრატი თუშურ დიალექტში უბირატესად სწორედ ფონემატურ მოდელებში დაიღვექა. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ინტერფერენციის საკითხთა მკვლევარნი სუბსტრატს თითქმის მხოლოდ ლექსიკისა და ფონოლოგიის დონეზე მიიჩნევენ დასაშ-ვებად (მეიე, 1954, 72).

### I. § 3. ქართულ-წოვათუშური ენების ბრუნების სისტემათა შეპირისპირებითი ანალიზი

როგორც აღვნიშნეთ, ორენოვნების დროს მსესხებელ ენა-ში მიმდინარე ინტერფერენციული პროცესები ნათლად გამოიკ-ვეთება, როცა წინასწარ ვითვალისწინებთ კონტაქტში მყოფ ენებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებას და მასთან მიმართებით განვიხილავთ უცხოენობრივი გავლენის შედეგებს, აქედან გამომ-დინარე, სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული ცვლილებების შესწავლა ქართულ-წოვათუშური ენების ბრუნვათა პარადიგმების შეპირისპირებით უნდა დავიწყოთ, რათა შევძლოთ დავაზუსტოთ

გავლენის მასშტაბები და კანონზომიერებანი. წინასწარ უნდა დადგინდეს:

ა) რა საერთო ნიშნები აქვს წოდათუშური და ქართული ენების სახელთა ბრუნებას?

ბ) რა განასხვავებს ამ ორ სისტემას ერთმანეთისგან?

ქართული ენის სახელთა ფლექსიის საკითხები კარგად არის შეს-წავლილი და დაზუსტებული, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის განზრახული შეპირისპირებისათვის. თანამედროვე ქართულში შვიდ ბრუნებას გამოყოფენ, როგორიცაა: სახელობითი, ერგატივი, მიცემითი, ნათესაობითი, ინსტრუმენტალისი, ვითარებითი და წოდებითი. ძველ ქართულში მერვეც გვქონდა – წრთულობითი. დადგენილია, რომ დასახელებული ბრუნებები არაა თანაბარი ხნივანებისა. ყველაზე ძველია მიცემითი, ნათესაობითი, ინსტრუმენტალისი და ვითარებითი; უფრო გვიანდელი ფორმაციისა სახელობითი და წოდებითი, რომელთაც ხნივნებით რამდენადმე უსწრებს ერგატივი.

დღეისათვის დაზუსტებულია აგრეთვე ქართული ენის ბრუნვის ნიშანთა გენეზისიც, კერძოდ:

ა) წოდებითი ბრუნვის ნიშანი თუკავშირდება ბერძნულ შორისდებულს, რომელიც ამ ენაში სახელის მიმართვის ფორმებს უძღვის წინ. აკად. ვ. თოფურიას აზრით, „რუსული 0, ბერძნული და ქართული თერთი წარმოშობისანი ჩანან. ეს თერთი ქართულშიც სიტყვის თავში იყო მოქაცეული თავდაპირეულად“ (თოფურია, 1965, 44).

ბ) სახელობითის თერთი ერგატივის მთაცვალსახელური წარმოშობისაა (შანიძე, 1980, 639).

გ) რაც შეეხება დანარჩენი ბრუნებების ფორმანტებს, როგორიცაა:

–ს, –ის, –ით, –ივ, –ად, –ნ, მათ ოდინდელ კლასნიშნებს უკავშირებენ.

(დ) კლასნიშნებსვე უკავშირებენ მრავლობითი რიცხვის -ნ, -თ, -ებ სუფიქსებსაც (ჩიქობავა, 1954, 77).

რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით ისტორიულ ქართულში მდგომარეობა მარტივია: ნებისმიერ საზოგადო სახელს აქვს მრავლობითი რიცხვის ორგვარი ფორმა, რომელთაგან ერთს - ებ სუფიქსი აწარმოებს, ხოლო მეორე -ნ და თ. რიცხვის ფორმანტები ორსავე შემთხვევაში მხოლობითის ბაზისურ ფუძეს დაერთვის, იმ განსხვავებით რომ -ებ და -ნ სუფიქსებთან აგლუტინაციის პრინციპია დაცული, თ - ს დართვისას კი - ფლექსისა, რაკი -თ მორფება რიცხვთან ერთად ბრუნვასაც გამოხატავს. ვარაუდობენ, რომ თ - ს ასეთი ორმაგი ფუნქციით გამოყენება მეორეულია. „საფიქრებელია, რომ ისტორიულად ეს იყო მხოლოდ მრავლობითობის ნიშანი“ (ჩიქობავა, 1939, 169).

ქართული ენის სახელთა ბრუნებისათვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბრუნვის ნიშანთა მხოლოდ ერთი წყვება გვაქვს, რადგან ამა თუ იმ ბრუნვაში ნებისმიერი დაბოლოების ფუძეს ერთი და იგივე ფორმანტი დაერთვის. თუ მაინც ერთის მაგივრად ბრუნების სამ ტიპს გამოვყოფთ, ამას უკვე სულ სხვა ფაქტორი უდევს საფუძვლად – გათვალისწინებულია ბრუნვის ფუძეში ფუნქციინირებადი მარცვალდაკლების სამი სახე.

სახელთა გარკვეული ბრუნვის ფორმებში მარცვალთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია მნიშვნელოვანი თავისებურებაა ქართული ენისა. მარცვალს კარგავს ერთ-ერთი: ბაზისური ფუძე, ან ფორმანტი. ფუძისეული ხმოვანი ამ ღრის რედუქციას განიცდის, ან კვეცას იმის მიხედვით, თუ როგორია მისი პოზიცია; რაც შეეხება ფორმანტის ხმოვანს, იგი სუსტდებოდა და უმარცვლოვდებოდა ძველ ქართულში, ახლა კი მთლიანად იკარგება. ამ პროცესთა სარეალზაციო პოზიციები ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია, რაც კარგად ავლენს მარცვალდაკ-

ლების სახეების საერთო საფუძველს. ქართული ენის სახელთა ბრუნების პარადიგმებში მოქმედი აღნიშნილი პროცესების შესახებ ჩვენ ვრცლად ვმსჯელობთ წინა პარაგრაფში, რის გამოც აქ მოკლე დახასიათებით ვერაციონალდებით.

წოვათუშური ენის ბრუნვის ნიშანთა გენეზისი შესწავლილი არაა, რაც შეეხება ბრუნების პარადიგმებს, არც აქა დადგენილი საბოლოოდ მათი წევრების რაოდენობა. ჩვენ, საკუთარი შეხედულების თანახმად, წოვათუშური ენის ცხრა ბრუნვის შესახებ ვმსჯელობთ, როგორიცაა: სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი, მიცემითი I, მიცემითი II, მიცემითი III, მიცემითი IV, ინსტრუმენტალისი და გარდაქცევითი. ქართულთან შედარებისთვის წარმოვადგენთ აღნიშნულ ბრუნვათა წარმოების წესებს:

ა) წოვათუშურის სახელობითი ბრუნვა ძველი ქართულის წრფელობითს შეეფარდება ხნოვანებითაც და წარმოების წესითაც, ფუნქციით კი მას ბეჭრად აღემატება: იგი ამ მხრივ ქართულის სახელობითსა და წოდებითს უტოლდება.

ბ) ერგატიული ბრუნვა სხვადასხვა ფუძესა და ფორმანტებს იყენებს იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს განეკუთვნება საბრუნებელი სახელი: ადამიანის კლასის სახელებს საყრდენად სახელობითის ფუძე აქვთ, ფორმასაწარმოებელ აფიქსად –თანხმოვანი ს, ნიფის კლასის სახელებს კი საყრდენად ნათესაობითის ფუძე აქვთ, ბრუნვის ფორმანტად –სუფიქსი გ.

გ) ნათესაობითის საწარმოებლად სახელობითის ბაზისურ ფუძეს დაერთვის ხმოვანი ი, შემდეგ კი – თანხმოვანი ნ, რომლის გავლენით წინამავალი ხმოვანი ნაზალური ხდება. ამ ბრუნვის ფუნქციები მთლიანად ემთხვევა ქართული ენის სათანადო ბრუნვის ფუნქციებს.

დ) მიცემითი I – ის ფორმა ნათესაობითის მზა ფუძისაგან იწარმოება იგივე -ნ – ს დართვით, რომელიც ამ მორფოლოგიურ კონტექსტში უკვე აღარ იწვევს წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციას. როგორც წინა პარაგრაფში გვაქვს აღნიშნული, იგი დანარჩენ სამ მიცემითთან ერთად ინაწილებს ქართული მიცემითის ფუნქციებს. საკუთრივ ეს ბრუნვა ირიბი ობიექტს გამოხატავს და ძირითადი ისეთ ზმნებთან დაკავშირებით იხმარება, რომლებიც ამ პირისადმი პირდაპირი ობიექტის კუთვნილება – დანიშნულებით ურთიერთობას გამოხატავს.

ე) მიცემითი II კვლავ ნათესაობითის ფუძეს იყენებს საყრდენად, ბრუნვის ფორმანტს კი სუფიქსი გო წარმოადგენს. მისი ძირითადი ფუნქცია ისევ ირიბი ობიექტის გამოხატვაა, ოდონდ ისეთ ზმნებთან რომლებიც შინაარსობრივად უპირისპირდებან | მიცემითთან დაკავშირებულ ზმნებს.

გ) მიცემითი III ისევ ნათესაობითის ფუძეს ეყრდნობა და მაწარმოებლად აქვს სუფიქსი გო. მისი დომინანტური ფუნქციაა გამოარჩიოს ზმნათა კაუზატიური ფორმების ირიბი ობიექტი.

ჰ) მიცემითი IV ძირითადად ისევ ნათესაობითის ფუძეს იყენებს და აწარმოებს სუფიქსი -ნ, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში (ხმოვანფუძიანებთან) სახელობითსაც ეყრდნობა. იგი ირიბი ობიექტს გამოხატავს ისეთ ზნებთან, რომლებიც შინაარსობრივად სხვა მიცემითებს არ ესადაგებიან. სისტემურია მისი გამოყენება ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმებთან.

თ) ინსტრუმენტალისი საყრდენად ნათესაობითის ფუძეს იყენებს, მაწარმოებლად კი აქვს სუფიქსი გ. იგი საჭურვლისა და თანაობის უბრალო დამატებებს გამოხატავს.

ი) გარდაქცევითი საყრდენად კვლავ ნათესაობითის ფუძეს იყენებს, მაწარმოებელ ფორმანტად კი აქვს სუფიქსი ღ. ამ ბრუნ-

ვის სინგაქსური ფუნქციაა გადმოსცეს სიახლე სახელით აღნიშ-ნული საგნის ფუნქციაში.

კ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება თანამედროვე თუშურში საკმაოდ რთულ სახეს ატარებს. მართალია, ქართულისაგან განსხვავებით, აქ თოთოვეულ სახელს მრავლობითის მხოლოდ ერთი ფორმა გააჩნია, მაგრამ სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ მის საწარმოებლად ათამდე სხვადასხვა აფიქსი ფიგურირებს, როგორიცაა: -ი, -ბი, -მი, -ნი, -ადრ, -ადრჩ, -რჩ, -რჩბ, -იშ.

წოვათუშურში, ისევე როგორც ქართულში, სახელის ბრუნვათა ფორმას სიგრძის მიხედვით არეგულირებს შარცვალდაკლების მწყობრი წესები: ყოველი ორ და მეტმარცვლიანი სახელი ბრუნვის მთლიანი ფორმის ფარგლებში აუცილებლად კარგავს მარცვალს, როცა ბაზისურ ფუძეს ხმოვანთა შემცველი სუფიქსი დაერთვის. მარცვალი დააკლდება თვითონ ბაზისურ ფუძეს ან მასზე დართულ ბრუნვის ფორმანტის იმის მიხედვით, თანხმოვანი დგას ფუძის აუსლაუგრში თუ ხმოვანი. თანხმოვანფუძიანები ამ დროს ხმოვანთა რედუქციას ექვემდებარებან, ხმოავანფუძიანებთან კი სუსტდება და მარცვლიანობას კარგავს თვითონ ფორმანტის ხმოვანი.

წოვათუშური ენის სახელთა შარცვალდაკლების პროცესებთან დაკავშირებით საგულისხმოა რამდენიმე გარემოება. ამ ენაში:

1. სარედუქციო პოზიცია სამმარცვლიანია;
2. ხმოვის შემცველი ფორმანტის დართვისას რედუქციას უგამონაკლისოდ ექვემდებარება ხუთიგე ხმოვანი;
3. სარედუქციო სეგმენტის ხმოვანთა ურთიერთშემართების მიხედვით ხორციელდება მარტივი რედუქცია, ან რედუქცია დასუსტებული ხმოვნის ადგილგადასაცვლებით;

4. რედუქციას განიცდის ოთხზემეტმარცვლიანი ნასესხები თანხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაშიც, რომელსაც საერთოდ ფორმანტი არ გაჩნია;

5. მრავალმარცვლიანთაგან განსხვავებით, ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებზე დართული ხმოვნით დაწყებული სუფიქსი ცვლილებას არ ექვემდებარება და მარცვლიანობას არ კარგავს.

6. ნასესხები მრავალმარცვლიანი სახელები, რომელთაც სესხების პროცესში უკვე დაკარგეს ერთი ფუძისეული ხმოვანი, ხმოვნისშემცველი ბრუნვის ფორმანტის დართვისას ხელახლა მოიკლებენ კიდევ ერთ მარცვალს.

მას შემდეგ რაც დაგახსიათეთ ბრუნების პარადიგმები ქართულ-წოვათუშური ენებისა, შეიძლება დაგასკვნათ, რომ მათ შორის მსგავსებაც გვაქვს და განსხვავებაც. მსგავსება სისტემურია უპირატესად, განსხვავება კი – ძირითადად მასალობრივია, დავწყებთ მსგავსებით:

ა) ერგატიული ბრუნვის თავისებური ვითარება რომ გამოვრიცხოთ, სადაც ორსუფიქსიანობა ორი სხვადასხვა ბრუნვის შერწყმით არის მიღებული, შეიძლება დაგასკვნათ, რომ წოვათუშურისაც მსგავსად ქართულისა, ბრუნების ერთი სახე აქვს ბრუნვის ნიშანთა ერთი რიგით.

ბ) თუ გავითვალისწინებთ, რომ წოვათუშური ენის ბრუნვათა პარადიგმებში წარმოდგენილი ოთხი მიცემითი ქართულის ერთი მიცემითის სხვადასხვა ფუნქციებს ინაწილებს, ეს ფორმები ერთ რთულ მიცემითად შეიძლება გაფართიანობა და ვილაპარაკოთ ამ ორი ენის ბრუნვათა თანაბარ რაოდენობასა და მსგავს სინტაქსურ ფუნქციებზე. როცა ამ ორი ენის ბრუნვათა თანაბარ რაოდენობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ წოდებითი ბრუნვა, რომელიც წოვათუშურის აკლია, გვიანდე-

ლი ფორმაციისაა ქართულში და უცხო ენობრივი გავლენის შე-  
დეგს წარმოადგენს.

გ) ცხადია, თავისთავადი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ  
ორსავე ენას მოეპოვება სპეციფიკური ბრუნვა ქვემდებარისა - ერ-  
გატივი. მართალია, რამდენადმე განსხვებულია ამ ენებში მისი  
მორფოლოგიურ-სინტაქსური რეალიზაციის პრინციპები, მაგრამ  
მათს იდენტურ სტატუსზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ორივე ენას  
აკლია ბრალდებითი. როგორც ცნობილია, ეს ორი ბრუნვა პრინცი-  
პულად გამორიცხავს ერთიმეორეს: სადაც გვაქვს ერთი, გვაკლია  
მეორე, და პირუკუ (ნებიერიძე, 1994, 188). სწორედ ამ საერთო ერ-  
გატიულმა კონსტრუქციამ განაპირობა აქტანტების ბრუნვათა ერ-  
თნაირი ფუნქციური დატვირთვა ორსავე ენაში.

დ) ბრუნების სისტემათა ისევ მსგავსების თვალსაზრისით  
არაა მნიშვნელობას მოკლებული ის ფაქტიც, რომ მრავლობითი  
ორსავე ენაში აგლუტინაციის პრინციპით იწარმოება.

ე) ქართული და წოვათუმური ენების ბრუნვის სისტემათა  
მსგავსების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს  
სახელთა ბრუნების პარადიგმებში მოქმედი მარცვალდაკლების  
პროცესები.

გარდა მსგავსებისა, როგორც აღვნიშნეთ, სხვაობაც საგ-  
რძნობია ამ ორი ენის სახელთა ბრუნების სისტემებში. ხშირად იმა-  
ვე საკითხში, სადაც მსგავსება დავადასტურეთ, განსხვავებაც  
იჩენს თაქს, რის გამოც მსგავსების მიხედვით განხილული საკით-  
ხის განსჯა ხელმეორედ გვიწევს სწორედ ამ უკანასკნელი თვალ-  
საზრისით. წოვათუმურის მხარეს განსხვავებას ავლენს:

1. კლასკატებორიის მიხედვით გარჩეული ერგატივის  
ფორმები;
2. გარკვეული ჯგუფის სახელთა ორფუძიანობა;

3. ერგატივისა და ინსტრუმენტალისის ზიარი ფორმები ნივთის კლასის სახელებთან;

4. წოდებითი ბრუნვის უქონლობა;

5. მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა სიმრავლე;

6. ბრუნვის ფორმანტთა მასალობრივი სახე;

7. რედუქციის რთული სახე ხმოვნის ეპენთეზისით.

როგორც გხედავთ, მსგავსების მიხედვით ამ ორი ენის სახელთა ბრუნების ერთი საერთო მორფოლოგიური სისტემის საკითხი დგება, ამ სისტემის რეალიზაციის გზებსა და საშუალებებში კი სხვადასხვაობა ვლინდება. ინტერფერენციის პროცესთა კანონზომიერებების კვლევისათვის მნიშვნელოვანია კონტაქტში მყოფ ენათა მსგავსებაც და განსხვავებაც, მაგრამ ოვითონ ამ პროცესების განვითარებაზე დაკვირვების საშუალებას სწორედ განსხვავება იძლევა. ამ მიზეზით ჩვენ ცალკე მოგვიწევს მსჯელობა ყოველ განმასხვავებელ რგოლზე, რის გამოც ამჯერად მათ არ ვეძებით და ჩამოთვლით ვკმაყოფილდებით.

## თავი ||

### ინტერფერენტული პროცესები წოდათუშური ენის სახელთა ბრუ- ნების პარადიგმებში

ორენოვნების თანამედროვე საფეხურზე ინტერფერენტული პროცესები მეტ-ნაკლებად უკვე შეეხო წოდათუშური ენის სახელთა ბრუნების პარადიგმებში ფიქსირებულ ქართულისაგან განმასხვავებელ თითქმის ყველა რგოლს. ამჯერად თითოეულ მათგანს მიმდევრობით განვიხილავთ უცხოენობრივი გავლენის თვალსაზრისით.

#### II. § 1. ერგატიული ბრუნვა ინტერფერენციის თვალსაზრისით

ქართულთან შეპირისპირებისას წოდათუშური ენის ერგატიული თავისებურებას გვიჩვენებს იმ მხრივ, რომ ამ ბრუნვაში სახელები დაპირისპირებულია გრამატიკული კლასების მიხედვით: ადამიანის კლასის სახელებს აფორმებს სუფიქსის, ნივთის კლასის სახელებს კი – სუფიქსი გ. ნათქვამი მარტო მხოლობითს ეხება, რადგან მრავლობითს ასეთი დაყოფა არ ასასიათებს და ყოველგვარ სახელს სუფიქსი გ დაერთვის. თვალსაზისობისთვის ვაბრუნებთ ადამიანისა და ნივთის კლასის თითო სახელს, რომელთა პარადიგმებიც სხვა საკითხებთან დაკავშირებით ზევით ერთხელ უკვე დაკიმოწმეთ (ნან – „დედა“, ნეკ – „დანა“):

მხოლობითი			მრავლობითი	
სახ.	ნანა	ნეკ	ნან-ი	ნეკ-ი
ერგ.	ნანა-ს	ნეკ-ე-გ	ნან-ი-გ	ნეკ-ი-გ

ნათ.	ნანა-ღ	ნეკ-ე	ნან-ა	ნეკ-ა
მიც. I	ნანა-ღ-ნ	ნეკ-ე <sup>0</sup> -ნ	ნან-ი-ნ	ნეკ-ი-ნ
მიც. II	ნანა-ღ-გო	ნეკ-ე-გო	ნან-ი-გო	ნეკ-ი-გო
მიც. III	ნანა-ღ-გრ	ნეკ-ე-გრ	ნან-ი-გრ	ნეკ-ი-გრ
მიც. IV	ნანა-ხ	ნეკ-ე-ხ	ნანა-ა-ხ	ნეკ-ა-ხ
ინსტრ.	ნანა-ღ-ვ	ნეკ-ე-ვ	ნან-ი-ვ	ნეკ-ი-ვ
გარდ.	ნანა-ღ-ლ	ნეკ-ე-ლ	ნან-ი-ლ	ნეკ-ი-ლ

ერგატივის ორნიშნიან სისტემაში ბრუნვის ფორმათა ასე-თი დაპირისპირებით თავს იჩენს სამყაროს განაწილების ის ძირი-თაღი პრინციპი, რაც საფუძვლად უდევს საზოგადოდ იძერიულ-კავკასიური ენების გრამატიკული კლასის კატეგორიას. ეს მოვ-ლენა კანონზომიერ მიმართებაშია ენის მთლიან მაკროსისტემას-თან და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ საგანთა მსგავსი კლასიფიკაცია არც ქართული გრამატიკული სინამდვილისთვისაა უცხო (ჭავახიშვილი, 1992; ჩიქობავა, 1942). ქართული სამეტყველო ფსიქოლოგია დღემდე განასხვავებს ადამიანისა და ნივთის კატეგორიებს, მაგ-რამ, განსხვავებით წოვათუშურისაგან, საკუთრივ ბრუნების პარა-დიგმებში ამ პრინციპების არეკვლა არ ხდება.

იმის გამო, რომ გრამატიკულ სისტემათა შეპირისპირები-სას ქართულიდან ამოვდიგართ, როგორც წყარო ენიდან, უჩვეულო ჩანს წოვათუშურის ერგატიული ბრუნვის ორსუფიქსიანობა, ისევე როგორც უჩვეულო გამოჩნდებოდა ერთსუფიქსიანობა ქარ-თული ერგატივისა, თუ სხვაობათა ათვლისას ახლა უკვე წოვათუშურის დაგეყრდნობით. შეპირისპირების ასეთ ფონზე ბუნებრი-ვია, რომ წოვათუშურის ორნიშნა ერგატივი განსაკუთრებულ ყუ-რადღებას იქცევს. იმის გამო, რომ დაჩრდილულია უკვე თვითონ თრისუფიქსიანობის ფსიქოლოგიური საფუძველი, სხვადასხვა ასა-

კის თანამედროვე ბილინგვთა მეტყველების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება სწორედ აღნიშნული სუფიქსებისადმი სხვადას-ხვაგვარ დამოკიდებულებაში ვლინდება. ორენოვნების კანონზომიერებათა საფუძველზე ბილინგვი გაუცნობიერებლად დგება სა-გალდებულო არჩევანის წინაშე. არჩევანის ბედი ამ შემთხვევაში წინასწარად გადაწყვეტილი: იმის გამო, რომ შეგნებული აქტივობა პირის სახელთა პრეროგატივაა, მოქმედების არქს იფართოვებს სწორედ საკუთრივ ერგატივის მაწარმოებელი სუფიქსი ს. ამ პრო-ცესს ბუნებრივად მოსდევს ნივთის კლასის სახელთა ერგატივის მაწარმოებელი გ-ს პოზიციის შეზღუდვა, რის შედეგადაც დამ-კვიდრებას იწყებს ქართულის ებური ერთსუფიქსიანი პარადიგმა.

აღნიშნული მორფოლოგიური ინოვაცია საოცარი თანდა-თანობით ხორციელდება. იგი გზას ძირითად ფორმებთან პარალე-ლური მონაცემებით იკაფავს, მაგრამ ეს შენაცვლება არაა თა-ვისუფალი ანუ ნებისმიერი - პარალელურ ფორმათა გავრცელების დინამიკა სრულ შესატყვისობაშია ენის დრეკადობის მაჩვენებელ-თან. იმის გამო, რომ სიახლე არ უნდა შეიტანოს ბუნდოვნება კო-მინიკაციის პროცესში, მსესხებელი ენა ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალიან შეზ-ღუდულად იხევს უკან: მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეული სი-ახლე დამკვიდრდება, ჩნდება შესაძლებლობა მოძღვნოს დაშვე-ბისა. ძველ, ე.წ. კანონიერ ფორმებს ფანატიკური ერთგულებით იცავს ტრადიცია, რომლის გავლენაც ამ მხრივ განუზომლად დი-დია. ენის დრეკადობის ზღვარი და გამოყენების ტრადიცია თრი მძღავრი ფაქტორია, რომელთა მოქმედების გამოც თვით იდეა-ლური ბილინგვობრივის დროსაც კი არ ხერხდება ფართო გზა მიე-ცეს სიახლეს. ბილინგვს შესაძლებლობა ეძღვა ახალი გრამატი-კული ფორმა მიუსადაგოს სახელთა მხოლოდ მცირე ჯგუფს.

ახალი ფორმა ნივთის კლასის სახელთა ერგატივისა თავ-დაპირველად თითქოს „შემთხვევით“ უწევს მონაცემების ძირი-

თადს ერთგვარი ენობრივი ციტატების სახით. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, მომდევნო საფეხურზე, იქნენ ისინი საკუთარ ტრადიციას და თავისუფალ მონაცემებაში ერთვებიან. აქედან უკვე რამდენიმე ნაბიჯიღა რჩება მათს საბოლოო დამკვიდრებამდე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული წყება სახელებისა ერგატივის ახალი ფორმით ძველ ფორმებთან თავისუფალი პარალელური მონაცემების უფლებას მოიბოვებს, რიგში დგებიან ახალი სახელები, ჩნდება ახალი „შემთხვევების“ შესაძლებლობა.

როგორც აღვნიშნეთ, სახელებისათვის ახალ ფორმათა მისადაგების „შემთხვევები“ ენაში ძალიან შეზღუდული რაოდენობით და ეტაპობრივად ჩნდება: მოუბრისაგან დაშვებული „შემთხვევები“ ასაჭანი უნდა იყოს მსმენელისათვის და რაოდენობრივად არ უნდა გასცდეს ენის დრეკადობის ზღვარს. ამიტომაა, რომ წოვათუშური ენის ნივთის კლასის ყველა სახელს ჯერაც არა აქვს ერგატივის სანიანი პარალელი, ჯერაც არ ჩამდგარა „შემთხვევათა“ რიგში. საამისოდ გასაცლელია გრძელი საფეხურებრივი გზა.

რყევა ენაში ამ მხრივ საკმაოდ დიდი ხნის დაწყებული ჩანს. აღნიშნული თვალსაზრისით ჩვენ შევისწავლეთ ა. შითნერის თუშური ენის გრამატიკას დართული ტექსტები. სამწუხაროდ, ტექსტები მცირეა მოცულობით და შინაარსითაც შეზღუდული. რაჯგუფის სახელებიდან ერგატივში მხოლოდ სამი აბსტრაქტული სახელი შეგვხვდა, მათგან ორი ტრადიციულ ვინიან ერგატივშია გათორმებული, მესამე კი სანიან ერგატივში დგას. საინტერესოა ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე წინადაღებაში ნახმარი ორი აბსტრაქტული სახელიდან ერთი სანიან ერგატივშია, მეორე კი - ვინიანში:

„მაცმე ბექეთილაეს იესუ ქრისტ თეწდარევა ლათინულა ტყუდადბადწიში დესუდნ...“ „როცა საოცრებაშ და იესო

ქრისტეს სწავლებაშ დაიწყო მიმდევრების მიყვანა იესო ქრისტეს-თან...” (შივნერი, 1856, 78).

აბსტრაქტულ სახელთა ასეთი სხვადასხვაგაფარი გამოყე-ნება ერთსა და იმავე წინადადებაში, ჩეენი აზრით, შემთხვევითი არაა და ენაში უკვე დაწყებულ რყევას ასახავს, თუმცა მაგალითე-ბის სიმცირე შეუძლებელს ხდის მოცემულ საკითხში მაშინდელი წოვათუმურის ობიექტური სურათის აღდგენას.

დაწყებული ინტერფერენტული ინოვაციის დინამიკა ვცა-დეთ გაგერეკვია თანამედროვე წოვათუმთა სამი სხვადასხვა თაო-ბის მეტყველების მიხედვით. დაკვირვებისათვის გამოვყავით უფ-როსი თაობა (60-90 წ.წ.), საშუალო თაობა (30-60 წ.წ.) და უმ-ცროსი თაობა (30 წლამდე).

როგორც მოსალოდნელი იყო, ამოსაფალი ვითარება შეც-გლილია თვით ყველაზე უფროსი ასაკის ბილინგვთა მეტყველება-შიც კი, რაღაც ესენი უკვე, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საბ-ჭოთა მასობრივი მწიგნობრობის ეპოქის შეიღები არიან, უკლებ-ლივ ყველანი ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაგანვლი-ლები, ხშირად მათ თამთავრებული აქვთ ქართულივე უმაღლესი სასწავლებელიც. მიუხედავად ამისა, სხვა თაობებთან შედარებით აქვთ ის დიდი უპირატესობა, რომ მათი მშობლებისა და პაპა-ბების მეტყველებას არ განუცდია იდეალური ბილინგვიზმის ყოვ-ლისშემძლე გავლენა, რის გამოც უშეუალო მეტკვიდრეებს ნაკლე-ბად შეცვლილი გადასცეს მშობლიური ენა.

აღნიშნული მიზეზით ჩეენ სწორედ უფროსი თაობის მეტ-ყველებას გეყრდნობით შედარებისთვის. მათს მეტყველებაში ჯერ კიდევ კარგად არის დაპირისპირებული ადამიანის და ნივთის კლა-სის გრამატიკული კატეგორიები: ცალკე ჯგუფს ქმნიან ის სახე-ლები, რომელთაც ერგატივის ნიშნად სუჟიქსი ს აქვთ, ცალკე

ჯგუფს კი - ის სახელები, რომლებიც იმავე ფუნქციით გ-ს დაირთავენ.

ა) სახელთა პირულ ჯგუფში გვაქვს:

ნანა-ს (დედამ), დადა-ს (მამამ), დაშა-ს (დამ), გაშა-ს (ქამ), ბიძა-ს (ბიძამ), მამი-ს (მამიდამ), აგა-ს (ბებიამ), ბაბო-ს (ბაბამ), წინუსე-ს (პატარძალმა), უქხლათორე-ს (ხელისმომკიდემ), მარნანა-ს (დედამთილმა), მარდალა-ს (მამამთილმა), განყოფე-ს (ბიძაშვილმა), ნაყბისტე-ს (ამხანაგმა), მოძღვრე-ს (მღვდელმა), უჩიტლე-ს (მასწავლებელმა), მასთხოვა-ს (მტერმა), ყუვა-ს (ქურდმა), ცმუგა-ს (მწყემსმა), მეწისქვილე-ს (მეწისქვილემ)... თამრით-ს (თამარმა), ნიკო-ს (ნიკომ), ნინო-ს (ნინომ), მოსე-ს (მოსემ), მარჩე-ს (მარიამმა), პოვლე-ს (პავლემ), თინა-ს (თინამ)...

ბ) სახელთა შეორე ჯგუფში გვაქვს:

ათა-ვ (ძროხამ), დონე-ვ (ცხენიმა), ფსტარა-ვ (ხარმა), კამ-ჩე-ვ (კამებმა), წაი-ვ (ლორმა), ასე-ვ (ხბომ), ბაყო-ვ (კვიცმა), ბურ-კე-ვ (ბურვაკმა), ჩუხო-ვ (ბატკანმა), საგე-ვ (ირემმა), გაზნე-ვ (თხამ), ჩაი-ვ (დათვმა), ტურე-ვ (ტურამ), დახვი-ვ (თაგვმა), კო-ტი-ვ (კატამ) ... ჰავწევევ (ჩიტმა), ქოთმე-ვ (ქათამმა), ინდრე-ვ (ინდაურმა), ბატე-ვ (ბატმა) იხვე-ვ (იხვმა), წიწლე-ვ (წიწილამ), ჭაჭი-ვ (ჭრედმა), ყოცე-ვ (ყვავმა), ჭუკე-ვ (ჭუკმა) ... ხენე-ვ (ხემ), ბუბკე-ვ (ყვავილმა), გორე-ვ (გაშლმა), სხალე-ვ (მსხალმა), გაზე-ვ (გაზმა), წენი-ვ (სახლმა), ღობე-ვ (ღობემ), ყარბე-ვ (წვილემ), დაბე-ვ (დობემ), ყარ-მა-ვ (წვილმა), ლავე-ვ (თოვლმა), თუხოვ (მარილმა), ხი-ვ (წყალმა), შურე-ვ (რძემ), წურე-ვ (რძემ) ... დაშა-ვ (სიტყვამ), ცმ ამდარე-ვ (სწავლამ), გონწლე-ვ (სისულელემ), ლელრე-ვ (სიარულმა), ახრევ (ყეფამ) ...

ასეთია თანამედროვე წოდათუშური ენის ერგატიგის ფორმათა წარმოების საყრდენი მოდელი, ასე იძრუნვის უფროსი თაობის მეტყველებაში მრავალი სახელი, თუმცა ამ საერთო მოდელი-

დან გადახრის შემთხვევებსაც ქცვდებით. გადახრა ახასიათებს როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის სახელებს, მაგრამ ამ გამონაკლისებს შორის დიდი სხვაობაა როგორც რაოდენობის, ისე თვისობრიობის თვალსაზრისით, რის გამოც ცალ-ცალკე განვიხილავთ.

სანის მაგიერ ერგატივის ნიშნად ვინის გამოყენების შემთხვევები სახელთა მცირერიცხოვანი ჯგუფითაა ღოკალიზებული. ამ ჯგუფს ქმნის სულ ექვსი წევრი:

მარ (ქმარი), ფსტუ (ცოლი), სტაკ (კაცი), მოჭ (გოგო), ვოჭ (ბიჭი), ბადერ (ბავშვი).

მათი ერგატივის ფორმებია:

მარა-ვ, ფსტუნა-ვ, სტაკო-ვ, მოჭო-ვ, ვაჭო-ვ, ბადრე-ვ.

ამ სახელებთან ერგატივის ვინით წარმოებას ხანგრძლივი ტრადიცია უჩანს. ეს მოვლენა ფიქსირებულია ი. ცისკაროვის მიერ 1848 წელს შედგენილი წოვათუშური ენის გრამატიკას დართულ ტექსტებში (ცისკაროვი, 1848). უფრო მეტიც, ვინით იწარმოებენ ეს სახელები ერგატივს ორივე უახლოეს მონათესავე ენაში: ჩეჩ-ნურისა და ინგუშურში, რაც ცხადყოფს, რომ მოვლენა ამ ენათა ერთიანობის ხანისაა. მთავარი კი მაინც ისაა, რომ გამონაკლისები სამსახური ენაში კანონზომიერებათა რანგშია აყვანილი და მათ სანიანი პარალელები არ მოეპოვებათ.

ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ყველა მკვლევარს, ვინც კი ნახურ ენათა სახელების ბრუნებით დაინტერესებულა, მაგრამ მისი ცალსახა ახსნა არავის მოუცია. იმის გამო, რომ სანიანი ერგატივი სოციალურად ყველაზე მაღალი დირებულების საგანთა სახელების კუთვნილებაა, აღნიშნულ სახელთა გადანაცვლება ვინიან ერგატივში სათანადო საგანთა გადაფასებით შეიძლებოდა აგვეხსნა, გამონაკლისების რიცხვში სხვადასხვა ასაკისა და სქესის სახელები რომ არ იყოს თავმოყრილი. მოვლენა თავისებური ასახვა უნდა

იყოს განვითარების იმ პერიოდისა, როცა მოხდა ვინაინი ინსტრუ-  
მენტალისის ფორმათა გააქტიურება და მათი სემანტიკური გათა-  
ნაბრება ერგატივის სანიან ფორმებთან. როგორიც არ უნდა იყოს  
საკითხის ისტორია, ჩვენთვის ამჯერად უაღრესად მნიშვნელოვა-  
ნია ის გარემოება, რომ აღნიშნულ გამონაკლისთა სახით საქმე  
გვაქვს არა ინტერიერუნტულ ინვაციასთან, არამედ ენის დამოუ-  
კიდებელი შინაგანი განვითარების შედეგად ორენოვნებამდე დი-  
დი ხნით ადრე მომხდარ ცვლილებასთან, რომელსაც გამოყენების  
სანგრძლივი, მრავალსაუკუნვანი ტრადიცია იცავს.

ამრიგად, უფროსი თაობის მეტყველებაში სანიანი ერგა-  
ტივი ინტერიერუნტივის თვალსაზრისით ხელშეუხებელია და მოსა-  
ლოდნელი ცვლილებები მხოლოდ ვინიან ერგატივს ენება, თუმცა  
ყველა გადახრია არც აქ უნდა იყოს ორენოვნებასთან დაკავშირე-  
ბული, გასათვალისწინებელია გარკვეული ექსტრალინგვისტური  
ფაქტორებიც. მხედველობაში გვაქვს უფროსი ასაგის ბილინგვთა  
მიერ სანის გამოყენება საკუთარი სახელებით მოხსენიებულ ცხო-  
ველ-ფრინველთა სახელების ერგატივში:

დავასახელებთ მაგალითებს:

1. **მურა-ს** ჩა ცობაცითე <sup>ნ</sup> ჟეცი <sup>ნ</sup>.

„მურამ (ძალის სახელი) დათვი ცხირთან არ შიუშვა“.

2. **ასმალე-ს** გაი <sup>ნ</sup> ჰაში ჩუ ცო დახკითქ.

„ასმალემა (ძალის სახელი) ჩვენი სტუმრები შინ არ

შემოუშვა.

3. **ყურშა-ს** ჰაწუკ ლაცლიე <sup>ნ</sup>.

„ყურშამ (ძალის სახელი) ჩიტი დაიჭირა.

4. **პარასკო-ს** ნაძხ ჟაბოხ ლეთეშ მშაცრ მშოგი <sup>ნ</sup>.

„პარასკო-მ სხვების ძროხებთან ჭიდილშირქა მოიტეხა“.

5. უკ დენი **საღრე-ს** ზორადში სახელებადვიე <sup>ნ</sup> რ.

„ამ დღეს **საღარმა** (ცხენის სახ.) ძალიან მასახელა“.

6. დინ მეზობლან საქმ კაპლო-ს თეგოდო.  
 „მთელი მეზობლების საქმეს კაპლომ (ფილის სახ.) აკე-  
 თებს“
7. გადლევ-ს შტოლმაქრენ ნაჩხ დეჭი სოგრ.  
 „გადლიკომ (კატის სახ.) მაგიდიდან ყველი მოიპარა“.
8. კასიო-ს თხე ეზო-კარახ დახკო დაჭახიტბიენ.  
 „კასიომ (კატის სახ.) ჩვენს ეზო-კარში თაგვი გაწყვიტა“.
- საგულისხმოა მოცემული თვალსაზრისით ის გარემოება,  
 რომ, თუ ამავე კონტექსტებში იმავე ცხოველებს საზოგადო სახე-  
 ლებით მოვიხსენიებთ, ერგატიფი უკვე ვინით გაფორმდება. და-  
 მოწმებული მაგალითები შემდეგ სახეს მიიღებს:
1. ფჰარა-ვ ჩა ცობაცითენ ქეცინ.
  2. ფჰარა-ვ ვარ ჳაში ჩუ ცო დახკითე.
  3. ფჰარა-ვ ჳაწუკ ლაცდიე.
  4. ათა-ვ ნახხ ყაბოხ ლეთუშ შე აცრ დ ც ოგო.
  5. უკ დენი დონე-ვ ზორადში სახელებადვიენსო.
  6. დინ მეზობლან საქმ ვირე-ვ თეგოდო.
  7. კოტი-ვ შტოლმაქრენ ნაჩხ დეჭი სოგრ.
  8. კოტი-ვ თხე ეზო-კარახ დახკო დაჭ ხიტბიე.
- განურჩევლად იმისა, სანიანი ერგატიფით გაფორმებული  
 ზემოთაღნიშნული ჯგუფი ნიეთის კლასის სახელებისა ოდინდე-  
 ლია თუ ახალი, ინტერფერენტულ პროცესთა დინამიკის თვალ-  
 საზრისით საგულისხმოა ის გარემოება, რომ აქ პარალელური  
 ფორმები არ ფუნქციონირებს. ასეთ შემთხვევაში უნდა დავუშვათ,  
 რომ საქმე გვაქვს არა ინტერფერენტულ გამონაკლისებთან, არა-  
 მედ საკუთარი სახელით საგნის მსგავსთაგან გამოცალკევებისა  
 და ახალი სოციალური დაფასების ფაქტთან.
- საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ უფრო-  
 სი თაობის შეტყველებაში გარდა სანისა და ვინის ასეთი სტაბი-

ლური დისტრიბუციისა, მათივე პარალელური გამოყენების შემთხვევები მაინც გახვდება. ეს უკმა უცხო ენობრივი გავლენის შედეგია და მათ ინტერიურენტული ინიციატივის შეიძლება ვუწოდოთ. ამ მხრივ სანიანი ერგატივი შეუფალია და პარალელურ ფორმებს არ იგუებს., გამონაკლისები აღენიშნება მხოლოდ ნივთის კლასის სახელებს. საინტერესოა, რომ ერთიანი საფუძველი ამ გამონაკლისებს არ მოებოვება, მაგრამ მაინც ხერხდება გარკვეული თვალსაზრისით მათი მიახლოებითი დაჯგუფება.

გამოვყოფთ ნივთის კლასის სახელთა ორ ჯგუფს:

ა) პარალელური სანიანი ერგატივი შეიძლება გაუჩნდეს ცხოველ-ფრინველთა საზოგადო სახელებს ზღაპრებში, გამოთქმებსა თუ ანდაზებში, სადაც ისინი ადამიანისათვის დამახასიათებელ მოქმედებას ასრულებენ, ანუ გაპიროვნებული არიან, მაგალითად:

1. ყოფ-ე-ვ // ყოფ-ე-ს უარ აღნა დაჭოვო ლაპრენტ.  
„ყვავმა უარი უთხრა გოგოს დახმარებაზე“.
2. პათხდალენტი ფხაკლ-ე-ვ // ფხაკლ-ე-ს ამბუდ დაპირობენ. „დაწინაურებულმა კურდღლელმა ამბავი წაუღო ლომს“.
3. ხილო პაჭენტი ირმ-ე-ვ // ირმ-ე-ს შარი ქოკი დაწუნბადეს.

„წყალში ჩამხედვარე ირემმა თავისი ფეხები დაიწუნა. 4. ლაპ-ე-ვ // ლაპ-ე-ს აღცინორ: „ქორთო შაჭანე ათლსქ, ცოჭებ შუღ დადადრნე დაჭოსამნი“ (ანდაზა).

„გგელმა (გგელს) ეთქვა: თავს ნურავინ გამიჭეჭყავს, თორემ კუდს მშობლებისაგან მოგიტანო“.

5. მადმუნ-ე-ვ // მადმუნ-ე-ს კუმაც აღმენდეშ თეგოდო.
- „მაიმუნმა (მაიმუნი) ყველათერს ადამიანივით აკეთებს“. ამ რიგის მაგალითებში კვლავ არპირთა თავისებური გაპიროვნების ცდაა გამოხატული, რასაც, როგორც ლოგიკური შედე-

გი, სათანადო ს აფიქსის გამოყენება მოსდევს. საგულისხმოა, რომ ამ ცდასაც, როგორც ყველა ენობრივ მოვლენას, თავისი კანონზომიერება უჩანს: თვით ამ სახის პარალელებსაც უფროსი თაობის მეტყველებაში ყველა სახელი არ იგუებს: აკრძალვა ისეთ სახელებს ეხება, რომელთა სიხშირეული გამოყენებაც ყოველდღიურ სიტყათმიმოქცევაში შედარებით დიდია. ენის შინაარსობრივ პლანში დაწყებულ დრეკას წინააღმდეგობას უწევს მრავალსაუკუნოები ყოველდღიური გამოყენების ტრადიცია. ასეთი სახელებია, მაგალითად:

დო<sup>ნ</sup> (ცხენი), დეთ (ძროხა), ფჟუ (ძაღლი), კუდტა (კატა), ასე (ხბო), ბაყრ (კვიცი), გა (ღორი), ქოთამ (ქათამი)...

ბ) მეორე ჯგუფში გაერთიანებთ ისეთ გამონაკლისებს (სიახლის თვალსაზრისით), რომელთა მოტივირებაც გამნელებულია. ესენი ძირითადად აბსტრაქტული სახელებია, საკუთრივ ნივთის, ანუ უსულო საგნების სახელებთან უფროსი თაობის ბილინგვთა მეტყველებაში ასეთი პარალელური ფორმები არ ჩანს. გვაქვს, მაგალითად:

1. ცხოვრბ-ე-ვ// ცხოვრბა-ს დაჭ მაღვიერს.
- „ცხოვრებამ დამდალა“.
2. ყივლ-ე-ვ// ყივლ-ე-ს ადმე<sup>ნ</sup> ზორადში ჩაგრიდო.
- „სიღარიბემ (სიღარიბე) ადამიანს ძალიან ჩაგრავს“.
3. შერ უბიდრობ-ე-ვ// უბიდრობა-ს ბეხკი<sup>ნ</sup> ნიყ კიმუდ.
- „თავისმა უბედურებამ შეუკრა გზა კიმოს“.
4. სიფრთხილ-ე-ვ// სიფრთხილ-ე-ს დაწო<sup>ნ</sup> საქმ თეგოდო.
- „სიფრთხილემ (სიფრთხილე) დიდ საქმეს აკეთებს“.

ასე დგას ნივთის კლასის სახელთა ერგატივის საკითხი უფროსი თაობის მეტყველებაში. ის ფაქტი თავისთავად, რომ გამონაკლისები გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებთან არის დაკავშირდება:

რებული, გვიჩვენებს, რომ ეს ინოვაცია ბილინგვთა სამეტყელო ფსიქოლოგიაში მომხდარი ცვლილების ასახვას წარმოადგენს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ უფროისი თაობის შეტყველებაში ერგატივის სუფიქსთა გამოყენების წესები მწყობრია, სანისა და ვინის სამოქმედო არები ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ გამიჯნულია და თითოეული სუფიქსის გამოყენება საკუთარ მიკროსისტემას ექვემდებარება. ინტერფერენტული გამონაკლისები მხოლოდ ნივთის კლასის სახელებთან შეინიშნება, რაოდენობრივად შეზღუდულია და გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

საშუალო თაობის შეტყველება ჩვენთვის საინტერესო მოვლენათა განვითარების თვალსაზრისით ერთგვარ გარდამავალ საფეხურად წარმოგვიდგება. მართალია, ს ფორმანტის სამოქმედო არე ვინისათვის კვლავ შეუვალი რჩება, მაგრამ მნიშვნელოვნად არის შესუსტებული ოფითონ ვინის პოზიციები, რადგან მის ადგილს სულ უფრო ხშირად იჭერს სანი. მდგომარეობა არაა მყარი, აღნიშნული თაობის ბილინგვებმა ნივთის კლასის იმავე სახელებს სხვა კონტექსტში შეიძლება ისევ ვინიანი ერგატივი მიუსადაგონ: ამ გზით იქმნება მორთულობიურ პარალელიზმთა გრძელი რიგები, რომელთა ერთი წევრი გამართლებულია ისტორიულად, მეორეს კი ინტერფერენტულ პროცესთა განვითარების კანონზომიერება უჭირს მხარს. დავასახელებთ მაგალითებს:

1. სე ნეკე-ვ //ს ცო თეტრ - „ჩემმა დანამ არ ჭრის“.
2. ი კალმ-ე-ვ //ს მუდშ წერადო - „ამ კალამმა ცუდად წერს“.
3. ჭადწევ-ვ //ს პშან ბჭოვინ - „ჩიტმა ფრთა მოიტეხა“.
4. მერცხლე-ვ //ს თხეჩუ ბენ თაგბიენ - „მერცხალმა ჩვენთან ბუდე გაიკეთა“.
5. თანთე-ვ //ს ისე ვუხ თეგოდო - „ჭიანჭველაშ აქ რას აკეთებს“.

6. დაყიჩო ჯანე-ვ //ს ქოკ ლაწბიერ სონ - „ხმელმა ქალა-მანმა ფეხი მატებინა“.

7. ღამითრაცო-ვ //ს ბუღა ნამდრებადო - „ღამურამ ღა-მით ნადირობს“.

8. ვეფხევე-ვ //ს აკი აშარგო კერძლდითო - „ვეფხევა მხეცებს ხმით აშინებს“.

ნიგთის კლასის სახელთა ქვეცნობიერი დაყოფა სულიერთა და უსულოთა სახელებად, რამაც ჯერ კიდევ უფროსი თაობის მეტყველებაში იჩინა თავი, აქ ისევ შეიმჩნევა. აღნიშნული გადაჯ-გუფება უნდა გამხდარიყო საფუძველი, რომ სულიერი საგნის სა-ხელებს უფრო ხშირად აქვს სანიანი ერგატივის პარალელური ფორმები, ვიდრე იმავე კლასის უსულო საგნის სახელებს. ოუ და-გაკვირდებით, ერთი მხრივ, ნიგთის კლასის სულიერი საგნის სახე-ლებს (საგ - „ირემი“, ასე - „ხბო“, დეთ - „ძროხა“...) ხოლო, მეორე მხრივ, იმავე ჯდუფის უსულოთა საგნის სახელებს (ჯერ - „ქვა“, ჯორ - „ვაშლია, ნეკ - „დანა“...) და დავადგენთ ერთსა და იმავე ბი-ლინგვთან მათი სანიანი და ვინიანი ერგატივის სიხშირულ შეფარ-დებას, აშკარა გახდება სულიერი საგნების სახელთა პრიორიტეტი სანიანი ერგატივის გამოყენების საკითხში.

იმის გამო, რომ სულიერი საგნის სახელი უფრო ლოგიკუ-რია ზმის აქტიურ კონსტრუქციებში, ასეთი ცვლილება ენაში შე-იძლებოდა მომხდარიყო ინტერტერნეტულ პროცესთა გარეშეც, შინაგანი ეკოლუციის გზით, მაგრამ ამჯერად სულიერი საგნების სახელთა პარალელურად ქართული ენის შზარდი ზეგავლენით სუ-ფიქსი ს ვინის ადგილს იკავებს უსულო საგნის სახელებთანაც. უკანასკნელი პროცესი იმდენად დაჩქარებულად ვითარდება, რომ სახელთა ხელახლი (სულიერთა და უსულოთა ჯგუფებად) გადა-ფასების ტენდენცია გამოკვეთას ვერ ასწრებს, რადგან იგი სხვა უფრო ახალი და ზოგადი ტენდენციით იჩრდილება - ესაა ერგა-

ტივის საკითხში სახელთა ყოველგვარი შინაარსობრივი დიუქრენ-ციაციის მოშლის ქართულისებური გზა.

საშუალო თაობის წოვათუშთა მეტყველებაში ჯერ კიდევ გამოიყოფა ლექსიკის შედარებით მცირერიცხოვანი ფენა, რო-მელსაც დასახელებული გრამატიკული ინოვაცია ჯერ კიდევ არ შეხებია. ეს არის ბირთვი აქტიური ფონდის სიტყვებისა, როგორიცაა მაგალითად: თუ მარი (მარილი), მარჯო (ბური), ხი (წყალი), წე (ცეცხლი), დეთ (ძროხა), დონ (ცხენი), ჩუ მარ (ბატკანი), ლამ (მთა), მოთ (ლოგინი), ნახს (ყველი), ტოტ (ხელი)... როგორც ცნობილია, სიხშირის ფაქტორს განსაკუთრებული როლი ენიჭება ორენოვან სიტუაციებში, სადაც ის ძველი ენობრივი ნორმების დამცველის როლს ასრულებს ინტერტერენტულ პროცესთა საწინააღმდეგოდ. იგივე მეორდება ჩვენს შემთხვევაშიც: თუ ნივთის კლასის სხვა სახელთა ერგატივში ორი სუფიქსი მონაცვლეობს, აქ იმავე ფუნქცია ას მხოლოდ ვ ასრულებს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო თაობის ბილინგვთა მეტყველებაში ერგატიული ბრუნვის ფორმანტების ხვედრითი წრნის მიხედვით სახელთა სამი ჯგუფი გამოიყოფა:

I. სახელები, სადაც ერგატიული ბრუნვის ფორმანტად გვხვდება მხოლოდ ს;

II. სახელები, სადაც იმავე ფუნქციას ასრულებს სუფიქსი გ.

III. სახელები, სადაც ორივე სუფიქსი თავისუფალ მონაცვლეობაშია.

საშუალო თაობის წოვათუშთა მეტყველების სპეციფიკას ბრუნვის ფორმანტთა გამოყენების საკითხში სახელთა მესამე ჯგუფი ქმნის. ეს მორფოლოგიური პარალელებია, ე.ო. ერგატიული ბრუნვის წყვილი ფორმები, სადაც ერთი წევრი ვინითაა წარმოდგენილი, მეორე კი - სანით. როგორც აღვნიშნეთ, ეს მოვლენა წინა თაობის მეტყველებასაც ახასიათებდა, მაგრამ სუსტად იყო

გამოხატული, აქ კი იგი ნივთის კლასის სახელთა უკვე დიდ ნაწილს მოიცავს და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სახელები მეორე ჯგუფს გამოეყო მთლიანად, პირველი ჯგუფი კი ამ დროს ხელუხლებელი დარჩა, ნათელი გახდება, რომ დაწყებულია გ-ს პოზიციათა აქტიური შეზღუდვა.

კიდევ უფრო ღრმად არის გამსჭვალული ინტერფერენციული პროცესებით ახალგაზრდა წოვათუშთა მეტყველება. ენობრივი გავლენის დაჩქარება ამ შემთხვევაში უკუთხენაა ორენოვან სიტუაციათა განმსაზღვრელ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთა რადიკალური ცვლილებებისა, როგორიცაა: უცხო ენის ცოდნის დონე, ე.წ. წმინდა და შერეული ოჯახების რიცხობრივი თანაფარდობა და ენიდან ენაზე გადართვის სიხშირე.

მესამე, ანუ ყველაზე ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში ერგატიული ბრუნვის ფორმანტთა გამოყენების თვალსაზრისით საგანგებოდ შეგისწავლეთ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეთა ენა, სადაც გაფლენის შედეგების მიხედვით გამოიყო ბილინგვთა ორი ჯგუფი: ერთს ქმნიან მოსწავლები, ვისაც წოვა-თუში ჰყავს ორივე შშობელი, მეორეს კი - ისინი, ვინც შერეულ ოჯახებში იზრდებიან. როგორც მოსალოდნელი იყო, შერეულ ოჯახებში გაზრდილ მოსწავლეთა მეტყველებას განსაკუთრებული სიცხადით ატყვად ქართული ენის გავლენის კვალი, მითუმეტეს თუ შშობელთაგან არათუშია დედა. ორენოგნების თანამედროვე საფეხურზე ქართულ-წოვათუშური მოსახლეობის თანაცხოვრება ისეთი გზით წარიმართა, რომ განსაკუთრებული როლი ინტერფერენციულ პროცესთა დაჩქარების თვალსაზრისით შერეულ ოჯახებს ერგო. მათი დიდი ხელითი წონის გამო (შერეულია დღეს ყოველი III ოჯახი), თოთოეული შერეული ოჯახი ორენოგნების ფაქტორთა განსხვავებულ

ლი ერთობლიობით ენობრივი გავლენის ცალკეულ მიკროკერად იქცა, რომელიც, მართალია, განვითარების ერთ საერთო კანონზომიერებას ემორჩილება, მაგრამ სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა კუთხით წარმოგებიდგენს ამ პროცესს.

დასკვნებისათვის პირებელი ჯგუფის მოსწავლეთა შეტყველება ავირჩიეთ. ჩავთვალეთ, რომ ორენოვნება აქ უკეთ არის დაცული ექსტრალინგვისტური ფაქტორებისაგან და მისი განვითარების ზოგადი ტენდენციებიც უფრო თვალსაჩინოდ გამოვლინდება. მდგომარეობა აქაც არ აღმოჩნდა ერთურეროვანი. ახლა უკვე საჭირო გახდა გაგვეთვალისწინებინა სხვა ფაქტორები: პაპა-ბებიების ეროვნება, მშობლების განათლების დონე, შიდასაოჯახო ურთიერთობის ენა. თითოეული ახალი ფაქტორი, თავის მხრივ, ცვლის ორენოვანი სიტუაციის ხასიათს და გავლენის შედეგებიც განსხვავებულია. ორენვან სიტუაციათა ეს განსაკუთრებული მრავალფეროვნება წარმოადგენს სწორედ არსებით ნიშანს თუშურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის თანამედროვე საფეხურისთვის.

ცხადია, მშობლიური ენა ყველაზე უკეთ იმ მოსწავლეთა შეტყველებაშია დაცული, ვისაც წოვათუში ჰყავს მშობლები, წოვათუშები არიან პაპა-ბებიებიც, მშობლებს არა აქვთ უმაღლესი განათლება და ოჯახში ურთიერთობის ენადაც წოვათუშურია გამოყენებული, მაგრამ ასეთი ოჯახების რიცხვი უკვე ძალიან ცოტაა და დღითიდებე სულ უფრო შცირდება. ახალ თაობას, გარდა მშობლებისა, პაპა-ბებიაც ხშირად უმაღლესდამთავრებული ჰყავს; შიდასაოჯახო ურთიერთობების ენადაც სულ უფრო ფართო ვრცელდება ქართული. ზოგიერთ თემაზე მოსწავლეებს წოვათუშურად მეტყველება უჭირთ კიდეც. ამ თვალსაზრისით ხშირად მათთვის მშობლიური ენა ქართული უფროა, ვიდრე წოვათუშური.

ახალგაზრდათა მეტყველებაში, ისევე როგორც წინა ორი თაობის მეტყველებაში, სანი დამოუკიდებლობას ინარჩუნებს, მისი პოზიციები ვინისათვის შეუვალია. სამაგიეროდ ვინს აღარ გააჩნია ერგატივის დამოუკიდებელი ფორმანტის ფუნქცია, რადგან მის მაგივრად სანი უკვე თავისუფლად ფუნქციონირებს ნივთის კლასის თითქმის ყველა სახელთან. ერთი და იგივე ცდის პირი ნივთის კლასის ერთსა და იმავე სახელს ერგატივის ხან ერთ სუფიქსს მიუსადაგებს და ხანაც მეორეს, რაც სრულიად გაუცნობიერებლად ხდება. აშკარად იგრძნობა, რომ გ-ს, როგორც ერგატივის ნიშანს, ამ თაობის მეტყველებაში ტრადიციალა იცავს.

ახალგაზრდა ბილინგვთა შორის ერთეულები ზოგჯერ სწორად იცავენ მშობლიური ენის ვითარებას ერგატიული ბრუნვის სუფიქსთა განაწილების საკითხში, მაგრამ როგორც კი საუბარში თავს იჩენს ნივთის კლასის საგნის აღმნიშვნელი ისეთი ლექსებია, რომელიც ბილინგვს წოდათუშურ კონტექსტში სხვა დროს არ მოუსმენია, უკვე სანიანი ერგატივი ჩნდება. ეს გარემოება ცხადად მიუთითებს, რომ ამ თაობის ენობრივ ცნობიერებაში ერგატივის წყვილი მორთებიდან სუფიქსი ს დომინირებს.

ორენოვნების ამ საფეხურზე განსაკუთრებულ როლს ასრულებს უცხო ენის ცოდნის დონე. ეს უკანასკნელი ჩრდილოვს სიხშირის ფაქტორის მოქმედებასაც კი. ამიტომა, რომ ახალგაზრდა თაობის ცალკეულ ბილინგვთა ენაში სანიანი ერგატივის ფორმით შეიძლება შეგვევდეს უსულო საგნის თითქმის ყველა სახელი თვით ყველაზე აქტიური ფონდის ბირთვიდანაც კი, რაც გამორიცხული იყო უფროსი და საშუალო ასაკის წოდა-თუშთა მეტყველებაში.

დავიმოწმებთ ასეთ წინადადებებს:

შუ ფჲარა-ს კერძოდიენსრ - „თქვენია ძაღლშა შემაშინა“.

თხე დონე-ს ოუღრი ხეტიე<sup>6</sup> - „ჩვენმა ცხენმა აღვირები დაწყეოტა“.

ოჯარ ათა-ს ლაპაზურ ას დიე<sup>6</sup> - „იმათმა ძროხაშ ლაპაზი ხბო მოიგო“.

ფსარე თხე კაი-ს ბურკი დიხკე<sup>6</sup> - „გუშინ ჩვენმა ღორშა ბურვაკები დაყარა“.

იცხ კოტი-ს დახქერჩ ცო ღეცოდო - „მაგ კატამ თაგვებს არ იჭერს“.

წყარო ენის გათავისება მშობლიური ენის დონეზე, რასაც კოდიდან კოდზე გადართვის სულ უფრო შზარდი სიხშირე იწვევს, არღვევს მსესხებელი ენის ყოველგვარ ტრადიციას მოცემულ საკითხში. ქართულისებურ ერთიან ყალიბში ექცევა ერგატივის ფორმათა ყველა სახის ჯერ კიდევ არსებული გამონაკლისი. მხედველობაში გვაქს ის გარემოება, რომ სანიანი ერგატივის ფორმით შეიძლება შევხვდეთ უკვე გონიერთა კლასის იმ სახელებსაც კი, რომლებიც წინა თაობათა მეტყველებაში ტრადიციულად ვინით იხმარებოდა. მხედველობაში გვაქს ასეთი მაგალითები:

მეზობლა სტაკო-ს დოს ქეკოდო - „მეზობლის კაცია შეშას ჭრის“.

ცჰანი მაჭო-ს კითხოდორაჭრ - „ერთმა გოგომ გკითხულობდა“.

ოჯუდ მარა-ს ჰუნახ ჩა ბჭევი<sup>6</sup> - „იმისმა ქმარმა ტყეში დათვი მოკლა“.

ჰე გაჭო-ს ამბუდ მუდში დეცენტო<sup>6</sup> - „შენმა ბიჭმა ამბავი ცუდად მოგიტანა“.

გუბ ღევოდო ი ფსუტუნჩო-ს - „რას ამბობს ამ ქალმა“.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ორენოვნების ამ საფეხურზე ახალგაზრდა თაობის შეტყველებაში სუფიქსმა ს-მ თითქმის მთლიანად მოიცვა გ-ს სამოქმედო არე.

მართალია, სანი ვინის ადგილას ჯერ მხოლოდ პარალელურ გამოყენებაშია, მაგრამ მრავლისმთქმელია, რომ ვინიანი ერგატივი ხშირ შემთხვევაში არქაულ, სტილიზებულ ხასიათს იძენს.

მოვლენათა განვითარების თვალსაზრისით პრინციპული წესებისაა ის გარემოება, რომ დღეს ახალგაზრდა ბილინგვთა მეტყველებაში აღარ გვხვდება სახელები, სადაც ერგატივს მხოლოდ გ გამოხატავს. ასეთ სახელთა ჯგუფი რეალური იყო როგორც უფროსი ისე მომდევნო თაობის მეტყველებაში, ახალგაზრდა თაობასთან კი იგი აღარ ფუნქციონირებს. ერგატივის ფორმანტთა დისტრიბუციის წესებში ეს ცვლილება ამ ჯგუფის წევრთა მორთულოვანური პარალელიზმების ჯგუფში თანდათანით გადანაცვლებით განხორციელდა. ერგატიული ბრუნვის ნიშანთა განაწილების თვალსაზრისით ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში გამოიყოფა სახელთა მხოლოდ ორი ჯგუფი, რომელთაც ქმნიან:

I. სახელები, სადაც ერგატივის ნიშანდ მხოლოდ ს ფუნქციონირებს და

II. სახელები, სადაც პარალელურად გამოიყენება ორივე სუფიქსი.

ორენოვნების მომდევნო საუკუნზე მოსალოდნელია უკვე დარჩენილი ორი ჯგუფის სახელთა გაერთიანება ერთ ჯგუფად, სადაც ყველა პოზიციას განუყოფლად დაიკავებს სუფიქსი ს.

ბილინგვთა ერთმეორის მომდევნო სამი სხვადასხვა თაობის მეტყველებაში ერგატიული ბრუნვის სუფიქსთა სამოქმედო არეების მიხედვით გამოიყოფილ სახელთა ჯგუფების რაოდენობრივი და შინაარსობრივი შებირისპირება ცხადყოფს, რომ წოვათუშურ ენაში დაჩქარებულად ვითარდება ამ ბრუნვის ერთსუფიქსიან სისტემაზე გადართვის პროცესი. ინტერუერენციის კანონობიერებათა თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ერგა-

ტივის ახალ, ერთსუფიქსიან სისტემაზე გადასვლა მოწყოლობი-  
ური პარალელიზმების გზით ხორციელდება, რაც ერთსა და იმავე  
სარეალიზაციო პოზიციაში ორი სხვადასხვა აუიქსის თავისუფალ  
მონაცემებისაში ვლინდება. საინტერესოა ამ პარალელურ ფორმა-  
თა გაერცელების დინამიკაცი: მონაცემლები ყველა სახელ-  
თან ერთბაშად არ ჩნდება. ისინი თავდაპირველად სპორადულ ხა-  
სიათს ატარებენ და მხოლოდ გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებს  
ესადაგებიან, მომდევნო საფეხურზე კი უცხო ენობრივი მოდელის  
შემდგომ მოძღვანებასთან ერთად ხდება ასეთი შინაარსობრივი დი-  
ფურენციაციის მოშლა. ამ დროს პარალელიზმები მთლიანად  
გრცელდება ნაკლები სიჩრიის სახელებზე, ბოლოს კი ყველა დაბ-  
რკოლებას ხსნის გავლენის ძალა და გრამატიკული ინოვაცია მოი-  
ცავს მთელ ლექსიკურ ფონდს.

თანამედროვე წოვათუმურ ენაში ფუნქციონირებადი გარ-  
კვეული ტიპის მოწყოლობიური პარალელიზმების სახით ჩვენს  
თვალწინაა ერგატიული ბრუნვის მიკროსისტემაში მომხდარი ინ-  
ტერფერენტული ინფაციის დასაწყისიც, განვითარების გზაც და  
მოახლოებული დასასრულის კონტურებიც, რაც საშუალებას  
გვაძლევს თვალი გაფადევნოთ მისი განვითარების საინტერესო  
პროცესს და შეაფასოთ მისი შედეგები, როგორც ბილინგვათა სა-  
მეტყველო ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების ენობრივი  
ასახვა.

ცხადია, რომ სახელთა ორსუფიქსიანი ერგატივის ერთსუ-  
ფიქსიანობაზე გადართვა სათანადო საგანთა განსხვავებული სო-  
ციალური ღირებულების მიხედვით დაპირისპირების მოშლას მოჰ-  
ყება.

## II. § 2. ინსტრუმენტალისი

ქართულ-წოდათუშური ენების სახელთა ბრუნებაში თვალ-საჩინო სხვაობას ქმნის ინსტრუმენტალისის ფორმათა წარმოებისა და დისტრიბუციის საკითხები. სხვადასხვა თაობის ბილინგვთა შეტყველებაზე დაკვირვება გვჩვენებს რომ ინტერტერენტული პროცესები მსესხებელი ენის მოცემულ მონაკვეთზე სწორედ აღნიშნული განსხვავებათა ნიველირების გზით მიემართება: სწორდება ინსტრუმენტალისის ფორმებში წყარო ენის მოდელთან შედარებით არსებული ყველა გადახრა.

ქართულში, რომლის ვითარებიდანაც ამოვდივართ შედარებისას, ინსტრუმენტალისი თავისთავადია, აქვს ყველა სახის ბრუნვისაგან განსხვავებული ფორმა და სინტაქსური დანიშნულება. როგორც წინა პარაგრაფში უკვე მივუთითეთ, სხვაგვარად დგას ინსტრუმენტალისის საკითხი წოდათუშური. აქ ეს ბრუნვა კარგად აქვთ გამოკვლეული ნივთის კლასის სახელებს, ადამიანის კლასის სახელებში კი შეზღუდული კონტექსტებით იფარგლება. თავისებურებას ვაწყდებით იმ მხრივაც, რომ ნივთის კლასის სახელებს ინსტრუმენტალისი საზიარო აქვთ ერგატივთან, რაც გრამატიკულ ომოფორმათა გრძელ რიგს წარმოქმნის.

ნივთის კლასის სახელთა ინსტრუმენტალისის წოდათუშურში აქვს კონტექსტთა ფართე, შეუზღუდავი არე: გამოხატავს საჭურვლისა და თანაობის უბრალო დამატებებს.

გვაძეს:

- ა) 1. სტაგ დონ-ე-ვ ვახე<sup>6</sup> ქალიქ.  
„გაცი ცხენით წავიდა ქალაქში“
2. მოლ ურმ-ე-ვ დაიჭინას ჩუ.  
„თივა ურმით მივიტანე შინ“.
3. სტაკ შინაც ბძარკ-ე-ვ ვათხერ.  
„კაცი ორივე თვალით ტიროდა“.

4. გუმაც სად ბრძოლის ნიღბადინას.
- „ყველათერი ჩემი თვალით ვიხილე“.
5. დაშავ თატენო დოკ ჰალო მნელათ დენლა.
- „სიტყვით დაკოდილი გული მნელად მორჩება“.
- ბ) 1. დეთ შერ ასევ ბოხეა ბიკითინას.
- „ძროხა თავის ხბოთი (ხბოიანად) გასაყიდად გავატანე“.
2. დო თადლზი-ვ კმატმაქა თასბალი.
- „ცხენი ხურჯინით (ხურჯინიანად) კლდეზე გადავარდა“.
3. ჟელრენ ჩუხ-ო-ვ-აც ატევ წალი.
- „ცხვარი კრავანად ნადირშ შეჭამა“.
4. კრუხ შერ წიწლი-ვ საქათმე დშეპდინას.
- „კრუხი თავისი წიწლებით (წიწლებიანად) საქათმეში დავამწყვდიე“.
5. სათვალი შერ ბენ-ე-ვ დაჭ დავდინას.
- „სათვალე თავისი ბუდით (ბუდიანად) დავკარგე“.
- მაგალითები ცხადყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში გრამატიკულ კონტექსტთა იგივეობა გვაქვს წყაროსა და მსესხე-ბელ ენებს შორის, მაგრამ სინამდვილეში ეს მსგავსება მხოლოდ ნაწილობრივია. საქმე იმაშია, რომ ნივთის კლასის სახელებთან იგივე ფორმანტი ვ აწარმოებს ერგატივსაც. როგორც ცნობილია, ერგატიულ ბრუნვას შეიძლება პქონდეს საკუთარი, მხოლოდ მის-თვის განკუთხილი ფორმა სახელისა, ან კიდევ შეიძლება სხვა ბრუნვასთან საზიარო ფორმით იყოს წარმოდგენილი (ჩიქობავა, 1942, 37). სწორედ ასეთი ვითარება დასტურდება წოგათუშური ენის ნივთის კლასის სახელებთან, სადაც ერგატივი და ინსტრუ-მენტალისი გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა.

ამრიგად, ნივთის კლასის სახელთა ინსტრუმენტალისსა და ერგატივს წოგათუშურში ფორმა ერთი აქვს, ფუნქცია კი სხვადას-ხვა. დამთხვევა აბსოლიტურია და ომოფორმათა გარჩევის ერთა-

დერთ საშუალებას კონტექსტი წარმოადგენს: ვინაანი ფორმა ერგატიფს გამოხატავს, როცა წინადაღებაში სხვა ქვემდებარებული არა გვაქვს, და პირიქით - საპირისპირო შემთხვევაში საქმე გვაქს ინსტრუმენტალისთან.

შდრ::

ა) ერგატიფი:

1. **თოფე-ვ** ბადრი ზორადში კერლდიე<sup>6</sup>.

„თოფმა ბავშვები ძალიან შეაშინა“.

2. **დონე-ვ** ფუჩები ჩამლიშ ჭალდი<sup>6</sup>.

„ცხენმა ფუჩები გემრიელად შეჭაპა“.

ბ) ინსტრუმენტალისი:

1. მეზობლეს **თოფე-ვ** ბადრი ზორადში კერლდიე<sup>6</sup>.

„მეზობელმა თოფით ბავშვები ძალიან შეაშინა“.

2. **დაღას დონე-ვ** ფუჩები დეცე<sup>6</sup>.

„მამაშ ცხენით ფუჩები მოიტანა“.

მკვლევართა აზრები ერთმანეთს ემთხვევა იმის შესახებ, რომ ეს მორფოლოგიური ომონიმია მეორეულია და თავდაპირველად საკვლევ ფორმებს მხოლოდ ინსტრუმენტალისის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ ეს ისტორიაა საკითხისა, რაც ინტერფერენციისათვის მნიშვნელობას მოკლებულია. ამჯერად ყველაფერს წყვეტს სინქრონული ვითარება, რომელიც თავისებურია და შეუთავსებელი წყარო ენის ნორმებთან.

უცხოენობრივი გავლენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ომოფორმები დაგიწყებას ეძლევა, უფრო სწორედ, ხდება მათი ფუნქციური დაშლა-დანაწერება. ისინი დღემდე მყარად შემორჩა მხოლოდ ბილინგვთა უფროსი თაობის მეტყველებას, საშუალო და უმცროსი თაობის მეტყველებაში კი ნიშანდობლივი გახდა მათი ძირითადად ერთი - ინსტრუმენტალისის ფუნქციით დატვირთვა. ცვლილება ხორციელდება გინი-

ანი ერგატიფის ადგილას სანიანი ფორმების ჩანაცვლებით, რის შესახებაც სხვა საკითხთან დაკავშირებით ვრცლად ვისაუბრეთ წინა პარაგრაფზე. ასეთი მთლიანი ჩანაცვლების შემდეგ ნივთის კლასის სახელთა ვინიანი ფორმები ერთოუნქციური გახდება და საკვლევი ბრუნვის მოდელიც უკვე მთლიანად დაემთხვევა ქართულს.

ამ გზით ინტერფერენციის თანამედროვე საფუძულზე ნივთის კლასის სახელთა ერგატივ-ინსტრუმენტალისის ამოსავალი ორწევრიანი კორელაცია სამწევრიანით შეიცვალა, გაჩნდა ერგატივის საპაპროცესო ფორმათა თავისებური არჩევანის შესაძლებლობა. კერძოდ:

ა) გვერდა:

1. ერგატივი - გ : დონ-ე-ვ „ცხენდა“
  2. ინსტრუმენტალისი - გ : დონ-ე-ვ „ცხენით“

8) გვაქვს:

2. ინსტრუმენტალისტი - გ : დონ-ე-ე აკენით “

ერგატიების აღნიშნულ წყვილებში ვინაინ ფორმათა ბედი წინასწარ გადაწყვეტილია: თუ რაიმე ახალი ექსტრალინგვისტური ფაქტორის წყალობით მაღე არ შეიცვალა ორენოვანი სიტუაცია, დროთა სკლაში ისინი მთლიანად დაუთმობენ ადგილს სანიან ერგატიებს. ამის მომასწავებელია მათვან ტოლთასოვანი პარალელური სანიანი დუბლერზების შეძენა.

ამრიგად, ნივთის კლასის სახელთა ტრადიციული ვინიანი ერგატივის პარალელურობად სანიანი ფორმების გამოყენებით დაწყებული პროცესი ამ უკანასკნელის გაბატონებით დამთავრდება: ერგატივის ნიშნად ფორმანტი ს განხოგადდება უკვე ნებისმიერი კლასის სახელთან. აღნიშნული ფორმანტის ასეთი განხოგადებით

ერთდროულად გასწორდება წოვათუშური ენის ორი გრამატიკული შეუსაბამობა წყარო ენის მოღელთან:

ა) ერთნიშნად იქცევა ყოფილი ორნიშნა სისტემა ადამიანისა და ნივთის კლასების სახელთა ერგატივისა;

ბ) დაიშლება ნივთის კლასის სახელთა ერგატივ-ინსტრუმენტალისის ტრადიციული საერთო გ სუფიქსიანი ომოფონმები.

აღნიშნული პროცესი წოვათუშური ენის სახელთა ბრუნების ტრანსფორმაციისა სამი ერთმანეთის მომდევნო საფეხურის სახით წარმოგვიდგება, რომელთაც ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით ძველი, ახალი და უახლესი შეიძლება ვუწოდოთ:

ა) ძველი                  ბ) ახალი                  გ) უახლესი

სახ.	- Ø	- Ø	- Ø
ერგ.	- ს, გ	- ს, - გ / /ს	- ს
ნათ.	- ო	- ო	- ო
მიც. I	- ნ	- ნ	- ნ
მიც. II	- გო	- გო	- გო
მიც. III	- გო	- გო	- გო
მიც. IV	- ხ	- ხ	- ხ
ინსტრ.	- გ	- გ	- გ
გარდ.	- ღ	- ღ	- ღ


მას შემდეგ, რაც ბილინგვთა მეტყველებაში საბოლოოდ გაბატონდება ბრუნების უახლესი სახე, ანუ ბოლომდე განვითარდება სანიანი ერგატივის უნიფიგურის პროცესი, ინსტრუმენტალისი მთლიანად გაემიჯნება ამ ბრუნვას, როგორც დამოუკიდებელი მორთულობების დამოუკიდებელი ფორმანტითა და ფუნქციებით.

თუ ტრადიციულად მხოლოდ ადამიანის კლასის სახელებთან გვქონდა ფორმობრივი სხვადასხვაობა ერგატივ-ინსტრუმენტალისისა, მოსალოდნელ ცვლილებათა შემდეგ დაპირისპირება

შეეხება ყველანაირ სახელს. ამით მთლიანად წაიშლება ბრუნების პარადიგმებში დღემდე შემორჩენილი კლასკატეგორიის ყოველ-გვარი კვალი, ეს იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხასიათის სისტემური ცვლილება, რასაც წოვათუშური ენა დაქვემდებარება ქართულის გავლენით.

ქართულის გავლენა წოდათუშურის ინსტუმენტალისზე  
მარტო მისი მორფოლოგიური ინვენტარის ნასესხებ სქემაზე აწ-  
ყობით არ დამთავრებულა, ცყლილება მოხდა მოცემული ბრუნვის  
სინტაქსურ ფუნქციებშიც - გაფართოება დაიწყო იმ კონტექ-  
სტებშა, სადაც ადამიანის კლასის სახელები ამ ბრუნვის ფორმით  
რეალიზდება. თუ აქამდე სუფიქსი ვინი ადამიანის კლასის სახე-  
ლებთან მხოლოდ თანაობას აღნიშნავდა, ახლა იგივე ფორმანტი  
იმავე სახელებთან საჭურვლის უბრალო დამატებასაც გამოხა-  
ტავს.

ადამიანის კლასის სახელთა თანაობის ვინიანი ფორმები გრულად განვიხილეთ მოცემული ნაშრომის წინა პარაგრაფში, რის გამოც ახლა მხოლოდ საჭურვლის უბრალო დამატებას შევეხებით. საჭურვლის უბრალო დამატება, რომელიც ბუნებრივია და ფართოდ გავრცელებული ნივთის კლასის სახელებთან, გასაგები მიზეზების გამო საკმაოდ შეზღუდულია ადამიანის კლასის სახელებთან თვითონ ქართულ მიც: სინგაქსურ წყვილებს იგი მხოლოდ გარკვეული სემანტიკის ზმნებთან ქმნის, რომოცაცა მაგალითად:



გამოყენების ანალიზიური ვიწრო მასშტაბებით ხასიათ-დება სათანადო ფორმაში წარმოდგენილი აღმიანის კლასის სახე-

ლები წოდათუშურშიც. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული კონსტრუქციის გამოხატვის თვალსაზრისით გასხვავებას გაწყდებით ბილინგვთა უფროსი და მომდევნო თაობების მეტყველებაში. ასეთი ფუნქციით უფროსი თაობა მრავალთანდებულიან ფორმებს იყენებს. მათს მეტყველებაში საკუთხით ბუნებრივია:

1. შერ ზორავარ გაშ-ე-გო-რქ-და და ი დაპგო დაკო<sup>ნ</sup> დოკ.  
„თავისი ყოჩალი ძმა-ს-თან-იდან (ძმით) აქვს ამ გოგოს დიდი გული“.

2. მოწაფი წინჩრ უჩიტლ-ე-გო-რქ-და კმაყუმფული და.  
„მოსწავლეები ახალი მასწავლებლ-ს-თან-იდან (მასწავლებლით) კმაყოფილები არიან“.

3. აბრამ შერ გაჭ-გო-რქ-და ზორავარ ვიწ-ვაკო ვა.  
„აბრამი თავისი ბიჭ-ს-თან-იდან (ბიჭით) ძალიან ამაყი არის“.

ასე გრძელდება ძირითადად დღემდე უფროსი თაობის მეტყველება, ახალგაზრდების ენა კი საკუთხის კალკებით. აქ უკვე ბუნებრივია ახალი კონსტრუქცია.

1. შერ ზორავარ გაშ-ე-გ და ი დაპგო დაკო<sup>ნ</sup> დოკ.  
„თავისი ყოჩალი ძმ-ით აქვს ამ გოგოს დიდი გული“.

2. მოწაფი წინჩრ უჩიტლ-ე-გ კმაყუმფული და.  
„მოსწავლეები ახალი მასწავლებლ-ით კმაყოფილები არიან“.

3. აბრამ შერ გაჭო-გ ზორავარ ვიწ-ვაკო ვა.  
„აბრამი თავისი ბიჭით ძალიან ამაყი არის“.

გასაგებია, რომ თანაობის უბრალო დამატების დასახელებული ვარიანტებიდან დროის გამოცდას გაუძლებს ის, რომელიც თავისი აგებულებით ახლოდ ქართულთან; ინტერტერენტული და-კარგვის პროცესში გარკვეულ როლს ითამაშებს არქაული ფორმების შედარებითი სირთულეც.

ინტერვერენტულ პროცესთა ბუნების თვალსაზრისით სა-ინტერესოა ის გარემოება, რომ წყარო ენის გაფლენით წოვათუ-შური ენის ინსტრუმენტალისის კონსტრუქციებს ცვლილება შეე-ხო მარტო მხოლობითი რიცხვის ფორმებში, მრავლობითი კი ამ მხრივ ხელუხლებელი დარჩა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოე-ბა, რომ ბრუნების მოდელი არც აქ ემთხვევა ბოლომდე ქართული-სას, რაკი ყველანაირი სახელისათვის ინსტრუმენტალისის ფორმა ერგატივისას ემთხვევა. ასეთი ვითარება უსასრულო რაოდენობის ომფორმებს წარმოქმნის, რომელთა გარჩევა მხოლოდ კონტექ-სტით ხერხდება. შედრ..:

ა) ადამიანის კლასის სახელები:

სახ.	ნან-ი „დედები“	ბადრ-ი „ბაჟშები“
------	----------------	------------------

ერგ.	ნან-ი-ვ	ბადრ-ი-ვ
------	---------	----------

ინსტრ.	ნან-ი-ვ	ბადრ-ი-ვ
--------	---------	----------

ბ) ნივთის კლასის სახელები:

სახ.	ნეპ-ი „დანები“	ქოთმ-ი „ქათმები“
------	----------------	------------------

ერგ.	ნეპ-ი-ვ	ქოთმ-ი-ვ
------	---------	----------

ინსტრ.	ნეპ-ი-ვ	ქოთმ-ი-ვ
--------	---------	----------

ერთადერთი სიახლე, რაც იდეალური ბილინგვიზმის პირო-ბებში აქ დაფიქსირდა, არის საჭურვლის უბრალო დამატების მრა-ვალთანდებულიანი კონსტრუქციის შეცვლა ქართულისტური მარტივი წარმოების ფორმებით ანალოგიურიად იმისა, როგორც ეს მოხდა მხოლობითში. რაც შეეხება ბრუნების პარადიგმას თავისი ომფორმებით, იგი დღემდე უცვლელია.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ინტერვერენტიის საკითხთა ცნობილი მკვლევარის უ. ვაინრაიხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „მჭიდრო კონტაქტების დროს წყარო ენის გაფლენის საფუძ-ვლიან ცვლილებას განიცდის მსესხებელი ენა, მაგრამ ამ ენებს შორის არსებული ყველა შეუსაბამობა როდი იქცევა გარდაქმნის

ობიექტად (ვაინორისი, 1972, 35). ამ მოსაზრებას ბოლომდე ვერ ვიზიარებთ, რადგან მსგავსი სიტუაციების შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ მრავლობითის ერგატივ-ინსტრუმენტალისის საზრისო ფორმათა უცვლელად დატოვება შემთხვევითი არაა. როგორც ჩანს, ორენოვნების მომდევნო საფეხურებზე სწორედ ეს უკანასკნელი დაღვება დღის წესრიგში, როგორც ინტერფერენტულ პროცესთა სამოქმედო ობიექტი.

დაყოვნების მიზეზი რამდენიმე გარემოება უნდა იყოს:

ა) მხოლობით რიცხვში ნივთის კლასის სახელთა ერგატივ-ინსტრუმენტალისის ომოფორმებს ფონად ჰქონდა ადამიანის კლასის სახელთა დაცალკევებული ფორმები იმავე ბრუნვებისა, მრავლობითში კი ყველა სახელი ერთი წესით იბრუნვის და ასეთი ქვეცნობიერი შეპარისპირება აღარ ხდება.

ბ) ყველაზე მთავარი კი, აღბათ, მაინც ის უნდა იყოს, რომ შეუძლებელი ჩანს ერთდროულად დაექცევდებაროს ინოვაციას ერთი და იმავე მიკროსისტემის ყველა განმასხვავებული რგოლი, რადგან ასეთ შემთხვევაში ენა შეიძლება ბუნდოვანი გახდეს, როგორც კომუნიკაციის საშუალება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეულ ცვლილებებს უკვე შეისისხლხორცებს იგი, დასაბამი ეძლება ახალ გარდაქმნებს. ამ მხრივ მიკროსისტემა ენისა მისავე მაკროსისტემას მოგვაგონებს.

გ) ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ჩანს ის გარემოებაც, რომ წყაროსა და მსესხებელ ენათა ინტერფერენტული გაერთმნიშვნელიანების პროცესი მათ შორის არსებულ განსხვავებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მოშლით იწყება.

უ. ვაინორისისაგან განსხვავებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ, თუ ქართულ-წოვათუშური ორენოვნება ბოლომდე გაგრძელდება და რომელიმე ეტაპზე ნააღრევად არ მოხდება წყარო ენაზე ბილინგვთა სრული გადართვა, მაშინ მსესხებელ ენაში არსებული ყველა

განსხვავება ინტერიურენციის ობიექტი გახდება თანდათანობით და საფეხურებრივად. ირკვევა, რომ ენის დრეკადობას, ანუ შემგუებლობას, ინოვაციათა მიმართ გარკვეული ზღვარი აქვს, რის გამოც დაუშვებელია ყველა შესაძლო ცვლილება ერთდროულად განხორციელდეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკვე დამკვიდრდება, ანუ დრეკადობის ზონიდან გამოვა გარკვეული რეალიები, როგორც ენისაგან უკვე გათავისებულია, ინტერიურენციის პროცესებში ჩაერთვება ახალი. ზღვარი აქ, ცხადია, არ შეიძლება მკვეთრი იყოს.

ცალკეული მიკროსისტემა გარდაქმნათა მიმართ ისე იქცევა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და გათვლაც ცვალებადი და უცვლელი ნაწილებისა ერთი მიკროსისტემის ფარგლებში ხდება. სწორედ ამიტომ ხერხდება ენაში ერთდროულად გაჩნდეს ინტერიურენციის ბევრი დამოუკიდებელი კერა.

## II. § 3. ბრუნვის ფუძეთა სხვადასხვაობა

წოვათუშური ენის სახელთა ბრუნვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას გარკვეული ჯგუფის სახელთა ორფუძიანობა წარმოადგენს. ბრუნვის პარადიგმებში ჩართულია ერთი და იმავე სახელის ორი ფუძე: ერთი – სახელობითისა და მეორე – ნათესაობითისა. თითოეული მათგანი წარმოადგენს საყრდენს გარკვეული ბრუნვებისათვის: სახელობითის ფუძეს ეყრდნობა ადამიანის კლასის სახელთა ერგატივი, ნათესაობითისას კი – ორივე კლასის სახელთა მიცემითი, ინსტრუმენტალისი და საკუთრივ ნივთის კლასის სახელთა ერგატივი (ამის შესახებ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოწვლილობით მოგვიწია მსჯელობა ზემოთ, რის გამოც აქ მხოლოდ ფაქტზე მიუუთითებთ).

აღნიშნული ორფუძიანობის დროს ბაზისური ფუძე უცვლელი რჩება და სხვაობას ქმნის მხოლოდ ამ ფუძეზე დართულ-შეხორცებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტისეული ხმოვნითი ელემენტი. ამ შემთხვევაში სხვაობა პერიფერიული ხასიათისაა და არ ეხება ამოსავალ ფუძეს, რის გამოც იგი ნაკლებ თვალსაჩინოა და ჯერჯერობით ინტერფერენტულ პროცესთა მიღმა რჩება. სამაგიეროდ სერიოზული გავლენის ობიექტი გახდა სხვა სახის ორფუძიანობა წოვათუშურისა. საქმე იმაშია რომ, გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად ზოგიერთი სახელის სახელობითი ბრუნვის ფუძე მნიშვნელოვნად განსხვავებული აღმოჩნდა დანარჩენ ბრუნვათა ფუძისაგან.

მართალია, სხვაობას ამჯერადაც ერთი ხმოვანი ქმნის, მაგრამ, რადგან ეს ხმოვანი აქ ფუძისეულია და ფუძეთა სიგრძე უპირატესად ერთი მარცვლით განიზომება, ერთადერთი ფუძისეული ხმოვნის შეცვლა უდიდეს მნიშვნელობას იძენს და თვალში საცემი ხდება. გარდაქმნის შედეგად ფუძე შეცვლილია მარტო

მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვაში, სხვაგან კი ყველგან ამოსავალი სახითაა დაცული.

ამ გზით სახელობითი ბრუნვის ფუძე დაუპირისპირდა მხოლობითი რიცხვის დანარჩენი ბრუნვებისა და მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვის ფუძეს. ამოსავალ ფუძეში ყველა საანალიზო ლექსემა ა ხმოვანს შეიცავს, ცვლილების შედეგი კი სხვადასხვანაირია: ა-ს მონაცემლედ გვაძეს **თ**, **უ**, **ე** და **ი** ხმოვნები. ასეთი ორფუძძიანი სახელების რიცხვი საკმაოდ დიდია. მათ შორის ყველაზე ხშირად ფუძისეულ **ა-ს თ** ხმოვანი ენაცვლება, სხვები კი შედარებით ნაკლებად გვხვდება. თვალსაჩინოებისათვის დავიძოწმებთ ასეთი ფუძემონაცვლე სახელების ორი ბრუნვის – სახელობითისა და ერგატივის ფორმებს:

გვაძეს:

1. ხმოვანმონაცვლეობა **ა → თ**:

ერგ. ბჟორწავ, სახ. ბჭ თრუ (მგელი);<sup>\*</sup>\* დაკავ – დოკ (გული); დასავ – დოს (შეშა); მახვავ – მოხვ (ფილი, დედამიწა); მაწავ – მოწ (თაფლი); მატავ – მოტ (ენა); ბასავ – ბოს (ფერი); დაშავ – დოშ (სიტყვა); მავავ – მოვ (სიმღერა); მახავ – მოხ (ქარი); ბათხავ – ბოთხ (საქმე); მათავ – მოთ (ადგილი, ლოგინი); დახვავ – დოხვ (ლრუბელი);

ჭაჭავ – ჭოჭ (პირი);

2. ხმოვანმონაცვლეობა **ა → უ**:

ერგ. ბათავ, სახ. ბუთ (მთვარე, თვე); ბაცავ – ბუც (ბალახი); ფჭარავ – ფჭუ (ბაღლი); ფსტარავ – ფსტუ (ხარი); ნასივ – ნუს (რძალი);

3. ხმოვანმონაცვლეობა **ა → ე**:

\* მაგალითებს ჯერ ერგატივის ფორმით გასახელებთ, რადგან აქა დაცული სახელის ამოსავალი ფუძე, შეძლებ კი მოსდევს სახელობითი.

ერგ. წარა-ვ - სახ. წე (სახელი, ცეცხლი); კაჭარ-ვ - კეჭ (მატყლი);

4. ხმოვანმონაცვლეობა **ა → ი:**

ერგ. ნაყა-ვ - სახ. ნიყ (გზა); აშარ-ვ - იშ (ხმა); ნატარ-ვ - ნიტ (ჭინჭარი);

აღნიშნული ხმოვანმონაცვლეობის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, რომ იგი სამსაგე ნახურ ენაში დასტურდება და ფუძე ენის კუთვნილებას წარმოადგენს. რაც შეეხება მის ბუნებას, ეს მოვლენა მთელი შტოს მასშტაბით შესწავლილია აქეს აკად. ი. დეშერივის. აღნიშნულ მონაცვლეობას მკვდევარი აბლაუტით ხსნის, რომელიც ძლიერი დინამიკური მახვილის გავლენას უნდა გამოეწვია. მისი აზრით, ა-ს ადგილას თ და უ ხმოვნების წარმოჩენა ლაბიალური აბლაუტის შედეგია, ე და ი კი პალატალურ აბლაუტს უნდა მოეცა. პირველ შემთხვევაში განხორციელდა ფუძის აუსლაუტში მდგარი საგარაულო ლაბიალური თანხმოვნის, ან კიდევ უმარცვლო უ-ს დელაბიალიზაცია და ლაბიალიზაციის ელემენტის ეპენთეზის ძირებით ხმოვანთან, მეორე შემთხვევაში კი გადაინაცვლა და გავლენა იქონია ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტისეულმა ი-მ (დეშერივი, 1963, 348-52).

პრობლემა რთულია, რადგან საქმე გვაქვს შორეული ეპოქის ფონოლოგიურ ცვლილებათა შედეგთან. დასაზუსტებელია და სადაც მასთან დაკავშირებული რიგი საკითხი. ჩვენი აზრით, გაუმართლებელია სახელობითში მომხდარი ცვლილების ახსნა ნათესაობითის ნიშნის გავლენით, მაშინ როდესაც თვითონ ნათესაობითში ფუძე უცვლელი სახითაა დაცული. მაგრამ ამჯერად ეს არაა ჩვენთვის არსებითი, რადგან ინტერფერენცული პროცესებისათვის მნიშვნელობას მოკლებულია გრამატიკული მოვლენის გენეზისი, არსებითია შხოლოდ სინქრონიულ ჭრილში ფიქსირებული

სხვადასხვაობა. ამ რიგის სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე სწორედ ორთუქმიანობის მოცემულ შემთხვევაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული ორთუქმიანობა წოვათუშური ენისა ინტერფერენტულ პროცესთა აქტიური ზემოქმედების ობიექტად იქცა, დაიწყო ერთი ფუძის განზოგადება. საინტერესოა ამ მხრივ, რომ განზოგადებას იწყებს სახელობითის ფუძე და არა მეორე ფუძე, რომელსაც ეყრდნობა მხოლობითი რიცხვის მთლიანი დანარჩენი პარადიგმა და აგრეთვე მრავლობითი. თითქოს მოსალოდნელი იყო სწორედ ამ უკანასკნელის განზოგადება, რადგან ის ფუნქციონირებს ყველგან, გარდა სახელობითისა, გენეზისას თვალსაზრისითაც ისაა სწორედ პირვანდელი. არჩევანისათვის ამჯერად გადამწყვეტი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ სახელდება საგნისა თუ მოვლენისა სწორედ სახელობითის ფორმით ხდება. სახელობითი ბრუნვის ფორმაა საგნის სახელი და სხვა ბრუნვებშიც ის უნდა ფიგურირებდეს, როგორც ამას გვკარნახობს ბრუნვების ქართული მოდელი.

ორთუქმიანი პარადიგმების რღვევა დიდი ხნის დაწყებული არა ჩანს, რადგან ერთმანეთის გვერდით შემონახულია სამი სხვადასხვა საფეხურის მასალა. ირკვევა, რომ ტრადიციის რღვევის პროცესი მხოლობითის პარადიგმებში დაიწყო, მრავლობითი კი გარკვეული ხნით უცვლელი დარჩა. ამას გვაუიქრებინებს რიგი სახელი, სადაც მხოლობითში ბოლომდეა უკვე ერთი ფუძე განზოგადებული, მრავლობითს კი კვლავ მეორე ფუძე შემორჩა. ამ გზით შეიქმნა ახალი ტიპის ორთუქმიანობა: თუ აქამდე ერთმანეთს უპირატესირდებოდა მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვისა და ორივე რიცხვის ყველა დანარჩენი ბრუნვის ფუძეები, აღნიშნული ინოვაციის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდა მხოლობითისა და მრავლობითის პარადიგმები.

ამ რიგის ორთუქმიანობა, ანუ დაპირისპირება მხოლობით-მრავლობითს ფუქებისა შემოგვრჩა გარკვეულ სახელებში.

მაგალითად:

მხ. რიცხვი, სახ. ბრუნვა: – თურ „ხმალი – მრავლ. რიცხვი,  
სახ. ბრუნვა: თარ-ბი „ხმლები“, ბუყ „ცხოველის წელი“ – ბაყ-ბი,  
ღრუტ „ჭუჭრუტანა“ – ღრატ-ბი, მუღ „კუდი“ – მაღუ-ღრ, ღიკ  
„ცული“ – დაკუ-ღრ, გუმ „ნიგოზი“ – ტამუ-ღრ, ნიყ „გზა“ – ნაყ-იშ,  
ღიბ „საქსოვი დაზგის ნაწილი“ – ღაბუ-ღრ....

მოცემული ორთუქმიანი სახელების მრავლობითის პარა-  
დიგმებში შეორე ფუქმის შედარებით ხანგრძლივ შემონახვას,  
ვფიქრობთ, ტრადიციასთან ერთად გარკვეულ წილად ხელი შეუწ-  
ყო მათი წარმოების სირთულემაც. წოგათუშურში სახელთა მრავ-  
ლობითობის ბევრი სუფიქსი გვაქვს და ეს სუფიქსები ყველა  
ბრუნვას გასდევს, რის გამოც ხშირ შემთხვევაში მოხდა მათი თა-  
ვისუბური შეხორცება ფუქმებთან (ამაზე დაწერილებით იხ. მომ-  
დევნო პარაგრაფში) ფუქმის ბგერითი შედგენილობის შეცვლას,  
ჩვეულებრივ, მრავლობითობის ფორმანტის შეცვლაც უნდა მოპ-  
ყვეს, რაც გარკვეულ სიმნილეებთანა დაკავშირებული და აბრკო-  
ლებს ინტერთურერენტულ პროცესს.

როგორც მოსალოდნელი იყო, იდეალურმა ბილინგვიზმა  
მოხსნა მრავლობითის ფორმებთან დაკავშირებული ეს დაბრკო-  
ლებაც, რის გამოც დღეს უპვე ქართული ენის მზარდი ზეგავლე-  
ნით ერთთუქმიანობის პრინციპით თანაბრად იწყებს გავრცელებას  
ორსავე რიცხვში. საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გა-  
რემოებაც, რომ ერთთუქმიანობაზე ახლად გადასულ სახელებში  
მრავლობითის ერთი ყველაზე მარტივი ფორმანტი იწყებს განზო-  
გადებას, როთაც მთლიან გაბატონებას იწყებს ბრუნვების ქართული  
მოდელი.

აღნიშნული გზით გარკვეული ჯგუფის სახელთა ტრადიციულ თრთულიან ბრუნებას მორთულოვაიური პარალელიზმის სახით გვერდში ამოუდგა ჭერ ახალი ტიპის თრთულიანი ბრუნება, ბოლოს კი - უახლესი ტიპის ერთოფულიანი ბრუნება. ასეთი ერთოფულიანი ბრუნების პარალელური პარადიგმები აქვთ უკვე გარკვეულ სახელებს, როგორიცაა მაგალითად:

ნიკ - „გზა“, დიკ - „ცულია“, ჰიკ - „სახელური ტაფიას“, ღრუტ - „ჭუჭრუტანა“, ბშარწუ - „მგელი“, მოხკ - „ფილი“, დოკ - „გული“, დოხკ - „ღრუბელი“...

წარმოვადგენთ თრთულიან სახელთა ბრუნების სამივე ტიპის ნიმუშებს:

## | ტიპი

მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნების ფუძე დაპირისპირებულია ყველა დანარჩენ ბრუნებასთან მხოლობითი და მრავლობითი რიცხვისა.

### ა) მხოლობითი რიცხვი

სახ.	ბშარწუ „მგელი“	დოკ „გულია“
ერგ.	ბშარწუა-ვ	დაკა-ვ
ნათ.	ბშარწუ-ძ	დაკა-ძ
მიც. I	ბშარწუა-ნ	დაკა-ნ
მიც. II	ბშარწუ-გო	დაკ-გო
მიც. III	ბშარწუა-გრ	დაკა-გრ
მიც. IV	ბშარწუა-ხ	დაკა-ხ
ინსტრ.	ბშარწუა-ვ	დაკა-ვ
გარდ.	ბშარწუა-ლ	დაკა - ლ

### ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	ბშარწუ-ადლებ „მგლები“	დაკ-ძი „გულები“
ერგ.	ბშარწუ-ადლებ-ვ	დაკ-ძი-ვ

ნათ.	ბშარწ-ადლჩ-ა	დაკ-მ-ა
მიც. I	ბშარწ-ადლჩ-ნ	დაკ-მი-ნ
მიც. II	ბშარწ-ადლჩ-გო	დაკ-მი-გო
მიც. III	ბშარწ-ადლჩ-გრ	დაკ-მი-გრ
მიც. IV	ბშარწ-ადლჩა-ხ	დაკ-მა-ხ
ინსტრ.	ბშარწ-ადლჩ-გ	დაკ-მი-გ
გარდ.	ბშარწ-ადლჩ-ღ	დაკ-მი-ღ

## II ტიპი

მხოლობითის ყველა ბრუნვაში ერთი ფუძეა განზოგადებული, მრავლობითში კი – მეორე ფუძე.

ა) მხოლობითი რიცხვი:

სახ.	ბშორწ „მგელი“	თურ „ხმალი“
ერგ.	ბშორწ-ე-ვ	თურ-ე-ვ
ნათ.	ბშორწ-ე	თურ-ე
მიც. I	ბშორწ-ე-ნ	თურ-ე-ნ
მიც. II	ბშორწ-ე-გო	თურ-ე-გო
მიც. III	ბშორწ-ე-გრ	თურ-ე-გრ
მიც. IV	ბშორწ-ე-ხ	თურ-ე-ხ
ინსტრ.	ბშორწ-ე-გ	თურ-ე-გ
გარდ.	ბშორწ-ე-ღ	თურ-ე-ღ

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	ბშარწ-ადლჩ „მგლები“	თარ-ბი „ხმლები“
ერგ.	ბშარწ-ადლჩ-ე	თარ-ბი-ე
ნათ.	ბშარწ-ადლჩ-ა	თარ-ბი-ა
მიც. I	ბშარწ-ადლჩ-ნ	თარ-ბი-ნ
მიც. II	ბშარწ-ადლჩ-გო	თარ-ბი-გო
მიც. III	ბშარწ-ადლჩ-გრ	თარ-ბი-გრ
მიც. IV	ბშარწ-ადლჩა-ხ	თარ-ბი-ხ

ინსტრ.	ბშორწავლებ-ვ	თარ-ბი-ვ
გარდ.	ბშორწავლებ-ლ	თარ-ბი - ლ

### III ტიპი

ყველა ბრუნვასა და რიცხვში სახელობითის ერთი ფუძეა  
განხოგადებული

ა) მხოლობითი რიცხვი

სახ.	ბშორწ „გველი“	დოკ „გული“
ერგ.	ბშორწ-ე-ს	დოკ-ე-ს
ნათ.	ბშორწ-ე	დოკ-ე
მიც. I	ბშორწ-ე-ნ	დოკ-ე-ნ
მიც. II	ბშორწ-ე-გო	დოკ-ე-გო
მიც. III	ბშორწ-ე-გრ	დოკ-ე-გრ
მიც. IV	ბშორწ-ე-ნ	დოკ-ე-ნ
ინსტრ.	ბშორწ-ე-ვ	დოკ-ე-ვ
გარდ.	ბშორწ-ე-ლ	დოკ-ე - ლ

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	ბშორწ-ი „გლები“	დოკ-ი „გულები“
ერგ.	ბშორწ-ი-ვ	დოკ-ი-ვ
ნათ.	ბშორწ-ა	დოკ-ა
მიც. I	ბშორწ-ი-ნ	დოკ-ი-ნ
მიც. II	ბშორწ-ი-გო	დოკ-ი-გო
მიც. III	ბშორწ-ი-გრ	დოკ-ი-გრ
მიც. IV	ბშორწ-ი-ნ	დოკ-ი-ნ
ინსტრ.	ბშორწ-ი-ვ	დოკ-ი-ვ
გარდ.	ბშორწ-ი-ლ	დოკ-ი - ლ

როგორც ვხედავთ, საკუთრივ წოვათუშურის ლექსიკაში  
ორფუძიან სახელთა ბრუნების სამი ტიპის სახით სამი სხვადასხვა  
საფეხურის მასალაა დაცული: ზოგი სახელი დღემდე ინარჩუნებს

ორფულმიანი ბრუნების უძველეს სახეს, ზოგი ახალი ტიპის ორფულმიანობას აკლენს, ზოგი კი ერთფულმიანობაზე უკვე გადასული. გვაქვს ისეთი სახელებიც, რომელთაც პარალელიზმების სახით დღემდე დაუცავთ სამიერ ტიპის ბრუნება. ბრუნების ახალი ტიპი შუალედურ საფეხურს წარმოგვიდგენს, ხოლო სახელები, რომლებიც უახლეს მარტივ ბრუნებაზე გადავიდნენ, ბოლომდე განვითარებული უცხოენობრივი გავლენის შედეგს გვიჩვენებს. მათი გამოყენება, ცხადია, ბილინგვთა ასაკობრივ დონეებთან არის დაკავშირებული: უფროსი თაობა მხოლოდ პირველი ტიპის ბრუნებას იცნობს, საშუალო თაობის მეტყველებაში მეორესაც შევხვდებით, ახალგაზრდებთან კი მესამე დომინირებს.

ახლა, იდეალური ბილინგვიზმის პირობებში, როცა უკვე მოხსნილია ენათა ურთიერთობის განხილულ უბანზე მოქმედი ორიგენული ჯებირი: ტრადიციის გავლენაც და მრავლობითის წარმოების სირთულეც - ერთფულმიანობაზე გადასვლის გზაც შემოკლდება. სახელებს, რომლებიც აღნიშნულ დამცველ ფაქტორთა გავლენით დღემდე ინარჩუნებდნენ ძველი ტიპის ორფულმიანობას, აღარ დასჭირდებათ შუალედური საფეხურის გაფლა, პირდაპირ ჩაერთვებიან უახლესი ტიპის ბრუნებაში.

თავისთავად ცხადია, რომ ბრუნების ძველი ორფულმიანობა საკმაოდ რთული მოვლენაა, მაგრამ ეს არაა ისეთი სირთულე, რასაც შეეძლო სიძნელე შეექმნა მშობლიურ ენაზე მოუბართათვის. ეს მოდელი, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, ნახურ ენათა ერთიანობის დროინდელია და დაუბრკოლებლად ფუნქციონირებდა საუკუნეთა მანძილზე. საკითხს მარტივად აწესრიგებდა, ერთის მხრივ, გამოყენების ტრადიცია, მეორეს მხრივ კი ის გარემოება, რომ აღნიშნული მოვლენა, რომელიც თავის დროზე ფონეტიკური პროცესებით იყო გამოწვეული, დროთა განმავლობაში გრამატიზირებული გახდა. მიუხედავად ამისა, როგორც პარალელური პა-

რადიგმების მაგალითზე ზემოთ ვაჩვენეთ, მჭიდრო ენობრივმა კონტაქტმა მოცემულ უბანზე ინტერესულის საწინააღმდეგოდ მოქმედი ორივე ფაქტორი მოხსნა.


მკვეთრად რომ ვუსგამთ ხაზს ქართული ენის გაფლენას მორფოლოგიური პარალელიზმების ჩამოყალიბების მოცემულ შემთხვევაში, არ გვავიწყდება, რომ თვითონ წოდათუშურსავე ენაში გვაქს სახელთა უფრო დიდი ჯგუფი, რომლის წევრებიც ძველთაგანვე იცავენ ერთფუძიანობის პრინციპს. ასე რომ საფუძველი ორთუმძიან პარადიგმათა უფრო მარტივი წარმოების ფორმებთან შეპირისპირებისა და ამ გზით გამარტივების ტენდენციის ამოქმედებისა წოდათუშურს საკუთარიც გააჩნდა. მიუხედავად ამისა, სახელთა აღნიშნული ერთფუძიანი და ორთუმძიანი ბრუნების ურთიერთსაბირისპირო ვითარება, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებდა სათავეს, ისე საიმედოდ იყო დაცული მოხმარების გრადიციით, რომ ამ ენაზე მეტყველთა ცნობიერებისათვის დღემდე შეუმჩნეველი დარჩა. მხოლოდ ახლა, იდეალური ბილინგვიზმის პირობებში, წყარო ენაზე მოჭარბებული ხშირი გადართვის გამო იძლავრა წყარო ენის გრამატიკულმა მოდელმა და საკუთარ მარტივ სქემაზე დაუწყო გადართვა ორთუმძიანი ბრუნების რთულ პარადიგმებს.

ამ მხრივ მეტად საინტერესო აღმოჩნდა ნასესხობებში დაცული ვითარება. გარკვეულ საფეხურზე ორთუმძიანობის ზემოთ აღნიშნული მოვლენა გრამატიზებული გახდა წოდათუშურში, მან თავისებური ფონოლოგიური სტატუსი მოიპოვა და დაკანონდა ძირისეულ ხმოვანთა გარკვეული შესატყვისობა მხოლობით-მრავლობითისა, თუ თვითონ მხოლობითის პარადიგმათა შიგნით. სწორედ ასეთი დაკანონებული ბერძნობის სესატყვისები აისახა იმ ქართულ ნასესხობებში, რომლებიც ჩართული აღმოჩნდნენ ორთუმძიანობის აღნიშნულ პროცესში: მათ ერთი ფუძე აქვთ მხოლობითის


პარადიგმებში, მეორე კი – მრავლობითში. საგულისხმოა, რომ ეს ფუქტები ერთმანეთურიანია და განსხვავება იმ ერთადერთი ხმოვნის შეცვლაზეა დამყარებული. თავისი ერთმანეთურიანობით ისინი ზუსტად მიესადაგებიან საკუთრივ თუშურ სახელებს, რის გამოც თავის დროზე ადვილი აღმოჩნდა მათი მოქცევა შესხებელი ენის საკუთარ მორთულობგურ ყალიბში.

მონაცემების პროცესი ნასესხობებში შებრუნებულია, რადგან საკუთრივ წოვათუშური ორთუბიანი სახელებისაგან განსხვავებით ამოსავალი ფუქტები დაცულია სწორედ სახელობითში და არა პირიქით. იმის გამო, რომ საკუთრივ შესხებელი ენის ორთუბიან სახელებში ძირისეულ ხმოვანს წარმოადგენდა, ნასესხობებში ყველა ხმოვანი შეცვლილია ა-თი. თვალსაჩინოებისათვის ნათებამი სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ:

ა) ხმოვანთმონაცვლეობა წოვათუშურ სახელებში:



ბ) ხმოვანთმონაცვლეობა ნასესხობებში:



როგორც სქემიდან ჩანს, ნასესხობებში დასტურდება ა-ს მონაცვლეობა ყველა ხმოვანთან, გარდა ე-სი. ამ რიგის მაგალითები ვერ დავძებნეთ.

გვაძეს:

1. ხმოვანთმონაცვლეობა უ → ა:

მს. რიცხვი: ქუდ - მრ. რიცხვი: ქად-ბი, კუნძ - კანძ-ბი, ყუთ - ყათ-ბი, კუჭ - კაჭ-ბი, ყუნწ - ყანწ-ბი, თუნგ - თანგ-ბი, გუნდ - განდ-ბი, გუბე - გაბ-ნი.

2. ხმოვან მონაცვლეობა ო → ა:

თოფ - თაფ-ირ

3. ხმოვანმონაცვლეობა ი → ა:

ძირ - ძარ-ბი, ქილ (ქილა) - ქალ-ბი,

გირ - გარ-ბი, ჩხირ (ჩხირი) - ჩხარ-ბი.

ასეთ ორფუნქციანობაში ჩართულ სახელთა სესხების ისტორია საკმაოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, რადგან ყველა ნიშნით ეს ნასესხობები ინდივიდუალური ორენოვნების აღრეულ პერიოდს განეკუთვნებიან. ასეთი ნასესხები ორფუნქციანი სახელების რიგიც უფრო დიდი იქნებოდა, რომლის შემოკლება უნდა მოჰყოლოდა კოლექტიური ორენოვნებისათვის დამახასიათებელ ტენდენციას აღრეულ ნასესხობათა „გასწორებისა“.

დღეს აღნიშნული ქართული ნასესხობები, როგორც საკუთრივ წოდათუშური სახელები, ჩართულები არიან ახლა უკვე შებრუნებული მიმართულების ინტერესერნტულ პროცესში ერთფუნქციანობაზე გადასვლისა, რის გამოც ბრუნების ორ სხვადასხვა ტიპს მისდევენ. წარმოვადგენთ მათი ბრუნების რამდენიმე ნიმუშს.

## | ტიპი

დაპირისპირებულია ნასესხებ სახელთა მხოლობითისა და მრავლობითის პარადიგმათა საყრდენი ფუძეები.

ა) მხოლობითი რიცხვი

სახ.	ქუდ	„ქუდი“	ქილ „ქილა“
------	-----	--------	------------

ერგ.	ქუდ-ევ		ქილ-ევ
------	--------	--	--------

ნათ.	ქუდ-ე		ქილ-ე
------	-------	--	-------

მიც. I	ქუდ-ე-ნ	ქილ-ე-ნ
მიც. II	ქუდ-ე-გო	ქილ-ე-გო
მიც. III	ქუდ-ე-გრ	ქილ-ე-გრ
მიც. IV	ქუდ-ე-ხ	ქილ-ე-ხ
ინსტრ.	ქუდ-ე-ვ	ქილ-ე-ვ
გარდ.	ქუდ-ე-ლ	ქილ-ე-ლ

### ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	ქად-ბი „ქუდები“	ქალ-ბი „ქილები“
ერგ.	ქად-ბი-ვ	ქალ-ბი-ვ
ნათ.	ქად-ბ-ა	ქალ-ბ-ა
მიც. I	ქად-ბი-ნ	ქალ-ბი-ნ
მიც. II	ქად-ბი-გო	ქალ-ბი-გო
მიც. III	ქად-ბი-გრ	ქალ-ბი-გრ
მიც. IV	ქად-ბ-ა-ხ	ქალ-ბ-ა-ხ
ინსტრ.	ქად-ბი-ვ	ქალ-ბი-ვ
გარდ.	ქად-ბი-ლ	ქალ-ბი-ლ

## II ტიპი

უახლესი ტიპის ერთფუძიანი ბრუნება იმავე ნასესხები სახელებისა, სადაც აღარა დაპირისპირება მხოლობით - მრავლობითის ფუძეებისა.

### ა) მხოლობითი რიცხვი

სახ.	ქუდ „ქუდი“	ქილ „ქილა“
ერგ.	ქუდ-ე-ს	ქილ-ე-ს
ნათ.	ქუდ-ქ	ქილ-ქ
მიც. I	ქუდ-ე-ნ	ქილ-ე-ნ
მიც. II	ქუდ-ე-გო	ქილ-ე-გო
მიც. III	ქუდ-ე-გრ	ქილ-ე-გრ
მიც. IV	ქუდ-ე-ხ	ქილ-ე-ხ

ინსტრ.	ქუდ-ე-ვ	ქილ-ე-ვ
გარდ.	ქუდ-ე-ღ	ქილ-ე-ღ
ბ) მრავლობითი რიცხვი		
სახ.	ქუდ-ი „ქუდები“	ქილ-ი „ქილები“
ერგ.	ქუდ-ი-ვ	ქილ-ი-ვ
ნათ.	ქუდ-ბ	ქილ-ბ
მიც. I	ქუდ-ი-ნ	ქილ-ი-ნ
მიც. II	ქუდ-ი-გო	ქილ-ი-გო
მიც. III	ქუდ-ი-გო	ქილ-ი-გო
მიც. IV	ქუდ-ა-ხ	ქილ-ა-ხ
ინსტრ.	ქუდ-ი-ვ	ქილ-ი-ვ
გარდ.	ქუდ-ი-ღ	ქილ-ი-ღ

ნასესხებ სახელთა დამოწმებული ორგვარი ბრუნება საინ-ტერესოა იმ მხრივაც, რომ წარმოგვიჩენს ორი ენის ურთიერთსა-ბირისპირო გავლენის შედეგებს. პირველი ტაბის ბუნება წოვათუ-შურის სქემაზეა აკინძული და ამ ენის აქტიურობის პერიოდს გა-მოხატავს, მეორე კი ქართულის პრიორიტეტის ამსახველია და მის წესებს ექვემდებარება. თითოეული მათგანი ორენოვნების სხვა-დასხვა საფეხურის ამსახველია და კარგად გვიჩვენებს კონტაქტში მყოფი ენების ძალთა თანაფარდობას ურთიერთობის გარკვეულ მონაკვეთებზე.

დასკვნის სახით გვინდა ყურადღება გაფამახვილოთ იმ გა-რემოუბაზე, რომ ყველა ორთუმანი სახელი წოვათუშური ენისა ერთდროულად არ ჩართულა ინტერფერენციულ გარდაქმნათა ზე-მოთაღნიშნულ წრედში. დღეისათვის ზოგიერთმა მათგანმა ბრუ-ნების გაქართულების ორივე საფეხური გაიარა, ზოგი შუა გზაზეა მხოლოდ, ზოგი კი ჯერაც იცავს ძველ კანონზომიერებას. ამ ფაქ-ტში ნათლად ჩანს ის საოცარი სიფრთხილე და თანდათანობითობა. რასაც სიახლეთა მიმართ იჩენს მსესხებელი ენა, რათა ორენოვნე-

ბის ყველა მონაკვეთზე კვლავაც მაქსიმალური სიზუსტით შეასრულოს თავისი საკომუნიკაციო ფუნქცია.

## II. § 4. სახელთა მრავლობითის ფორმები

უცხოენობრივი გავლენის თვალსაზრისით გარკვეულ ყურადღებას იქცევს წოვათუმური ენის სახელთა მრავლობითის ფორმები.

თანამედროვე ქართულ ენაში ფაქტურად ერთი მრავლობითი გვაქს – ეწ. ებ-იანი მრავლობითი. ისაა სასაუბრო ენაში უკვე მას ენიჭება უპირატესობა, თუ ნარ-თანიანი მრავლობითის საგანგებო სტილიზებულ ფორმებს არ მივიღებთ მხედველობაში. საწარმოქმნო მოდელი ებ-იანი მრავლობითისა უაღრესად მარტივია: ყოველგვარი სახელის ბაზისური ფუძე დაირთავს რიცხვის აღმნიშვნელ ერთსა და იმავე ებ სუფიქსს, შემდეგ კი იმავე ბრუნვის ნიშნებს, რაც გვქონდა მხლობითში. ფაქტობრივ იმავე მარტივ სქემაზეა აგებული ნარიანი მრავლობითიც და ამ მხრივ მათ შორის სხვაობა საერთოდ არა გვაქს. რამდენადმე განსხვავებულია ვითარება თანიან მრავლობითში, სადაც ამოსავალი აგლუტინაციის პრინციპი ფლექსიურით არის შეცვლილი. აღნიშნული ფორმანტების ნეიტრალური დამოკიდებულება ფუძის სემანტიკისა თუ დაბოლოებისადმი მათ ერთი და იმავე მოდელის თავისუფალ ვარიანტებად წარმოგვიდგენს, რომელიც ეკვივალენტური დისტრიბუციის მიმართებაში არიან ერთმანეთთან.

საგულისხმოა, რომ მარტივი აგლუტინაციის პრინციპზეა აგებული მრავლობითი რიცხვის ფორმები თვითონ წოვათუმურშიც: სახელის ბაზისურ ფუძეს მიმდევრობით დაერთვის ჯერ რიცხვისა, შემდეგ კი ბრუნვის ნიშნები. გარდა აღნიშნულისა, ფორმათა წარმოების ქართულ მოდელთან მსგავსების თვალსაზრისით

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მრავლობითში ბრუნვის იგივე ფორმანტები მეორდება, რაც გვექს მხოლობითში. გამონაკლისს ამ წესიდან მარტო ერგატივი ქმნის, სადაც ადამიანისა და ნივთის კლასის სახელებს მხოლობითში განსხვავებული ს და გ ფორმანტები მოუდის, მრავლობითში კი იმავე ბრუნვას ყველანაირი სახელისათვის თანაბრად აწარმოებს ერთადერთი გ.

მრავლობითი რიცხვის წარმოების საკითხში წყაროსა და მსესხებელ ენებს შორის არსებულ სისტემურ მსგავსებას თვითონ ამ სისტემის რეალიზაციის გზა ჩრდილავს. ყველაზე თვალსაჩინო სხვაობას ამ თვალსაზრისით მრავლობითობის სუფიქსთა სიმრავლე ქმნის წოვათუშერში. საქმე იმაშია, რომ მხოლობითის ფორმებთან მრავლობითის შეპირისპირებით რიცხვის ათამდე მაწარმოებელი გამოიყოფა ამ ენაში, ესენია:

**-ი, -იში, -ში, -ბი, -მი, -ნი, -არ // -აშრ, -აშრჩ, -დარ.**

ფორმანტთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, თუ რიცხვის წარმოების ერთეულ შემთხვევებსაც გავითვალისწინებთ.

დღეისათვის ამ საწარმოქმნო ფორმანტების განაწილების პრინციპები თთქმის მთლიანად დაჩრდილულია, რის გამოც მათი დართვის საკითხი ტრადიციის მიხედვით წყდება. თვალსაჩინოებისათვის დაგასახელებთ მაგალითებს:

ა) **-ი:** ნეკ (დანა) - ნეკ-ი (დანები), ქოკ (ფეხი) - ქოკ-ი (ფეხები), ბუბუკ (ყვავილი) - ბუბუკ-ი (ყვავილები), ბშარკ (თვალი) - ბშარკ-ი (თვალები), ცარკ (კბილი) - ცარკ-ი (კბილები), ნან (დედა) - ნან-ი (დედები), დად (მამა) - დად-ი (მამები), დაუარ (ბალახი) - დაუარ-ი (ბალახები), ბადერ (ბაგშვი) - ბადერ-ი (ბაგშვები), ფალ (ჭლაპარი) - ფალ-ი (ჭლაპრები)...

ბ) **იშ:** ნიყ (გზა) - ნაყ-იშ (გზები), მოკ (სიმღერა) - მაკიშ, მათხ (შზე) - მათხ-იშ, ჰუნ (ტყე) - ჰუნ-იშ, ბშე (ჭარი) - ბშე-იშ, ყა (ცოდვა) - ყ-იშ, მოხ (ქარი) - მახ-იშ, ფჰე (სოფელი) - ფჰე-იშ...

გ) -ში: თეყვინი (მლოცველი) - თეყვინი-ში (მლოცველები), ბაღუდნი (მომავალი) - ბაღნი-ში, აბუდნი (მკერავი) აბნი-ში, იტინრ (მორბენალი) - იტნი-ში, ლეტინრ (დამხმარე) - ლეტნი-ში, ხეტუდნი (მკითხველი) - ხეტნი-ში, დუღინრ (მყვირალი - დუღნი-ში, დათხინრ (მტირალი) დათხნი-ში, სერტინრ (მაწყევარი) - სერტნი-ში...

დ) -ბი: ალნოვ (ალგანელი) - ალნოვ-ბი, ალნობი, ქალქოვ (ქალაქელი) - ქალქო-ბი, თინთოვ (თიანელი) - თინთო-ბი, ახმეტოვ (ახმეტელი) - ახმეტ-ბი, თელვოვ (თელაველი) - თელო-ბი, ჩინთოვ (ჩინელი) - ჩინთო-ბი, შილდოვ (შილდელი) - შილდო-ბი... ჯერ (ჯვა) - ჯერ-ბი, ღოჭ (ჭოხი) - ღოჭ-ბი, ბუყ (წელი ცხოველის) - ბაყ-ბი, ქუდ (ქუდი) - ქად-ბი...

ე) -მი: ბოს (ფერი) - ბას-მი, დოკ (გული) - დაკ-მი, ჭოჭ (ჭირი) - ჭაჭ-მი, შაგ (კეანძი) - შაგ-მი, ზოქ (ნისკარტი) - ზაქ-მი, ქორთო (თავი) - ქორთ-მი...

ვ) -ნი: ცოც (მარცვალი) - ცოც-ნი, ლამ (მთა) - ლამ-ნი, კმატ (კლდე) - კმატ-ნი, დოშ (სიტყვა) - დაშ-ნი, დაწ (ბზარი) - ღაწ-ნი...

ზ) -არ: ვაშრ (ქმა) - ვაჟ-არ, დაშრ (და) - დაჟ-არ, გაზან (თხა) - გაზ-არ...

თ) არ+თ —► ადრ // ერ // ირ:

ნუს (რძალი) - ნას-ადრ // ნას-ერ // ნას-ირ, დეხვ (სავარცხელი) - ახვ-ადრ // ახვ-ერ // ახვ-ირ, თოფ (თოფი) - თაფ-ადრ // თაფ-ერ // თაფ-ირ...

ი) არ+იშ —► ადრჩ // ერჩ —► ადრჩ // ელჩ:

დახერ (თაგვი) - დახე-ადრჩ // დახე-ერჩ,

ცშავ (ჭვალი) - ცშავ-ადრჩ // ცშავ-ერჩ.

ჰერწო (ქვაბი) - ჰერწ-ადლჩ // ჰერწ-ელჩ

ბშორწ (მგელი) - ბშორწ-ადლჩ // ბშორწ-ელჩ...

### კ) -ლარ:

ალი (ბატონი) - ალილარ (გვარია), ადეშნაცი (აფშინა) - ადეშნაცი-ლარ (აფშინანი), კიმი (კიმო) - კიმი-ლარ (კიმიანი), მიქელ - მიქელ-ლარ, გადბრალ (გაბრიელი) - გადბრლალ-ლარ, ბლუჯი (საკ. სახელი) - ბლუჯო-ლარ....

ლ) რამდენიმე ფუქეში სუპლეტური წარმოებაც გვაქვს:

სტაკ (კაცი) - გასერ (კაცები)

დოჭ (გოგო) - მახკარ (გოგოები)

გოჭ (ბიჭი) - კნათი (ბიჭები)

დეთ (ძროხა) - ჟაბი (ძროხები).

მრავლობითის ჩამონათვალ სუფიქსთაგან გარკვეულ სე-  
მანტიკურ ჯგუფებთან არის დაკავშირებული მხოლოდ ბი, ში და  
ლარ. ბი ძირითადად სადაურიბის სახელთა მრავლობითობას აწარ-  
მოებს. ასეთ შემთხვევაში მკვლევარნი მას შლიან და გამოყოფენ  
მამაკაცის სახელთა მრავლობითის ნიშან ბ-ს, რომელიც მხოლო-  
ბითის კლასინშან გ-ს ენაცვლება. ამგვარი დაშლისას საკუთრივ  
რიცხვის გამოხატვის ფუნქცია რჩება ი-ს. მდგომარეობას რამდე-  
ნადმე ართულებს ის გარემოება, რომ ბი ფუნქციონირებს აგრეთ-  
ვე ზოგიერთი ნივთის კლასის სახელთა მრავლობითშიც. გარკვეუ-  
ლი შინაარსობრივი ჯგუფის სახელებთან კავშირის თვალსაზრი-  
სით მსგავსი ვითარება გვაქვს ში-ს შემთხვევაში, რომელიც ძირი-  
თადად მიმღეობებს ერთვის, თუმცა რამდენიმე გამონაკლისი მა-  
საც მოეპოვება.

განხილულთაგან განსხვავებით მეტეორად არის იზოლირე-  
ბული დარ-ით გაფორმებულ სახელთა სემანტიკური ჯგუფი. მისი  
ფუნქციაა ანთროპონიმთაგან გვაროვნული სახელების წარმოება.  
მას შეუძლია აგრეთვე ადამიანთა გარკვეული ჯგუფი გამოყოს  
ნათესაობის უფრო ვიწრო ნიშნის მიხედვითაც, დაასახელოს, მა-  
გალითად, არა გვარი მთლიანად, არამედ მისი ნაწილი: შტო, ოჯა-

ხი, ჯგუფი ადამიანებისა. მას ანალოგიური ფუნქცია აქვს სხვა ნა-  
ხურ ენებშიც.

**ღარ** სუფიქსის შესახებ საინტერესო მოსაზრებას ავითა-  
რებს დოკ. რ. გაგუა. მისი აზრით ღარ დაშლადია: არ კრებითობას  
აღნიშნავს, ხოლო დ გარდაქცევითი ბრუნვის ფორმანტი უნდა  
იყოს (რ. გაგუა, 1983, 202). ამ მოსაზრების სასარგებლოდ, ჩვენი  
მხრივ, შეიძლება დავიმოწმოთ ისევ ნათესაობრივი ჯგუფის აღ-  
მნიშვნელი ღუდ ფორმანტიანი სახელები, როგორიცაა მაგალი-  
თად: ნან-ღუდ (დედულები), მამ-ღუდ (ქმარეულები), დად-ღუდ  
(მამეულები). ასეთი შეპირისპირებით დ შეიძლება მართლაც გამო-  
იყოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული.

**ღარ** სუფიქსის შეიძლება სხვაგვარი კვალიფიკაციაც მიე-  
ცეს. მხედველიბაში გვაქვს ის გარემოება, რომ იგი დღესაც და-  
მოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვაა ჩეჩნურისა და ინგუშურში,  
სადაც გვარის განშტოებას, ნაწილს, ჯგუფს, გუნდს, კონსა ან  
ხროვას აღნიშნავს. მისი დამოუკიდებელი გამოყენების თვალსაზ-  
რისით წოდათუშურში ყურადღებას იქცევს სიტყვათშეხამება  
ჩუხო დამრდ (კრავების ჯგუფი). ასე უწოდებენ აქ ჩრდილოეთის  
დათვის ცნობილ თანავარსკვლავედს. დღეისათვის აღნიშნული შე-  
სიტყვების მნიშვნელობა დაიჩრდილა, იგი ერთ სიტყვად გააზრი-  
ანდა, შემოკლდა და მიერღვეთ ახალი ფორმა ჩოლარ, რომლის შინა-  
არსში უკვე ძალიან ცოტა ერკვევა. მსგავსი გარდაქმნა შეიძლება  
ვიგარაუდოთ გვაროვნულ სახელებშიც, კერძოდ:

მიტუდ დამრდ (მიტოს ჯგუფი, ოჯახი) > მიტრ-ღარ.

გუგუდ დამრდ (გუგოს ჯგუფი, ოჯახი) > გუგრ-ღარ

ასეთ შემთხვევაში ცხადი ხდება, რატომ დაუკავშირდა ეს  
ფორმანტი საკუთრივ გვაროვნულ სახელებს.

როგორც აღვნიშნეთ, არ ხერხდება დანარჩენი ფორმანტების კონკრეტულ სემანტიკურ ჯგუფებთან დაკავშირება და მათი გამოყენება მხოლოდ ტრადიცითაა მოწერილი.

მრავლობითის წარმოების საკითხებს სხვადასხვა დროს ამ ენის თითქმის ყველა მკვლევარი შეეხო, რომელთაც ერთხმად აღნიშნეს ამ ფორმათა სისტემულე. რიცხვის ფორმანტთა გენეზისი სპეციალურად აქვთ შესწავლილი რ. გაგუას, ი. დეშერიევს, კ. ჭრელაშვილს. მკვლევარი საერთო აზრისანი არიან იმის შესახებ, რომ ფორმანტთა აღნიშნული მოჭარბებული სიმრავლე რთული ფორმანტი გარდაქმნების შედეგია, რის გამოც ხშირად ჭირს ფუძისა და რიცხვის მარტარმოებლის გამიჯნება. გარდა ამისა, დიდ როლს ასრულებს ანალოგიის პროცესიც. „ზოგი აფექტი ფორმანტი გარინტებით არის წარმოდგენილი, ზოგი რთული შემადგენლობისაა, ზოგი კი ანალოგიის საფუძველზეა მიღებული“, - წერს დოც. რ. გაგუა (გაგუა, 1983, 202).

ბროთვ. კ. ჭრელაშვილმა აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში დამაჯერებლად ახსნა, რომ აფიქსთა ასეთი სიმრავლე და რთული შედგენილობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მხოლობითი რიცხვის სახელობითში მომხდარმა ბაზისური ფუძეების ცვეთამ, რაც ძლიერი დინამიკური მახვილის მოქმედებით იყო გამოწვეული. აღნიშნულ პროცესს შედეგად მოჰყვა ამ ბრუნვის ფუძის გამარტივება, რის გამოც მრავლობითთან შეპირისპირებისას მისი გარკვეული ნაწილი რიცხვის ფორმანტთან შეხორციებული აღმოჩნდა. მანვე დაასაბუთა, რომ „ამოსავალში მრავლობითი რიცხვის მხოლოდ ერთი აფექტი (-იშ) დასტურდება ბაცბურში (წოდათუშურში)“ (კ. ჭრელაშვილი, 1961, 45).

დიაქრონიული ასპექტით თუ მიღუდგებით საკითხს, ცხადი ხდება, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმობა კიდევ უფრო მარტივ სახეს ატარებდა წოვათუშურში, ვიდრე დღეს ეს ქარ-

თულ ენაშია, მაგრამ, რადგანაც ინტერთერენტული პროცესები პორტონტრანსფრი ჭრილში მოქმედებენ, შეპარისპაირებისას თანამედროვე საფეხურზე ქართულ-წოვათუშური ენების სახელთა რიცხვის სისტემებს შორის ყველაზე თვალსაჩინო სხვაობას მარტარმოებელ ფორმანტთა რაოდენობრივი შეფარდება ქმნის: ქართულში ძირითადად ერთი მარტარმოებელი ფიგურირებს, წოვათუშურში კი მათი რაოდენობა ათსა და უფრო მეტს აღწევს. სირთულეს წარმოადგენს აღნიშნულ ფორმანტთა განაწილების გაურკვეველი პრინციპებიც.

გარდა მრავლობითობის ფორმანტთა სიმრავლისა, წოვათუშური ენის რიცხვის გამოხატვის სისტემაში მნიშვნელოვან სხვაობას ქმნის აგრეთვე მხოლობით-მრავლობითის ბაზისურ ფუძებს შორის აჩსებული სხვაობა, რაც თავისებური ორფუძიანობის სახელითაა ცნობილი და ნიშანდობლივია სახელთა საკმაოდ დიდი ჯგუფისათვის. ასეთი ორფუძიანობისათვის დამახსიათებელია მხოლობითის პარადიგმათა ბაზისური ფუძის დაპირისპირება მრავლობითის საყრდენ ფუძესთან, რაც ამ უკანასკნელის ძირებული ხმოვნის შეცვლით ხორციელდება. ხმოვნამონაცვლეობის ეს პროცესი ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარდა, მაგრამ შემდეგ მოხდა მისი გრამატიზაცია და სავალდებულოდ იქცა გარკვეული ტიპის სახელებისათვის. ასეთი მნიშვნელოვანი თავისებურება წოვათუშური ენის სახელთა მორთულოვისა თავის დროზე მნიშვნელოვან ცვლილებას განაპირობებდა უცხო ენიდან ნასესხებ სახელთა მრავლობითის ფუძის აგებულებაში, დღეს კი პროცესმა უკუგანვითარება დაიწყო და მოშლის გზას დაადგა ოოგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ლექსემებში. ამ ტიპის ორფუძიანობა ინტერფერენტულ პროცესებთან მიმართებით დაწვრილებით განვიხილეთ ნაშრომის წინა პარაგრაფში, რის გამოც მასზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით. ამჯერად შევეცდებით გაფარკვიოთ, როგორ

აისახა უცხოენობრივი გაფლენა მრავლობითის მაწარმოებელთა როტულ სისტემაში.

საკითხის თანმიმდევრულ განხილვას ისევ ორენოვნების საფეხურებთან მიყენავართ. მიუხედავად იმისა, რომ სახელთა მრავლობითაა დაკავშირებული ინტერფერენტული გარდაქმნების ისტორია ყველა თანამედროვე თაობის ასაკს სცილდება და საკმაოდ დიდი ხნის წინ იღებს სათავეს, გვაქვს საფუძველი გამტკიცოთ, რომ ორენოვნების დასაწყის სტადიაზე წოვათუშერი ენის სახელთა მრავლობითის თავისებურებანი კანონმიერ ასახვას პოულობდა ნასესხები სახელების მორფოლოგიაში. ადრეულ ნასესხობათა გარკვეული წყება თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალური ორენოვნების დროს აქტიურია სწორედ მსესხებელი ენა და ცვლილებათა ხასიათსაც ის განსაზღვრავს, წყარო ენის გაფლენა კი ამ პერიოდში ზედაპირულია: მისი ფუნქცია მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გასცემს ღერძისკურ ერთეულებს, რომელთაც საკუთარი ფონოლოგიისა და მორფოლოგიის მოთხოვნებს უქვემდებარებს მსესხებელი ენა.

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებო აღმოჩნდა მცირერიცხოვანი ჯგუფი ქართული სახელებისა, რომლებიც დღემდე გადაურჩა კოლექტიური ორენოვნების დროს მოქმედი ძეგლ ნასესხობათა „გასწორების“ პროცესს. ამ სახელთა მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ბილინგვიზმის დასაწყის საფეხურზე მსესხებელი ენა აქტიურ ზეგავლენას ახდენდა ნასესხობათა სტრუქტურაზე: გარკვეული, აღბათ, ბგერითი ანალოგიის საფუძვლზე ანაწილებდა მათ მრავლობითის წარმოების სხვადასხვა ჯგუფში და ორთულიანობის პრინციპსაც უსადაგებდა.

დავასახელებთ ძველ ნასესხობათა მაგალითებს მაწარმოებელ ფორმანტთა მიხედვით.

ა) სუფიქსი ბი:

მხ. რ.: კუნძ (კუნძი) - მრ. რიცხვი: კანძ-ბი; ქუდ (ქუდი) - ქად-ბი; ყუნწ (ყუნწი) - ყანწ-ბი; გუნდ (გუნდა) - განდ-ბი; კუჭ (კუჭი) - კაჭ-ბი; თუნგ (თუნგი) - თანგ-ბი; ქილ (ქილა) - ქალ-ბი; ჩხირ (ჩხირი) - ჩხარ-ბი; გირ (გირი) - გარ-ბი; ძირ (ძირი) - ძარ-ბი; რიკ (რიკი) - რაკ-ბი) ხე<sup>ე</sup> (ხე) - ხენ-ბი...

ბ) სუფიქსი მი:

მხ. რ.: ქოხ (ქოხი) - მრავლ. რ.: ქოხ-მი

გ) სუფიქსი ნი

მხ. რიცხვი: ცორ (ცვარი) - მრ. რიცხვი: ცორ-ნი; ტოტ (ტოტი) - ტოტ-ნი; გუბე (გუბე) - გაბ-ნი; წვერ (წვერი) მთის, ხის...) - წვერ-ნი; ბექ (ბექი) - ბექ-ნი.

დ) სუფიქსი ამრ  $\rightarrow$  იშ:

თოფ (თოფი) - თაფ-იშ

ე) სუფიქსი იშ  $\rightarrow$  ღშ

სკა (სკა) - **სკა-Áშ;** ცდა (ცდა) - ცდა-ღშ; ზღვა (ზღვა) - ძღვა-ღშ; ტბა (ტბა) - ტბა-ღშ; ყდა (ყდა) - ყდა-ღშ...

მოცემული ნასესხობანი, როგორც აღვნიშნეთ, მრავლობითის ფორმანტთა მრავალსახეობით გამოიჩინებიან. მათს გარკვეულ ნაწილს მრავლობითის ფუძეში შეცვლილი აქვთ ძირისეული ხმოვანიც, რითაც ისინი აშკარა ორთულიანობაზე არიან გადართული, ნაწილს კი, როგორც ჩანს, ხმოვნის ასეთი ცვლილება არ განუცდია. ამ ნიშნით თვით დასახელებულ ნასესხობებს შორის შეიძლება გამოიყოს უფრო ძველი და შედარებით ახალი ნასესხობების ფენები. გვიანდელ ნასესხობათა მიმართ ფუძეთა ეს ხმოვანმონაც-გლეობა რელევანტური აღარ ჩანს.

უკან დარჩა ორენოვნების ის მონაკვეთი, როცა წოვათუ-შური თვითონ განაგებდა ქართულ ნასესხობათა ბედს, ახლა ინ-ტერფერენტულ გავლენას შებრუნებული ხასიათი აქვს და ქარ-თულ მოდელზე დაიწყო საკუთრივ წოვათუშური სახელების აწ-

ყობა. როგორც წინა პარაგრაფში უკვე მიღუთითეთ, ქართულის გავლენაშ არქაზმების წყებაში ჩააყენა უკვე ხმოვანმონაცლე ფუძეები; გასარკვევია, როგორ აპირებს იგი რიცხვის მაწარმოებელ აფიქსთა სიმრავლის „მოწესრიგებას“?

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გაქართულების პროცესი რიცხვის წარმოების სისტემაში ნასესხობებით დაიწყო. გარკვეული დროიდან ყველა ახალი ნასესხობა მრავლობითის ერთსა და იმავე ყალიბში მოექცა, რის გამოც:

1. ყველა ბრუნვისა და რიცხვისათვის საყრდენად იქნა აღებული მხოლობითი რიცხვის სახელისაბით ბრუნვის ბაზისური ფუძე.

2. რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა მრავალთაგან დაეკისრა მხოლოდ ერთ მაწარმოებელს - ი-ს.

ორენოვნების თანამედროვე საფეხურზე სწორედ ასეთი მარტივი სახით დამკვიდრდა წოდათუშურში ქართულიდან ნასესხები მრავალი ათეული სახელი. მაგალითად:

მხ. რიცხვი: კალამ - მრ. რიცხვი: კალმ-ი, მერხ - მერხ-ი,

ფურცელ - ფურცლ-ი, ჩანთ (ჩანთა) - ჩანთ-ი, დათ (დათა)

- დათ-ი, რეეულ - რეივლ-ი, დავალებ (დავალება) დავალ-ბი, გამოცდ (გამოცდა) - დამოცდ-ი, კრას - კრას-ი, დამრიგებელ - დამრიგებლ-ი, მორიგე - მორიგ-ი, პიონერ - პიონერ-ი, ჟურნალ - ჟურნალ-ი, ნიშან - ნიშნ-ი, კოსმონავტ - კოსმონავტ-ი, ტელევიზორ - ტელევიზრ-ი, ვარსკვლავ - ვარსკვლავ-ი, ფრიად - ფრიად-ი,

ოქმ - ოქმ-ი, ცხრილ - ცხრილ-ი, ბრძანებ - ბრძან-ბი, განცხადებ - განცხად-ბი, მოწმობ (მოწმობა) - მოწმ-ბი, ბეჭედ - ბეჭდ-ი, პაროპლან - პაროპლან-ი, ტრაქტორ - ტრაქტორ-ი, კომბაინ -

კომბაინ-ი, მდივან - მდივან-ი, კრებ - კრებ-ი, სხდომ (სხდომა) სხდომ-ი, მოხსენებ (მოხსენება) - მოხსენ-ბი, ატესტატ - ატესტატ-ი, დიპლომ - დიპლმ-ი, სტუდენტ - სტუდენტ-ი ლექტორ -

ლექტორი, ჩათვლა (ჩათვლა) – ჩათვლი, მელან – მელნი, კაბინეტი – კაბინეტი, სიგელ – სიგლი, მატრიკული – მატრიკული, გარჯიში – გარჯიში....

მრავლობითის ახალი, ერთ საერთო ფორმანტიანი წარმოება გაითავისა ბევრმა დიდი ხნის წინ შეთვისებულმა ქართულმა სახელმაც. იმავე სახელთა პარადიგმებში, საღაც დაცული იყო ხმოვანთმონაცვლეობაზე დამყარებული ორფუძიანობის პრინციპი, გაბატონება დაიწყო მხოლობითი რიცხვის ბაზისურმა ფუნქცი. მიმდინარეობს ადრინდელ ნასესხობათა „გადასწორება“, რის გამოც ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს მათი მრავლობითობის ძველი და ახალი ფორმები.

გვაქვს:

მხ. რ.: ქუდ (ქუდი) – მრ. რ.: ქად-ბი // ქუდ-ი

ყუნწ (ყუნწი) – ყანწ-ბი // ყუნწ-ი

გუნდ (გუნდა) – განდ-ბი // გუნდ-ი

კუნძ (კუნძი) – კანძ-ბი // კუნძ-ი

კუჭ (კუჭი) – კაჭ-ბი // კუჭ-ი

თუნგ (თუნგი) – თანგ-ბი // თუნგ-ი

გუბე (გუბე) – გაბ-ნი // გუბ-ი

ყუთ (ყუთი) – ყათ-ბი // ყუთ-ი

ქილ (ქილა) – ქალ-ბი // ქილ-ი

ჩხირ (ჩხირი) – ჩხარ-ბი // ჩხირ-ი

გირ (გირი) – გარ-ბი // გირ-ი

ძირ (ძირი) – ძარ-ბი // ძირ-ი

თოფ (თოფი) – თაფ-ირ // თოფ-ი....

ბუნებრივია, „გადასწორების“ აღნიშნული პროცესი უფრო მარტივად ხორციელდება იმ ადრინდელ ნასესხობებში, რომელთა მხოლობით-მრავლობითი არაა ორფუძიანობაზე აგებული და მათ სიძველეს მხოლოდ რიცხვის ფორმანტი ავლენს. ასეთ სა-

ხელთა პარალელურ ფორმებს ერთმანეთისაგან მარტო რიცხვის ფორმანტი განასხვავებს.

მხედველობაში გვაქვს:

მხ. რ.: ქოხ (ქოხი) - მრ. რ.: ქოხ-მი // ქოხ-ი

ხენ - ხენ-ბი // ხენ-ი

ცორ (ცხვარი) - ცორ-ნი // ცორ-ი

ტოტ (ტოტი) - ტოტ-ნი // ტოტ-ი

ბექ (ბექი) - ბექ-ნი // ბექ-ი

მოვლენათა შემდგომი განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ იდეალური ბილინგვიზმის გავლენით უკვე წოვათუშური ენის საკუთარი ფონდის სიტყვებში გაჩნდა საყრდენი ფუძის გამარტივებისა და ფორმანტი ი-ს უნიფირული გაცის ტენდენცია. მრავალმა სხვა ფორმანტით გაფორმებულმა ფუძემ უკვე შეიძინა ინანი პარალელი, რის შედეგადაც მრავლობითობის თთქმის ყველა სხვა მაწარმოებულს შეექმნა დაკარგვის საშიშროება.

გვაქვს მრავლობითობის ფორმანტთა შენაცვლების შემ-დეგი შემთხვევები:

ა) -იშ // -ი

მხ.რ.: მოჯ (სიმღერა) - მრ. რ.: მაჯ-იშ // მოჯ-ი

მათხ (მზე) - მათხ-იშ // მათხ-ი

მოხ (ქარი) - მახ-იშ // მოხ-ი

ჰუ (ტყე) - ჰუნ-იშ // ჰუნ-ი

ბ) -ბი // -ი

მხ. რ.: ღოჭ (ჭოხი) - მრ. რ.: ღაჭ-ბი // ღოჭ-ი

ღრუტ (ჭუჭრუტანა) - ღრატ-ბი // ღრუტ-ი

ბუყ (წელი) - ბაყ-ბი // ბუყ-ი

კერ (ქვა) - კერ-ბი // კერ-ი

გ) -მი // -ი

მხ. რ.: დოკ (გული) - მრ. რ.: დაკ-მი // დოკ-ი  
 ზოქ (ნისკარტი) - ზაქ-მი // ზოქ-ი  
 შაგ (კვანძი) - შაგ-მი // შაგ-ი

ღ) -ნი// -ი

მხ. რ.: კშოკ (ორმო) - მრ. რ.: კშოკ-ნი// კშოკ-ი  
 ცოც (მარცვალი) - ცოც-ნი// ცოც-ი  
 ე) -ერჩ -ელჩ// -ი

მხ. რ.: ბშორწ (მგელი) - მრ. რ.: ბშორწ -ელჩ// ბშორწ -ი  
 ჰერწო (ქვაბი) - ჰერწ-ელჩ// ჰერწოდ → ჰერწუ-ი  
 ტშირ (გარსკვლავი) - ტშირ-ელჩ// ტშირ-ი  
 ვ) -ირ// -ი

მხ. რ.: კეჭ (მატყლი) - მრ. რ.: კაჭ-ირ// კეჭ-ი  
 თოფ (თოფი) - თაფ-ირ// თოფ-ი  
 დიკ (ცული) - დაკუ-მრ// დიკ-ი  
 ზიკ (ზოლი) - ზაკუ-მრ// ზიკ-ი

მრავლობითის განზოგადებული ი სუფიქსის დართვა რიგ ფონეტიკურ გარდაქმნას იწვევს ორგორც საკუთარი, ისე ნასეს-ხები ფუძეების ბერით გარსში. ეს ცვლილება თავისი ბუნებით მკვეთრად განსხვავდება ზემოთაღნიშნული გაორთუებიანების დროს მომხდარი გარდაქმნებისგან, მას ფონოლოგიური დანიშნულება აქვს: ფუძეების ერთი მარცვლით შემოკლებას იწვევს და სიტყვის საფალდებულო ორმარცვლიანობის შენარჩუნებას ემსახურება. მარცვალდაკლების ეს პროცესი თანხმოვანთუებიან სახელებში მარტივი რედუქციისა თუ ეპენთეზისის გზით გითარდება, ხმოვანთუებიანებში კი აუსლაუტის ხმოვანთა დიფთონგიზაციას იწვევს. ამ პროცესთა კანონზომიერების შესახებ ჩვენ დაწვრილებით ვსაუბრობთ ნაშრომის წინა მონაკვეთში, რის გამოც აქ მხოლოდ მაგალითებით დავკმაყოფილდებით.

ა) მარტივი რედუქცია:

მხოლ. რ.: კალაშ - მრავლ. რ.: კალმ-ი; ფანქარ - ფანქარ-ი; მანქან - მანქნ-ი; კედელ - კედლ-ი; ბეჭედ - ბეჭდ-ი; გოდორ - გოდორ-ი; ფოთოლ - ფოთლ-ი; წიწილ - წიწლ-ი; ნიღაბ (ნიღაბი) - ნიღბ-ი; მდივან (მდივანი) - მდივნ-ი; ბელად (ბელადი) - ბელდ-ი...  
ბ) ხმოვანთა ეპენტეზის:

მს. რ.: მანდილ (მანდილი) - მრ. რ.: მამდლო-ი; ქაფქირ (ქაფქირი) - ქამფქრ-ი; კრამიტ (კრამიტი) - კრამტ-ი; ჩონგურ (ჩონგური) - ჩუმნგრ-ი; ჭანჭურ (ჭანჭური) - ჭამჭჭრ-ი; შამფურ (შამფური) - შამმფრ-ი; დობილ (დობილი) - დუმბლ-ი...

გ) აუსლაუტის ხმოვნის დიფთონგიზაცია:

წყარო (წყარო) - წყარუ-დ; კალო (კალო) - კალუ-დ; სპილო (სპილო) - სპილუ-დ; თარო (თარო) - თარუ-დ...

დასახელებულ მაგალითებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ფონოლოგიური წესების გამძლეობა და წინააღმდეგობის უნარი უცხო ენობრივი გავლენის მიმართ. რაც უფრო რთულია ფონოლოგიური კანონები, მით უფრო უკეთ ეწინააღმდეგებიან ისინი ინტერფერენტულ პროცესების. ამ თვალსაზრისით სხვათაგან მკვეთრად განსხვავებული ფონოლოგიური სტრუქტურა ენას ხანგრძლივი წინააღმდეგობის მეტ გარანტიას უქმნის.

შეიძლება დაფასკვნათ, რომ წოვათუშურის ნასესხები თუ საკუთარი სახელების მრავლობითის ფორმებში დაცულია ორენოვნების სხვადასხვა სათეხურის მასალა, რომელიც საინტერესოა ინტერფერენტულ პროცესთა ბუნების თვალსაზრისით. ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება:

ა) მრავლობითის აღნიშნული ფორმანტი ი., რომელიც ინტენსიურად იწყებს განხოგადებას, წყარო ენიდან კი არ ისესხა წოვათუშურმა, არამედ შეარჩია საკუთარი მორფოლოგიურ ინვენტარში, როგორც ყველაზე მარტივი და გამოსაყენებლად მოხერხებული. ეს ცნობილი აღგებრული ხასიათის სესხებაა და კარ-

გად გახაზავს აღნიშნული ინოვაციის არსეს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ბილინგვის აზროვნებისათვის არსებითაა არა კონკრეტული საკონტაქტო მასალა, არამედ თვითონ ამ კოდიფიკაციის სისტემა.

ბ) ორენოვნების დონეების მიხედვით იცვლება ინტერფერენტულ პროცესთა მიმართულება და ხასიათი. კონტაქტის დასაწყის საფეხურზე აქტიურია თვითონ მსესხებელი ენა და ლექსიკურ ნაირსახეობებს საკუთარ მორფოლოგიურ კანონზომიერებებს უმორჩილებს, კონტაქტის შემჭიდროვებასთან ერთად კი მოძალებას იწყებს უცხო ენობრივი მოდელი, რომელიც ჯერ პარალელურ გამოყენებაშია მსესხებელი ენის მოდელთან, მერე კი განდევნის ამ უკანასკნელს და მარტო რჩება ასპარეზზე. მრავლობითი რიცხვის ახალი მოდელი თავდაპირველად ნასესხებ სიტყვებს მიესადაგა, რის გამოც ჯერ უახლესი ნასესხობანი აეწყვენ ახალ წესებზე, შემდეგ მოხდა ადრინდელ ნასესხობათა „გადასწორება“ ამ ახალი წესების მიხედვით, ბოლოს კი ინოვაცია შეიჭრა მსესხებელი ენის საკუთარ ლექსიკურ ფონდშიც. მართალია, საკუთრივ წიფათუშური ენის სახელებში ეს პროცესი ახალი დაწყებულია და ჯერ მხოლოდ პარალელურ ფორმებს აწესრიგებს, მაგრამ ის გარემოება, რომ აუარებელ ახალ ქართულ ნასესხობაში მხოლოდ ეს ერთი მოდელი ფუნქციონირებს, აღნიშნულ პარალელიზმთა არცუ შორეულ შედეგებზე მიგვნიშნებს.

დასასრულ უნდა აღნიშნოთ ის ორმხრივი როლი, რასაც მოცემული და საერთოდ ყოველგვარი ინოვაციის საკითხში ასრულებს უფროსი თაობა ბილინგვებისა: საკუთარი თაობის წარმომადგენლებთან მათი მეტყველება ინტერფერენტული ინოვაციებისადმი განსაკუთრებული კონსერვატიულობით ხასიათდება, ახალგაზრდებთან საუბრისას კი ქვეცნობიერად ამარტივებენ საკუთარ მეტყველებას და ცდილობენ „მათი ენით“, ანუ მათვის გა-

საგები ენით იღვაპარიაკონ (ამ დროს დაახლოებით ისეთი ვითარება გვაქვს, ქართული ენის ცუდად მცოდნე პირს - რუსს, გერმანელს, ოსს - გამარტივებული ქართულით რომ ველაპარიაკებით). უფროსი თაობა თუ ერთ შემთხვევაში მშობლიურ ენას იცავს წყარო ენის გავლენისაგან, მეორე შემთხვევაში სწორედ მის სამსახურში გამოდის. ასეთი ვითარება ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია იდეალური ბილინგვიზმისა, რადგან სწორედ ამ დროს დგება რომელიმე თაობისაგან მშობლიურ ენის ცუდი ცოდნის საკითხი.

## II. § 5. „თეთრი ლაქები“ სახელთა ბრუნების პარადიგმებში

ინტერიურენციის თვალსაზრისით თანმიმდევრულად განვიხილეთ თითქმის ყველა სხვაობა, რაც ქართულთან შეპირისპირებისას ამა თუ იმ ბრუნვისა თუ რიცხვის ფორმათა რეალიზაციის საკითხში აღენიშნება წოვათუშერს. ამავე თვალსაზრისით საჭიროა, შევეხოთ იმ განსხვავებასაც, რასაც რომელიმე ბრუნვის უქონლობა, ან ნაკლები ფუნქციური დატვირთვა ქმნის ამ ენაში, ეს კი ნიშნავს დავსვათ მსესხებელი ენის ბრუნვათა პარადიგმებში არსებული თავისუფალი ადგილების, ანუ ე.წ. „თეთრი ლაქების“, საკითხი. ისევე, როგორც „თავისებური“ შეიძლება ეწოდოს ამა თუ იმ გრამატიკულ მოვლენას მხოლოდ სხვა ენის სათანადო სისტემასთან მიმართებაში, პირობითად ტერმინებიც „თავისუფალი ადგილები“, ანუ „თეთრი ლაქები“. კარგად არის ცნობილი, მსოფლიოს რამდენიმე ათასეული ენიდან როგორი მოქნილი და მოხერხებულია თითოეული მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად და, თუ რომელიმე ენის მისამართით ჩვენ ამ ტერმინებს მაინც ვიყენებთ, მხედველობაში ყოველთვის უცხოენობრივი ფონი გვაქვს.

ქართული ენის გრამატიკული სისტემის ფონზე წოვათუ-  
შური ენის ბრუნვათა პარადიგმებში თავისუფალ ადგილს, ანუ ღი-  
ობს ქმნის წოდებითი ბრუნვის უქონლობა; ნაწილობრივი ღიობი  
შეიძლება დაგარეჩეთ ეწ. გარდაქცევითი ბრუნვის ნაკლებ ფუნ-  
ქციურ დატვირთვასაც ქართულივე ენის სათანადო ვითარებითთან  
შედარებით. განვიხილავთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე.

ქართული ენის ვითარებით ბრუნვას რამდენიმე ძირითადი  
ფუნქცია აკისრია, იგი გამოხატავს: ვითარების უბრალო დამატე-  
ბას, თანაობის უბრალო დამატებას, ადგილის გარემოებას, მიზნის  
გარემოებას და ვითარების გარემოებას. განსხვავებული მდგომა-  
რეობა გვაქვს ამ მხრივ წოვათუ-შური: მისი გარდაქცევითი ბრუნ-  
ვა ჩამოთვლილთაგან და საერთოდაც მხოლოდ ერთ ფუნქციას ას-  
რულებს - გამოხატავს ვითარების უბრალო დამატებას. მიუხედა-  
ვად აღნიშნულისა, ქართული ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები  
უკლებლივ რეალიზდება აქ, მაგრამ სხვაგვარად: განაწილებულია  
სხვა ბრუნვებზე, აგრეთვე ზმნიზედასა და ზმნურ ფორმებზე, ისე  
რომ შინაარსის პლანში თავისუფალი ადგილის საკითხი აღარ  
დგება:

### კერძოდ:

ა) ვითარების უბრალო დამატებას გამოხატავს თვითონ  
გარდაქცევითი ბრუნვა:

1. ჩემი მა მწყემს-ად დაუდგა სხვებს

„სე<sup>ნ</sup> ვაშრ ცმუნა-ღ ოთე<sup>ნ</sup> კეჩუდშენ.“

2. მე მასწავლებლ-ად ვმუშაობ სკოლაში

„ას უჩიტლე-ღ მუშებადოს სკოლე.“

3. ზარმაცი გოგო ცოლ-ად არ გამოადგება კაცს.

„ზარმაც ღოჲ ფსტუნა-ღ ცო გამოდგომალა სტაკონ“.

ბ) თანაობის უბრალო დამატება ვინაინ ინსტრუმენტალი-  
სით, თანდებულიანი ფორმებით ან აღწერითად გადმოიცემა:

1. ჩამოამ შერ ბადრ-ი-ვ ლოუმუ დახე<sup>6</sup>.  
 „მარიამი თავისი შეიღებით (შვილებიანად) მთაში წაფი-  
 ლა“.
  2. ნაყბისტ გაშ-ე-ცი<sup>6</sup> ცჰალ ვეცე<sup>6</sup> სო<sup>6</sup> ჰაშელ.  
 „მეგობარი მმასთან ერთად (მმიანად) მომივიდა სტუმ-  
 რად“.
  3. დად ნაყბისტ ვიკოშ გახენ ქუმრწლებ.  
 „მამა მეგობრის წაყვანით (მეგობრიანად) წაფიდა ქორ-  
 წილში“.
- გ) ადგილის გარემოებას ჲ თანდებულიანი ლოკატივი  
 ენაცვლება:
1. ქალქი-ჲ დუდ ნახ დახე.  
 „ქალაშეში (ქალაქად) ბევრი ხალხი ცხოვრიობს“.
  2. წინი მოძღოლ ფჲე-ჲ ხაცე<sup>6</sup> გახა<sup>6</sup>.  
 „ახალი მდგდელი სოფელში (სოფლად) დასახლდა“.
  - დ) ვითარების გარემოებას ზედსართავთაგან შ სუფიქსით  
 ნაწამოები ზმნისართული ფორმები შეესაბამება:
  1. ძვირ-ად დაუჯდა მტერს ეს შეცდომა.  
 „ძვირო-შ ხაცე<sup>6</sup> მასთხუმნი შეცდომ“.
  2. თეთრ-ად მოჩანდა მაღლა მთები.  
 „გუი-შ გურ ლაპე<sup>6</sup> ლამნი“.
- ე) მიზნის გარემოება ზმნის ინფინიტივით გადმოიცემა:
1. მეზობელი ახალი ამბის სათქმელ-ად იყო მოსული.  
 „მეზობელ წინ ამბუდ ალა<sup>6</sup> ვარ ვეცენო“.
  2. ბაგშვი საცემრ-ად ვერ გავიძებე.  
 „ბადერ თეფხა<sup>6</sup> ცო გამეტბადომაკი<sup>6</sup> სო<sup>6</sup>“.
- როგორც ვხედავთ, ქართული ვითარებითი ბრუნვის სინ-  
 ტაქსურ ფუნქციათა გადმოცემის თვალსაზრისით წოვათუშურ  
 ენას არ ჩჩება ცარიელი ადგილები, ანუ თეთრი ლაქები, რომელთა

დაფარების ამოცანაც შეიძლებოდა დამდგარიყო ბილინგვის სა-  
მეტყველო პრაქტიკაში. ამ მიმართულებით რაიმე სახის ცვლილება  
საერთოდ არც შეიძჩნება.

სხვაგვარად დგას წოდებითის საკითხი. წოდებულების არ  
მოეპოვება საგანგებო ფორმა მისი ფუნქციის გადმოსაცემად,  
წოდებითი აკლია წოდებულების ახლო მონათესავე ჩეჩნურისა და  
ინგუშურსაც. ამ ბრუნვის ფუნქციას სამსავე ენაში ბაზისური ფუ-  
ნქციები, ანუ სახელობითი ითავსებს. ბაზისური, ანუ გაუფორმებელი  
ფუნქციების გამოყენება წოდებითის ფუნქციით თავის დროზე ნიშან-  
დობლივი იყო ქართულშიც, მაგრამ დროთა სეღაში მომხდარი  
ინოვაციის შედეგად მიმართვის ფორმათა გამოხატვის საკითხში  
დღეს ეს ორი ენა მკევრობად დაუპირისპირდა ერთმანეთს: გაუდი-  
ფერებულებელი სახელობით-წოდებითი ქართულში დღეს მხო-  
ლოდ საკუთარი სახელებით აღმოჩნდა ლოკალიზებული, წოდებუ-  
ლები კი ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს და თანაბრად მო-  
იცავს ორგონიც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებს.

უფრო გამოწველოვით თუ შევეხებით საკითხს, ქართული  
ენის საკუთარი სახელებიდან წოდებითან მსგავსების თვალ-  
საზრისით უნდა გამოვყოთ მხოლოდ ისინი, რომელთა ფუნქციები  
ხმოვანზე ბოლოვდება, რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელთ შემორჩათ  
გაუდიფერებულებელი სახელობითი და წოდებითი. რაც შეეხება  
თანხმოვანთუმაან საკუთარ სახელებს, რაკი დაირთეს და შემოინა-  
ხეს სახელობითის თურმანი მათი უნიშნო წოდებითი უკვე  
მარკირებული აღმოჩნდა თავისი ნულოვანი მორთვებით.

გვაძებს ოპოზიცია:

- ა) თანხმოვანთუმაანი საკუთარი სახელები: სახ. ბრ. - ი,  
წოდ. ბრ. - Ø.
- ბ) ხმოვანთუმაანი საკუთარი სახელები: სახ. ბრ. - Ø, წოდ.  
ბრ. - Ø.

როგორც ვხედავთ, წოვათუშური ენის გითარებას ქართულში დღეს უპირისპირდება ყველა საზოგადო სახელი და აგრეთვე თანხმოვანთურძიანი საკუთარი სახელები, მსგავსება კი შემოგვრჩა მხოლოდ ხმოვანთურძიან საკუთარ სახელებთან. იდეალური ბილინგვიზმის პირობებში, როცა ორივე ენის კარგი ცოდნა და ხშირი ცვლა საკონკრეტო ციონ სისტემებისა მათს ქვეცნობიერ შეპირისპირებას იწვევს, წოვათუშური ენის გითარება უჩვეულო აღმოჩნდა პრესტიული ქართული ენის ფონზე. რა ცვლილებები მოჰყვა აღნიშნულ სხვადასხვაობას მსესხებელი ენის მიმართვის სისტემაში?

საგანგებო ფორმათა უქონლობა არ წამოადგენს ხელის-შემლელ გარემოებას წოვათუშურ ენაზე მეტყველთათვის, რათა უშეცდომოდ იქნეს გარჩეული მიმართვა იდენტური ბერითი შედგენილობის წინადადების წევრთაგან. გარჩევის საშუალებას წარმოადგენს საგანგებო ბაუზა, რითაც მიმართვა გამოიყოფა მთლიან წინადადებას და ის თავისებური დამთავრებულობის ინტონაცია, რაც ახლავს მას, როგორც დამოუკიდებელ სინტაქსურ ერთეულს. ამ ნიშნით უმიმართვო წინადადება ერთ ინტონაციურ მთელს წარმოადგენს, მიმართვიანი წინადადება კი ორ ინტონაციურ ერთეულად იყოფა.

შდრ::

- 
1. a) კნათ ჰაშედ ვეხი<sup>ნ</sup> ნაყბისტეს.  
„ბიჭი(ი) სტუმრად დაპპატიუა მეგობარმა“.

ბ) კნათ, ჰაშედ ვეხინ ჰო ნაყბისცეს.  
„ბიჭ(ო) სტუმრად დაგპატიუა მეგობარშა“.

2. ა) დალექ ლეტბ სე ბადრინ.  
„ლმერთ(ო) შველის ჩემს შვილებს“.

ბ) დალე, ლეტალ სე ბადრინ.  
„ლმერთ(ო), უშველე ჩემს შვილებს“.

3. ა) რევეკ თხადოლინ ცოდაგლაგ სე ბშარკინ.  
„რევეკა დღეიდან აღარ დაენახება ჩემ თვალებს“.

ბ) რევეკ, თხადოლინ მა დაგლაგ სე ბშარკინ.  
„რევეკა, დღეიდან ნუ დაენახები ჩემ თვალებს“.

მიმართვის ფორმათა მსგავსი გამოყოფა ინტონაციისა და პაუზის საშუალებით დამახასიათებელია თვითონ ქართულშიც, მაგრამ წოდებითის მარკირებული ხასიათის გამო (გარდა ხმოვან-თუქიანი საკუთარი სახელებისა) იქ ერთიც და მეორეც დამატებითი ნიშნებია, მაშინ როდესაც წოვათუშურში მათ განსაკუთრებული როლი ენიჭება, როგორც ლექსემათა სინგაქსურ როლზე მინიშნების ძირითად საშუალებებს. თუ ამ საშუალებებს მოგხსნით, მაშინ უკეთ გაჭირდება მიმართვის გამორჩევა, ან უკეთ, მისი სინგაქსური როლის გააზრება, ჩნდება მისი წინადადებების წევრად კვალითიკაციის საფრთხე. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთი კონსტრუქციის წინადადებებზე, სადაც ქვემდებარე სახელობითი ბრუნვის ფორმით იყარაუდება.

მაგალითად:

ა) მეზობელ, ქალიქ მაცა<sup>ნ</sup> ვუდგა მატარებლებ?  
„მეზობელო, ქალაქში როდის მიღიხარ მატარებლით?“.

ბ) მეზობელ ქალიქ მაცა<sup>ნ</sup> ვუდგა მატარებლებ?  
„მეზობელ ქალაქში როდის მიღიხარ მატარებლით?“

ამ თავისებური სინტკრეტიზმის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული სიძლიერით გამოიჩინება მიმართვის ფორმებში მოქმედი დინამიკური მახვილი. ჩეგნი დაკვირვებით, მიმართვის ფორმათა დანარჩენი წევრებისაგან გამოიჩინება ასრულებს ფაკულტატური ა ხმოვანიც. იგი ხშირად ჩნდება მიმართვას-თან, მაშინ როდესაც შეუძლებელია ახლდეს წინადაღების სხვა რომელიმე წევრს. განსაკუთრებით ხშირად ფაკულტატური ა-ს გა- მოყენება, როცა მიმართვა წინადაღების შუაშია, ან ბოლოში, სა- დაც მისი გამოიჩინება ინტონაციითა და პაუზით შედარებით გამნე- ლებულია, თუმცა საფალდებულო არც აქ არის.

შრო::

1. ა) დოციხ, ბადერ//ბადერ-ა, ჭად ნაყვ.

„წადი, შვილ(ო), შენი გზით“.

ბ) დახქ ბადერ შერ ნაყვ.

„წაგიდა შვილი თავისი გზით“.

2. ა) ჭათხ ვალალ, ვოჭ//ვოჭა, ნახნ.

„წინ გაუძეხი, ბიჭ(ო), ხალხს“.

ბ) ჭათხ ვალე<sup>ნ</sup> ვოჭ ნახნ.

„წინ გაუძლება ბიჭი ხალხს“.

3. ა) ლაგსო<sup>ნ</sup>, სტაკ//სტაკ-ა, თაღლზი აჭ დშოფოშ.

„მიშველე, კაც(ო), ხურჯინის ჩამოლებაში“.

ბ) ლაგე<sup>ნ</sup> სტაკ თაღლზი აჭ დშოფოშ.

„მიშველა კაც(მა) ხურჯინის ჩამოლებაში“.

როგორც ვხედავთ, მაგალითთა დასახელებულ წყვილებში ა- დართული პარალელური ფორმები სახელებს აქვთ მხოლოდ მი-

მართვად გამოყენებისას, სხვა შემთხვევაში კი, როცა იგივე სახე-ლები წინადაღების წევრის როლს ასრულებენ, აღნიშნული ფა-კულტატური ხმოვნის დართვა გამორიცხულია.

თუ სახელს ფუძის ბოლოს ხმოვანი აქვს, რომელიც, რო-გორც წესი, დასუსტებულია, მიმართვად გამოყენების შემთხვევა-ში აღარ სჭირდება ფაკულტატური ა-ს დართვა, რადგან ამავე ფუნქციას ასრულებს აუსლაუტის ხმოვნის სიგრძის აღდგენა.

მაგალითად:

1. ა) იასე წენინ გარგვალი<sup>6</sup>.

„იასე სახლს მიუახლოვდა“.

ბ) იასე // იასე, წენინ გარგლიბ.

„იასე, სახლს მიუახლოვდი“.

2. ა) ნიკო, ვენაჯ ბაროდმოშ ლაგსო<sup>6</sup>.

„ნიკო ვენახის ბარეაში მომებმარა“.

ბ) ნიკო // ნიკო, ვენაჯ ბაროდმოშ ლაგსო<sup>6</sup>.

„ნიკო, ვენახის ბარეაში მომებმარე“.

ჩვენი მაგალითების ფაკულტატურ ა-სთან დაკავშირებით შეიძლებოდა გაგვხსენებოდა წოდათუშურსავე ენაში ფართოდ გავრცელებული პროსოდიული ა. ისინი, მართლაც, ბევრი ნიშნით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, განსხვავებასაც აღმოვაჩენთ იმ მხრივ, რომ პროსოდიული ა არაა ლოკალიზებული სიტყვის პოზიციით ან ფუნქციით, ფაკულტატურ ა-ს კი თავისი დისტინქციური წესები აქვს.

გვიქრობთ, ფაკულტატური ა-ს გამოყენებისა თუ აუსლა-უტის დასუსტებული ხმოვნის აღდგენის შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელობით-წოდებითის ომოფორმებს შორის განსხვავე-ბის დამყარების ორიგინალურ ცდასთან, რომელიც ბოლომდე არაა ენაში გამოკვეთილი. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ის გა-რემოქაცია, რომ მიმართვის ფორმას, რომელსაც არ ერთვის ფა-

კულტატური ა, ან კიდევ არაა გამორჩეული აუსლაუტის სრული ხმოვნით, უფრო მეტი პაუზა სჭირდება, ვიდრე ა-დართულსა თუ ხმოვანაღდგენილ ფორმებს. უფრო მეტიც, სწრაფმეტყველებაში ეს უკანასკნელი ფორმები ყოველგვარი პაუზის გარეშეც შეიძლება შეგხვდეს.

წოდებითის უნიშნო ფორმათა გამორჩევის ზემოთაღნიშნულ საშუალებებთან ერთად, როგორიცაა ფუქტეზე ფაკულტატური ა-ს დართვა, ან დასუსტებული აუსლაუტის ხმოვნის აღდგენა, თავი იჩინა ქართულიდან არითმეტიკული სესხების ფაქტმა. მხედველობაში გვაქვს თვითონ წოდებითის თ ფორმანტის სესხების თავისებური შემთხვევა. ჯერჯერობით ამ ტენდენციის მხოლოდ ჩანასახს გხედავთ. საგულისხმოა, რომ, როგორც ინტერთურენციის სხვა შემთხვევებში, სესხების პროცესი აქაც პარალელური ფორმებით დაიწყო.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ, თუ მორფოლოგიური ინვაციის სხვა შემთხვევები ე.წ. პერიფერიული ლექსიკით იწყებოდა, აქ იგივე პროცესი შებრუნებით განხორციელდა: წოდებითის თ ფორმანტი დაირთეს პირველ რიგში ყველაზე ხშირადხმარებულმა სიტყვებმა, როგორიცაა ნათესაობითის აღმნიშვნელი სახელები: ნან (დედა), დად (მამა), მოჳ (გოგო), ვოჳ (ბიჭი), დაში (და), ვაში (მმა), ბადერ (შვილი), ბიძ (ბიძა). იგივე წოდებითის თ გვხვდება აგრეთვე ჩამოთვლილ მარტივ ფუქტეთა მონაწილეობით მიღებულ კომპოზიტებში: ნანეში(დეიდა), ნანგაში(დედის მმა), დადეში(მამიდა), დადვაში(მამის მმა, ბიძა).

ნასესხები სუფიქსი დამკვიდრებას ჩვეული გზით - ადგილობრივ ფორმებთან პარალელური შენაცვლებით იწყებს. ამ მიზეზით განვითარების თანამედროვე საფეხურზე აღნიშნულ ლექსებმათა სახელობითის თითო ფორმას წოდებითში ორი ფორმა ენაცვლება, რომელთაგან ერთი საკუთარია, გაუფორმებელი, მეო-

რე კი ნასესხებია და გაფორმებული. აქვე თუ იმასაც გაფიხსენებთ, რომ იმავე მიმართვის ფუნქციით გაუფორმებელ წოდებითან თავისუფალ მონაცემებაშია ფაკულტატურ ა-ხმოვნიანი ფორმებიც, მაშინ პარალელიზმები საში წევრით უნდა წარმოვიდგინოთ, რომელთაგან ორი საკუთარია, ერთი – ნასესხები.

გვაძეს:

1. სახ. ნან (დედა)

წოდ. ნან//ნან-ა//ნან-ო

2. სახ. დად (მამა)\*

წოდ. დად//დად-ა//დად-ო

3. სახ. ღოჭ (გოგო)

წოდ. ღოჭ//ღოჭ-ა//ღოჭ-ო → ღოჭ-უ

4. სახ. გოჭ (ბიჭი)

წოდ. გოჭ//გოჭ-ა//გოჭ-ო → გოჭ-უ

5. სახ. ბიძ (ბიძა)

წოდ. ბიძ//ბიძ-ა//ბიძ-ო

6. სახ. ბადერ (ბავშვი)

წოდ. ბადერ//ბადერ-ა//ბადერ-ო

ზემოთ დასახელებული ნათესაობის აღმნიშვნელი სახელებიდან ორ შემთხვევაში, როგორიცაა დაშრ და ვაშრ, წოდებითის თვეუძეს საბოლოოდ შეუხორცდა. ცხადია, იგივე მოხდა მათი მონაწილეობით მიღებულ თხზულ სახელებშიც. როგორიცაა: ნან-ე-შრ (დეიდა), ნან-ვაშ-რ (ბიძა, დედის ძმა), დად-ე-შრ (მამიდა), დად-ვაშ-რ (ბიძა, მამის ძმა).

ბრუნვის ნიშანთა ფუძესთან შეხორცება არაა უჩვეულო მოვლენა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით. მსგავსი შემ-

\* ზოგიერთ სახელს აუსლაუგში დაკარგული აქვს ფუძესეული ხმოვანი ა. ამჯერად, წოდებითის ფორმებში, ხდება არა მისი აღდგენა, არამედ ფაკულტატური ხმოვნით მისი გაფრცობა.

თხვევები სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებშიც გვხვდება, სადაც ცნობილია მავალითად სახელობითის ო-სა და წოდებითის ო-ს ფუძესთან შეხორცების შემთხვევები (თ. უთურგაძე, 1986, 101; ღ. ნოზაძე, 1995, 45).

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრუნვის ნიშანთა ასეთი შეხორცება ფუძესთან სწორედ ანთროპონიმებში ხდება და ბირითადად ეს წოდებით ეხება. აქ, აღბათ, გარკვეულ როლს ასრულებს ის გარემოება, რომ წოდებითის ფორმანტი თავისი ბუნებით მნიშვნელოვნად განსხვავდება ბრუნვის სხვა ჩვეულებრივი ფორმანტებისაგან, რის გამოც მას ხშირად სიტყვაწარმოებაში უძებნიან ადგილს (გ. თოთურია, 1956, 47).

გასაგებია, რომ სახელებს, სადაც უკვე მოხდა წოდებითის ფორმანტის ფუძესთან შეხორცება, ამ ბრუნვაში სხვა, უნიშნო პარალელური ფორმები აღარ მოეპოვებათ, რაც შექება დანარჩენ სახელებს, კონტექსტებში მათი პარალელური ფორმების თავისუფალი მონაცემებია გვაქვს.

შდრ.::

ა) 1. სე<sup>ნ</sup> იმედ ბჭა ხილალ ჰოგრ, ვაშრ.

„ჩემი იმედი ყოველთვის გქონდეს, მმაო“

2. დაჲ მა დიცოლ, დაშო, ჰო<sup>ნ</sup> ას დიენ სიკეთე.

„ნუ დაიგიწყებ, დაო, შენთვის ჩემს გაკეთებულ სიკეთეს“. ბ) 1. თეწბებალსოგრ, ნან// ნანა// ნანო, ნიფსი<sup>ნ</sup> ნიყ.

„მასწავლე, დედა, სწორი გზა“.

2. დეფცალთხოგრ, დად// დად-ა// დად-ო, თიში<sup>ნ</sup> ამბუღ..

„გვიამბე, მამა, ძველი ამბაგი“.

3. მა ჰედლა, ღოჲ// ღოჲა// ღოჲ-უ, სკოლი.

„ნუ დაიგვიანებ, გოგო, სკოლაში“.

განხილული შაგალითების შიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიმართვის ფორმებისთვის ნასესხები ო ფორმანტი გა-

თავისებული აქვს სახელთა ძალიან მცირე ჯგუფს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ეს ყველაზე ხშირად ხმარებული ლექსიკური ერთეულებია, ნათელი გახდება ნასესხები ფორმანტის დიდი ხელითი წონა მეტყველების ნაკადში. ამ გზით შეიძლებოდა გვემტკიცებინა, რომ ადამიანის კლასის გარკვეულ სახელებს წოვათუშურში წოდებითი ბრუნვა გაუჩნდა. ასეთ შემთხვევაში იგი სათანადო ადგილს დაიკავებდა ამ ენის უთანდებულო ბრუნვათა შორის.

ასეთ დასკვნას ხელს უშლის სპეციფიკური მოვლენა, რომელმაც თავი იჩინა აღნიშნულ სახელთა ბრუნებაში: მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სესხების გარკვეულ საფეხურზე ისევ იძალა საკუთრივ წოვათუშური ენის გრამატიკულმა მოდელმა და წოდებითის ონიშნიანი ქართულისებური ფორმები მოულოდნელად სახელობითში აიტანა. მოვლენათა განვითარების ამ საფეხურზე წარმმართველი გახდა კვლავ წოვათუშური ენის საკუთარი კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც მიმართვის ფორმა სახელობითისას უნდა ემთხვეოდეს, გაჩნდა ახალი ბაზისური ფუძე, გაჩნდა ბრუნების ახალი სახელი სახეობა; მოხდა თავისებური კონტაქტისა: ფორმა ქართულისაა, ხოლო გამოყენება, ანუ ერთნაირი განაწილება სახელობითსა და წოდებითში – საკუთარი.

ორი მიკროსისტემის აღნიშნულ კონტაქტიას შედეგად ის მოჰყვა, რომ ერთმანეთის პარალელურად ამოქმედდა წყვილი პარადიგმა ბრუნებისა, რომელთაგან ერთი ტრადიციულია, მეორე კი მთლიანად ახალ ნაწოდებითარ ფუძეზე აგებული.

მაგალითად:

ა) ძველი ბრუნება

ბ) ახალი ბრუნება

სახ. დად(ა) „მამა“

დად-ო

ერგ. დადა-ს

დად-ო-ს

ნათ. დადა-მ<sup>6</sup>

დად-ო-მ<sup>6</sup> → დადუ-მ<sup>6</sup>

մօց. I Ծածա-ք  
 մօց. II Ծածա-ք-շո  
 մօց. III Ծածա-ք-շռ  
 մօց. IV Ծածա-ե  
 օնկիր. Ծածա-ք-զ  
 ջառդ. Ծածա-ք-դ  
 թող. Ծած // Ծած-ա

ա) Ժյշլո ծրյնցիա  
 Տաե. Եան(ա)  
 յ՞նչ. Եանա-և  
 Եատ. Եանա-ք<sup>բ</sup>  
 մօց. I Եանա-ք-ն  
 մօց. II Եանա-ք-շո  
 մօց. III Եանա-ք-շռ  
 մօց. IV Եանա-ե  
 օնկիր. Եանա-ք-զ  
 ջառդ. Եանա-ք-դ  
 թող. Եան // Եան-ա

ա) Ժյշլո ծրյնցիա  
 Տաե. Ծօմօ „Ծօմօ“  
 յ՞նչ. Ծօմօ-և  
 Եատ. Ծօմօ-ն  
 մօց. I Ծօմօ-ն-ն  
 մօց. II Ծօմօ-ն-շո  
 մօց. III Ծօմօ-ն-շռ  
 մօց. IV Ծօմօ-ե  
 օնկիր. Ծօմօ-ն-զ

Ծած-ո-ք-ն → Ծածյան  
 Ծածա-ք-շո → Ծածյանշո  
 Ծածա-ք-շռ → Ծածյանշռ  
 Ծած-ո-ե  
 Ծած-ո-ք → Ծածյանք  
 Ծած-ո-դ → Ծածյանդ  
 Ծած-ո

բ) Եանլո ծրյնցիա  
 Եան-ո  
 Եան-ո-և  
 Եան-ո-ք<sup>բ</sup> → Եանյաք<sup>բ</sup>  
 Եան-ո-ք-ն → Եանյան  
 Եան-ո-ք-շո → Եանյանշո  
 Եան-ո-ք-շռ → Եանյանշռ  
 Եան-ո-ե  
 Եան-ո-ք → Եանյանք  
 Եան-ո-դ → Եանյանդ  
 Եան-ո

բ) Եանլո ծրյնցիա  
 Եօմօ-ո  
 Եօմօ-և  
 Եօմօ-ք<sup>բ</sup> → Եօմյաք<sup>բ</sup>  
 Եօմօ-ք-ն → Եօմյան  
 Եօմօ-ք-շո → Եօմյանշո  
 Եօմօ-ք-շռ → Եօմյանշռ  
 Եօմօ-ք-ե  
 Եօմօ-ք → Եօմյանք

გარდ. ბიძ-ი-ღ  
წოდ. ბიძ // ბიძი

ბიძ-ო-ღ-ღ → ბიძუღღ  
ბიძ-ო

ა) ძველი ბრუნება	ბ) ახალი ბრუნება
სახ. მადმი „მამიღა“	მამ- რ
ერგ. მამი-ს	მამ-ო-ს
ნათ. მამ-ი <sup>ნ</sup>	მამ-ო-ღ → მამუღ
მიც. I მამ-ი-ნ	ამ-ო-ღ-ნ → მამუღნ
მიც. II მამ-ი-გო	მამ-ო-ღ-გო → მამუღგო
მიც. III მამ-ი-გრ	მამ-ო-ღ-გრ → მამუღგრ
მიც. IV მამ-ი-ხ	მამ-ო-ღ-ხ
ინსტრ. მამ-ი-ვ	მამ-ო-ღ-ვ → მამუღვ
გარდ. მამ-ი-ღ	მამ-ო-ღ-ღ → მამუღღ
წოდ. მადმი // მამი	მამ-ო

ამ გზით ზოგიერთმა სახელმა სახელობითსა და წოდებით-ში საბოლოოდ დაივიწყა ძველი ფუძე, რის შედეგადაც მიუიღეთ ბრუნების პარადიგმათა სხვა უფრო ახალი ტიპის პარალელიზმები. ასეთ ვითარებას გვიჩვენებენ სახელები და ვაშკ (და) და ვაშკ (მმა, რომელთაც დანარჩენ ბრუნებშიღა შემორჩათ ამოსავალი ფუძეები და ვაშკა. მსგავსი ვითარებაა აგრეთვე მათვან ნაწარმოები რთული სახელების პარადიგმებში, როგორიცაა: ნანეშკ (დეიდა), ნანეშკ (დედის მმა), დადეშკ (მამიღა), დადვაშკ (მამის მმა). წარმოგადგენთ უახლესი ტიპის პარალელიზმების რამდენიმე ნიმუშს:

1) სახ. ვაშ-რ „მმა“	ვაშ-რ
ერგ. ვაშა-ს	ვაშ-ო-ს
ნათ. ვაშა-ღ <sup>ნ</sup>	ვაშ-ო-ღ <sup>ნ</sup> → ვაშუღ <sup>ნ</sup>
მიც. I ვაშა-ღნ	ვაშ-ო-ღ-ნ → ვაშუღ-ნ

მიც. II	ვაშა-დ-გო	ვაშ-ო-დ-გო → ვაშედგო
მიც. III	ვაშა-დ-გრ	ვაშ-ო-დ-გრ → ვაშედგრ
მიც. IV	ვაშა-დ-ხ	ვაშ-ო-დ-ხ
ინსტრ.	ვაშა-დ-ვ	ვაშ-ო-დ-ვ → ვაშედვ
გარდ.	ვაშა-დ-ლ	ვაშ-ო-დ-ლ → ვაშედლ
წოდ.	ვაშ-რ	ვაშ-რ

2) სახ. დაშ-ო „და“  
 ერგ. დაშა-ს  
 ნათ. დაშა-დ<sup>ნ</sup>  
 მიც. I დაშა-დ-ნ  
 მიც. II დაშა-დ-გო  
 მიც. III დაშა-დ-გრ  
 მიც. IV დაშა-დ-ხ  
 ინსტრ. დაშა-დ-ე  
 გარდ. დაშა-დ-ღ  
 წოდ. დაშ-ო

ଦାୟ-କ  
 ଦାୟ-ନୀ-ସ  
 ଦାୟ-ନୀ-ର୍ଥ → ଦାୟିତ୍ବ  
 ଦାୟ-ନୀ-ର୍ଥ-ନ → ଦାୟିତ୍ବକ  
 ଦାୟ-ନୀ-ର୍ଥ-ଗନ → ଦାୟିତ୍ବମଧ୍ୟଗନ  
 ଦାୟ-ନୀ-ର୍ଥ-ଗନ → ଦାୟିତ୍ବମଧ୍ୟକ  
 ଦାୟ-ନୀ-ର୍ଥ-କ  
 ଦାୟ-ନୀ-ର୍ଥ-ଯ → ଦାୟିତ୍ବମଧ୍ୟ  
 ଦାୟ-ନୀ-ର୍ଥ-ଲ → ଦାୟିତ୍ବମଧ୍ୟଲ  
 ଦାୟ-ନୀ

წოდებითის ფორმანტის სესხების პროცესი საკმაოდ დიდი ხნის დაწყებული ჩანს იმიტომ, რომ ა. შიფრერი ო-ნიშნიანი წოდებითის ამ ახალ ფორმებს უკვე სახელობითში ატანილს ეცნობა. მეცნიერას არ დაუსგამს წოდებითთან მათი გენეზისური კავშირის საკითხი, მაგრამ აღნიშნავს ამ სიტყვათა აგებულებაში მომხდარი საინტერესო ცვლილების შესახებ. იგი საგენებით სწორად მიუთითებს, რომ სახელები გაში (ქმა) და დაში (და) ნაწარმოებია გაშა და დაშა ფუძეებისაგან, რაკი ამ სახეს ატანებს მათი ბაზისური ფუძეები ჩეჩნურში და ამ სახითაა ისინი შემონახული თვითონ წოვათუშური ენის ერგატივში (შიფრერი, 1856, 37).

მოცემული ენის მიერ წოდებითის თ ფორმანტის სესხების ცდა შენიშვნული აქვს აკად. ა. დემერიევს, მაგრამ იგი არ იძლევა

ფაქტის მიმოხილვას და მასზე ზოგადი მითითებით კმაყოფილდება (დეშერიევი, 1953, 86). მკელევარს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ წოდებითის ნასესხები ფორმა დამოუკიდებელ ფუძედ განხოგადდა, რამაც ფორმასაწარმოებელი აფიქსი სიტყვასაწარმოებელ აფიქსად აქცია. ამ გზით სესხების პროცესიც შეჩერდა, რაკი მოიშალა სახელობით-წოდებითის დაპირისპირების ფორმალური საშუალება.

ამრიგად, წოვათუშურ ენაში ვხვდებით წოდებითის ჩამოყალიბების საკმაოდ სერიოზულ ცდებს ფაკულტეტური ა-ს დართვისა, თუ ქართული ო ფორმანტის გამოყენების გზით პირველ შემთხვევაში სახეზეა ენის შინაგანი, იმანენტური განვითარების შედეგი, მეორე შემთხვევაში კი წყარო ენის აქტიური გავლენა. მიუხედავად ამისა, წოდებითი ბრუნვის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებისაგან ჯერ შორს ვართ. პროცესი, როგორც ზემოთ დავინახეთ, დააბრკოლა პარადიგმის ნასესხები წევრების ხელახალმა მოქცევამ მსესხებელი ენის გრამატიკულ სისტემაში და სახელობითად გადააზრებამ. ამ გზით წოდებითის ფორმა ახალ, წარმოქმნილ ფუძედ განხოგადდა, რამაც ფორმასაწარმოებელ მორფემას სტატუსი შეუცვალა და სიტყვასაწარმოებელ მორფემად აქცია. ამ გარემოებამ წოდებითი ბრუნვის ჩამოყალიბება წოვათუშურში სამომავლოდ გადადო, პარადიგმაში კი ცალკე გამოვყავით, რათა საკითხის ისტორია წარმოგვეჩინა. ფაქტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გვიჩვენებს ენის დიდ შინაგან წინააღმდეგობას გრამატიკული ინოვაციებისადმი.

წოვათუშურის წარუმატებელი ცდა ქართულიდან წოდებითის ფორმანტის სესხებისა უკვე საკმაო რაოდენობით ნასესხები და დამკვიდრებული სადერივაციო აფიქსების ფონზე ყურადღებას იქცევს, როგორც ფლექსის სესხების უპრეცენდენტო შემთხვევა. აქ კარგად გამოჩნდა, რამდენად რთული და წინააღმდე-

გობრივია ეს პროცესი შორის წასული იდეალური ბილინგვიზმის დროსაც კი და რამდენად გამძლე და მოქნილია მსესხებელი ენა ამ თვალსაზრისით. თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ის საინტერესო კანონზომიერებაც, რომ წყარო ენიდან შემთბანილი მიმოსახრელი აფიქსი თავდაპირეელად ლექსემათა გარეეულ სემანტიკურ ჯგუფს უნდა დაუკავშირდეს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ჯგუფში დაიწყებს იგი ბუნებრივ ფუნქციონირებას, გაუხსნება გზა საყოველთაო გამოყენებისაკენ. რაც შეეხება „თეთრი ლაქების“ საკითხს, მოცემული შემთხვევა ახალი ბრუნვის ჩამოყალიბების მცდელობისა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ინტერფერენტული პროცესები გარდაუვალი აუცილებლობით გულისხმობს თითოეული ღიანის შევსებას ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეზე. განსხვავებას მხოლოდ დროის ფაქტორი ქმნის, რომელიც სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თუ გრამატიკული იერარქიის რომელ საფეხურთან გვაქვს საქმე.

## II. § 6. ზედსართავი სახელი

წოვათუშური ენის ზედსართავი სახელი აგებულებისა და ფორმაცვალების მიხედვით დამოუკიდებელ სისტემას ქმნის ამავე ენის სხვა მეტყველების ნაწილებს შორის, რამაც განაპირობა ინტერფერენტულ პროცესებთან მიმართებით შისი ცალკე გამოყოფა-განხილვა. სახელობით ბრუნვაში მაზედსართავებელი ფუნქციით მას ნაზალური ხმოვაზი დაერთვის, სხვა ბრუნვებში კი - საგანგებო ჩო მახასიათებელი, რითაც იქმნება თავისებური ოპოზიცია დანარჩენ მეტყველების ნაწილებთან სხვაგვარად დგას საზღვრულთან მისი დამოკიდებულების საკითხიც, ამ ნიშნებით იგი

ცალკე დგას სხვა სახელებისაგან და ქმნის ბრუნების პარადიგმათა საკუთარ მარკინგბულ სისტემას.

ზოგად ენათმეცნიერებაში ხშირად აღნიშნავენ იმის შესახებ, რომ სისტემებრივად რაც უფრო შეკრულ-შემოზღუდულია მეტყველების ესა თუ ის ნაწილი, მით უფრო შეუვალია იგი ინტერფერნტული პროცესებისათვის (ფოჩხუა, 1974, 343; გაინრაიხი, 1972, 46). ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, წოვათუშური ენის ზედსართავ სახელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დანარჩენ მეტყველების ნაწილებს შორის. ზედსართავი სახელის სისტემებრივი შეკრულ-შემოზღუდულობის ფაქტორში თავი იჩინა, ერთი მხრივ, მზა ლექსიკურ ერთეულთა სესხებისადმი მკვეთრი წინააღმდეგობის პროცესში, მეორე მხრივ კი - მორფოლოგიური ინოვაციებისადმი კონსერვატიულ დამოკიდებულებაში.

პირველი ასპექტი შზა ერთეულების სესხებისადმი ენის შინაგანი წინააღმდეგობისა ცალკე გზაქვს განხილული და სტატის სახით გამოქვეყნებული, რის გამოც აქ აღარ ვეხებით და საჭიროების შემთხვევაში კვლევის შზა შედეგებით ვსარგებლობთ (მიქელაძე, 1977, 167-168). ნაშრომში ჩვენ მიერ წარმოდგენილი მეტყველების ნაწილთა ღიაობის ცხრილები საშუალებას იძლევა გავარკვიოთ ცალკეული მეტყველების ნაწილის ღიაობის ხარისხი ორენოვნების სხვადასხვა საფეხურზე, გავითვალისწინოთ მოცემულ საკითხში დროთა სელასთან დაკავშირებით მომხდარი ძერები. საგულისხმოა, რომ ინდივიდუალური ორენოვნების დროს ზედსართავი სახელის ღიაობა მხოლოდ 14%-ს უდრიდა, მაშინ როდესაც არსებითი სახელის ღიაობა 65%-ს აღწევდა. ამ დროს ზედსართავი სახელი თავისი შინაგანი წინააღმდეგობის ძალით თითქმის ზმნას უტოლდებოდა. სწორედ რთული აგებულების გამო იყო, რომ ზედსართავების სესხება არსებითებთან შედარებით მაშინ საოცარი შეზღუდულობით ხასიათდებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც

მოიხსნა ზოგი მორთულობიური ბარიერი, შედარებით დაჩქარდა ამ უკანასკნელთა შეფისების პროცესი, რის გამოც თრინივნების მომდევნო საფეხურზე მათმა ღიაობამ უკვე 71%-მდე აიწია.

ამჯერად ზედსართავ სახელთან დაკავშირებული ინტერ-ფერნციის სხვა შეარე გააინტერესებს: გიკვლევთ ინოგაციათა ხა-სითსა და მასშტაბებს საკუთრივ ბრუნების პარადიგმებში; ვარ-კვევთ, როგორია გრამატიკული გავლენის შეღწევადობა საერ-თოდ და რა მიმართებაშია იგი მიმოხრის სირთულეებთან; რა გზით ეყრება საფუძველი ცვლილებებს პარადიგმათა მთლიან სისტემა-ში.

ზედსართავი სახელი წოვათუშურში, ისევე როგორც სხვა ენებში, ვითარებითია, ან მიმართებითი. ამ ორი სახის ზედსართა-ვებს შორის მსგავსებაც გვაქვს და განსხვავებაც: განსხვავება ბა-ზისურ ფუძეთა აგებულებაშია, მსგავსებას კი მათი ერთნაირი და-ბოლოება ქმნის, კერძოდ, ნაზალური ხმოვანი, რომელიც მაზედ-სართავებული ფუნქციით აუსლაუგზი თანაბრად დაერთვის ერ-თსაც და მეორესაც.

ვითარებითი ზედსართავები ფორმის მიხედვით მარტივია, ცხადია, თუ თვითონ მაზედსართავებულ ხმოვანს არ მივიღებთ მსედველობაში. მოცემულ შემთხვევაში ეს ხმოვანი დაურთვის მარტივ ძირს, რომელიც შინაარსის მიხედვით ნეიტრალურია, რის გამოც მხოლოდ შესაბამისი აფიქსების დართვა აქცევს მას ამა თუ იმ მეტყველების ნაწილად. დღეს წოვათუშურში მაზედსართავე-ბელი ფუნქციით დატვირთულია ხუთივე ნაზალური ხმოვანი (ან, ენ, ინ, ონ, უნ), მაგრამ რომელიმე მათგანის დართვა სათანადო ძირზე არაა ნებისმიერი, რადგან ეს საკითხი უკვე ტრადიციის დო-ნეზე წყდება.

მაგალითად:

- ა: აგ-ა<sup>ნ</sup> (ადგილი), ხალ-ა<sup>ნ</sup> (ძნელი), ზორ-ა<sup>ნ</sup> (ყოჩაღი)...

- ე<sup>ნ</sup>: ღაზ-ქ (კარგი), ლაპ-ქ (მაღალი), წეგ-ქ (წითელი), აფ-ქ (მწვანე), დას-ქ (ცარიელი), ყაჲ-ქ (მწარე), კშავ-ქ (კოჭლი)...

- ო<sup>ნ</sup>: ნიფს-ძ (სწორი), შორ-ძ (განიერი), თიშ-ძ (ძველი), მუსტ-ძ (მუგე), დურ-ძ (მლაშე), მაწრ-ძ (ტკბილი), ცშირ-ძ (ბას-რი)...

- ო<sup>ნ</sup>: აყრ-ო (გაშლილი), ფხიტ-ო (ცქვიტი), კაწკ-ო (ბატარა), დაჭ-ო (დიდი)...

- უ<sup>ნ</sup>: გამ-უ (გაშლილი), ლახ-უ (დაბალი), ლუჩ-უ (დაბდურა).


შესწავლილია და დადგენილი, რომ თითოეული ნაზალური ხმოვნის ამოსავლად ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ი ივარაუდება, რომელსაც ცვლილება განუცდია სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოში (უსლარი, 1988, 42; დეშერიევა, 1963, 452). ცნობილია, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციებიდან, რომელთა მიხედვითაც აშკარა პარალელიზმი ახასიათებს მსოფლიოს ენებს, ერთერთი ძირითადი სწორედ მისი მაზედსართავებელი ფუნქციაა (ნებიერიძე, 1994, 190). ამ მხრივ საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს წოვათუშური, სადაც ყველანაირი მსაზღვრელი ნათესაობითის ერთას ფორმაშია წარმოდგენილი და საზღვრულთან მაკავშირებელი ძირითადი საშუალებაც სწორედ ამ ბრუნვის ფორმანებია.

ვითარებით ზედსართავთა საზღვრულთან საკავშირებელ საშუალებას ნაზალურ ხმოვანთან ერთად ზოგჯერ კლასნიშნიც წარმოადგენს. ასეთი ორნიშნიან ზედსართავებში ყოველთვის აისახება საზღვრულთა კლასი, უკლასნიშნები კი დაგავშირების ამ საშუალებას მოკლებულნი არიან.


საზღვრული სახელის კლასის მიხედვით კლასნიშნიანი ზედსართავის ოთხი ფორმა შეგვხდება შაშინ, როდესაც იმავე სა-

ხელებთან, მსგავსად ქართულისა, უკლასნიშნო ზედსართავი ერთი საერთო ფორმით იხმარება. შევადაროთ, მაგალითად:

ა) უკლასნიშნო ზედსართავი:



ბ) კლასნიშნიანი ზედსართავი იმავე სახელებთან:



ზემოთ ჩვენ გარკვეული მოსაზრებებით მხოლოდ უკლასნიშნო ზედსართავები დავასახელეთ, ამჯერად კი კლასნიშნიანთა მაგალითებს მოყვიდვანთ:

დ-აწ-ძ (მძიმე), დ-ახ-ქ (გრძელი), დ-უტყ-ძ (წერილი, დ-აგ-ძ (მსუბუქი), დ-აყ-ძ (ხმელი), დ-აც-უ (მოკლე), დ-არ-ძ (აარიანი), დ-უყ-ძ (სქელი სითხე), დ-არწ-ძ (შიშველი), დ-აჩერ-ძ (გლუგი)...

გითარებითი ზედსართავები გარკვეული პირობით ყველა მარტივად უნდა გამოვაცხადოთ, რადგან როგორც მაზედსართავებელი სუფიქსი, ისე კლასნიშანიც კონკრეტულ შინაარსს მოკლებულია. სხვა მდგომარეობაა ამ შერიც მიმართებითს ზედსართავებთან. მათი ბაზისური ფუძე რთულია, რადგან კონკრეტული ში-

ნაარსითაა დატვირთული ძირეული სახელებიც და მათზე დართული სადერქოებიც აფიქსებიც. გვაქვს ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, მსგავსებისა და სხვა შინაარსობრივი ჯგუფების ზედსართავი სახელები.

მაგალითად:

თუხო-რქ (მარილიანი), წეგო-რქ (სისხლიანი), მათხო-რქ (მზიანი)... ყარო-ლქ (წვიმიანი), ჰავრნე-ლქ (ფქვილიანი)... დაკ-ლძ (გულიანი, გულადი), დადი-ლძ (პატრონიანი), ჰაში-ლძ (სტუმრიანი, ასი-ლძ (ხმოვიანი)... ხი-წძ (უწყალო), დადი-წძ (უპატრონო), ტათბუ-წძ (უფულო), თუხ-წძ (უმარილო), მახ-წძ (უფასო)...

ფსარე-ლჭ (გუშინდელი), თხა-ლჭ (დღევანდელი), დუ-დახ-ლჭ (წერანდელი)... ვამ-ლქ (ჩვენნაირი, ჩვენებური), ხენ-ლქ (ხისნაირი) ხილ-ლქ (ხილისნაირი)...

წოვათუშური ენის წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივ ჯგუფებსა და მათს მაწარმოებელ ფორმანტებზე ჩვენ ცალკე გმსჯელობთ ამ ნაშრომის მომდევნო თავში, რის გამოც აქ ზოგადი მიმოხილვა და მაგალითებით ვკმაყოფილდებით. წარმოდგენილ მაგალითებში ზედსართავთა შინაარსობრივი ჯგუფების მაწარმოებელი სუფიქსები რქ, ლძ, წძ, ლჭ, ლქ რთულია: მათი ბოლო ნაზალური ხმოვნები საკუთრივ მაზედსართავებელი სუფიქსებია, კონკრეტული შინაარსი კი წინამავალ თანხმოვნებთან არის დაკავშირებული.

აუსლაუგის ნაზალური ხმოვნის დისტრიბუციაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წოვათუშურ ენაში ხმოვნით ცალკეა გამოყოფილი არა მხოლოდ ზედსართავი სახელი, არამედ ყველანაირი მსაზღვრელი საერთოდ. გარდა საკუთრივ ზედსართავი სახელებისა, ესაა პირველ რიგში სუბსტრანტიური მსაზღვრელები, აქვე შემოდის სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელები, რიცხვითები.

სუბსტანტიური მსაზღვრელები ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელებია, რომელთა ერთადერთ დასაშეგებ დაბოლოებას ნაზალური ხმოვანი წარმოადგენს. ამ ჯგუფის მსაზღვრელთა ფუნქციაა საგნის განსაზღვრა დანიშნულების, კუთვნილების, მასალისა თუ სხვათა მიხედვით.

მაგალითად:

გაშ-ქ ჟანგრ (ქმის წიგნი), დაშ-ქ მანდილ (დის მანდილი), ბადრ-ქ სათამაში (ბავშვის სათამაში)... ხენ-ქ ჩაკრ (ხის სკამი), ოგრ-ქ წა (აგურის სახლი), კერ-ქ ლაბ (ქვის კიბე), ხილ-ქ ნეკ (ხილის დანა), კაბ-რ დაყარ (ძროხების საჭმელი), თესლ-ქ ხორბალ (სათესლე ხორბალი)...

ნაზალური ხმოვნით ბოლოვდება ამ ენის რიგობითი რიცხვითი სახელებიც. მათი მაწარმოებელია რთული დაბოლოება ლოლქ, სადაც ხმოვანი ო ხშირად რედუცირებულია.

მაგალითად:

ში (ორი) - ში-ლლქ (მეორე), კო (სამი) - კალლქ (მესამე), დშიშვ (ოთხი) - დშიშვ -ლლქ (მეოთხე), ტყა (ოცი) - ტყა-ლლქ (მეოცე), ფხაუზტყ (ასი) - ფხაუზტყ-ლლქ (მეასე)...

ნაზალური ხმოვანი აბოლოებს ჩვენებით ნაცვალსახელებსაც, რომელთაც ფუძედ აქვთ პირის ნაცვალსახელთაგან ნაწარმოები ვითარების ზმნაზედა.

ი (ეს) - იშტ (ასე) - იშტქ (ასეთი)

ო (ის) - ოდშტ (ისე) - ოდშტქ (ისეთი)

მოლქ (როგორი), მიჩრქ (სადაური), მაცლქ (როდინდელი), ჰანდქ (ვისნაირი), მელქ -ლქ (მერამდენე).... გამონაკლისს ქმნის ამ მხრივ ერთადერთი მენუქ (რომელი).

როგორც ვხედავთ, ნაზალური ხმოვნით იკვრება თავისებური წრედი, რომელშიც მოქცეულია არა მარტო საკუთრივ ზედსართავი სახელები, არამედ ყველა სახის მსაზღვრელი საერთოდ

და დაპირისპირებულია დანარჩენ სახელებთან, რომელთაც მოცე-  
მული არანუირების მიხედვით თავისთავადი შეიძლება გუწოდოთ.  
ამ გზით იქმნება ორწევრა ოპოზიცია, სადაც მორფოლოგიის დო-  
ნებები ერთმანეთს უბირისპირდებიან ნაზალურნებმოვნიანი და უნაზა-  
ლურნებმოვნო, ანუ მსაზღვრელი და თავისთავადი სახელები. ნაზა-  
ლურნებმოვნიან მსაზღვრელებში, როგორც ზევით უკვე მიგუთი-  
თეთ, შედის: ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავები, გენი-  
ტიური მსაზღვრელები, რიგობითი რიცხვითები, კუთვნილებითი,  
კითხვითი და ჩეკენებითი ნაცვალსახელები; მსაზღვრელად გამოყე-  
ნებულ სახელებში უნაზალურნებმოვნო გამონაკლისს ქმნიან მხო-  
ლოდ რაოდენობითი რიცხვითები, ზედსართავთა ხარისხის ფორ-  
მები და მიმღეობები.

ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმებისა და მიმღეობათა  
მიერ ნაზალური ხმოვნის დაურთველობა შეიძლება იმით აიხსნას,  
რომ მათ ბაზისურ ფუძეებში ეს ხმოვანი უკვე ფიგურირებს სხვა-  
დასხვა ფუნქციით, რის გამოც მისი ხელახალი გამოყენება მოუ-  
ხერხებელი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა ორიგეს აქვს სპეციფი-  
კური დაბოლოება, რითაც ისინი ფორმაშარმოების საკუთარ სის-  
ტემას ქმნიან და მსაზღვრელთა დამოუკიდებელ ქვეპლასებად  
ფორმდებიან. რაც შეეხება რაოდენობით რიცხვითებს, მათ არა  
აქვთ რაიმე სახის სისტემური წარმოება, რის გამოც მსაზღვრელ  
სახელთაგან მათი განზე გადგომის მოტივირება ძნელდება. ერთი-  
დან ათამდე ისინი სხვადასხვა დაბოლოების ძირეული სახელებია,  
რომლებიც ზევით უკვე ათობით-ოცობითი თვლის სისტემაში ექ-  
ცევიან და ხელახლა მეორდებიან.

თავისთავადი და მსაზღვრელი სახელების აღნიშნული ორ-  
წევრა კორელაციის თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება,  
რომ მათი დაპირისპირება ბაზისურ ფუძეებში არსებული სხვაობით  
კი არ მთავრდება, არამედ ბოლომდე გასდევს პარადიგმებს: თა-

გისთავადი სახელები იბრუნვიან, მსაზღვრელი სახელები კი ბრუნვის ნიშნებს საერთოდ არ დაირთავენ და სახელობითისაგან განსხვავებული თავისებური ფუძის სახით არიან წამოდგენილი ყველა სახის ბრუნვაში. ეს მეორე ფუძე მსაზღვრელი სახელებისა ერთი მხრივ, თავისსავე სახელობითს უპირისპირდება, მეორე მხრივ კი - საზღვრული სახელების ცალკეული ბრუნვების მარკირებულ ფორმებს. საქმე გვაქვს მსაზღვრელთა თავისებურ ორფუძიანობასთან.

საინტერესოა, რომ სავალდებულო ნაზალური ხმოვნით ერთ კლასში გაერთიანებულ ატრიბუტულსა და სუბსტანტიურ მსაზღვრელებს ტრანსფორმათა წარმოების განსხვავებული წესები აქვთ. ატრიბუტული მსაზღვრელები მეორე ფუძის საწარმოებლად საერთო ნახური წარმომავლობის ჩო სუფიქსს დაირთავენ, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სახელობითის ბაზისური ფუძისადმი დანარჩენი ბრუნვების საერთო ახალი ფუძის დაპირისპირება. აღნიშნული ფორმანგის თავდაპირველი ფუნქციისა და გენეზისის შესახებ საინტერესო თვალსაზრისი წამოაყენა პროფ. კ. ჭრელაშვილმა. მკვლევარს იგი მსაზღვრელი ნაწევარის როლში გამოყენებული შარ (თვითონ) ნაცვალსახელის ფონეტიკურად შეცვლილ სახელობად მიაჩნია (ჭრელაშვილი, 1977, 167).

ატრიბუტულ მსაზღვრელებთან დაკავშირებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ცალკე ბრუნვებისას, ანუ გაარსებითების შემთხვევაში, ისინი ჩვეულებრივ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, მსაზღვრელად გამოყენებისას კი ოდენ ფუძის სახით ფუნქციონირებენ. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ ბრუნების ნიმუშებს, რომელთაც მარტო მხოლობით რიცხვში დავიმოწმებთ, რადგან მსაზღვრელი სახელი წოდათუშურში რიცხვის მიხედვით საერთოდ არ იცვლება. გვაქვს:

1) სახ. ლაპ-ქ გაშ-რ „მაღალი ქა“

ერგ.	ლაპ-ე-ჩო	გაშა-ს
ნათ.	ლაპ-ე-ჩო	გაშა-დ
მიც.	I ლაპ-ე-ჩო	გაშ-დ-ნ
მიც.	II ლაპ-ე-ჩო	გაშა-დ-გო
მიც.	III ლაპ-ე-ჩო	გაშა-დ-გრ
მიც.	IV ლაპ-ე-ჩო	გაშა-ხ
ინსტრ.	ლაპ-ე-ჩო	გაშა-დ-ვ
გარდ.	ლაპ-ე-ჩო	გაშა-დ-ღ

2) სახ.	თიშ-ძ	წა „ძველი სახლი“
ერგ.	თიშ-ი-ჩო	წენ-ი-ვ
ნათ.	თიშ-ი-ჩო	წენ-ი
მიც.	I თიშ-ი-ჩო	წენ-ი-ნ
მიც.	II თიშ-ი-ჩო	წენ-ი-გო
მიც.	III თიშ-ი-ჩო	წენ-ი-გრ
მიც.	IV თიშ-ი-ჩო	წენ-ი-ხ
ინსტრ.	თიშ-ი-ჩო	წენ-ი-ვ
გარდ.	თიშ-ი-ჩო	წენ-ი-ღ

მსაზღვრელთა სახელობითის ბაზისურ ფუძეზე ჩო სუფიქ-  
სის დართვის შემდეგ ყოფილი აუსლაუტის მაზედსართავებელი  
ხმოვანი კარგავს ნაზალობას და ერთგვარი თანხმოვანთვამყარის  
ფუნქციას ასრულებს. სწორედ ამიტომ ჩო მახასიათებელს, გარდა  
სახელობითან ირიბი ბრუნვის დაპირისპირებისა, ახალი, მეორე  
ფუნქციაც ეკისრება - საზღვრულისაგან მსაზღვრელის გამიჯვნა.  
ამრიგად, ჩო სუფიქსი დამატებით ერთგება ატრიბუტულ მსაზ-  
ღვრელთა მარკირების იმ სისტემაში, რასაც სახელობითში ნაზა-  
ლური ხმოვანი ემსახურება.

სუფიქსი ჩო იმდენად დამახასიათებელია ატრიბუტულ  
მსაზღვრელთა სისტემისათვის, რომ ირიბ ბრუნვებში იგი დაერ-

თვის ისეთ სახელებსაც კი, რომლებიც გამონაკლისს ქმნიან და სახელობითში ნაზალურ ხმოვანს არ დაირთავენ. ასეთებია ხარისხის სახელები და მიმღეობები. ამჯერად ცალკე მხოლოდ რაოდენობითი რიცხვითები ჩატანიან. დავასახელებთ ხარისხის სახელებისა და მიმღეობათა ბრუნების რამდენიმე მაგალითს:

1) სახ. ბახ-ივე	ხე „უფრო გრძელი ხე“
ერგ. ბახ-ივე-ჩრ	ხენ-ე-ვ
ნათ. ბახ-ივე-ჩრ	ხენ-ე
მიც. I ბახ-ივე-ჩრ	ხენ-ე-ნ
მიც. II ბახ-ივე-ჩრ	ხენ-ე-გო
მიც. III ბახ-ივე-ჩრ	ხენ-ე-გრ
მიც. IV ბახ-ივე-ჩრ	ხენ-ე-ხ
ინსტრ. ბახ-ივე-ჩრ	ხენ-ე-ვ
გარდ. ბახ-ივე-ჩრ	ხენ-ე-ღ

1) სახ. ბოჟენრ	ხე „წაქცეული ხე“
ერგ. ბოჟენრ -ჩრ	ხენ-ე-ვ
ნათ. ბოჟენრ -ჩრ	ხენ-ე
მიც. I ბოჟენრ -ჩრ	ხენ-ე-ნ
მიც. II ბოჟენრ -ჩრ	ხენ-ე-გო
მიც. III ბოჟენრ -ჩრ	ხენ-ე-გრ
მიც. IV ბოჟენრ -ჩრ	ხენ-ე-ხ
ინსტრ. ბოჟენრ -ჩრ	ხენ-ე-ვ
გარდ. ბოჟენრ -ჩრ	ხენ-ე-ღ

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუ საზღვრულ სახელთა პარადიგმებში ცხრა განსხვავებული ფორმა ფიგურირებს ბრუნვების მიხედვით, მსაზღვრელ სახელებთან მხოლოდ ორი ფორმა უპირისპირდება ერთმანეთს: ერთი - სახელობითი ბრუნვისა, ნაზალურ ხმოვნიანი, მეორე კი - საერთო ყველა დანარჩენი

ბრუნვისათვის, ჩო სუფიქსიანი. ბაზისური ფუძის ნაზალური ხმოვნის ჩო-თი შეცვლის გზით სახელობითი უპირისპირდება მისსავე ტრანსფორმებს. ეს დაპირისპირება იმდენად არსებითია მსაზღვრელი სახელებისათვის, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათ შეიძლება საზღვრულისადმი დაქვემდებარების რომელიმე სხვა ნიშანი დააკლდეთ, ეს თავისებური ორფუძიანობა კი ხელუხლებელი რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ ნაზალური ხმოვანი ყველანაირი მსაზღვრელის საერთო მახასიათებელია, ჩო სუფიქსი ყველას საკუთრება არ არის, მასზე გადის სადემარკაციო ხაზი ატრიბუტულსა და სუბსტანტიურ მსაზღვრელებს შორის. სუბსტანტიური მსაზღვრელები სწორედ ჩო-ს დაურთველობით გამოიჩინებიან ატრიბუტულ მსაზღვრელთაგან და ორფუძიანობაც სხვა პრინციპზე აქვთ აგებული: ნაზალური ხმოვნით გათვორმებულ სახელობითის ბაზისურ ფუძეს დანარჩენ ბრუნვებში უპირისპირდება იგივე ფუძე, რომელსაც აუსლაუგის ნაზალური ხმოვანი ან მთლიანად ჩამოსცილდება, ან დაკარგავს მხოლოდ ნაზალობას, დამატებით კი აღარაფერი დაემატება.

როგორც აღვნიშნეთ, წოვათუმურ ენაში გენიტიური მსაზღვრელები ნაზალური ი, ან ე ხმოვნებით არის ნაწარმოები. საგულისხმოა, რომ თითოეული მათგანის ჩამოცილება სხვადასხვა რეფერენს იძლევა ფუძეში: ხდება უკუგანევითარება იმ ფონოლოგიური პროცესებისა, რაც განხორციელდა მათი დართვისას. ამ ცვლილებების გზის ნაზალურხმოვნიანი სახელობითი უპირისპირდება ყველა დანარჩენ ბრუნვას მსაზღვრელი სახელისა. ცვლილებები განსხვავებულია მსაზღვრელის საყრდენი ფუძის სიგრძის მიხედვით, კერძოდ:

I. ორ- და მეტმარცვლიან საყრდენ ფუძეთა მქონე მსაზ-  
ღვრელებში პროცესები ვითარდება ფუძის დაბოლოების მიხედ-  
ვით:

ა) თანხმოვანფუძიანებში ხდება აღდგენა რედუცირებული  
თუ ეპენთეზირებული ხმოვნებისა. მაგალითად:

აღზნ-ე (აღაზნისა) - აღზან, ცოკლ-ე (ცელიასი) - ცო-  
კალ, გოდრ-ე (გოდრისა) - გოდორ... ქაშნ-ე (ყურძნისა) - ქანიზ,  
ჭაჭნ-ე (ნიკაბისა) - ჭანიკ...

ბ) ხმოვანფუძიანებში ხდება აუსლაუტის დიფთონგის  
დაშლა:

მაგალითად:

ყარუ-დ (წყომის) - ყარო, სპილუ-დ (სპილოს) - სპილო, სო-  
რუ-დ (სოროს) - სორო, კოდო-დ (კოდოს) - კოდო...

II. ერთმარცვლიანი ძირეული სახელებისაგან მიღებულ გე-  
ნეტიურ მსაზღვრელებში სხვადასხვა ვითარებაა იმის მიხედვით,  
თუ რომელი ხმოვანი ჩამოსცილდება ფუძეს, ი თუ ე:

ა) ე-ს ჩამოცილება თანხმოვანფუძიანებში წინამავალი ა, ე,  
ო ხმოვნების საკომპენსაციო გაგრძელებას იწვევს, ი და უ კა უც-  
ვლელი რჩება.

მაგალითად:

ბატ-ე (ბატის) - ბატ, გედ-ე (გედის) - გედ, გორ-ე (გაშ-  
ლის) - გორ... კურ-ე (კვამლი) - კურ, ტურ-ე (ტური) - ტურ, ვირ-ე  
(ვირის) - ვირ...

ბ) ი თანხმოვანფუძიან მსაზღვრელებს არ ჩამოსცილდება,  
კარგავს მხოლოდ ნაზალობას, გადაინაცვლებს წინა ხმოვანთან და  
ქმნის დიფთონგს.

მაგალითად:

ნას-ძ (რძლის) - ნავს, დაშ-ძ (სიგყვის) - დამშ, ნაყ-ძ (გზის) - ნაღყ, მახ-ძ (ქარის) - მახ... კოტ-ძ (გატის) - კუტტ, ქორ-ძ (ქორის) - ქუდრ...

გ) ხმოდანფუძიანებთან ძ კარგავს მხოლოდ ნაზალობას, ქ კი მთლიანად იკარგება:

ჯა-ძ (ლორის) - ჯაღ, ჩა-ძ (დათვის) - ჩაღ...

რუ-ქ (რუის) - რუჭ, კუ-ქ (კუს) - კუჭ...

თვალსჩინოებისათვის გაბრუნებთ რამდენიმე წყვილს, და-ვიმოწმებთ მხოლობითის პარადიგმებს: ბატქ ბუმბულ (ბატის ბუმ-ბული), გედქ თივთიკ (გედის თივთიკი), ცორქ ფოთოლ (ფაშლის ფოთოლი), აღწნევ ხი (აღლაზნის წყალი), დიკ-ქ ჰიკ (ცულის გარი), ნასძ მანდილ (რძლის მანდილი), ცოკლქ მუღ (მელის კუდი), გოდრქ ძირ (გოდრის ძირი)...

სახ.	ბატ-ქ	ბუმბულ	გედ-ქ	თივთიკ
ერგ.	ბატ	ბუმბლ-ე-ვ	გედ	თივთკ-ე-ვ
ნათ.	ბატ	ბუმბლ-ე <sup>ნ</sup>	გედ	თივთკ-ე <sup>ნ</sup>
მიც. I	ბატ	ბუმბლ-ე-ნ	გედ	თივთკ-ე-ნ
მიც. II	ბატ	ბუმბლ-ე-გო	გედ	თივთკ-ე-გო
მიც. III	ბატ	ბუმბლ-ე-გრ	გედ	თივთკ-ე-გრ
მიც. IV	ბატ	ბუმბლ-ე-ხ	გედ	თივთკ-ე-ხ
ინსტრ. ბატ	ბუმბლ-ე-ვ		გედ	თივთკ-ე-ვ
გარდ.	ბატ	ბუმბლ-ე-ღ	გედ	თივთკ-ე-ღ

სახ.	ცორ-ქ	ფოთოლ	აღწნე-ქ	ხი
ერგ.	ცორ	ფოთლ-ე-ვ	აღწა	ხი-ვ
ნათ.	ცორ	ფოთლ-ე <sup>ნ</sup>	აღწა	ხი <sup>ნ</sup>
მიც. I	ცორ	ფოთლ-ე-ნ	აღწა	ხი-ნ
მიც. II	ცორ	ფოთლ-ე-გო	აღწა	ხი-გო
მიც. III	ცორ	ფოთლ-ე-გრ	აღწა	ხი-გრ

մօց. IV	չոր	ջոտլո-յ-ե	աղջա	եօ-ե
անՏըր. չոր		ջոտլո-յ-զ	աղջա	եօ-զ
քարճ. չոր		ջոտլո-յ-դ	աղջա	եօ-դ

სახ.	ნას-ი	მანდილ	დიპ-ე	ჰიკ
ერგ.	ნავს	მანძდლ-ე-ვ	დიპ	ჰაკუდრ-ვ
ნათ.	ნავს	მანძდლ-ე	დიპ	ჰაკრ-ი
მიც. I	ნავს	მანძდლ-ე-ნ	დიპ	ჰაკუდრ-ნ
მიც. II	ნავს	მანძდლ-ე-გო	დიპ	ჰაკუდრ-გო
მიც. III	ნავს	მანძდლ-ე-გრ	დიპ	ჰაკუდრ-გრ
მიც. IV	ნავს	მანძდლ-ე-ს	დიპ	ჰაკუდრ-ს
ინსტრ.	ნავს	მანძდლ-ე-ვ	დიპ	ჰაკუდრ-ვ
გარდ.	ნავს	მანძდლ-ე-ლ	დიპ	ჰაკუდრ-ლ

სახ.	ცოკლ-ქ	შუღ	გოდორ-ქ	ძირ
ერგ.	ცოკალ	შუღ-ე-გ	გოდორ	ძირ-ე-გ
ნათ.	ცოკალ	შუღ-ე	გოდორ	ძირ-ე
მიც. I	ცოკალ	შუღ-ე-ნ	გოდორ	ძირ-ე-ნ
მიც. II	ცოკალ	შუღ-ე-გო	გოდორ	ძირ-ე-გო
მიც. III	ცოკალ	შუღ-გრ	გოდორ	ძირ-ე-გრ
მიც. IV	ცოკალ	შუღ-ე-ხ	გოდორ	ძირ-ე-ხ
ინსტრ.	ცოკალ	შუღ-ე-გ	გოდორ	ძირ-ე-გ
გარდ.	ცოკალ	შუღ-ე-დ	გოდორ	ძირ-ე-დ

**ტურ, გოდორ...** მართლაც ემთხვევა ნომინატიურ ფორმებს. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს იქნებოდა საკითხის მცდარი წარმოდგენა, რისთვისაც დაგვჭირდებოდა მთელი რიგი გარდაქმნების უგულებელყოფა, რასაც ყველა შესაძლო შემთხვევაში ახორციელებს ენა ამ ფუძეთა ნიშანდებისათვის. ჩვენს მაგალითებში ფიქსირებული გერ, ბატ, ტორ, ნაძა... არ არის სახელობითი და არც სხვა რომელიმე აქამდის ცნობილი ბრუნვა. მათვის ფუნქციისა და შინაარსის მიხედვით სწორი იქნებოდა გვეწოდებინა მხოლოდ მეორად გენეტივი.

მიუხედავად აღნიშნულისა, გარეგნული დამთხვევა ძირეულ სახელთა სახელობითისა და მეორადი გენეტივის ფორმებს შორის საკმაოდ ხშირია, მით უფრო რომ ბილინგვთა ახალი თაობა ქართულის უფრო მზარდი გავლენით გრძელსა და მოკლე ხმოვნებს თთქმის აღარ არჩევს და დიფორმინგებიც მოშლის გზაზეა დამდგარი. დასახელებულ მიზეზთა გამო ეს ფორმებიც შეცდომით შეიძლება, მართლაც, გამოვაცხადოთ ძირეულ სახელთა სახელობითად. ამგვარ შეცდომას უშვებს აკად. ო. დეშერიევი, რომელსაც უყურადღებოდ რჩება ძირეული ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელებისა თუ ეპენთეზისისა და დიფორმიზაციის ზემოთ აღნიშნული ფაქტები. მეორადი გენეტივის სახელობითად ანუ წრფელ ფუძედ გამოცხადებით მკვლევარი ცდილობს დაასაბუთოს თავისთავად საყურადღებო მოსაზრება იმის შესახებ, რომ გენეტიური ბრუნვის გაფორმებამდე ეს ფუნქცია მხოლოდ სინტაქსური საშუალებით, ანუ სიტყვათა რიგით გადმოიცემოდა.

ო. დეშერიევის დებულება საინტერესოა, მაგრამ არადამაჯერებელია მისი არგუმენტაცია; მცდარია ის მაგალითი, რომელიც საილუსტრაციოდ მოაქვს ავტორს წოდათუშურიდან. ამ, ისიც მისეულივე რუსული თარგმანით:

Зედ тиვთიგ ბოს – лебяжний пуховый цвет (დექერიევი, 1963, 420). იქვე მკვლევარი დამოწმებული მაგალითის სიტყვასი გუგით თარგმანსაც იძლევა лебед, пух, цвет.

აღნიშნული დამოწმება არასწორია ორი თვალსაზრისით:

1. უნდა იყოს **გეღდ** და **არა გეღდ**. ხმოვნის სიგრძეს წოვათუ-  
შეკრში ფონებატური ღირებულება აქვს. **გეღდ** არ უდრის სახელო-  
ბითს თავისი ფონის მითა და შინაარსით, ეს მეორადი გენეტიკით.

2. უნდა იყოს **თივთიკ-ქ-** და არა **თივთიკ**, რადგან წოვათუ-  
შური ენის მორფოლოგიის თანახმად სახელობითში წარმოდგენი-  
ლი რამდენიმე გენეტიკური მსაზღვრელიდან უკანასკნელი აუცი-  
ლებლად ფორმდება გენეტიგის ნიშით:

୩୫

- ა) გედ-ქ პშე - გედის ფრთა  
 ბ) გედ პშან-ქ ბუმბულ - გედის ფრთის ბუმბული  
 გ) გედ ჰშ ან ბუმბლ-ქ ბალიშ - გედის ფრთის ბუმბულის

ისე რომ ი. დეშერიევის განხილული მაგალითი არასწორი გრამატიკული ფორმითაა დამოწმებული, უფრო სწორად - ყოველგვარი ფორმის გარეშე. წოვათუმურის სათანადო წესების გათვალისწინებით სადაც მაგალითი მიღებს შემდეგ სახეს.

გერთ თივთიკ-ქ ბოს (გედის თივთიკის ფერი).

აღნიშნული შეცდომა შედეგად მოჰყვა ეწ. მეორადი გე-  
ნეტიკის გაუთვალისწინებლობას და რამდენიმე მსაზღვრელიდან  
ბოლო მსაზღვრელის სავალდებულო მართვის წესის უგულებელ-  
ყოფას.

ნათქებამის შემდეგ, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: როცა, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული საგანგებო ღონისძიებებისა (ძირისეული ხმოვნის გაგრძელება, დიფტონგიზაცია...), ზოგჯერ მაინც მოხდება მეორადი გრძელივის დამთხვევა ძირული სახელის

სახელობითთან, როგორ გაარჩევს ენა მსაზღვრელს თავისთავადი სახელისაგან?

ასეთი დამთხვევის შესაძლებლობა, მართლაც, არსებობს საკუთარ სახელთაგან ნაწარმოებ გენეტიურ მსაზღვრელებში, მაგრამ ენა შესანიშნავად ართმევს თავს ამ პრობლემას. ამაში ადგილად დავრწმუნდებით, თუ ახლა უკვე ამ თვალსაზრისით შევისწავლით ასეთი „დამთხვეული“ მსაზღვრელის პარადიგმას. მაგალითად:

სახ.	მადრე-ქ	გაშ-ო	„პარიაშის ძმა“
ერგ.	მადრამ-ზ	გაშა-ს	
ნათ.	მადრამ-ზ	გაშა-დ	
მიც. I	მადრამ-ზ	გაშ-დ-ნ	
მიც. II	მადრამ-ზ	გაშა-დ-გო	
მიც. III	მადრამ-ზ	გაშა-დ-გრ	
მიც. IV	მადრამ-ზ	გაშა-ხ	
ინსტრ.	მადრამ-ზ	გაშა-დ-ვ	
გარდ.	მადრამ-ზ	გაშა-დ-ლ	

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ, როცა საზღვრული სახელობითშია და უფორმანტო (საზღვრულის სახელობითი ყოველთვის ნულოვანი მორთუებით აღინიშნება წოვათუ-შურში), მსაზღვრელისათვის საფალდებულო ხდება გენეტივის ნიშნის დართვა, მაშინ კი, როცა საზღვრული რომელიმე სხვა ბრუნვაშია და ამის გამო ბრუნვის ნიშნით არის გაფორმებული, მსაზღვრელი უფორმანტოდ გეგეგლინება. როგორც ვხედავთ, მსაზღვრულ-საზღვრულისაგან შემდგარი სინტაგმის ორივე წევრის ერთდროული ნულოვანი გაფორმება რომელსამე ბრუნვაში პრინციპულად გამორიცხულია, მაშინ როდესაც ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის უფორმანტოა. ჩვენი აზრით, აქ ენობრივი ეკონომიის პრინციპის მოქმედებასთან უნდა გვქონდეს საქმე,

ვიდრე სიტყვათა რიგის - სინტაქსური ოდენობის - მოწყოლოვიური ფუნქციით დატვირთვის ძევლი ვითარების გადმონაშთან, როგორც ამას აკად. ი. დეშერიევი ვარაუდობს.

შეიძლება არ იყოს ინტერესმოკლებული იმის აღნიშვნა, რომ ცალკე ნაბრუნები ანუ გასუბსტანტივებული მსაზღვრელები: ატრიბუტულიც და გენეტიურიც ერთნაირად დაირთავენ ჩო მახა-სიათებულსაც და ბრუნვის ნიშნებსაც. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩო-თი გაფორმებულ გაარსებითებულ მსაზღვრელებთან ერ-გატიულ ბრუნვაში აღარ მონაცვლეობენ ს და ვ ფორმანტები. ამ მხრივ სულ ერთია, როგორი საგანი იქნება გასუბსტანტივებული მსაზღვრელით აღნიშნული, მუდმივად გააძონებულია ერთადერ-თი სუფიქსი გ, რომლის გამოყენებაც ამჯერად თითქოს ჩო მახა-სიათებულს უკავშირდება. მაგალითად:

სახ.	ხენ-ე „ხისა“	ლაპ-ე „მაღალი“
ერგ.	ხენ-ჩო-გ	ლაპ-ი-ჩო-ვ
ნათ.	ხენ-ჩო	ლაპ-ი-ჩო-
მიც. I	ხენ-ჩო-ნ	ლაპ-ი-ჩო-ნ
მიც. II	ხენ-ჩო-გო	ლაპ-ი-ჩო-გო
მიც. III	ხენ-ჩო-გო	ლაპ-ი-ჩო-გო
მიც. IV	ხენ-ჩო-ხ	ლაპ-ი-ჩო-ხ
ინსტრ.	ხენ-ჩო-ვ	ლაპ-ი-ჩო-ვ
გარდ.	ხენ-ჩო-ღ	ლაპ-ი-ჩო-ღ

როგორც გხედავთ, დამოუკიდებლად აღებულ მსაზღვრელს ღდნავადაც არ უჭირს ტრანსფორმათა წარმოება. ასე რომ, საზღვრულთან ნაბრუნები მსაზღვრელის უფორმანტობა ირიბ ბრუნვებში სინტაქსის თავისებური კონსტრუქციით უნდა აიხსნას.

მსაზღვრელის კლასი, როგორც დამოუკიდებელი მოწყო-ლოვიური ოდენობა, ქართულს არ გააჩნია, წოვათუშერში კი ეს

სისტემა, როგორც გნახეთ, საგანგებოდ არის ორგანიზებული, ერთი მხრივ, ბაზისურ ფუქსეთა ნაზალურნებმოვნიანი დაბოლოებებით, მეორე მხრივ კი – ჩრდილოებითა თუ უმისოდ განხორციელებული ორფუქმიანობით. ფლექსისა და დერივაციის ეს განსაკუთრებული სირთულე და შემოზღუდულობა იყო ის მნელად გადასალახი ჯებირი, რაც ასე დიდხანს და საიმედოდ იცავდა წოვათუშური ენის ზედსართავ სახელებს უცხოენობრივი ერთეულების მოძალებისგან. ორენოვნების დასაწყისა და დიდხანს მერე მომდევნო საფეხურებზე სესხების თვალსაზრისით ეს იყო თითქმის მთლიანად ჩაკეტილი სისტემა, რომელში მოქცევაც მხოლოდ სერიოზული მორთუონლოგიური სახეცვალების შემდეგ შეიძლებოდა. სწორედ გარდაქმნის სირთულეთა გამო თითქმის ბოლო დრომდე ნასესხებ ზედსართავ სახელთა მხოლოდ ცალკეული ერთეულები აღწევდნენ წოვათუშურის ლექსიკურ ფონდამდე.

ამ მხრივ მარტივად იდგა საკითხი სუბსტანტიურ მსაზღვრებლებთან, რომლებიც ამ მიზნით უკვე ნასესხებ და დამკვიდრებულ არსებით სახელთა გენეტიური ბრუნვის ფორმას იყენებდნენ. სწორედ ის გარემოება, რომ უკვე გათავისებულ ფუქსებზე ხდებოდა C ენის გენეტიური ბრუნვის ფორმანტის დართვა, ფარავდა მათ პიბრიდულ ბუნებას. ეს აადგილებდა, ერთი მხრივ, მათი ფორმაწარმოებისა და, მეორე მხრივ კი, სიტყვათმიმოქცევაში ჩართვის საჭეს. აუარებელი ქართული, ან ქართულის გზით ნასესხები არსებითი სახელი ღებულობდა გენეტივის ფორმას და დაუბრკოლებლად მონაწილეობდა სინტაქსურ წყვილებში. მათი აქტიური როლიც ენის სიტყვათმიმოქცევაში დადებითად წყდებოდა იმავდროულად, რა დროიდანაც კი ბაზისური არსებითი სახელი მსესხებელი ენის საკუთრება ხდებოდა: თუ არსებითი სახელი უკვე ნასესხები იყო, ეს იმას ნიშავდა, რომ ჩნდებოდა მისი გენეტიური ფორმაც, როგორც წოვათუშური შინაარსობრივი პლანის აუცი-

ლებელი კომპონენტია. ენის ყველაზე სრულ ლექსიკონში, რომელიც დ. და ნ. ქადაგიძეებს ეკუთვნის. საკუთრივ თუშური წარმომავლობის 824 არსებითი სახელის გვერდით 1556 ნახსენები არსებითი სახელია შესული. ცხადია, ივარაუდება მათგან ნაწარმოები ამდენივე გენეტიური მსაზღვრელის მონაწილეობა სინგაქსურ წყვილებში, როგორიცაა, მაგალითად:

აკსბ-ე დე - „აღვესების, აღდგომის დღე“, მოძღო-ე დოშ - „მღვდელის სიტყვა“, სკოლა-ძ ეზო - „სკოლის ეზო“, მოწაფ-ე ჟაგნი - „მოსწავლის წინგი“, მეზობლ-ე წა - „მეზობლის სახლი“, საყდრ-ე სანი - „ეკლესიის კარები“, გაზითა-ძ სათაურ - გაზეთის სათაური, მოთხრობ-ე ქორთო - მოთხრობის თავი, დასაწყისი“, მერცხლე ბე - მერცხლის ბუდე, არწევ-ე გაგა - არწივის კვერცხი, ქოთმ-ე გაგა - ქათმის კვერცხი, პალტუ-ძ ქაჩ - პალტოს საყელო, კაბ-ე ქამარ - კაბის ქამარი, ქოთმ-ე საბუდარ - ქათმის საბუდარი, საძირკვლე წერ - საძირკვლის ქვა, ბოთლე ძირ - ბოთლის ძირი, ალზნ-ე ტივ - ალაზნის ხიდი, ქალიქა-ძ ნიყ - ქალაქის გზა“, წიფლე დოს - წიფლის შეშა, კამჩ-ე შურ - კამეჩის რძე, ცაითაც უ-ძ ბადერ - ნათლიის შვილი, ადმენ-ე დახარ - ადამიანის ცხოვრება, ელექტრონ-ე მაშა - ელექტრონის სინათლე, ვენც-ე დად - ვენახის პატრინი“...

რაც მარტივად წყდებოდა სუბსტანტიურ მსაზღვრელთა ფორმაწარმოებისა და მიმოცევის საკითხები, მით უფრო ძნელი იყო მათივე გადაწყვეტა ატრიბუტულ მსაზღვრელებთან დაკავშირებით. სესხების პროცესში ზედსართავი სახელი იმგვარად უნდა შეცვლილიყო, რომ აუსლაუტში ბუნებრივად მორგებოდა ნაზალური ხმოვანი; გარდა ამისა, მიღებული ფორმა ახლადდართულ ნაზალურხმოვნიანად საფალდებულო ორმარცვლიანობის ჩარჩოში უნდა მოქცეულიყო; ცხადია, უნდა დაგვეშალა თუშურისათვის უჩვეულო ბგერათმიმდევრობანიც. მხოლოდ ამის შემდეგ იყო

ზედსართავი სახელი მსესხებელი ენის მიერ გათავისებული და ეხ-სნებოდა გზა მისი ლექსიკური ფონდისაკენ. ასეთი დასკვნების სა-ფუტბოლს გვაძლევს, ერთი მხრივ, სისტემებრივი შეკრულ-შემოზ-ლუდულობა წოვათუშური ენის ზედსართავი სახელებისა, მეორე მხრივ კი - ნასესხობათა პროცენტული სიმცირე და იმ მორფონო-ლოგიურ გარდაქმნათა სირთულე, რასაც ისინი ეჭვემდებარებიან. განვიხილავთ ადრინდელ ნასესხობათაგან დღემდე უცვლელად შემორჩენილ რამდენიმე ზედსართავ სახელს: ცუფუ-ქ - ცოფიანი, ბრუმტ-ქ - ბრუტიანი, კუმზ-ქ - კუზიანი, მანდლოვ-ქ - მანდილია-ნი, დამრდველ - დარდიანი, ნაგვლვ-ქ - ნაკლიანი კუდდ-ქ - კუდიანი, ეჭვ-ქ - ეჭვიანი, წუღწ-ქ - წუწიანი... საინტერესოა, რომ დასა-ხელებულობა მადლენ დამოწმებულია ა. შიფნერის გრამატიკას დართულ ლექსიკონში, სხვები კი არ ჩანს, აღმართ, ლექსიკონის შეზღუდული ხასიათის გამო.

აქ შეიძლებოდა ნასესხები მზა არსებითი სახელებისაგან საკუთარი წარმოების ქ დაბოლოების დართვით მიღებული ჰიბრი-დული ახალწარმონაქმნები დაგვენახა, რადგან თუშურში მარ-თლაც გვაქს ნასესხები შესაბამისი ძირეული სახელები: ცოფ, ბრუტ, კუზ, მადლელ, დარდ, ნაკლ, ეჭვ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი გზით უნდა მიგვედო: ცოფ-ქ, მადლ-ქ, დარდ-ქ, ნაკლ-ქ... ფორმები. ჩვენ მიერ ფიქსირებულ მაგალითებში კი აშკარად ჩანს იან სუფიქსისეული ო ხმოვნის კვალი. გარდა ამისა კუიდენ და წუ-წენ ზედსართავთა ძირეული სახელები კუდ და წუწ წოვათუშურ-ში დღემდე არაა ნასესხები და იმავე მნიშვნელობის საკუთარი სიტყვები მყარად დგას სათანადო კონტექსტებში. აშკარა ხდება, რომ აქ ამოსავალია ო-ს შემცვლელი ფორმები, ანუ თვითონ მზა ქართული ზედსართავები იან დაბოლოებით. სწორედ მათი ტრან-სფორმაციის შედეგია ზემოთ დასახელებული ფორმები, რომლე-ბიც დაექვემდებარა შემდეგი სახის გარდაქმნებს:

ა) დაიკარგა აუსლაუტის ა:

ცოფიანი - ცოფიან

ბ) აუსლაუტში დარჩენილმა იან სუფიქსის ნ ნაზალურმა თანხმოვანმა მოახდინა წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაცია:

ცოფიან - ცოფიან

გ) განვითარდა ეპენთეზისი, ოოგორც მარცვალდაკლების საშუალება:

ცოფიან - ცუმფე

დ) ნაზალური ა შეცვალა ზედსართავთა დამახასიათებელ-მა ნაზალურმა ე-შ:

ცუმფე - ცუმფე.

აღნიშნული გათავისებული ნასესხები ერთეულები უკვე მარტივია ჩაერთვნენ წიგვათუშური ენის ზედსართავ სახელთა მი-მოქცევაში: დაირთეს ჩო მახასიათებელი და გადავიდნენ ორფუძი-ანობაზე. მათი პარადიგმები ზედმიწევნით ემთხვევა საკუთრივ ამ ენის ზედსართავ სახელთა პარადიგმებს. მაგალითებისთვის ვაბ-რუნებთ რამდენიმე წყვილს: კუნიანი ძმა, ეჭვიანი ადამიანი, ცო-ფიანი ძაღლი, მაღლიანი სტუმარი.

სახ.	კუმზ-ე	ვაშ-რ	იჭვ-ე	ადმე
ერგ.	კუმზ-ე-ჩო	ვაშა-ს	იჭვ-ე-ჩო	ადმენ-ე-ს
ნათ.	კუმზ-ე-ჩო	ვაშა-დ	იჭვ-ე-ჩო	ადმენ-ე
მიც. I	კუმზ-ე-ჩო	ვაშ-დ-ნ	იჭვ-ე-ჩო	ადმენ-ე-ნ
მიც. II	კუმზ-ე-ჩო	ვაშა-დ-გო	იჭვ-ე-ჩო	ადმენ-ე-გო
მიც. III	კუმზ-ე-ჩო	ვაშა-დ-გრ	იჭვ-ე-ჩო	ადმენ-ე-გრ
მიც. IV	კუმზ-ე-ჩო	ვაშა-ხ	იჭვ-ე-ჩო	ადმენ-ე-ხ
ინსტრ.	კუმზ-ე-ჩო	ვაშა-დ-ვ	იჭვ-ე-ჩო	ადმენ-ე-ვ
გარდ.	კუმზ-ე-ჩო	ვაშა-დ-ღ	იჭვ-ე-ჩო	ადმენ-ე-ღ

სახ.	ცუმფ-ე	ფჰჰუ	მადლლ-ე	ჰაშ
------	--------	------	---------	-----

ერგ.	ცუდიუ-ე-ჩრ	ფჰარა-ვ	მადლ-ე-ჩრ	ჰაშ-ე-ს
ნათ.	ცუდიუ-ე-ჩრ	ფჰარ-ი	მადლ-ე-ჩრ	ჰაშ-ე
მიც. I	ცუდიუ-ე-ჩრ	ფჰარა-ნ	მადლ-ე-ჩრ	ჰაშ-ე-ნ
მიც. II	ცუდიუ-ე-ჩრ	ფჰარ-გო	მადლ-ე-ჩრ	ჰაშ-ე-გო
მიც. III	ცუდიუ-ე-ჩრ	ფჰარა-გრ	მადლ-ე-ჩრ	ჰაშ-ე-გრ
მიც. IV	ცუდიუ-ე-ჩრ	ფჰარა-ხ	მადლ-ე-ჩრ	ჰაშ-ე-ხ
ინსტრ.	ცუდიუ-ე-ჩრ	ფჰარა-ვ	მადლ-ე-ჩრ	ჰაშ-ე-ვ
გარდ.	ცუდიუ-ე-ჩრ	ფჰარა-ღ	მადლ-ე-ჩრ	ჰაშ-ე-ღ

ასეთი ბოლომდე გათუშურებული ნასესხები ზედსართავები დღეს იშვიათადღა შეგვხვდება, რადგან აქაც ჩვეული აქტიურობით მოქმედებს იდეალური ბილინგვიზმისათვის ნიშანდობლივი ტენდენცია აღრინდლ ნასესხობათა „გადასწორებისა“, შლის წარსულის „შეცდომებს“, ცვლის მათ ახალი, უცვლელად დატოვებული ფორმებით.

ზედსართავ სახელთა აღრინდელი ნასესხობების შეზღუდულ რაოდენობაზე მსჯელობისას, ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც. საზოგადოებრივ პროგრესსა და ცხოვრების დონის ამაღლებას ადამიანთა ყოფიერებაში გაცილებით სწრაფად შემოჰქონდა ახალი საგნები, ხოლო აქედან კი - ენაში ახალი სახელები, ვიდრე უფრო აბსტრაქტული ბუნების ზედსართავ სახელთა საყრდენი ახალი ურთიერთობები და ცნებები. მაგალითად დ. და ნ. ქადაგიძების ლექსიკონში, ოუ ერთმანეთს მიერთობით საკუთარისა და ნასესხებს, 2380 არსებითი სახელია შესული, ზედსართავი კი სულ 734-ა (ქადაგიძე, ქადაგიძე, 1984).

ლექსიკონის აღნიშნული მონაცემების მიხედვით ნათელი ხდება, რომ რომელიმე ენის ნასესხობებში ცალკეული მეტყველების ნაწილთა ხვედრითს წონაში არსებული სხვადასხვაობა შეუძლებელია ჩვეულებრივი რიცხვებით გადმოიცეს. ამ თვალსაზრისით ზუსტი შედარების საშუალებას იძლევა დიალის ცნება და

მასზე დამყარებული გამოთვლები, როცა ნასესხობათა შეფარდება ხდება საკვლევი მეტყველების ნაწილის საერთო რაოდენობასთან. სწორედ ასეთი გამოთვლების შედეგებზეა აგებული ჩვენი ღიაობის ცხრილები, რომლებიც, როგორც მოცემული პარაგრაფის შესავალში გვაქვს აღნიშნული, ქართულ-წოვათუშური ორენვენების განსხვავებულ საფეხურებს უკავშირდება. საგულისხმოა, რომ ამ ცხრილების მიხედვით ორენოვნების დასაწყის სტადიაზე სახელებიდან ღიაობის ყველაზე ნაკლები ხარისხი ზედსართავს აღმოაჩნდა. ასეთი ჩაკეტილობით იგი თითქმის თანაბარ დონეზე იყო ზმნასთან, შემდეგ კი იდეალურ ბილინგვიზმთან დაკავშირებით ისე გაიზარდა მისი როლი ნასესხობებში, რომ ამ მხრივ გამორჩეულ არსებით სახელთა ღიაობას გაუტოლდა.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ორენოვნების ადრინდელ საფეხურზე ზედსართავთა ღიაობის დაბალი პროცენტი ამ მეტყველების ნაწილის განსაკუთრებულ ორგანიზებულობასთან იყო დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში ასახსნელია, რამ განაპირობა შემდგომში მკვეთრი ცვლილება იმავე მეტყველების ნაწილი ღიაობის საკითხში, როგორ ვითარდებოდა მოვლენები.

ორენოვნების იმ საფეხურის შესახებ, როცა ღიაობა ზედსართავი სახელებისა თითქმის ნულს უტოლდებოდა, ჩვენ მხოლოდ მოღწეული თითო-ოროლა მაგალითის მიხედვით ვშავებოთ. ეს იყო, აღმართ, ინდივიდუალური ორენოვნების დასაწყისი პერიოდი, როცა ნასესხები ლექსიკური ერთეულები იკავებდნენ მხოლოდ თავისუფალ აღგილებს, ანუ აქსენტების ე.წ. თეთრ ლაქებს. ცხადია, თვით ეს „თეთრი ლაქებიც“ მთლიანი რაოდენობით არ იჩენდა ამ დროს თავს, რადგან თანმიმდევრული შეპირისპირება კონტაქტში მყოფ ენათა ლექსიკური თუ გრამატიკული სისტემებისა მხოლოდ კოლექტურ ორენოვნებას ახასიათებს.

ქართულ ენასთან ურთიერთობის ეს დასაწყისი პერიოდი, რომელიც დროის ხანგრძლივობით ყველა სხვა საფეხურს აღემატება და საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, წოვათუ-შურის დიდი ხნის განვლილი აქეს. ეს იყო ინდივიდუალური ორენოვნების პერიოდი, რომელსაც დღეგანდელ საყოველთაო კო-ლექტიურ ორენოვნებასთან აკავშირებს გარდამავალი საფეხური კოლექტიური, მაგრამ არა საყოველთაო ორენოვნებისა. ეს გარდამავალი პერიოდი იწყება XIX საუკუნის 20-იან წლებში, როცა წოვათუშები მთიდან მასიურად ჩამოსახლდნენ ბარში და გრძელდება შეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე, როცა საქართველოში დაიწყო გასაბჭოება. ამ გარდამავალი საფეხურის შესახებ ჩვენ წოვათუშური ენის ლექსიკაში უკვე დამკვიდრებული ნასესხები ერთეულების მიხედვით ვმსჯელობთ. ნასესხობათა ის მასალები, რაც შესულია ქადაგიძეთა ლექსიკონში, ძირითადად ამ საფეხურის ამსახველია.

ქართულთან კონტაქტის შემდგომ შემჭიდროებას დიდი რაოდენობის „თეთრი ლაქები“ მოჰყვა, რომელთა შევსებაც ორენოვნების განვითარების დაჩქარებასთან დაკავშირებით დაჩქარებულად გახდა საჭირო. ამ მიზნით თუშურმა სცადა გარკვეულწილად სიტყვათქმნადობის საკუთარი შესაძლებლობები გამოიყენებინა, მაგრამ მოძალებულმა უცხოენობრივმა სინამდვილეშ შეასუსტა მისი ლექსიკური ენერგია. პარალელურად თავი იჩინა უცხო სიტყვათა პრესტიჟის ცნობილმა ფაქტორმაც, რომელიც „თეთრი ლაქებისაგან“ განსხვავებით სესხებას ხელს უწყობს მაშინაც კი, როცა მსესხებელ ენას ნასესხები ლექსიკური ერთეულის ბადალი საკუთარი მოებოვება. ამ დროს თვით ყველაზე მარტივი სიტყვებიც კი, რომლებიც აღნიშნავდნენ ერთსა და იმავე თვისებას და იდენტურნი იყვნენ დამატებითი ელფერითაც, განსხვავებულნი აღმოჩნდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეკუთვნოდნენ ენებს, რომელ-

თაგან ერთი ნაკლებ პრესტიული იყო, ვიდრე მეორე. ნიშანდობლივია, რომ ორენოვნების ამ საფეხურზე ზედსართავის ღიაობაშ 14% -დან 71%-მდე აიწია.

ასეთი დაჩქარებული სესხების დროს წოვათუშერს გაუჭირდა ნასესხები ზედსართავების საკუთარ თარგზე გაწყობა, რის გამოც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და უარი ეთქვა აუსლაუტის მაზედსართავების ხმოვანზე. ამ გზით ენამ გაითავისა უნაზალურობის მოდელი ზედსართავებისა, რაც პირველ ინტერცერნტულ სიახლეს წარმოადგენდა ამ მეტყველების ნაწილის რთულ მორფოლოგიაში. დაირღვა ორმარცვლიანობის საგალდებულო პრინციპი; აუსლაუტში გაჩნდა ნაირ-ნაირი დაბოლოებანი. ასეა ნასესხები, მაგალითად:

ბიგნარ (ბეგნიერი), ზუმარ (ზომიერი), გუმნარ (გონიერი), ლუმნარ (ლონიერი, ნიჭიერ, წესიერ....

უკვდავ, უბერებელ, უთვალავ, უამრავ...

უწერ, უღონო, ურწმუნო, უშეილო...

ბოროტ, ქარქეეტ, ზარმაც, ნამდვილ, ბეჩავ...

ნაქალქარ, ნასოფლარ, ნაგუმრიალ (ნაგომურალი), ნათავ-დარ (ნათავადარი)...

ველურ, უბედურ, დიდურ, ჩინურ, მაცდურ...

ამ საფეხურს ეკუთვნის წოვათუშერის მიერ მაზედსართავებული ურ სუფიქსის შეთვისებაც, როგორც უშუალო შედეგი აქ-ტიურ სიტყვათხმარებაში ჩართული ურ-სუფიქსიანი ნასესხები-ზედსართავებისა და მათივე ძირეული სახელებისა. სუფიქსის სესხებას შედეგად მოჰყვა ჰიბრიდული ახალწარმონაქმნები, როგორიცაა, მაგალითად:

მახკრ-ულ - „გოგოური“, გასრულ - „მამაკაცური“, ფსტე-ურ - „ქალური“, დაღ-ურ - „ღვთიური“, დითხ-ურ - „ხორციელი“, სტაბ-ურ - „შემოდგომური“ (იტყვიან სახის კანის ფერზე), ბადრ-

ულ - „ბავშვური“... ჩაჩქნიანთებური - „ჩაჩქანიანთებური“, ბლუკრ-ულ - ბლუკოანთებური“, ვოგრ-ულ - ვოგრიანთებური“...

ურ ბოლოსართის სესხებით წოდათუშურშა ენამ უკვე საკუთარი ლექსიკის დონეზე დაუდო სათავე ზედსართავთა უნაზალურნებოვნო წარმოებას, რითაც მნიშვნელოვნად გაზარდა ის ბზარი, რაც უნაზალურნებოვნო მზა ერთეულების სესხებით იყო გაჩენილი ზედსართავთა კრასში.

ასე დაიწყო წოდათუშურში ნასესხებ ზედსართავთა ბრუნების ქართულ სისტემაზე გადართვის შეუქცევადი პროცესი. „გასწორებას“ დღემდე გადარჩენილი რამდენიმე ზედსართავის პარადიგმა ინტერფერენციის იმ საფეხურს ასახავს, როცა ერთადერთ სიახლეს სახელობითის ბაზისურ ფუძეზე ნაზალური ხმოვნის დაურთველობა წარმოადგენდა. ასეთი მაგალითები დღემდე მხოლოდ უფროისი თაობის ბილინგვთა ენას შემორჩა.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოვლენათა შემდგომი განვითარების თვალსაზრისით უდიდესი როლი ითამაშა, ერთი მხრივ, საყოველთაო კოლექტიურ ორენოვნებაზე გადასვლამ, მეორე მხრივ კი - ქართული ენის ცოდნის დონის მშობლიური ენის დონემდე აწევა. საყოველთაო კოლექტიურ ორენოვნებას მოჰყვა აუკარებელი ზედსართავი სახელი, რომლებიც უახლეს ნასესხობებს წარმოადგენ და ლექსიკური პარალელიზმების მოკრძალებულ როლში გვევლინებიან. ისინი უკვე „თეთრ ლაქებს“ კი აღარ ფარავენ, როგორც აღრინდელი ნასესხობები, არამედ წოდათუშური ენის ზედსართავ სახელებს უდგანან გვერდით და ადგილს ეცილებიან. ამგვარ პარალელიზმთა რაოდენობა იძაგე ქადაგიძების ლექსიკონში 450-ს აღწევს.

ასეთმა, თითქმის განკითხავმა, სესხებამ მსაზღვრელ სახელთა პარადიგმების ახალ მოდელზე გადართვის პროცესი დაჩქარებული ტემპებით წარმართა. კიდევ უფრო გაჭირდა ნასესხო-

ბათა მოვლა და გათავისება ანუ საკუთარ მორთონოლოგიურ მო-  
დელზე გაწყობა. წოვათუშურიმა ენამ ამ საფეხურზე ისესხა კიდევ  
ახალი მაზედსართავებელი ნა-არ და უ-ო თავსართ-ბოლოსართე-  
ბი. იმის გამო, რომ წყარო ენის მაღალი პრესტიჟი მოითხოვდა ნა-  
სესხებ ერთეულებს ნებისმიერი გზით უცვლელად შენარჩუნებო-  
და ბეგერითი გარსი, საბოლოოდ დაირღვა ორმარცვლიანობის  
პრინციპიც.

აღნიშნული მიზეზით ამოქმედდა აუსლაუგის ნაირ-ნაირ  
დაბოლოებებთან ჩრ-ს ფონოლოგიური შეუთავსებლობის ფაქ-  
ტორიც. ენა იძულებული გახდა გარკვეულ ფონოლოგიურ გარე-  
მოში უარი ეთქვა ამ სუფიქსზე, როგორც ზედსართავთა საგანგე-  
ბო მახასიათებელზე. ამ გზით ნასესხები აგრიბუგული ზედსარ-  
თავი სახელებისათვის ჩამოყალიბდა კიდევ უფრო ახალი, ქართუ-  
ლისებული, მოდელი ბრუნებისა: ყოველგვარი ორთუმიანობისა,  
ჩო მახასიათებლისა და ნაზალური ხმოვნის გარეშე. გვაქვს მაგა-  
ლითად:

1) სახ. ბოროტ	ადმე	„ბოროტი ადამიანი“
ერგ. ბოროტ	ადმენ-ე-ს	
ნათ. ბოროტ	ადმენ-ე <sup>ნ</sup>	
მიც. I ბოროტ	ადმენ-ე-ნ	
მიც. II ბოროტ	ადმენ-ე-გო	
მიც. III ბოროტ	ადმენ-ე-გრ	
მიც. IV ბოროტ	ადმენ-ე-ხ	
ინსტრ.ბოროტ	ადმენ-ე-ვ	
გარდ. ბოროტ	ადმენ-ე-ლ	
2) სახ. უწესო	ბადერ	„უწესო ბავშვი“
ერგ. უწესო	ბადერ-ე-ს	
ნათ. უწესო	ბადერ-ე <sup>ნ</sup>	

մայ. I	պիշտ	ծագեր-յ-ն
մայ. II	պիշտ	ծագեր-յ-ցո
մայ. III	պիշտ	ծագեր-յ-ցո
մայ. IV	պիշտ	ծագեր-յ-ն
օնսց. պիշտ		ծագեր-յ-Ց
ցառդ. պիշտ		ծագեր-յ-Ը

3) Տաե. նաճօրյելքորալ	և ըազ „նաճօրյելքորալո քաբո“
յ՞ղ. նաճօրյելքորալ	և ըազո-Ց
նատ. նաճօրյելքորալ	և ըազ-Ը
մայ. I նաճօրյելքորալ	և ըազ-Ն
մայ. II նաճօրյելքորալ	և ըազ-Ցո
մայ. III նաճօրյելքորալ	և ըազո-Ցո
մայ. IV նաճօրյելքորալ	և ըազ-Ե
օնսց. նաճօրյելքորալ	և ըազո-Ց
ցառդ. նաճօրյելքորալ	և ըազո-Ը

4) Տաե. ծյօնոյեր	նան „ծյօնոյերո լցուա“
յ՞ղ. ծյօնոյեր	նանա-Տ
նատ. ծյօնոյեր	նանա-Զ
մայ. I ծյօնոյեր	նանա-Զ-Ն
մայ. II ծյօնոյեր	նանա-Զ-Ցո
մայ. III ծյօնոյեր	նանա-Զ-Ցո
մայ. IV ծյօնոյեր	նանա-Տ
օնսց. ծյօնոյեր	նանա-Զ-Ց
ցառդ. ծյօնոյեր	նանա-Զ-Ը

5) Տաե. թեօառյոլ	քա՛մ „թեօառյոլո և ըովիառո“
յ՞ղ. թեօառյոլ	քա՛մ-յ-Տ

ნათ.	მხიარულ	ჰაშ-ე <sup>6</sup>
მიც.	I მხიარულ	ჰაშ-ე-ნ
მიც.	II მხიარულ	ჰაშ-ე-გო
მიც.	III მხიარულ	ჰაშ-ე-გრ
მიც.	IV მხიარულ	ჰაშ-ე-ხ
ინსტრ.	მხიარულ	ჰაშ-ე-ვ
გარდ.	მხიარულ	ჰაშ-ე-ღ

ეს დიდმნიშვნელოვანი მორფონოლოგიური ინოვაციაა, რომელიც განსაკუთრებულ როლს შეასრულებს წოვათუშური ენის შემდგომი სახეცვალების საქმეში. უკვე დაიწყო ამ ახალი თვალსაწიერიდან ძველი ნასესხობათა გადასინჯვა: მათ ტრადიციი-ით განმტკიცებულ ჩო მახასიათებლიან პარადიგმებს გვერდში ამოუდგა ახალი, უამსუფიქსო ფორმები. ამგვარად, სახეზეა ერთი და იმავე ნასესხები ზედსართავის ორგვარი პარადიგმა, რომლებ-საც ჩვეულებრივ ტრაფარეტით „ძველი“ და „ახალი“ შეიძლება ვუწოდოთ. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ასეთ პარალელურ პარადიგმებს წყვილებისა „მაცდური ადამიანი“ და „ლამაზი ბავშვი“.

### ა) ძველი ბრუნება

სახ.	მაცდურ	ადმე	ლამზურ	ბადერ
ერგ.	მაცდურ-ჩო	ადმენ-ე-ს	ლამზურ-ჩო	ბადერ-ე-ს
ნათ.	მაცდურ-ჩო	ადმენ-ე <sup>6</sup>	ლამზურ-ჩო	ბადერ-ე <sup>6</sup>
მიც.	I მაცდურ-ჩო	ადმენ-ე-ნ	ლამზურ-ჩო	ბადერ-ე-ნ
მიც.	II მაცდურ-ჩო	ადმენ-ე-გო	ლამზურ-ჩო	ბადერ-ე-გო
მიც.	III მაცდურ-ჩო	ადმენ-ე-გრ	ლამზურ-ჩო	ბადერ-ე-გრ
მიც.	IV მაცდურ-ჩო	ადმენ-ე-ხ	ლამზურ-ჩო	ბადერ-ე-ხ
ინსტრ.	მაცდურ-ჩო	ადმენ-ე-ვ	ლამზურ-ჩო	ბადერ-ე-ვ
გარდ.	მაცდურ-ჩო	ადმენ-ე-ღ	ლამზურ-ჩო	ბადერ-ე-ღ

ბ) ახალი ბრუნება

სახ.	მაცდურ	ადმე	ლამზურ	ბადერ
ერგ.	მაცდურ	ადმენ-ე-ს	ლამზურ	ბადერ-ე-ს
ნათ.	მაცდურ	ადმენ-ე <sup>ნ</sup>	ლამზურ	ბადერ-ე <sup>ნ</sup>
მიც. I	მაცდურ	ადმენ-ე-ნ	ლამზურ	ბადერ-ე-ნ
მიც. II	მაცდურ	ადმენ-ე-გო	ლამზურ	ბადერ-ე-გო
მიც. III	მაცდურ	ადმენ-ე-გრ	ლამზურ	ბადერ-ე-გრ
მიც. IV	მაცდურ	ადმენ-ე-ხ	ლამზურ	ბადერ-ე-ხ
ინსტრ.	მაცდურ	ადმენ-ე-ვ	ლამზურ	ბადერ-ე-ვ
გარდ.	მაცდურ	ადმენ-ე-ღ	ლამზურ	ბადერ-ე-ღ

აღნიშნულ მორფოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ახლად ნასესხები მსაზღვრელები ჩო-ს გარეშე იძრუნვიან უკვე არა მარტო საზღვრულის შემცველ წყვილებში, არამედ გასუბსტანტივების შემთხვევაშიც, ანუ დამოუკიდებელი ბრუნების დროსაც. ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს კიდევ ერთი სიახლე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი დამოუკიდებელი ბრუნებისას ზედსართავები ერგატივში ახლა უკვე ს ფორმანტს დაირთავენ და არა ვ-ს, როგორც ეს გვქონდა ჩო-ს დართვის შემთხვევაში. ამ ფაქტში კიდევ ერთხელ იჩენს თავს ტენდენცია ერგატივის ნიშნად ს-ს უნიფიკაციისა, რომელიც, როგორც ზემოთ განვიხილეთ, ქართულის გავლენით გაჩნდა ნივთის კლასის თავისთავად სახელთა პარადიგმებში. შედრ..:

	ძველი ბრუნება	ახალი ბრუნება
სახ.	ლამზურ	ლამზურ „ლამაზი“
ერგ.	ლამზურ-ჩო-ვ	ლამზრ-ე-ს
ნათ.	ლამზურ-ჩო <sup>ნ</sup>	ლამზრ-ე <sup>ნ</sup>
მიც. I	ლამზურ-ჩო-ნ	ლამზრ-ე-ნ
მიც. II	ლამზურ-ჩო-გო	ლამზრ-ე-გო
მიც. III	ლამზურ-ჩო-გრ	ლამზრ-ე-გრ

მიც. IV	ლამზურ-ჩო-ხ	ლამზრ-ე-ხ
ინსტრ.	ლამზურ-ჩო-ვ	ლამზრ-ე-ვ
გარდ.	ლამზურ-ჩო-ღ	ლამზრ-ე-ღ
	ერთი და იმავე ზედსართავის განსხვავებულ პარადიგმათა ზემოთ აღნიშნული პარალელური გამოყენება, ანუ ახალ ფორმათა მისადაგება ტრადიციული ფორმებისათვის ამ უკანასკნელთა და- კარგვის გზაზე დადგომას ნიშნავს სწორედ ისე, როგორც ეს ხდება ლექსიკური პარალელიზმების შემთხვევაში. შედეგად, რა თქმა უნდა, მთელს ნასესხობებში ერთნაირი, ქართულისებური* პა- რადიგმები გაბატონდება, რომლებიც ამ საუკურზე უკვე წო- ვათუშურის საკუთარ ზედსართავებში ფუნქციონირებად ნაზა- ლურნებოვნიანსა და ჩო- მახასიათებლიან ტრადიციულ პარადიგ- მებს დაუპირისპირდებიან. ძნელია თქვენი, როდის გაქართულდება ბოლომდე ნასესხობათა პარადიგმები, ან კიდევ როდის გაუჩნდება მსგავსი პარალელიზმები საკუთრივ თუშურ ზედსართავებს, სად დევს ამ შორის გამიზნულ ინოვაციათა დასასრული.	

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს  
ის გარემოება, რომ ინტერფერენციული გარდაქმნის პროცესმა  
მთლიანად მოიცვა ნასესხები ფენა წოვათუშური ენის ზედსართავი  
სახელებისა, საკუთარს კი ჯერ საერთოდ არ შეხებია. უცხო ენობ-  
რივი გავლენის თვალსაზრისით შესწავლილი გვაქვს თითქმის ყვე-  
ლა მეტყველების ნაწილი, მაგრამ ასეთი მკვეთრი და ბოლომდე  
შენარჩუნებული დაყოფა ლექსიკისა საკუთარი და ნასესხები სიტ-  
ყვების ფენებად სხვაგან არ შეგვხვდრია.

---

\* აღნიშნულ პარადიგმებს ქართულისებურს, ცხადია, გარკვეული პირო-  
ბით ვუწოდებთ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დაახლოება  
ამჯერად ხდება განსხვავებულობის ხარისხის შესუსტებისა და ნიველი-  
რების გზით.

საქმე იმაშია, რომ ზედსართავი სახელი წოვათუშური ენისა დღემდე მკვეთრად იზოლირებულ სისტემას ქმნის სხვა მეტყველების ნაწილებს შორის. ნათქვამი განსაკუთრებით ეხება ვითარებით ზედსართავებს, რომელთაც ერთმარცყლიანი ნეიტრალური ძირებისგან აფორმებს ნაზალური ხმოვანი. შედეგად ვღებულობთ ორმარცყლიანობის პრინციპზე აწყობილ საგანგებო მოდელის ღერძებას, რომლისგან ნაზალური ხმოვნის ჩამოცილება, რაც აუცილებელია მათი „გაქართულებისათვის“, ამ უკანასკნელთა სრული დემონტაჟით დამთავრდება. საჭიროა რაიმე გზით მოხერხდეს ამ მოდელის დაშლა, რათა მასში შეაღწიო. ეს კი უკვე ფონოლოგის დონეზე გადასაწყვეტი საკითხია და დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

იგივე ნაზალური ხმოვანი სერიოზულ წინააღმდევობას უქმნის ინტერფერენტულ პროცესებს მიმართებითს ზედსართავებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ორმარცყლიანობის პრინციპი აქ არაა საგალდებულო და ამ მხრივ ეს დაბრკოლება თავისთავად მოხსნილია, ნაზალურ ხმოვანს ვერც აქ ჩამოვაცილებთ ფუძეს, რადგან უმისოდ შინაარსისგან დაიცლებიან უკვე თვითონ ძირულ სახელებზე დართული დერიფატები, საბოლოოდ კი სიტყვა დაკარგავს თავის შინაარსს.

გამოსავალი, ცხადია, მაინც მოიძებნება. ამის გარანტიას იძლევა ბილინგვთა ერთი ენბრივი კოდიდან მეორეზე გადართვის დიდი სიხშირე, უცხო ენის ცოდნის მაღალი დონე და განუხრელად შზარდი პრესტიჟი. ამ მხრივ, აღბათ, უფრო აღვილად იტყვის ენა უარს ჩო მასახიათებელზე, რადგან მას სიტყვის სემანტიკა კი არ უკავშირდება, არამედ მხოლოდ გრამატიკული შინაარსი ირიბი ბრუნვებისა.

წოვათუშური ენის ზედსართავ სახელებთან დადასტურებული ვითარება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ, თუ მორ-

თოლოგიურ გარდაქმნათა სხვა შემთხვევაში საქმე გვაქვს შორის წასულ პროცესებთან, აქ ეს ტენდენცია ახალი დაწყებულია. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს თვალი გავაღევნოთ ინტერფე-რენულ პროცესთა განვითარების სხვადასხვა საფეხურის და და-გადგინოთ ინვაციათა დამკვიდრების ზოგადი კანონზომიერება-ნი.

წოდათუშური ენის ზედსართავი სახელის მიკროსისტემაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იდეალური ბილინგვიზმის დროს დედაენასთან გატოლებული, ან უფრო აღმატებული ცოდნა წყარო ენისა შეტ-ნაკლები წარმატე-ბით სინის ნასესხობათა მიმართ მსესხებული ენის შინაგანი წინა-აღმდევობის ყველა ფაქტორს. დიდი დაბრკოლებით, მაგრამ, რო-გორც ყველა სხვა რეალი ენობრივი იერარქიისა, ინტერფერენ-ტულ ცვლილებას ექვემდებარება მორფოლოგიაც.

ყველა შემთხვევაში, როცა ინოგაცია „თეორი ლაქების“ ადგილს კი არ იკავებს, არამედ დევნის ადგილობრივს, ცვლილება ხორციელდება პარალელური ფორმების საშუალებით. ეს პარალე-ლური ფორმები ჯერ ნასესხებ ლექსიკაში ჩნდებიან, შემდეგ კი ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის შეკრულ-შემოზღუდულობის ხარისხის მიხედვით განსხვავებული დაბრკოლებით იწყებენ გავ-რცელებას მსესხებული ენის საკუთრი ლექსიკის ფენაში.

ცვლილებები თანდათანობითა და ვითარდება საფეხუ-რებრივად ენის დრეკადობის შესძლებლობათა ფარგლებში. მხო-ლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეული ჯგუფი სიტყვებისა გაითავი-სებს წინამავალ სიახლეს, რიგში დგებიან ახალი ლექსიკური ერ-თეულები. პარალელური ფორმები ჯერ მოკრძალებულად უდგე-ბიან გვერდით ტრადიციულს, შემდეგ თავისუფალ მონაცვლობა-ზე გადადიან, ბოლოს კი მთლიანად ისაკუთრებენ ასპარეზს.

## II. § 7. ნაცვალსახელი

დღეს ნაცვალსახელს წოგათუშურში მოეპოვება ყველა ის შინაარსობრივი ჯდუფი, რაც იმავე მეტყველების ნაწილს ქართულში აქვს; გვხვდება ერთი ჯგუფით გარკვეული მეტობაც, რასაც ე.წ. უკუქცევითი ნაცვალსახელები ქმნიან.

ჩამოგთვლით ნაცვალსახელთა ჯგუფებს სათანადო წევ-რებით

1. პირის ნაცვალსახელები:

ა) I პირისა: სო - მე, ვად - ჩვენ (ინკლუზიური)

თხო - ჩვენ (ექსკლუზიური)

ბ) II პირისა: ჰო - შენ, შე - თქვენ

გ) III პირისა: ე(ჸ) - ეს, ი(ჸ) - ეს, ის - ეგ, ო(ჸ) - ის

ები - ესენი, იბი//ისბი//იბსი//იფსი - ისი

ნი, ეგენი; ჰაფსი - ეგენი, ობი - ისინი.

პირის ნაცვალსახელთა როლში ჩვეულებრივია აგრეთვე სახელი: ქორთო (თავი) - ქორთმი (თავები).

2. ჩვენებითი ნაცვალსახელები:

იშტეუ - ასეთი, ჰაშტეუ - ასეთი, ოშტეუ - ისეთი, ოშტეუ - ასეთ-ისეთი; იჯუმფლეუ - ამდენი, ამხელა; ოჯუმფლეუ - იმდენი, იმხელა, ჰაჯუმფლეუ - ამდენი, ამხელა; იცხუმფლეუ - მაგდენი, მაგხელა; იჯნაირ - ამნაირი; იცხნაირ - მაგნაირი, ოჯნაირ - იმნაირი, იჯფერ - ამფერი, ამნაირი...

3. კითხვითი ნაცვალსახელები:

მე - ვინ, ვუხ - რა, მენიშ - ვინ(ები),

ვუხუდშ - რა(ები), მენუხ - რომელი,

მოლუ - როგორი, მელ - რამდენი, მელლეუ - მერამდენე,

მაცლუ - როდინდელი...

4. კუთხნილებითი ნაცვალსახელები:

გუთგნილებით ნაცვალსახელებად გამოიყენება სათანადო პირის ნაცვალსახელთა გენეტიური ფორმები:

სქ – ჩემი, ჰქ – შენი, ოქურ – ამისი, ექურ – ამისი, ჰაქურ – ამისი.

იცხურ – მაგისი, ოქურ – იმისი, ვაძ – ჩვენი (ინკლუზი), თხქ – ჩვენი (ექსკლუზი), შუ – თქვენი, ექრან – ამათი, იცხრან – მაგათი, ოქრან – იმათი...

5. კითხვით-გუთგნილებითი:

ჰამნი – ვისი

სტერნი – რისა

6. მიმართებითი:

ყველა კითხვას მოეპოვება სათანადო მიმართებითი:

მენა – ვინც, ვუხა – რაც, მენუხა – რომელიც,

მოლუნა – როგორიც, მაცლუნა – როდინდელიც,

ჰანი – ვისიც, სტენი – რისაც...

7. ურთიერთობითი:

ეს ჯგუფი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი წევრით, როგორიცაა გაშბძ – „ერთმანეთი“.

8. განსაზღვრებითი:

გუმაც – ყველანაირი, ყველა.

კენაც – სხვა, მავა – მავანი, გუმაცნაირ – ყველანაირი.

9. განუსაზღვრელობითი:

ცჰა – ერთი, მენახ – ვიღაც, გუნახ – რაღაც

მენიშ – ზოგიერთი, მენახი – ვიღაცები

გუნახი – რაღაცები, ცჰაც – ზოგიერთი,

მემღი – ვინმე, გუმ – რამე...

10. უარყოფითი:

ცომენ – არავინ, მამენ – ნურავინ,

ცომ – არაფერი, მამ – ნურაფერი, ცჰაქცომ – ერთიც არა-  
ფერი...

#### 11. უკუქცევითა:

სუდგა – მე თვითონ (სახ. ბრუნვა), ჰუაგა – შენ თვითონ,  
შერვა //შერო – ის თვითონ.

ვადიშუშ – ჩვენ თვითონ (ინკლუზი), თხუდშ – ჩვენ თვითონ  
(ექსკლუზი), შუდშ – თქვენ თვითონ, ისინი თვითონ.

როგორც აღვნიშნეთ, დღეს წოვათუშური ენის ნაცვალსა-  
ხელთა სისტემას შინაასრობრივად ქართულისაგან განასხვავებს  
მხოლოდ უკუქცევით ნაცვალსახელთა ჯგუფი. იგი სამივე ნახური  
ენის მასშტაბით შესწავლილი და გამოყოფილი აქვს აკად ი. დეშე-  
რიევს (დეშერიევი, 1963, 460). ნაცვალსახელთა შინაარსობრივი  
ჯგუფების საერთო რაოდენობიდან მკვლევარს ზოგი გამორჩენი-  
ლი აქვს, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ საკითხში ჩვენ მას ვეთან-  
ხმებით და ვიყენებთ მისი დაკირვების შედეგებს.

ცნობილია, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო წარ-  
მოქავლობის დამადასტურებელი ზოგიერთი მორფოლოგიურ-სე-  
მანგიკური იზოგლოსა სწორედ ნაცვალსახელებზე გადის (კლი-  
მოვი, 1978, 19). ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში წოვათუშური  
ენის ნაცვალსახელთა სისტემის ქართულთან მსგავსების თვალ-  
საზრისით ყურადღებას იქცევს:

1. გარკვეული ჯგუფის ნაცვალსახელთა ფუძეების მონაც-  
ვლეობა ბრუნებისას;

2. პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის სუბლეტური წარ-  
მოება;

3. ქორთო (თავი) სიტყვის გამოყენება პირის ნაცვალსახე-  
ლად.

4. წარმოქმნილი ნაცვალსახელების საყრდენ ფუძეთა წარ-  
მოების პრინციპები;

5. პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევროებანი დე-იქსური მიმართებები.

ინტერიურენტული პროცესებისათვის მსგავსება ხელშემ-წყობი ფაქტორია მხოლოდ, ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ჯერ გამოკვეთა განსხვავებისა, შემდეგ კი - ნიველირება. ასეა ამჯერადაც, გვაქვს მსგავსებაც და განსხვავებაც. ყველაზე დაღმორფოლობიურ-სემანტიკურ განსხვავებას ამ ორი ენის სათანა-დო სისტემებს შორის თავის დროზე წოვათუშერში უარყოფითი და მიმართებითი ნაცვალსახელების უქონლობა ქმნიდა. ნაური შტოს დანარჩენი ენების გითარება და ზოგი სხვა ფაქტორი ცხად-ყოფს, რომ ეს ორი ჯგუფი ნაცვალსახელებისა გვიანდელი ფორ-მაციისაა წოვათუშერში და ქართულის უშუალო ზეგავლენის შე-დეგია.

ცნობილია, რომ უარყოფით ნაცვალსახელებსა და ზმნიზე-დებთან წინადადებათა უკუთქმითობაა დაგავშირებული, მიმართებითს ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებთან კი რთულ წინადადება-თა კომპონენტების აზრობრივი დაქვემდებარება. დღეს როგორც ქართულენოვანი, ისე წოვათუშერ ენაზე მოლაპარაკე პირთათვის ძნელი წარმოსადგენია უკუთქმითი შინაარსის წინადადებათა აგე-ბა უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიზედების გარეშე, ისევე როგორც ძნელი გასააზრებელია რთული ქეცჟიო-ბილი წინადადება მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედე-ბის გარეშე. საკითხადია, რა ცვლიდა სესხებამდე წოვათუშერში ამ ორი ჯგუფის ნაცვალსახელთა ფუნქციებს და რა მოჰყვა სესხე-ბას?

კითხვაზე საპასუხოდ მოგვიწევს დავახასიათოთ და შევუ-პირისპიროთ ერთმანეთს კონტაქტში მყოფ ენათა სათანადო სის-ტემები. ამ გზით გამოვკვეთავთ და ადგილს მიეუჩინო იმ სიახლეს, რაც წყარო ენიდან იღებს სათავეს. ქართული ენის უარყოფის სის-

ტემის შესახებ საყურადღებო ნაშრომები აჩვებობს, მაგრამ მათში ამ სისტემის მხოლოდ ცალკეული მომენტებია განხილული. შეგეცდებით ამ გამოკვლევათა შედეგების გამოყენებით მთლიანობაში წარმოვადგინოთ ჩვენთვის საინტერესო ნაცვალსახელთა სისტემა.

ცნობილია, რომ სრულიად განსხვავებული მოდალობის წინადაღებები მტკიცების მიხედვით წართქმითი და უპუთქმითი შინაარსის ორ ჯგუფში ერთიანდება. ეს გარემოება მარტივ უნივერსალიას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ენებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება გვაქვს იმის მიხედვით, თუ რა სახით ხდება უარყოფის გამოხატვა, ანუ როგორია მათ ში გამოყენებული უარყოფის სისტემები. ამ მხრივ სხვაობა გვაქვს თვით ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზედაც.

დღეს ქართულში ერთმანეთის პარალელურად მოქმედებს უარყოფის სამი სისტემა, რომლებიც სხვადასხვა პრინციპს ემყარება და სხვადასხვა ხნოვანებისაა. უარყოფის შინაარსი ყველა შემთხვევაში საგანგებო ნაწილაკებს, ან უარყოფის გამომხატველ სრულმიშვნელოვან სიტყვებს უკავშირდება, რომელთა სხვადასხვაგვარი განაწილება ქმნის სწორედ ამ განსხვავებულ სისტემებს. როგორც მტკიცდება, ყველაზე მარტივია და ძველი უარყოფის ის გზა, როცა სათანადო შინაარსი მხოლოდ ნაწილაკებთან არის დაკავშირებული; მომდევნო საფეხურზე უარყოფა სრულმიშვნელოვან სიტყვებს უკავშირდება, ბოლოს კი, მესამე საფეხურზე, ხდება ამ საშუალებათა თავისებური შეერთება, ანუ კონტამინაცია.

ისტორიულ ქართულში უარყოფის სამი ნაწილაკი ფიგურის მიერთება:

ა) ნეიტრალური არა,\*

\* არ - არა და სხვა ამ რიგის დაპირისპირება ენაში უკავშირდება ემფატიკური ა ხმოვნის სადემარკაციო ფუნქციას.

ბ) შესაძლებლობისა ვერ,

გ) კატეგორიული ნუ (შანიძე, 1980, 610).

მკვლევართა მიერ გამოწვლილგითაა შესწავლილი ამ ნაწილაკების განაწილება ზმნის სხვადასხვა დროისა და კილოს ფორმებთან (ჭუმბურიძე, 1970, 42-44; ჯორბენაძე, 1984, 139-145).

უარყოფა, როგორც წესი, მოქმედებას ეხება, მაგრამ ეს მოქმედება უარყოფილია არა ზოგადად, არამედ რომელიმე წევრთან დაკავშირებით: ამ დროს უარყოფითი ნაწილაკებით ხდება ფიქსაცია შემასმენლისა და სათანადო წევრის უარყოფითი მიმართებისა. ამიტომა, რომ უარყოფითი ნაწილაკები ზმნას ახლავს უშეულოდ, მაგრამ ამავე დროს თავისებურად ხდება იმ წევრის გამოკვეთაც, რომელთან მიმართებაშიც ხდება მოქმედების უარყოფა. ეს ხერხდება ინტონაციის საშუალებით, ან კიდევ წევრთა ადგილის გადანაცვლებით. ამ დროს ხშირად ირღვევა წინადადების ჩერულებრივი წყობა და პირველ ადგილს იკავებს სანიშნო წევრი.

შდრ.:

ა) 1. „გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავე ტკიფილი გულისა“ (ილია, 1988. 295).

2. სახეს არ ამოაბეჭდვინა დედამ მწვავე ტკიფილი გულისა.

3. მწვავე ტკიფილი გულისა არ ამოაბეჭდვინა გაკერპებულმა დედამ სახეს.

ამგვარ მაგალითში უარყოფა მიემართება კონკრეტულ საგანს, ადგილს, დროს... მაგრამ კომუნიკაციის პროცესში ხშირად საჭირო ხდება იმავე წევრთა დაუკონკრეტებელი, ანუ განუსაზღვრელი ფორმებიც. უარყოფის ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული წნიშვნელობა ენიჭება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს. გვაქვს, მაგალითად:

ბ) 1. გინშემ არ იკითხა ჩემი ამბავი.

2. დედის დაუკითხავად რამეს ვერ შეგძირდები.

3. დღეს მე საღმე ვერ გამოგყვები.

4. ამის შესახებ რამე არ მკითხო.

ორსავე დასახელებულ (ა და ბ) წინადადებებში გვაქვს მარტივი ცალმაგი უარყოფა. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთ შემთხვევაში წევრი რომელსაც უარყოფა ეხება, ნაცნობია, განსაზღვრულია, მეორე შემთხვევაში კი იგი განუსაზღვრელია, დაუკონკრეტებელია. ცნობილია, რომ ისტორიულ ქართულში მხოლოდ ამგვარი ოდენნაწილაკებიანი ცალმაგი უარყოფა იყო გაფრცელებული. ეს ვითარება დღემდე შემორჩა მეგრულ-ჭანურსა და სეანურს (თოფურია, 1924, 74-116).

ბოლო რიგი ოდენნაწილაკებიანი უკუთქმით წინადადებებისა სტრუქტურულად ახალს არაფერს შეიცავს, სემანტიკის თვალსაზრისით კი ბირველი რიგის წინადადებებთან ქმნის განსაზღვრული და განუსაზღვრელი წევრების ფარულ ოპოზიციას. როგორც დავინახავთ, სწორედ ეს ფარული დაპირისპირება აღმოჩნდება შემდგომ გამოხატვის პლანში მომხდარი ცვლილებების საფუძველი.

მიუხედავად ამისა, რომ ოდენნაწილაკებიანი უარყოფის თავდაპირები სისტემა დღემდე მოქმედებს ქართულში, ენა განვითარების ამ საფეხურზე არ გაჩერებულა. სიახლის საფუძველი გახდა უკუთქმით წინადადებათა დასახელებულ ორ ჯგუფს შორის ასებული ფარული ოპოზიცია. ოპოზიციის ის მხარე, სადაც უარყოფა განსაზღვრულ წევრთან იყო დაკავშირებული, უცვლელი დარჩა, მეორე მხარემ კი რეალიზაციის ფორმა შეიცვალა. სიახლე დაუკავშირდა ენაში უარყოფით ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმინზედების წარმოქმნას, მათით იქნა შენაცვლებული ზმინის უკუთქმით ფორმებთან დაკავშირებული განუსაზღვრელო-

ბითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები. ამ გზით შესაძლებელი გახდა უარყოფა მთლიანად ჩამოსცილებოდა ზმნას და დაპკავშირებოდა უშუალოდ იმ წევრს, რომელსც ეხებოდა. ასეთ შემთხვევაში ცალკე უარყოფითი ნაწილაკები უკვე ზედმეტი აღმოჩნდა. შედევლობაში გვაქვს შემდეგი რიგის მაგალითები:

1. „ხმაგაკმენდილს ითახში ენა ვეღარაგინ დასძრა, ასოც ვეღარაგინ შეატოვა“ (ილია. 294).

2. „აღარაფერი იკითხა, აღარაფერი იძია...“ (ილია. 295).

ეს უკვე მეორე საფეხურია უკუთქმით წინადადებათა განვითარების გზაზე. ამ დროს ქართულში ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს უკვე მარტივი ცალმაგი უარყოფის ორი სისტემა:

ა) პირველი, სადაც ყველანაირი წევრის უარყოფა ცალკე აღებული უარყოფითი ნაწილაკით არის გამოხატული;

ბ) მეორე, სადაც ღერძისიკის ორი ფეხაა ერთმანეთთან დაბირისპირებული: ერთი კვლავ უარყოფითი ნაწილაკებით იფარგლება, მეორე კი უარყოფითი ნაცვალსახელებითა და ზმნიზედებით ცვლის ამ ნაწილაკებს.

საინტერესოა, რომ იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ ქართული ენის განვითარების სწორედ იმ საფეხურს წარმოგვიჩენს, სადაც ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს უარყოფის აღნიშნული ორი სისტემა. გვაქვს:

შდრი:

1. „და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, არცა ცოლი შენი დამ ჩემი არს“ (იაკობი, 26).

2. „არაფინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობად და ტკიფილი ჩემთვის“ (იაკობი, 26).

უარყოფის ახალმა სისტემამ საქმე გაამარტივა იმ აზრით, რომ უარყოფა დაუკავშირდა სწორედ უარყოფილ წევრს, მაგრამ ამასთან გაჩნდა გარკვეული ენობრივ-ფსიქოლოგიური შეუსაბა-

მობა, რადგან ამჯერად უკუთქმითი წინადაღების ზმნა-შემასმენელი დადებითი ფორმით აღმოჩნდა წარმოდგენილი. აღნიშნული უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ამ ტიპის წინადაღებებში ზედმიწევნით განისაზღვრა სიტყვათა რიგი, რომლის მიხედვით უარყოფითი სიტყვით გადმოცემული წევრი უშუალოდ უნდა ახლდეს და უსწრებდეს ზმნას.

იმის გამო, რომ განუსაზღვრელ წევრებიან წინადაღებებში ერთმანეთის გვერდით მოქმედებდა ორი სხვადასხვა სისტემა ცალმაგი უარყოფისა, ოდენ უარყოფითაზიანიან და ოდენ უარყოფითსიტყვიანი, ხდებოდა მათი მუდმივი ქვეცნობიერი შეპარისპირება. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გაჩნდა უკმარისობის განცდა უარყოფით წევრებიანი წინადაღების შემასმენელის დადებითი შინაარსის მიმართ. ასე მივიღეთ მესამე სისტემა უარყოფითისა, სადაც ორიგე აღნიშნული საშუალება ერთდროულად იქნა გამოყენებული - ჩამოყალიბდა ორმაგი უარყოფა. გვაქვს, მაგალითად:

1. „ახალმოსულს თოვლს, ყინვადაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური აღამიანისა“ (ილია, 308).

2. „სწავლა, ღვთის მაღლით, არაფრისა არა ჰქონდა“ (ილია, 37).

3. „ამ სახლში ჩემზედ უფროსი და ჩემზედ უკეთესი არავინ არ უნდა იყოს“ (ილია, 97).

საგულისხმოა, რომ მას შემდეგ, რაც უარყოფითსიტყვებიან წინადაღებაში უარყოფითი ნაწილაკი ხელახლა დაუკავშირდა შემასმენელს, მოიხსნა სიტყვათა რიგის ზემოთ აღნიშნული უზღღუდვა, წევრთა წყობა ასეთ შემთხვევაში თავისუფალი გახდა ისევ.

ორმაგ უარყოფას, როგორც ენობრივ ფაქტს, სალიტერატურო ქართულში უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც აკად.

გ. თოფურია აღნიშნავს, ეს მოვლენა საკუთრივ ქართული წარმო-შობისაა. მას სათავე დააღექტებში უდევს, საღიტერატურო ქარ-თულში კი თავს იჩენს XI საუკუნიდან (თოფურია, 1924, 102).

ამრიგად, მთელს ისტორიულ ქართულში განსაზღვრულ წევრებიანი უკუთქმითი წინადადების მხოლოდ ერთი მოდელი ფუნქციონირებს, განუსაზღვრული უკუთქმითი წინადადება კი სა-მი სხვადასხვა საფეხურის მასალას წარმოგვიჩენს. გვაქვს:

1. ოდენუარყოფითნაწილაკებიანი ცალმაგი უარყოფა;
2. ოდენუარყოფითსიტყვიანი ცალმაგი უარყოფა;
3. კონტამინირებული სახის ორმაგი უარყოფა;

განუსაზღვრულ წევრებთან დაკავშირებული უარყოფის აღნიშნული სამი მოდელიდან მთის იძერიულ-კავკასიური ენები მხოლოდ პირების იცნობენ დღემდე. იგი დაუბრკოლებლად ამო-წურია მთლიან ენობრივ სინამდვილეს და აქვს უპირატესობა იმ მხრივ, რომ ერთიანია ყველა სახის წევრებისათვის და მოკლებულია შინაგან წინააღმდეგობას, როგორიც გაჩნდა ქართულში, როცა აქ მეორე მოდელი ამოქმედდა. გამონაკლისს ამ მხრივ მთის იძერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ წოდათუშური ქმნის, სა-დაც თავისუფალ მიმოქცევაშია სამი სხვადასხვა მოდელი განუ-საზღვრულ წევრებიანი უკუთქმითი წინადადებისა.

ცხადია, უკუთქმითობის გამოხატვის საკითხში წოდათუ-შურისათვის ისეთივე ერთმოდელიანი ამოსავალი მდგომარეობა იყარაუდება, როგორც აქამდე უცვლელად შემოუნახავს მის უახ-ლოეს მონათესავე ჩეჩენურისა და ინგუშურ ენებს. დღეს ამ ენაში მოქმედი უარყოფის სამი მოდელიდან მხოლოდ ერთია საკუთარი, დანარჩენი ორი კი ნასესხებია. ნასესხობათა წყარო ქართულია, სა-ბაბი კი - მრავალსაუკუნოდანი კონტაქტი ამ უკანასკნელთან. საინ-ტერესოა, რომ სესხება ამჯერად „თეთრ ლაქებს“ არ მოჰყოლია, იგი გამოხატვის პლანში არსებულმა სხვადასხვაობაში განაპირობა.

გავაანალიზებთ წოვათუშური ენის ვითარებას სათანადო მაგალითებით. დავიწყებთ იქიდან, რომ, როგორც ქართულში, აქაც კონკრეტული წევრებისადმი მიმართული უარყოფის მხოლოდ ერთი მოდელი ფუნქციონირებს, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ზმნით გამოხატული მოქმედების უარყოფა სათანადო ნაწილაკებით. ქართულის სამი უარყოფითი ნაწილაკის ადგილას (არ, ვერ, ნუ), ამ ენაში მხოლოდ ორი გვაქვს: ცო (არ, არა) და მა (ნუ) პირველი ზმნის თხრობითი და კავშირებითი კილოს ფორმებთან გამოიყენება, მეორე კი საკუთრივ ბრძანებითით შემოიფარგლება. მართალია, წოვათუშურს აკლა ვერ ნაწილაკი, მაგრამ მის ფუნქციას ზედმიწებით ასრულებს იგივე ცო (არ), როცა ზმნის პოტენციალისის ფორმას დაერთვის, გვაქვს. მაგალითად:

1. „მა სარტყელსოხა, ლაშზურა,  
ბადო ვიცისრ ვა კოვალინო“ (ნაწყვეტი ხალხური ლექსიდან).

2. „ჰალო მა მოლალ ო ვამ ნან,  
ვად იშ უბიდრი და კდიენო“ (ნაწყვეთი ხმით ნატირალიდან)

ნუ ამოგა ის ჩვენი დედა,  
ჩვენი ასეთი უბედურების გამზრდელი (ჩვენ რომ უბედურები გაგებარდა).

3. ვაშას ბუჭეხინ წირლი ცო კეჭაითსრ.  
ქმა(ე) ომიდან წერილებს არ მიგზავნის.
4. თამრუხნ ცენეხ ტბათინ ცო დახმაკ.  
თამარმა წელს ტბათანაში არ (ვერ) შეძლო წასკლა.  
იმავე თუშურში გვაქვს ისეთი უკუთქმითი წინადადებებიც, სადაც უარყოფა მიემართება განუსაზღვრელ წევრებს. აქ

უკვე, როგორც ზევით მივუთითეთ, ერთმანეთის პარალელურად ფუნქციონირებს სამი მოდელი, რომელთაგან საკუთარი მხოლოდ ერთია. განხილვას დავიწყებთ უარყოფის საკუთარი მოდელით, რადგან ის იმავდროულად ამ ენის ამოსავალი, ანუ საყრდენი მოდელიცაა. მისთვის ნიშანდობლივია უარყოფითი მოქმედების მისამართი წევრის გამოხატვა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებითა და ზმნიზედებით. წოვათუშურს საკუთარი აქვს როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფის წევრები. დავასახელებთ სათანადო უარყოფით წინადადებათა მაგალითებს:

1. ჰამას ცო ხატა სქ ამბუდ..  
„გინმექ არ იკითხა ჩემი ამბავი“.
2. თხალომცა სტემევ იშტო ცო აღელბადენდასრ.  
„დღემდე რამეს ასე არ ავუდელვებივარ“.
3. ჰამენ ცო ხამწნორ ახეჭამურ თხე ფჲარჩი ახარ.  
„გინმეს არ გაუგონია შუალმისას ჩვენი ძალების ყეფა“.
4. მიჩინენა დაზე ამბუდ ცო ხაწე ადმენქ.  
„საიდანმე კარგი ამბავი არ ესმის ადამიანს“.

5. ბადრი მიჩმი მა ღობალ ნაერწა.  
„ბავშვები სადმე ნუ წავლენ უდედოდ“.

უკუთქმითობის ეს უქველესი მოდელი დღემდე აქტიურია წოვათუშურში. მიეხედავად ამისა, დიდი ხანია უკვე ქართული ენის ანგენსიური ზეგავლენით მას გვერდში ამოუდგა იმავე შინაარსის ახალი მოდელი, სადაც უარყოფა მთლიანად ჩამოცილებულია ზმნისგან და გადატანილია უშუალოდ იმ წევრთან, რომელსაც იგი მიემართებოდა. ასევე როგორც თავის დროზე ამ ახალ მოდელთან დაკავშირებით ქართულ ენას დასჭირდა უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების წარმოება, იმავე პრობლემის წინაშე ახლა წოვათუშური დადგა.

საინტერესოა, რომ წოვათუშურმა ქართულიდან შზაშზა-რეული სახით შეითვისა უარყოფის ახალი მოდელი, მაგრამ სარეა-ლიზაციო საშუალებები - უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმინ-ზედები - თვითონ აწარმოვა საკუთარ ლექსიკურ ინვენტარზე დაყრდნობით. სიტყვაწარმოების ეს პროცესი მარტივად განხორ-ციელდა, რადგან ქართული ენა საამისოდ შზა ფორმულას გვთავა-ზობდა: თითქმის მექანიკურად უნდა შეგვერთებია კითხვით ნაც-ვალსახელებსა და ზმინზედებთან უარყოფითი ნაწილაკები. ასე მი-ვიღეთ მთელი წყება უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმინზე-დებისა - სიტყვათმიმოქცევაში ჩაერთო ახალი კალკინებული ნა-სესხობანი.

დ. იმნაიშვილი, რომელმაც მთლიანი იკე ოჯახის მასშტა-ბით შესწავლა უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმინზედები, აღნიშნავს, რომ „არც ერთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენას, გარდა ბაცბურისა, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმინ-სართები ამჟამად არა აქვს“ (იმნაიშვილი, 1953, 53). წოვათუშურში უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმინზედების არ-სებობის შესახებ პირველად აღნიშნა აკად. ა. შიფრერმა.

უარყოფით ნაცვალსახელთა რიცხვი წოვათუშურში საკ-მაოდ დიდია, მაგრამ არც ა. შიფრნერს და არც დ. იმნაიშვილს ისინი სრულად არა აქვთ აღრიცხული: პირველი სამი ერთეულით იფარ-გლება, მეორე კი ოთხ ერთეულს გვთავაზობს. ჩვენ ვცადეთ უფრო ზუსტად აღგვერიცხა ისინი.

კითხვით ნაცვალსახელებზე უარყოფითი ცო (არ) და მა (ნუ) ნაწილაკების დართვით წოვათუშურში ნაწარმოებია ორი რი-გი ნაცვალსახელებისა. იქვე უარყოფითი ნაცვალსახელებისათვის საყრდენად გამოყენებულია განუსაზღვრელობითი გუშ (რამე) ნაცვალსახელიც, რაც ქმნის აღნიშნული შინაარსის ნაცვალსა-ხელთა კიდევ ერთ რიგს.

გვაძეს:

ა) ცო + კითხვითი ნაცვალსახელი:

ცომენა - არავინ, ცომენსუ - არცორომელი (არჩომელი) მ

ცომუდლნე - არცრანაირი, ცომელე - არცრამდენი,

ცომელდენა - არცმერამდენე, ცომაცლუნა - არცორიდინ-დელი, ცჰაცცომენა - ერთიცარავინ.

ბ) მა + კითხვითი ნაცვალსახელი:

მამენა - ნურავინ, მამენსუ - ნურცორომელი,

მამუდლნე - ნურცრანაირი, ცჷაცმამენა - ერთიც ნურავინ.

გ) ცო ან მა + განუსაზღვრელობითი გუმ (რამე):

ცოვუმ - ცომ (არაფერი),

მავუმ - მამ (ნურაფერი),

ცჷაცცოვუმ - ცჷაცცომ (ერთიც არაფერი).

ეს პიბრიდული ახალწარმონაქმნები მარტივი აგებულები-საა და ადგილად დაშლადი. ამ მხრივ მათგან გამონაკლისს ქმნის ორი ერთეული: ცომ - არაფერი, მამ - ნურაფერი. ამ უკანასკნელ-თა შესახებ საგანგებოდ მსჯელობენ ა. შიფნერი და დ. იმნაიშვილი. მათი მოსაზრებები ერთმანეთისგან განსხვავდება. ანტონ შიფ-ნერის აზრით, აქ ცო და მა უარყოფითი ნაწილაკები განუსაზ-ღვრელობით გუმ ნაცვალსახელს ერთვის: ცო+ვუმ - ცომ, მაჭუმ - მამ (შიფნერი, 1848, 51). დ. იმნაიშვილის აზრით, კი იმავე უარყო-ფით ნაწილაკებს ერთვის მე - მ ნაწილაკი, რომელსაც ქართული მე ნაწილაკის მსგავსი ფუნქცია აქვს: ცო+ მე - ცომ, მა+მე - მამ. თვი-თონ გუმ ნაცვალსახელიც, დ. იმნაიშვილის აზრით, მე ნაწილაკს შეიცავს (იმნაიშვილი, 1953, 63).

მკვლევართა მიერ წარმოდგენილი ორივე გზა ამ ნაცვალ-სახელთა მიღებისა დასაშვებია, მაგრამ მათგან ამჯერად სწორი ჩანს პირველი, ამას ადასტურებს რამდენიმე გარემოება:

1. რელიქტურად დღემდე შემორჩენილი აღწერითი ფორმები ამ ნაცვალსახელებისა:

მა ვუმ ხატგრ სოხ - ნუ რამეს მკითხავ (ნურას მკითხავ).

ცო ვუმ ხაცი სო - არ რამე გავიგე (არაფერი გავიგე).

2. დაკარგული ფუძისეული ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელება დარჩენილი ხმოვნისა.

3. უარყოფითი ნაცვალსახელების წარმოება განუსაზღვრელთაგან ქართულშიც გვხვდება (არა-კაცი), ამ მიზნით მიმართებითების გამოყენება კი არ დასტურდება.

ინტერვერენტულ პროცესთა ბუნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, წოვათუშურში ყველა კითხვითი ნაცვალსახელია უარყოფითი ნაცვალსახელების წარმოება-ში ჩართული, ქართული კი ამ მხრივ რამდენიმეთი იზღუდება. რაკი ამჯერად მეტობა წოვათუშურის მხარესაა, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საქმე გვაქვს არა ქართულის მარტივ ღერძიკურ კალკებთან, არამედ სააზროვნო მოდელში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებასთან. წოვათუშურმა, გადმოიღო რა უარყოფის ქართული სისტემა, უფრო შეყობრი და თანიმდევრული გახადა იგი, რაკი მის მოთხოვნას დაუმორჩილა არა მხოლოდ რამდენიმე, არამედ ყველა კითხვითი ნაცვალსახელი.

ინტერვერენტულ პროცესთა ბუნების თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ უარყოფის ახალ მოდელს შედეგად მოჰყვა მთელი წყება ახალწარმონაქმნი უარყოფითი ნაცვალსახელებისა, მათივე პირდაპირი სესხების შემთხვევა კი ერთიც არ დადასტურდა.

ახლადწარმოქმნილი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების საშუალებით რეალიზაცია პპოვს უარყოფის ახალმა მოდელმა, რომელმაც უარყოფა ჩამოაცილა ზმნას და დაუკავშირა უშუალოდ იმ წევრს, რომელთანაც მიმართებაშიც უარიყოფოდა მოქ-

მედება. ამ სისტემის მიხედვით პირველი მოდელისათვის ზემოთ დასახელებულმა მაგალითებმა შემდეგი სახე მიიღო:

1. ცოჭანე ხატქ სქ ამბუდ..  
„არაფინ იკითხა ჩემი ამბავი“.
2. ცოჭანა ხამწინორ ახცშამურ თხე ფჭარჩიძ ახარ.  
„არაფის გაუგონია შუალამისას ჩენი ძაღლების ყეფა“.
3. ცოსტევა აღელბად დენიასრ თხალომცი იშტ.  
„არაფერს აუღელვებივარ დღემდე ასე“.
4. ღაზე ამბუდ ცომიჩრენა ხაწე აღმენე.  
„კარგი ამბავი არსაიდან ესმის ადამიანს“.
5. ბადრი მამიჩე ღობალ ნანეწი.  
„ბავშები ნურსად წაფლენ უდედოდ“.

ზემოთ, ქართული ენის უარყოფის სისტემის განხილვისას, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ უარყოფის მეორე მოდელს, რომელსაც დიდი უბირატესობა გააჩნდა უარყოფილი წევრის გამოხატვის თვალსაზრისით, ჰქონდა ნაკლიც, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ზმია-შემასმენელი მასში დადებითი ფორმით დარჩა წარმოდგენელი. ამის გამო მოხდა, რომ ძალიან მალე ასეთი წინადადებების ზმიებთან ხელახლა გააჩნდა სათანადო უარყოფითი ნაწილაკები, რამაც ორმაგი უარყოფის ფაქტების წინაშე დაგვაყენა - გააჩნდა უარყოფის მესამე მოდელი.

უარყოფის ეს მესამე მოდელი კიდევ უფრო ადგილად დამკვიდრდა წოვათურულში. ამას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, აზრობრივ წინააღმდეგობაზე დამყარებული შინაგანი იმანენტური განვითარების ტენდენცია. შედეგად იმავე მაგალითებმა კიდევ ერთხელ იცვალეს სახე. მივიღეთ:

1. ცოჭანე ცო ხატქ სქ ამბუდ.  
„არაფინ არ იკითხა ჩემი ამბავი“
2. ცოჭანა ცო ხამწინორ თხე ფჭარჩიძ ახარ.

„არაგის არ გაუგია ჩვენი ძალლების ყეფა“

3. ცოსტევა ცო აღელბად ჩვენისარ თხალომცა იშტ.

„არაფერს არ აუღელვებივარ დღემდე ასე“

4. ღაზე ამბუდ ცომიჩრენა ცო ხაწე ადმენენ.

„კარგი ამბავი არსაიდან არ ესმის ადამიანს.“

5. ბადრი მამიჩე მა ღობალ ნანეწ.

„ბავშვები ნურსად ნუ წავლენ უდედოდ“.

ჩვენ მიერ დახასიათებული სამი მოდელი უარყოფისა დღეს ერთმანეთის პარალელურად ფუნქციონირებს წოვათუშურ-ში. მათგან რომელიმეს გამოყენება, როგორც მოსალოდნელი იყო, ასაკობრივ დონეებთან არის დაკავშირებული.

წყარო ენის გავლენით წოვათუშურს კალკირებულ ახალ-წარმონაქმნთა კიდევ ერთი წყება მიემატა - ესენია მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებით ზმნიზედები. ისინი გაჩნდა წინა-დადებათა დაქვემდებარების ახალი, ქართული მოდელის შემოგა-ნასთან დაკავშირებით, როგორც მიუკითხებული კომპონენტები ჰიბრიდული წინადადებისა. სამშენებლო მასალა ახალი ლექსი-კური ერთეულებისათვის კვლავ წოვათუშურში დაიძებნა, სქემა კი ქართულიდან იქნა გადმოღებული. ამ თავისებური სესხების სა-კითხებზე გარკვეულ ცნობებს გხვდებით ა. შიონერთანაც, უთრო ვრცლად კი მათზე მსჯელობს დ. იმნაიშვილი (იმნაიშვილი, 1948, 210).

ჰიბრიდულის საკითხი ზოგადი ენათმეცნიერების კვლევის ერთ-ერთ საინტერესო სფეროს განვითარება. დადგენილად ით-გლება შეხედულება იმის შესახებ, რომ მეტყველების თანდათანო-ბითი განვითარებისა და სრულქმნის პროცესში მარტივ მსჯელო-ბათა დაქვემდებარებითი შეერთება წინადადებების ჩამოყალიბე-ბის ყველაზე ბოლო საფეხურია. ჩვენი მსჯელობისათვის მნიშვნე-ლოვანია ის გარემოება, რომ V საუკუნის ქართულ სალიტერატუ-

რო ენას უკვე მყარად ჩამოყალიბებული დახვეწილი რთული სინ-გაქსური კონსტრუქციები ახასიათებს სათანადო მიმართებითი სიტყვებითა თუ მაქვემდებარებელი კავშირებით გაფორმებული. ამ მიმართულებით მთელი განვლილი ხუთმეტსაუკუნოვანი ისტო-რიის მანძილზე არსებითი ხასიათის ცვლილება მასში აღარ მომ-ხდარა.

მთის კავკასიურ ენებში რთული ქვეწყობილი წინადადება ან სულ არაა, ან კიდევ ეხლა ყალიბდება. დღესდღეობით იგი დას-რულებული სახით გვაქვს მხოლოდ წოვათუშურ ენასა და ჩაჩნუ-რის ქისტურ დაღლექტში. ამ გამონაკლისში ქართული ენის გადამ-წყვეტი როლი უდავოდა.


მთის კავკასიურ ენებში ჰიპოტეზური მოდელები არაა დღემდე ჩამოყალიბებული და არც მიმართებითი სიტყვები გვაქვს, სათანადო შინაარსის გადმოსაცემად წარმატებით იყენებენ მიმ-ღეობებს, აბსოლუტივებსა და ინფინიტივებს (იმნაიშვილი, 1942, 86). რთული შინაარსის გადმოცემის ეს გზა დღემდე აქტიურია წოვათუშურში, მიუხედავად იმისა რომ ჰიპოტეზის ქართულისე-ბურ მოდელებს აქ უკვე საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ აბსოლუტივებსა და ინფინიტივებს მოხერხებულად შეარქვეს შე-მოკლებული მარტივი წინადადება, რაც ამ უკანასკნელთა გაფარ-თოებულ აზრობრივ ტევადობაზე მიგვანიშნებს.

აღნიშნული შემოკლებული მარტივი წინადადებების ანა-ლიზს, ცხადია, არ ვაპირებთ, მაგრამ მოკლედ მაინც უნდა აღვნიშ-ნოთ დიდი თავისებურება წოვათუშური ენის მიმღეობა - ინფინი-ტივ-აბსოლუტივებისა. საქმე იმაშია, რომ დასახელებული ტიპის ნაზმნარ ფორმებში შემონახულია გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი-სა თუ გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის კლასის ნიშანი, რაც ქართული გრამატიკის ენაზე პირაპობას ეტოლება. თუ აქ იმასაც დაგუმატებთ, რომ ამ ნაზმნარ ფორმებთან ქვემდებარე და


დამატება მათი სპეციული ბრუნვებითაა შენარჩუნებული, ნათე-ლი გახდება, რომ ზმიათა უღლებად ფორმებთან ეს უკანასკნელია ძალიან ახლოს დგანას და შინაარსობრივადაც მაქსიმალურად არიან დატყირთული. ოვალსაჩინოებისათვის მიმღეობას გამოვიყენებთ, როგორც ქართულთან საზიაროს. ყურადღებას იქცევს შემდეგი:

I. ქართულში ერთი ფორმა მიმღეობისა თანაბრად შეეფარდება ნებისმიერი შინაარსის სახელს, წოვა თუშურში გვაქვს იმავე მიმღეობის კლასკატეგორიის მიხედვით განსხვავებული ოთხი ფორმა. მაგალითად

ა) ქართ. მომავალი



ბ) წოვათუშ.



1. მომავალი კაცი - ვ-აღუმნი სტაკ
2. მომავალი ქალი - ღ-აღუმნი ფსტუმნი
3. მომავალი ცხენი - ბ-აღუმნი დო
4. მომავალი ბავშვი - დ-აღუმნი ბადერ

II. ქართულის პირიანი ზმის მიმღეობად გადაკეთებისას ქვემდებარეც და ორივე სახის პირმიმართი დამატებებიც ნათესაობითში დასმულ უბრალო დამატებად იქცევა, წოვა თუშურში კი ყველა ინარჩუნებს თავის ბრუნვას და გვაქვს მიმღეობასთან შეწყობილი ქვემდებარე, პირდაპირი დამატებაც და ირიბი დამატებაც.

შდრი:

ა) ქართ.: 1. მამის დარგული ხე

2. ხის დამრგველი მამა

3. დედისათვის დარგული ხე

ბ) წოვა-თუშ.: 1. დადა-ს ბივენი ხქ.

„მამა-შ დარგული ხე“

2. ხეენ ბ-ივენო დად.

„ხე დამრგველი მამა“

3. ნანენ ბ-ივენო ხე.

„დედა-ს(თვის) დარგული ხე“.

როგორც ვხედავთ, წოვათუშური ენის მიმღეობური ფორმები გრამატიკული დატვირთულობით ბევრად არ ჩამორჩებიან უდღების ფორმებს, რის გამოც დიდი სიახლოებით გადმოსცემენ დამოკიდებული წინადადების შინაარსს.

ამ მხრივ ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ წოვათუშური ენის აბსოლუტივებიც და ინფინიტივებიც. მოყვანილი მაგალითები თვალსაჩინოს ხდის, რომ ამ ენის ე.წ. შემოკლებული წინადადებები აზრობრივად საკმაოდ გაშლილია; ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რომ დაქვემდებარების ახალ, ქართულისებურ მოდელებთან ერთად ეს უკანასკნელი დღემდე აქტიურობას ინარჩუნებს. გარდა აღნიშნულისა გარკვეული როლი იმასაც მიუძღვის, რომ კავშირებისაგან თავისუფალი ძველი მოდელები უფრო სხარებია და დროის თვალსაზრისით ეკონომიური: კავშირები კი სათანადო ინტონაციით ცალკე ერთეულად გამოყოფებ დამოკიდებულ წინადადებას, რასაც საკმაოდ დროული დაყოფნება ახლავს. ამ თვალსაზრისით ძველი მოდელები სტრუქტურულად უფრო შეკრულია და ეკონომიური, აზრობრივად კი თითქმის ტოლთასია. ისე რომ სხვაობას დაქვემდებარების ქართულ მოდელთან შედარებით ძირითადად ქმნის არა შინაარსობრივი ასპექტი, არამედ თვითონ დაქვემდებარების გამოკვეთის ხარისხი.

ახალი ტიპის დაქვემდებარებას მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმინზედები დასჭირდა. პრობლემა მარტივად გადაიჭრა: საშენი მასალა ისევ წოვათუშურის ლექსიკურ-მორფოლოგიურ ინფენტარში დაიძებნა, მოდელი კი ქართულიდან იქნა გადმოღებული: კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმინზედებს მექანი-

კურად დაერთო მიმართებითი ნაწილაკი ე, რომელიც როგორც დოც. რ. გაგუამ გაარკვია, ნახური ენების უძველესი საერთო ელემენტია (გაგუა, 1960, 331). ე ნაწილაკის წინ ხშირად იჩენს თავს ხმოვანი ა. „ეს ა კითხვითის ფორმაში დაკარგული აუსლაუტის ხმოვანია, რომელიც ახალი ხმოვნის დართვისას ხელახლა აღდგება“ (იმნაიშვილი, 1948, 62).

ახალწარმონაქმნებზე მსჯელობისას ამჯერადაც, ნაშრომის რეგლამენტაციის გამო, ნაცვალსახელებით ვითარგლებით. აბსოლუტურად ყველა კითხვით ნაცვალსახელს, რაც წოვათუშურის გააჩნდა, გვერდით ამოუდგა ქართულიდან კალკირებული მიმართებითი ნაცვალსახელი. ახლადწარმოქმნილი ნაცვალსახელების ბოლოში თავმოყრილი ორი ხმოვნიდან მეტყველების პროცესში შეიძლება ორივე შემოგვრჩეს, ან ერთ-ერთი დაიკარგოს, რას გამოც თითოეული მიმართებითი ნაცვალსახელი სამი სხვა-დასხვა ფორმით შეგვევდება.

გვაქვს ორი რიგი ნაცვალსახელებისა:

ა) კითხვითი:	ბ) მიმართებითი:
მე (ვინ)	მენა // მენა // მენე (ვინც)
ვუხ (რა) ვუხაე	ვუხა // ვუხე (რაც)
მენუხ (რომელი)	მენუხა // მენუხა // მენუხე (რომელიც)
მოლაძ (როგორი)	მოლინა // მოლინა // მოლინე (როგორიც)
მელა (რამდენი)	მელა // მელა // მელე (რამდენიც)
მელალე (მერამდენე)	მელალე // მელალე // მელალენე (მერამდენც)
მიჩრე (სადაური)	მიჩრენა // მიჩრენა // მიჩრენე (სადაურიც)
მაცლუ (როდინდელი)	მაცლუნა // მაცლუნა // მაცლუნე (როდინდელიც)
ჭადნი (ვისი)	ჭადნე // ჭადნა // ჭადნე (ვისიც)
სტინი (რისა)	სტინა // სტინა // სტინე (რისიც)

ამგვარი კალკირებული სესხების გზით წოვათუშურში შესატყვევის დაეძებნა ქართულის ყველა მიმართებით ნაცვალსახელს. ქართულისავე ანალოგიურია დამოკიდებულ წინადაღებაში მათი გამოყენებისა და განაწილების წესებიც. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მიმართებით ნაცვალსახელთა პირდაპირი სესხების შემთხვევა არ დადასტურდა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენის გავლენით წოვათუშურში გაჩნდა უარყოფისა და დაქვემდებარების ახალი მოდელები; ამ ენის ნაცვალსახელთა სისტემას შეემატა გრძელი რიგები ქართულიდან კალკირებული უარყოფითი და მიმართებითი ნაცვალსახელებისა, მაგრამ მზამზარეული სესხების მაგალითი საერთოდ არ აღმოჩნდა. აღნიშნული გარემოება გვიჩვენებს, რომ ინტერცერენტულ პროცესთა მთავარი სამიზნე არის წინადაღებათა სინტაქსური მოდელები, საკონკრიტო საშუალებები კი ყურადღების მიღმა დარჩა, როგორც ნაკლებმიშვნელოვანი. მთავარია აზროვნების სისტემაში შეღწევა და მისი გარდაქმნა, ხოლო რომელი ლექსიკა იქნებოდა ამ დროს ჩართული, საკუთარი თუ ნასესხები, გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ აღმოჩნდა. სისტემური გავლენის შემთხვევებში, რაც უშუალოდ უკავშირდება აზროვნების მოდელს, წყარო ენის მხრიდან ერთგვარი „შემწყნარებლობა“ იყრმნობა C ენის ლექსიკის მიმართ, რადგან მას ამ პროცესთა თავისებური ხელშეწყობა შეუძლია, როგორც ფონოლოგიურად უფრო შორგებულს.

ინტერცერენტულ პროცესთა დასახასიათებლად ყურადღებას იქცევს წოვათუშური ენის ნაცვალსახელებში მომხდარი კიდევ ერთი ცვლილება: მხედველობაში გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა რიგში ჩამდგარი ქართული ნაირი და ფერი დერივატებით ადგილობრივი ფუძეებისაგან ნაწარმოები ერთეულები. თუ კალკირებულმა უარყოფითმა და მიმართებითმა ნაცვალსახელებმა თა-

ვისუფალი ადგილები დაიკავეს, ახალი პირიდული წარმოების ჩვენებითი ნაცვალსახელები პარალელიზმების როლში მოეფლინენ ენას. ამ გზით წოვათუშურში გაჩნდა ერთი და იმავე შინაარსის ჩვენებით ნაცვალსახელთა ორი წყება: საკუთარი და ნახევრადნასესები.

გვაძეს:

- ა) საკუთარი: 1. იშტუ (ასეთი), ოშტუ (ისეთი), ჰაშტუ (მასეთი)
- 2. იკლე (ამისთანა), ოკლე (იმისთანა), ჰაკლე (მაგისთანა)
- ბ) ნახევრადნასესები:
  - 1. იჯ-ნაირ (ამნაირი), ოჯ-ნაირ (იმნაირი), ჰაჯ-ნაირ (მაგნაირი)
  - 2. იჯ-თერ (ამთერი), უჯ-თერ (იმთერი)

დასახელებულ პარალელიზმებში წოვათუშურშა საკუთარი მასალის გამოყენება სცადა: ფუქებები საკუთარი დატოვა და მხოლოდ მაწარმოებლები შეცვალა ქართულით. საკუთარი მაწარმოებლების ქართულით შეცვლის მოცემულ შემთხვევაში წყარო ენის მაღალი პრესტიჟის გამო ნასესხებ დერივატთა შინაარსი უფრო გამჭვირვალე აღმოჩნდა.

ნაცვალსახელებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მათი მარტივი სესხების მაგალითები ძალიან იშვიათია, სულ გვაჭვს ასეთი სესხების რამდენიმე შემთხვევა: ნასესხებია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მავანი (მავანი); აკად. ჩიქობაგას აზრით, ქართულიდანაა ნასესხები მქ (ვინ); ბოლოხსანებში გაჩნდა ჩვენებითი ნაცვალსახელი იმნაირ (იმნაირი), მისი მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით (ცუდი ყოფაქცევისა).

ასობით ნასესხები არსებითი სახელის გვერდით ნაცვალსახელთა ასეთი შეზღუდული სესხება განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს ზოგადენათმეცნიერულ დებულებას იმის შესახებ, რომ, რაც უფრო შეკრულია და შემოზღუდულია სისტემებრივად ენის ესათუ ის მეტყველების ნა-

წილი, მით უფრო შეუგალია იგი უცხოენობრივი გავლენისათვის. ამჯერად გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ როგორც სხვა ენებში, წოვათუშურშიც ნაცვალსახელის სპეციფიკას ქმნის, ერთი მხრივ, ბრუნების ბარადიგმათა თავისებურება, მეორე შერივ კი – მაორგანიზებული როლი სინგაქსურ კონსტრუქციებში.

ნაცვალსახელთა მარტივი სესხების ასეთი შეზღუდვის ფონზე თვალში საცემი ხდება კალკინებული უარყოფითი და მიმართებით ნაცვალსახელების გრძელი რიგები, რაც ქართულიდან უარყოფისა თუ დაქვემდებარების ახალ სისტემათა სესხებას მოჰყვა. როგორც ვნედავთ, მთლიანი სინგაქსური მოდელების გადმოღება უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ამ მოდელების საორგანიზაციის ელემენტებში მარტივი სესხების გზით შემოგანილი ერთეულების შეღწევა.

მშინაც კი, როცა წყარო ენის მოძალებული პრესტივის გამო ზოგი ქართული ნაცვალსახელის შინაარსი უფრო გამჭვირვალე აღმოჩნდა საკუთართან შედარებით, წოვათუშურმა ენამ მთლიანად კი არ ისესხა ისინი, მხოლოდ მარტივი დერივატები შემოიტანა.

### თავი III

#### სახელის გრამატიკული კლასის კატეგორია

##### III. § 1. წოვათუშური ენის გრამატიკული კლასის კატეგორიის ზოგადი დახსასიათება

სახელთა მორფოლოგიასთან დაკავშირებით გრამატიკული კლასის კატეგორიასაც უნდა შეგეხოთ, რადგან განვითარების თანამედროვე საფეხურზე სწორედ ის ქმნის ყველაზე დიდ განსხვავებას წოვათუშურის მხარეს. გრამატიკული კლასი თავის

დროზე ეკუთვნოდა არსებით სახელს, რომელიც თავის მხრივ ამ კატეგორიას მიხედვით ითანხმებდა სინგავმებში მასთან ჟეწყვი-ლებულ წევრებს. დღეს ის ზმნას უფრო ეკუთვნის, რადგან ფორ-მალური გამოხატულება მას სწორედ ზმნასა, ნაზმნარსახელებსა და რამდენადმე აგრეთვე ზოგიერთ სხვა მეტყველების ნაწილში შერჩა. რაც შეეხება თვითონ არსებით სახელებს, ცნობილია, რომ აქ მან სემანტიკური კატეგორიის დონეზე განიცადა ტრანსფორ-მაცია. არავითარი გარეგნული ნიშანი კლასისა საგნის სახელებს (რამდენიმეს გამოკლებით) აღარ გააჩნია, რის გამოც გარჩევა თითქმის მხოლოდ შინაარსის მიხედვით ხდება. ანალოგისთვის ქართული ზმნის პირის კატეგორია შეიძლება გავიხსენოთ, სადაც პირთა სახელები სათანადო გარეგნულ ნიშნებს მოკლებულნი არი-ან, ზმნაში კი ფორმანტებით ყოველთვის გამოისახება მათი რომ-ლობა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ქართულში ზმნა საგანს განსაზღვრავს პირის მიხედვით, წოვათუშურში კი - სოციალური დირებულებების მიხედვით.

მიიჩნევა, რომ თავის დროზე არსებითი სახელის კლასი მორფოლოგიურ კატეგორიას ქმნიდა თვითონ ქართულშიც: ერ-თმანეთს უპირისპირდებოდა გრამატიკული კლასები ადამიანისა და ნივთისა, რომლებიც საგანგებო მაწარმოებლებით ერთდროუ-ლად აისახებოდა არსებით სახელებშიც და მათთან დაკავშირებულ ზმნებსა თუ ნაზმნარ სახელებში (ჩიქობავა, 1942, 260). ისტორიუ-ლი ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში საგანთა ასეთი და-ყოფის კვალი აღარ ჩანს: სახელებში შემორჩენილი სათანადო აფიქსები უკვე მკვდარია და გადააზრებული. აღნიშნული კრიტე-რიუმი სოციალური დირებულების მიხედვით საგანთა შეფასებისა დღემდე დაუცავს მხოლოდ კითხვით გინ და რა ნაცვალსახელებს როგორც სემანტიკური კატეგორია, სათანადოდ გარდასახულა იგი აგრეთვე სადაურობის ურ და ელ მაწარმოებლებისა და აგ-

რეთვე წარმომავლობის იან და ეულ სუფიქსთა ფუნქციური დაპირისპირების სახით (შენგელია, 1999, 32).

ამ მხრივ დიამეტრულად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა უმრავლესობა და მათთან წოვათუშურიც. მოვლენები აქ საპირისპირო გზით განვითარდა: ამოსავალი გრამატიკული კლასები ადამიანისა და ნივთისა კი არ მოიშალა, არამედ მოხდა მათი შემდგომი დიფერენციაცია და კლასთა რაოდენობრივი ზრდა. ამ მხრივ ყველაზე წინ აღმოჩნდა წოვა თუშური, სადაც კლასთა რიცხვება რეას მიაღწია (უახლოეს მონათესავე ჩეჩენურსა და ინგუშურში ექვსი კლასია, დაღესტნის ენებში – ოთხი, იშვიათად – ხუთი).

წარმოვადგენთ წოვათუშურის გრამატიკულ კლასებს სათანადო მაწარმოებლებით:

კლასები	მამაკაცის კლასი	ქალის კლასი	ნივთის კლასები							
			1	2	3	4	5	6	7	8
ქ. რიცხვი	ვ	ვ	ვ	ვ	ბ	ღ	ბ	ვ	ბ	ღ
ქ. რიცხვი	ბ	ღ	ღ	ვ	ბ	ღ	ღ	ღ	ვ	ვ

უკვე აღვნიშნეთ, რომ კლასის ნიშნები, როგორც ცოცხალი ფორმანტები, წოვათუშურის არსებით სახელებში აღარ გამოიყოფა, ისინი დაერთვიან სახელთან შეწყობილ ზმნას (აგრეთვე მისგან ნაწარმოებ მიმღეობა-აბსოლუტივ-მასდარ-ინფინიტივებს) და ზედსართავ სახელებს. დღეს ამ სისტემაში არაა ჩართული არც ყველა ზმნა და არც ყველა ზედსართავი სახელი, რის მიხედვითაც ისინი კლასნიშნიანთა და უკლასნიშნოთა ჯგუფებად იყოფიან. კლასების მიხედვით იცვლებიან აგრეთვე ერთადერთი რიცხვითი და-შივჭ (ოთხი) და ერთადერთი ზმნიზედა და-უხ (უკან). სწორედ

ჩამოთვლილ მეტყველების ნაწილებში წარმოდგენილი საგანგებო ფორმანტებით ირკვევა სახელის კლასი.

წოვათუშური ენის გრამატიკული კლასის კატეგორიის შესახებ მსჯელობს ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ ენის მორფოლიგიას იკვლევს: ა. ცისკაროვი, ა. შიონერი, ა. დირი, აჩ. ჩიქობაგა, ა. ღერერიევი, რ. გაგუა... ყველა მათგანი ერთხმად აღნიშნავს, რომ კლასთა ასეთი გაზრდილი რაოდენობა მეორეულია და ენის ფსიქოლოგიაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს. ამისაფალში აქაც, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ორი კლასია სავარაუდო: ადამიანის კლასი და ნივთის კლასი. მტკაცდება ისიც, რომ ქალის კლასი მოგვანებით გამოეყო ნივთის კლასს, სადაც შემდეგში მოხდა უფრო დაწვრილებითი დიფერენციაცია ისევ სოციალური ღირებულების მიხედვით. განვითარების ამ საფეხურზე მივიღეთ ის ოთხწევრიანი სისტემა კლასებისა, რაც საერთოა დღეს ამ ოჯახის ყველა კლასნიშნინი ენისათვის.

შინაგანი განვითარების ტენდენცია მოცემულ საკითხში ზოგი ენისათვის აქ დამთავრდა, ზოგში კი შემდგომი განვითარება ჰპოვა: როგორც აღნიშნეთ, ჩეხნურისა და ინგუშურში კლასების რიცხვი ექვსამდე გაიზარდა, წოვათუშური კი რვა გახდა. საგულისხმოა, რომ წოვათუშური ენის გრამატიკულ კლასთა მთელ ამ სიმრავლეში მოცემული კატეგორიის იგივე ოთხი (ე, ა, ბ, დ) ფორმანტი ფიგურირებს, რაც დამახასიათებელია იკე ოჯახის სხვა ენებისათვის. კლასთა ოთხწევრიანი საერთო სისტემის შემდგომი დაყოფა-დანაწევრება უკვე მრავლობითზე დაყრდნობით მომხდარა, სწორედ მხოლობითი-მრავლობითის ნიშანთა ეს სხვადასხვაგვარი შეფარდება იძლევა კლასთა რაოდენობის ზრდის შესაძლებლობას.

იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების მიხედვით დოცნ. ანდოულაძეს გარკვეული აქვს, რომ კლასთა მრავლობითის

წარმოების მადიფერენცირებელი ტიპისათვის ამოსავალი ყოფილა ნეიტრალური ტიპი, ანუ ისეთი ვითარება, როცა ცალკეულ კლასებს მხოლობითსა და მრავლობითში ერთი და იგივე ნიშანი გამოხატავს (ანდოულაძე, 1951, 62). აღმიანის კლასის სახელებისათვის წოვათუშურში ამის ყოველგვარი ნიშან-კვალი წაშლილია, ნივთის კლასის სახელებში კი, როგორც ქვევით დავინახავთ, ჯერ ისევ იკითხება ამოსავალი ვითარება.

გამოთქვამენ აზრს, რომ კლასთა რიცხვის განსაზღვრა ამათუ იმ ენაში მხოლობითის მიხედვით უნდა ხდებოდეს. წოვათუშურის სათანადო მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენის თანამედროვე ფინქოლოგიას სახელთა კლასებს შორის განაწილების საკითხში სწორედ მხოლობით-მრავლობითის შეპარისპარება წარმოაჩენს: მრავლობითის საშუალებით ხდება კლასთა შორის სახელების ხელახალი გადანაწილება. მაგალითად, მრავლობითის გათვალისწინების გარეშე არა გვაქვს საფუძველი წოვათუშურში და აგრეთვე სხვა ენებში, სადაც მესამე გრამატიკული კლასი ცოცხალია, ცალკე გამოვყოთ ქალის კლასი, რადგან მხოლობითის კლასიშანი (დ) ამ ორ კლასს საერთო აქვს. ასეთ შემთხვევაში ქალის კლასი ნივთის კლასს შეუერთდება, სინამდვილეში კი მათ შორის უკვე მკაცრი ზღვარი დევს და არც ერთი ნივთის სახელი ქალის (დ) კლასში არა გვაქვს.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო განსხვავებას სხვა კლასნიშნიანი ენებისაგან წოვათუშურში VII და VIII კლასები ქმნის. მხოლობითის ბ და დ კლასნიშნებთან მრავლობითის კლასნიშნად დ სხვა ენებში არაა გამოყენებული, წოვათუშურში კი სიახლე საგანთა გადანაწილებაში სწორედ ამ გზითაა მიღწეული. მეტად საგულისხმოა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ ამ ახალ კლასებში სხეულის წყვილეული ნაწილების სახელებია მოქცეული და მათი მრავლობითი გააზრებულია, როგორც ერთი

და იმავე საგნის თვისება. კლასიფიკაციის ეს პრინციპი, როგორც  
აკად. არნ. ჩიქობავა მიუთითებს, ახალია ამ ენაში (ჩიქობავა, 1946,  
224).

ასეთი მსჯელობით რეტროსპექტულად წოდათუშურისათ-  
ვის ექსკლასიანი გითარება აღდგება, როგორიცაა სწორედ დღეს  
დაცული ჩეჩენურ ენაში. უკუსვლის გზით ასევე ადგილად მტკიც-  
დება, რომ VI კლასი (ბ-დ) აგრეთვე შედარებით გვიანდელია წო-  
დათუშური და ის IV (ბ-ბ) კლასს გამოეყო. დღეს ამ ენაში ბ-ბ  
კლასს ეკუთვნის ფეხსაცმლის ყოველგვარი სახეობა, სხვა კავკა-  
სიურ ენებს კი აქ ცხოველთა სახელები აქვთ მოქცეული. ცხადია,  
თავის დროზე ასეთი გითარება უნდა გვქონდა წოდათუშურშიც,  
დღეს კი აქ ცხოველთა სახელებიდან ერთადერთი მეთ (ძროხა) სა-  
ხელია დარჩენილი. წოდათუშურსა და ჩეჩენურში აღარ შეინიშნება  
რამე კვალი იმისა, რომ ოდესაც აქაც აღნიშნულ კლასს ცხოვე-  
ლების სახელები მიეკუთვნებოდა.

რას უნდა გამოეწვია აღნიშნული ცვლილება?

საფიქრებელია, რომ მას შემდეგ, რაც მამაკაცთა სახელე-  
ბისათვის მრავლობითში კლასინიშნად ბიქნა გამოყენებული, შეიქ-  
მნა უხერხული დამთხვევა სოციალურად ნაკლები ღირებულების  
მქონე ნივთის კლასის სახელებთან. სწორედ ამ მიზნით, რომ აეც-  
დინა ენას ეს დამთხვევა და ბოლომდე დარჩენილიყო მკვეთრი  
ზღვარი, ცხოველთა სახელებთან მრავლობითის კლასინიშნი ბ  
შეცვალა დ-მ. ასე უნდა მიგვედო VII კლასი. ცხოველთა სახელების  
უმეტესობა დღეს სწორედ ახალ ბ-დ კლასშია მოქცეული. აქვე  
უნდა აღვნიშნოთ, რომ ის სახელები, რომლებიც დღეს ბ-ბ კლას-  
შია, ადრე არც შეიძლებოდა ამ კლასის კუთვნილება ყოფილიყო,  
მათი აქ მოხვედრა მხოლოდ ხელახალი გადანაწილების შედეგია.

ასეთი დასკვნების შემდეგ წოდათუშური ენის გრამატი-  
კულ კლასთა სისტემაში შეგზიძლია კიდევ ერთი საფეხურით და-

გიხიოთ უკან და აღვაღგინოთ ხუთწევრიანი სისტემა, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა კავკასიურ ენაში ქალის კლასი (მ-დ) ნივთის (მ-დ) კლასს გამოეყო, ოთხწევრიან სისტემას აღვაღგენთ. გვექნება:

მხ. რიცხვი	ვ	ვ	ბ	დ
მრ. რიცხვი	ბ	ვ	ბ	დ

შემდგომი კვლევა, აღმართ, კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰყენს საკითხის ისტორიას. კვლევის ამ საფეხურზეც ცხადია, რომ, რაც უფრო შორის მივდივართ საუკუნეთა სიღრმეისაკენ, მით უფრო მეტი ჩანს სიახლოვე გრამატიკული კლასების საკითხში ქართულ-სა და წოვათურულს შორის. ამ თვალსაზრისით წოვათურულ ენაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერგატიკული ბრუნვის ს და გ ფორმანების დისტრიბუცია, რაც ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა გარჩევას ემყარება.

ამისაგალი გითარება დღეისათვის, მართლაც, ძალიან არის შეცვლილი, რის გამოც აღარაა ნათელი საგანთა კლასებად დაყოფის საფუძველი. ამ მხრივ მარტივად წყდება პირველი ორი კლასის საკითხი: ერთში მამაკაცის ყოველგვარი სახელია მოქცეული, მეორეში - ასევე ყოველგვარი სახელი ქალისა. მთელი სირთულე ე.წ. ნივთის (არააღამიანის) სახელებს უკავშირდება, რომლებიც თანამედროვე ვითარების მიხედვით ექვს სხვადასხვა კლასში ნაწილდება.

ნივთის სახელთა კლასებს შორის განაწილების ეს სირთულე აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ წოვათურული ენის პირველი გრამატიკის ავტორს ი. ცისკარებს. "Роды в цовском языке познаются не по окончанию слов, а по значению и выражению слов", - წერს მკვლევარი (ცისკაროვი, 1848, 8). Выражение-ში

ქეშველი ზმნა იგულისხმება, სადაც ყოველთვის აისახება სახელის კლასი. ი. ცისკაროვი სამართლიანად მიუთითებს, რომ სახელთა კლასებს შორის განაწილებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათ შინაარსს.

საგულისხმოა, რომ მიუხედავად ასეთი სირთულისა, თვითონ თუშებს ენობრივი აღღოს წყალობით იშვიათად ეშლებათ სახელის კლასი. აღღოს თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ სახელთა კლასებზე განაწილების საკითხი ერთნაირად წყდება ჩეჩენური ენის ყველა დიალექტში. ეს გარემოება ცნობილი მკვლევარის – პ. უსლარის განსაკუთრებულ ურადღებას იქცევს. იგი წერს „*Не смотря на все старания, я не мог раскрыть законов, которые распределяют таковые слова по различным категориям... С другой стороны, весьма значительно, что каждый чеченец владеет непогрешимою способностью угадывать где употребить **и**, где **ди**, где **бу***“ (უსლარი, 1888, 11).

ამავე საკითხის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გვაწვდის დოც. ნ. ქადაგიძე: „ცხოვრების განვითარებასთან ერთად აუარებელი სიტყვები შემოდიდნენ და შემოდიან ქართულიდან, რომლებიც წოვურზე ამა თუ იმ კლასს განეკუთვნებან უმთავრესად სხვა მსგავს საგნებთან ასოციაციით, ბერძნულერადობისა და აგრეთვე მნიშვნელობის მიხედვითაც“, – გვითხულობთ მკვლევართან (ქადაგიძე, 1953, 22).

ლაკური ენის დიალექტთა მონაცემების მიხედვით მოცემულ საკითხზე ასეთსავე შეხედულებას ავითარებს პროფ. ვ. თოფურია. მკვლევარის დაკვირვებით „ახალი სიტყვების ამა თუ იმ კლასისადმი მიკუთვნებისას ანალოგია თამაშობს გარკვეულ როლს“ (თოფურია, 1942, 172). იგულისხმება როგორც შინაარსობრივი, ისე ბევრითი ანალოგია.

განვითარების თანამედროვე საფეხურისათვის სახელთა კლასებად განაწილების საკითხში ზოგიერთი მკელევარი უგულებელყოფს ბგერითი ანალოგიის როლს. ასეთ დასკვნას აკეთებს, მაგალითად, პ. უსლარი ჩეჩენური ენის შესახებ. ამგვარ შეხედულებას მკელევარი ასაბუთებს ღექვისეური ომონიმების სხვადასხვა კლასებში განაწილების ფაქტებით (უსლარი, 1888, 11).

მსგავსი ფაქტები ომონიმების სხვადასხვა კლასებში განაწილებისა წოდათუშურშიც დასტურდება. გვაქვს, მაგალითად:

1. ა) ხერხ „ხერხი, ხელსაწყო“ - ბ კლასი
- ბ) ხერხ „ხერხი, მოქმედების გზა“ - მ კლასი
2. ა) ჯა ა) „ქალამანი“ - დ კლასი
- ბ) ჯა ა) „ღონე“ - მ კლასი
3. ა) ბოტ „ცომი“ - ბ კლასი
- ბ) ბოტ „ციკანი“ - დ კლასი

ჩამოთვლილ ომონიმურ წყვილებს ბგერითი მხარე ერთნაირი აქვთ, მაგრამ განსხვავებული შინაარსის გამო სხვადასხვა კლასებშია მოქმედული. ასეთი მაგალითები, ჩვენი აზრით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიტყვის ორი მხარიდან მოცემულ საკითხში უპირატესობა შინაარსს ენიჭება, რაც სავსებით ღოვიკურია, რადგან პრინციპში ფასდებიან საგნები და არა მათი სახელები.

ყველაფრის მიუხედავად, წოდათუშურ ენაში ჯერ კიდევ იგრძნობა კვალი იმისა, რომ განვითარების ადრინდელ საფეხურზე გარკვეული შესატყვისობა უნდა გვქონდა საგნის კლასსა და მისი სახელის ბგერითს უღერადობას შორის. ამას გვათიქრებინებს ორი რიგი მოვლენებისა, კერძოდ:

1. ბაგისმიერი ბ, ფ, პ, მ თანხმოვნებით დაწყებული სახელების უმეტესობა მხოლობითის მიხედვით დღემდე „ბ“ კლასს ეგუთვნის, განსაკუთრებული წილი შემცნელობა ამ შერივ თანხმოვან ბ-ს ენიჭება. დაგასახელებთ მაგალითებს:

ა) ბაქ (ბირი), ბარ (ბარი) ბაღ (ბაღი), ბაჯჩ (ბახჩა), ბშა<sup>6</sup> (წევრი), ბშარკ (თვალი), ბშასტ (დიყი), ბშაგაღ (მეჭეჭი), ბაღ (ბაღი), ბაღიშ (ბაღიში), ბშე (ჯარი), ბშო (ხალისი), ბოძ (ბოძი), ბქ (ბუდე), ბეღელ (ბეღელი), ბეკი (ხუმრობა), ბიღივ (ბიღივი), ბოჯჩ (ბოხჩა), ბაგაღ (ლუპმა), ბუთ (თვე, მთვარე), ბამბაცრ (ბამბა), ბა<sup>7</sup> (ბანი), ბარკაღ (ბარკაღი) ბაშტ (გომური) ბაჭ (ბირკა) ბედ (ბედი), ბინდ (ბინდი), ბინგ (ბინგი), ბოგირ (ბოგირი), ბოლო (ბოლო, ბოლოვ (ბოლოვი), ბორკილ (ბორკილი), ბორც (ფეტვი), ბოს (ფერი), ბოკ (ნაოჭი ქსოვილზე), ბექ (ბექი), ბეხვ (ბრალი, დანაშაული), ბოტ (ცომი), ბრინჯ (ბრინჯი), ბუდ (მუშტი) ბულაყ (ჭა), ბურთ (ბურთი), ბუღ (ბუღი, სიცხე), ბუქ (მირი), ბუჭ (ჩხუბი, ომი), ბარლი<sup>8</sup> (ბარნელა), ბარიახ (ბარიაღი), ბშო (ხალისი), ბშორშ (მგელი)...

ბ) მახ (ფასი), მახ (ნექსი), მოხ (ქარი) მოხვ (ფილი, დედა-მიწა) მარდ (წიხლი), მოჭ (ენა), მათხ (მზე), მადელ (მადლი), მა-ნათ (მანეთი), მადუდარ (მჭადი), მარგილ (მარგილი), მარგალიტ (მარგალიტი), მარმარილო (მარმარილო), მარწყო (მარწყვი), მარ-ხილ (მარხილი), მაშ (მაშა), მაყო (თავისუფლება), მახათ (მახათი), მაკაწ (კაჭი), მუყ (გარი), მუჭ (ტვირთი), მეჭ (ტახტი), მიზი (მიზე-ზი), მაყაღ (მაყაღი)...

გ) ფაღ (ზღაპარი), ფაღაზ (ფარდავი), ფანდურ (ფანდუ-რი), ფარ (ფარი), ფარეხ (ფარეხი), ფარტა<sup>9</sup> (ფარტენა, ფთილა), ფაფახ (ფაფახი), ფე (გვერდი), ფერ (ფერი), ფერდო (ფერდობი), ფის (ფისი), ფიჩხ (ფიჩხი), ფისივ (რწყვილი), ფსტუ (ხარი), ფუთ (ფუთი), ფურნე (ფურნე), ფშა (ყინული), ფხა (ძარღვი, ფხა), ფჰე (სოფელი), ფჰარს (მკლავი), ფჰავთი (ფილტვი), ფჰიტ (ბაყაყი), ფჰო (სახელო), ფჰო (ძაღლი)...

დ) პაღ (კოცნა), პანგ (პანგა), პანღურ (პანღური), პასუქ (პასუხი), პერ (ქაფი), პირ (ფარა), პშა<sup>10</sup> (ფრთა), პშენტრ (ნეკნი)...

აღნიშნული რიგების გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ საკმაო რაოდენობით შეგვხვდება გამონაკლისებიც, რომლებიც ხშირად სხვადასხვა „წინაპარ“ საგნებთან შინაარსობრივ ანალოგიაში პოულობენ ახსნას, ზოგის ახსნა კი უკვე გელარ ხერხდება. მაგალითად, სიტყვა **ბურუჟ** (ბურვა კი) არ-ლვევს ბერებითი ანალოგიის წესს, რაკი მოსალოდნელი „ბ“ კლასის მაგიერ „დ“ კლასშია მოქცეული, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ნებისმიერი სულიერი არსების ნაშიერთა (შვილთა, ანუ უასაკოთა და სოციალურად ნაკლებ ღირებულთა) სახელები ჯერ კიდევ უგამონა კლისოდ ამ კლასში ნაწილდება. ასევე, სიტყვა **მეხ** (მეხი) „დ“ კლასშია **წე** (ცეცხლი) სიტყვის ანალოგით და ა.შ.

II. გვაქვს კლასებს შორის შინაარსობრივი ანალოგით განაწილებულ სახელთა რიგები, რასაც მოულოდნელად არ-ლვევს ბერებითი ანალოგიის შემთხვევები. მაგალითად:

ა) ლოგინის ნაწილები: ლეიბ (ლეიბი), საბჭ (საბანი), ადეალ (ადიალა), ზეწარ (ზეწარი), ჩიხოლ (ჩიხოლი) - ყველა „დ“ კლასშია, ბალიშ (ბალიში) კი ბერებითი ანალოგით „ბ“ კლასში მოხვდა. ამავე მიზეზით „ბ“ კლასში მოხვდა სიტყვები მუთაქ (მუთაქა), მოთ (ლოგინი).

ბ) სახელი ხი (წყალი) „დ“ კლასს უკუთვნის. მისი შინაარსობრივი ანალოგით ამავე კლასში მოქცა სითხეების სახელები: ღეგ (ღუდი), ვექ (ლეინო), შარბათ (შარბათი), ლიმონათ (ლიმონათი), მაჭარ (მაჭარი), ჩამ (ჩაი), ყავ (ყავა), კაკარ (კაკაო). ამ ფონზე დამატიქრებელია, რომ სიტყვა **ბორჯომი** (ბორჯომი) ბილინგვთა შორის დაგისა და აზრთა სხვადასხვაობის საგნად იქცა: სოფლის ზოგიერთ უბანში ის შინაარსობრივი ანალოგით „დ“ კლასს მიაკუთვნეს, ზოგიერთ უბანში კი ბერებით ანალოგიაში იმძლავრა და „ბ“ კლასში მიუჩინეს ადგილი.

გ) საზოგადოებრივი თავშეყრისა და სანახაობების სახელები „ა“ კლასს ეკუთვნის. ამ კლასში გვაქვს: ჯარ (საქეიფო თავშეყრა), კრებ (კრება), ქედე (ქედი), თათბირ (თათბირი), სპექტაკლ (სპექტაკლი), წარმოდგე (წარმოდგენა, პიესა), კონცერტ (კონცერტი), ოპერა (ოპერა), მაგრამ სიტყვა ბალეტი (ბალეტი) „ბ“ კლასში აღმოჩნდა სწორედ ანლაუტის ბ-ს გავლენით.

დ) წერილობითი წყაროების სახელები „დ“ კლასს ეკუთვნის. ამ კლასშია: ჟაგნი (წიგნი), ჟურნალ (ჟურნალი), რვეულ (რვეული), მოწმობა (მოწმობა), ატესტატი (ატესტატი), დღიური (დღიური), ოქტ (ოქტი), დეპეშ (დეპეშა), წერილ (წერილი), მაგრამ ნასესხები ეთ-სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელების ბგერითი ანალოგით სიტყვა გაზითა (გაზეთი) „დ“ კლასში მოექცა.

ე) სამუშაო იარაღების სახელები თოჯ (თოხი), წერაქვ (წერაქვი), ჯაჭვარ (ფოცხი), ლომ (ლომი), შატ (ფიჭალი) „დ“ კლასს ეკუთვნის, ხოლო ბარ (ბარი) „ბ“ კლასშია.

მსგავსი დარღვევების მაგალითები სხვაც შეიძლება დავასახელოთ.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი, ვამტკიცოთ, რომ სახელთა კლასებს შორის განაწილების საკითხში მნიშვნელობა ენიჭებოდა სიტყვის ორივე მხარეს: ბგერითსაც და შინაარსობრივსაც, მაგრამ ეს შედარებით ადრინდელი საფეხურია ენის განვითარებისა, დღეს კი, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის მხოლოდ შინაარსობრივი ფაქტორი მოქმედებს. ბილინგვს რომ მიყცეთ დავაღება, კლასების მიხედვით გაანაწილოს წყება ახალი სახელებისა, მნიშვნელობას გამოიკითხავს და ამის მიხედვით მიუჩენს ადგილს თითოეულ მათგანს. ბგერით ანალოგიას მკვეთრად შეურყია საფუძველი უამრავ-მა ნასესხებმა სახელმა, რომელთა შინაარსობრივი და ბგერითი მხარეები ძალიან ხშირად ურთიერთგამომრიცხავი აღმოჩნდა წოვათუშური ენობრივი ფსიქოლოგიისათვის.

საგნების სახელთა კლასებს შორის განაწილების საკითხში დღეს ძირითადად შინაარსობრივი ანალოგიის ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ, როგორც დაფინანსეთ, ბგერითი მხარეც არაა ჯერ კიდევ ბოლომდე იგნორირებული, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ართულებს მდგომარეობას, ქმნის რა გამონაკლისებს განაწილების ახალ სისტემაში. თუ დამატებით გაფიხსენებთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან S ენიდან შემოდის ბევრი ისეთი საგნის სახელი, რომელსაც C ენაში შეუძლებელია საანალოგიო წინაპარი სიტყვა მოეპოვებოდეს, ცხადი გახდება, ყოველივე ეს ერთად აღებული როგორ აბუნდოფნებს კლასიფიკაციის პრინციპებს.

კლასიფიკაციის პრინციპების დაბნელება კლასკატეგორიების მოშლის დასაწყისი საფუძვლია. კლასკატეგორიების მოშლის ეს ტენდენცია შენიშნულია მთის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში. ამის მიზეზად სამეცნიერო ლიტერატურაში ორი ფაქტორი სახელდება, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად მოქმედებენ: აბსტრაქტული აზროვნების განვითარება და უცხო ენის გავლენა. როგორც აკად. ჩიქობავა მუჟთითებს „მიზეზთა შორის უცხო ენის გავლენაც არ შეიძლება დავივიწყოთ, როცა გავლენის სუბიექტი ენა გრამატიკული კლასებისა თუ სქესების საკითხში არსებითად განსხვავდება ობიექტი ენისაგან“ (ჩიქობავა, 1963, 103).

დიდი ხნის მანძილზე ასეთ სუბიექტ ენას წოდათუშური-სათვის ქართული წარმოადგენდა, რომელმაც თვითონ ადრევე დაკარგა გრამატიკული კლასის კატეგორია და ქმნიდა შესანიშნავ ფონს ობიექტ ენაში მისი ნეიტრალიზაციისათვის. ამავე გზით წარმართავდა მოვლენებს სიტყვათა ინტენსიური სესხება. ასობით ახალი ლექსიკური ერთული ამნელებდა შენარჩუნებულიყო თან-მიმდევრულობა კლასებს შორის განაწილების საკითხში, იჩრდი-ლებოდა კლასიფიკაციის საფუძვლები.

### III. § 2. ინტერთურენტული ინოვაციები წოდათუშური ენის გრამა- ტიკული კლასის კატეგორიაში

მიუხედავად კლასიფიკირების საფუძვლების გაბუნდოვანე-  
ბისა, სახელის გრამატიკული კლასი წოდათუშური არსებობას  
აგრძელებს, როგორც სემანტიკური კატეგორია, რომელიც ზმნა-  
ში ინარჩუნებს გრამატიკულ სტატუსს. საქმე იმაშია, რომ დღემდე  
ეს არის სახელური აქტანტების ზმნასთან დამაკავშირებელი ძირი-  
თადი საშუალება და, სანამ არ მოხდება ამ როლისაგან გამოთავი-  
სუფლება, იგი არსებობას გააგრძელებს.

საგულისხმოა, რომ ზმნის გრამატიკული კლასის კატეგო-  
რიის წინააღმდეგ ინტერთურენტული პროცესები დიდი ხანია უკ-  
ვე ამოქმედდნენ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ წოდა-  
თუშური ენის ზმნაში ჩამოყალიბება დაიწყო პირის კატეგორიაში  
და ამ ფაქტს უკვე ორსაუკუნოვანი წერილობითი ისტორია აქვთ:  
თუ აქმდე მხოლოდ კლასი აღინიშნებოდა სახელისა ზმნაში, ახლა  
პარალელურად პირიც შეიძლება აღინიშნოს.

მაგალითად აყილოთ კლასიშნიანი ზმნა **გ-აღო** (მოდის).  
აქ კლასიშნანი გ იძლევა წარმოდგენას მხოლოდ იმის შესახებ,  
რომ მოქმედებას ასრულებს მამაკაცი, მოქმედი პირის რომლობა-  
ზე კი არაფერი ვიცით. პირის რომლობის დასაკონკრეტებლად  
ზმნის დასახელებულ ფორმას, საჭიროა, დაერთოს ნაცვალსახე-  
ლები:

ას გ-აღო (მე, კაცი, მოდის)

აჲ გ-აღო (შენ, კაცი, მოდის)

ო გ-აღო (ის, კაცი, მოდის)

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბება დაიწყო პირის კატეგორი-  
აში, გაჩნდა ნაცვალსახელური წარმოშობის პირის ნიშნები, რომ-

ლებიც ზმნას დაერთვის კლასის ნიშნებთან ერთად და გვაძლევს წარმოდგენას უკეთ პირის რომლობაზე. ამასთან დაკავშირებით აღარ არის საფალდებულო პირის ნაცვალსახელთა დართვა. გვაქვს, მაგალითად:

გ-აღო-ს (მე, კაცი, მოყდივარ)

გ-ა-ღო-ჭ (შენ, კაცი, მოდიხარ)

გ-ა-ღო (ის, კაცი, მოდის)

სიახლის დანერგვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პირისნიშნიანი და უპირისნიშნო ფორმები ზმნებისა პარალელურ გამოყენებაშია და პრიორიტეტი ამ მხრივ ჯერ კიდევ კლასისნიშნიანს ეკუთვნის: ზმნაში აქტანტის კლასის აღნიშვნა სა-გალდებულოა, მაშინ როდესაც რომლობა, მოუბარის სურვილის მიხედვით, შეიძლება აღნიშნოს, ან არ აღნიშნოს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიამეტრულად შეიცვლება ვითარება, ანუ როცა სა-გალდებულო იქნება რომლობის აღნიშვნა და ფაკულტატური გახ-დება კლასი, დაიწყება კლასკატეგორიის რღვევა.

მნელია ითქვას, როდის შეძლებს პირის კატეგორია საფალ-დებულოდ იქცეს ზმნაში, ამას, აღბათ, კიდევ საუკუნეები დას-ჭირდება. ნიშანდობლივია მოცემული თვალსაზრისით ის გარემო-ება, რომ პირის კატეგორიის მიხედვით დღეს ისეთივე ვითარება გვაქვს ენაში, რაც გვქონდა მთელი ორი საუკუნის წინათ. მოცე-მული შემთხვევა წოვათუშური ენის მორთვოლოვაზე ქართულის დაბრკოლებული ზეგავლენისა კიდევ ერთხელ ცხადყოფს ინტერ-ფერენტული ინვაციებისადმი წინააღმდეგობის საკითხში ამა თუ იმ ენობრივი რგოლის სისტემებივი შეკრულ-შემოზღუდულო-ბის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

მართალია, ზევით აღნიშნულმა ინტერფერენტულმა პრო-ცესებმა გასაგები მიზეზების გამო ვერ შეძლეს ზმნაში კლასის, როგორც გრამატიკული კატეგორიის მოშლა, მაგრამ დიდი ძვრე-

ბი შეიტანეს მის სემანტიკაში. ამჯერად მხედველობაში გვაქვს დღემდე ცალ-ცალკე არსებული ქალისა და მამაკაცის კლასების ადამიანის ერთ საერთო ზოგად კლასად უნიფიცირების მეტად საინტერესო პროცესი, რომელიც ინტენსიურად ვითარდება წოვა-თუშურში და უცხოა უახლოესად მონათესავე ჩეჩენური და ინგუ-შური ენებისათვის. პროცესები ეხება ისეთ საზოგადო სახელებს, რომელიც თანაბრად შეიძლება მიეკუთვნოს ქალსაც და მამაკაც-საც.

საგულისხმოა, რომ ასეთი განზოგადების საშუალებად წოვათუშურშა გამოიყენა ნივთის კლასის ნიშანი „დ“ და არა ერთ-ერთი რომელიმე ქალისა და მამაკაცის კლასის შენებიდან. ამ მხრივ, საინტერესოა აკად. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი, რომელსაც მკვლევარი საკუთრივ ქართულის მასალებზე დაყრდნობით ავითარებს: „გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლა კონკრეტულის უფრო აბსტრაქტულით შეცვლას გულისხმობს, ნივთის კატეგორია კი აბსტრაქტულობის გამოხატვას გაცილებით უკეთ ეგუება, ვინემ ადამიანის კატეგორია“ (ჩიქობავა, 1942, 261).

აღნიშნული განზოგადების პროცესი ჯერჯერობით ხელობისა და მოსაქმეობის აღმნიშვნელ სახელებს შეეხო მხოლოდ და განვითარების სამ სხვადასხვა საფეხურს წარმოგვიჩენს: ამ სახელებიდან ზოგი მხოლოდ ახალი განზოგადებული კლასის ნიშნით იხმარება, ზოგიერთ სახელთან კონკრეტული და განზოგადებული კლასები პარალელურ გამოყენებაშია, ზოგ სახელს კი ეს ინოვაცია საერთოდ არ შეხებია.

დავასახელებთ მაგალითებს:

I. განზოგადების პროცესი დამთავრებულია და ადამიანის ახალ „დ“ კლასს ეკუთვნის შემდეგი სახელები:  
ადმე (ადამიანი), ლაწმარ (აფადმყოფი), ჰაშე (სტუმარი), ბირკაცი (ბერიკა), მასთხოვ (მტერი), მაქლათარ (ზედამდეგი ჭირისა თუ

ლხინის სუფრაზე), მაყარ (მაყარი), მარჭველ (მაჭანკალი), შპილ (შპილი), მოწაფე (მოწაფე), მორიგე (მორიგე), მახარბელ (მახარბელი), მოწყალე (გულშემატკიფარი), მუშაცრ (მუშა), ტუსაღ (ტუსაღი), ამნათ (მსახური, მონა), დათაგ (მსახური)....

II. ადამინის განზოგადებული კლასი პარალელურ გამოყენებაშია ქალისა და მამაკაცის კონკრეტულ კლასებთან. მაგალითად:

ნათესავ (ნათესავი) : კონკრეტული კლასები და, ვა // განზოგადებული – ნათესავ და,  
მასპინძელ (მასპინძელი) და, ვა // მასპინძელ და,  
მეგობარ (მეგობარი) და, ვა // მეგობარ და,  
ნაყბისტ (მეგობარი) და, ვა // ნაყბისტ და,  
მდგმურ (მდგმური) და, ვა // მდგმურ და,  
ნაცნობ (ნაცნობი) და, ვა // ნაცნობ და,  
თანამშრომელ (თანამშრომელი) და, ვა // თანამშრომელ და,  
ამომრჩეველ (ამომრჩეველი) და, ვა // ამომრჩეველ და...

III. მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კონკრეტულ კლასებს ეკუთხნის შემდეგი სახელები:  
დოხტურ (ექიმი) ვა, და,  
უჩიტელ (მასწავლებელი) ვა, და,  
მოსამართლე (მოსამართლე) ვა, და,  
ნოქარ (გამყიდველი) ვა, და,  
დორექტორ (დირექტორი) ვა, და,  
თავმჯდომარ (თავმჯდომარე) ვა, და,  
მდივან (მდივანი) ვა, და,  
ბრიგადელ (ბრიგადირი) ვა, და,  
ინჟინერ (ინჟინერი) ვა, და,  
გამომძიებელ (გამომძიებელი) ვა, და....

საინტერესოა, რომ აღნიშნული ინოვაცია პირველ რიგში სიტყვა ადამიანს შეეხო. ამის შემდეგ ინტერიურენტულ გარდაქ- მნათა აღნიშნულ წრედში მოქმედი თვითონ კითხვითი ნაცვალსახე- ლი შე<sup>6</sup> (გინ), რომელიც ნაცვლად ქალისა და კაცის ორი კონკრე- ტული კლასისა, უკვე სამ სხვადასხვა კლასში შეგვხვდება; მაგა- ლითად:

მე<sup>1</sup> გა - გინ არის (კაცი),  
მე<sup>2</sup> და - გინ არის (ქალი),  
მე<sup>3</sup> და - გინ არის (ადამიანი ზოგადად).

ბუნებრივია, რომ ინოვაციაში ზმნებშიც შეაღწია და ქალისა და მამაკაცის კონკრეტული კლასების ადამიანის ერთ ზოგად კლასად გაერთიანების ტენდენციაში მთელი ენობრივი ქსოვილი მოიცეა. ამგვარად წოდათუშურმა ენაშ ქართულის გავლენით კი- დევ ერთი ნაბიჯი გადადგა უახლოესი მონათესავე ჩეჩენურისა და ინგუშურისაგან დაშორების გზაზე.

აღნიშნული ინოვაცია ინტერიურენტულ პროცესთა მოქ- მედების შედეგია და ბილინგვის ენობრივ ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებას ასახავს. საამისო ბიძგს, ცხადია, იძლეოდა ის გარე- მოება, რომ ქართულს, რომელიც დღეს ბილინგვებმა მშობლიურ ენაზე უკეთ იციან, შემორჩენილი აქვს მხოლოდ ორი სემანტიკური კლასი ადამიანის და ნიგოსია. დღევანდელი ვითარების მიხედვით აქეთ მოიკვლევს ხელახლა გზას წოდათუშური.

საგულისმოა, რომ, როგორც მორფოლოგიურ ინოვაცია- თა ყველა სხვა შემთხვევაში, სიახლე აქაც პარალელური ფორმე- ბის საშუალებით იწყებს დამკვიდრებას. ზოგიერთმა სახელმა და შესაბამისად ზმნამაც უკვე გაიარა პარალელურ კლასთა საფეხუ- რი, ზოგი ახლა გადის ამ საფეხურს, ზოგს ჯერაც არ შეუძენია მონაცვლე ფორმები.

ამრიგად, გრამატიკული კლასის კატეგორიაში მნიშვნელოვანი ცენტრებია განიცადა წოვათუშურში, ერთი მხრივ, შინაგანი განვითარების გზით, მეორე მხრივ კი - უცხო ენობრივი გავლენის შედეგად. ჯერ იყო და, მამაკაცის და ნიგოსის კლასები დაიყო მამაკაცისა, ქალისა და ნიგოსის კლასებად, შემდეგ მოხდა ხელახალი შინაარსობრივი დიფერენციაცია ისევ ნიგოსის კლასში, დღეს კი ხორციელდება ქალისა და მამაკაცის კლასების ადამიანის ერთ საერთო კლასად უნიფიკაციის პროცესი.

მიუხედავად სახელის გრამატიკული კლასის სემანტიკაში მომხდარი სერიოზული რეევებისა და სახეცვალებისა, მის მოშლამდე ჯერ კიდევ ძალიან გრძელი და როტული გზაა გასავლელი. დღესაც კი, როცა იდეალური ბილინგვიზმი თავისი განვითარების ზენიგშია, უკლასოდ დარჩენილი სახელის ერთ მაგალითსაც ვერ დავასახელებთ. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან კლასკატეგორია ძირითადი საშუალებაა სახელის სხვა წევრებთან დაკავშირებისა. მართალია, ისევ ქართულის გავლენით, დღეისათვის წოვათუშურში ამ ფუნქციას პირის კატეგორიაც ასრულებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ პარალელურ გამოყენებაშია კლასის კატეგორიასთან: ერთდროულად ხდება საგნის დახასიათება სოციალური ღირებულებისა (კლასი) და რომლობის (პირი) მიხედვით. დამოუკიდებელი ფუნქციონირების უფლება პირის კატეგორიას არა აქვს. გარდა ამისა, მისი აღნიშვნა ჯერ კიდევ არაა საფალდებულო და მოუბარის სურვილზეა დამოკიდებული.

ცხადია, მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღარ იქნება სავალდებულო ზმნასა და აგრეთვე ზოგიერთ სხვა მეტყველების ნაწილში სახელის კლასის აღნიშვნა, შესაძლებელი გახდება სახელების დატოვება კლასების გარეშე. სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები იქნება დასაწყისი კლასკატეგორიის მოშლის

პროცესისა, ჯერ კი საამისოდ მხოლოდ ნიადაგი შზადდება პირის კატეგორიის დანერგვით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად სახელის კლასეა-ტეგორიის საწინააღმდეგოდ მიმართული ინტერესებული პროცესების აქტიური იერიშებისა, ამ კატეგორიის ვერც მოშლა მოხერხდა და ვერც საფუძვლიანი რყევის შეტანა სწორედ მისი, როგორც მორთულობითი რეკონის, განსაკუთრებული სისტე-მებრივი შეკრულ-შეზღუდულობის გამო.

## თავი IV

### წოგათუშური ენის სიტყვათსაწარმოქმნო სისტემა

IV. § 1. ზოგადი დახასიათება. წოგათუშური ენის მრავალსაუკუნო-განი კონტაქტი ქართულთან, როგორც ყოველთვის ხდება, სიტყვათა სესხებით დაიწყო. ეს პროცესი სულ უფრო ინტენსიურ ხა-სიათს დებულობს და გეომეტრიული პროგრესით გრძელდება დღემდე. თუ ბილინგვიზმის დასაწყისში ნასესხები ერთეულები მსესხებული ენის ლექსიკური ქსოვილის ღიობს ფარავდნენ მხო-ლოდ, ურთიერთობის თანამედროვე საფეხურზე ქართული პარა-ლელი გაუჩნდა ასობით ადგილობრივ სიტყვას. ასეთი მონაცემები დუბლეტების გარეშე დღეს თუშური ენის ლექსიკური ფონდის ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვათა ვიწრო წრედა დარჩა, რამე-თუ სესხების წინააღმდეგ მოქმედი ფაქტორებიდან მხოლოდ მოხ-მარების სიხშირე აღმოჩნდა ბოლომდე გამძლე.

უცხოური ლექსიკის ჭარბი სესხები არ შეიძლება ხელშექ-წყობ პირობას წარმოადგენდეს მსესხებული ენის განვითარები-სათვის. „სესხების სიუხვე გარეგნულად ენის გამამდიდრებულ ნიშნად გვეჩვენება, არსებითად კი მისი ევოლუციის შემაფერხებე-ლი გარემოებაა“ (ძიძიური, 1941, 390). ნასესხები სიტყვები თრგუნავენ მსესხებული ენის ლექსიკურ ენერგიას, რამეთუ, ჯერ ერთი, საბაბი ხდებიან სიტყვათა დაკარგვისა, მეორე მხრივ კი, აფერხებენ ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოებას. ცნობილია აგრეთვე, როგორ არღვევენ ნასესხობანი მსესხებული ენის ბგერა-თა მიმდევრობის საუკუნობით განმტკიცებულ წესებს.

სიტყვათა დაკარგვა ჩვეულებრივია უცხოენობრივი გავ-ლენის გარეშეც. ეს პროცესი სათანადო საგნების ხმარებიდან გა-მოსვლას მოსდევს. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ „საგანთა ბე-დი წყვეტს სიტყვათა ბედს“ (ჩიქობავა, 1975, 34). ამგვარი დაკარ-

გვა სიტყვებისა უმნიშვნელოა თავისი ხედრითი წონით იმასთან შედარებით, რაც ადგილობრივი სიტყვებისათვის უცხოენობრივი პარალელების შეძენას მოსდევს. იდეალური ბილინგვიზმის პირობებში ასეთ პარალელს იძენს აუარებელი სიტყვა. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ნასესხები სიტყვები წყვეტინ ადგილობრივ სიტყვათა ბერს.

სიტყვათა სესხებასთან დაკავშირებული აღნიშნული პროცესები წოვათუშურთან მიმართებით შესწავლილი გვაქვს, კვლევის შედეგებიც გამოქვეყნებულია (მიქელაძე, 1977). ამჯერად იმავე საკითხს ახალი ასპექტით განვიხილავთ, გვაინტერესებს ღერძის კურ ნასესხობათა ზეგავლენა მსესხებელი ენის სიტყვათსაწარმონაქმნი მოდელებზე.

წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ლექსიკის განუკითხავ სესხებას მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა მსესხებელი ენის სიტყვაწარმოების სისტემი: შეიზღუდა ტრადიციული საწარმოქმნო მოდელები, გაჩნდა ნასესხები, რასაც, როგორც გარდაუფალი შედეგი, გარკვეული სადერივაციო აფიქსების გადმოტანა-გათავისება მოჰყვა. აღნიშნულ ინტერფერენციულ პროცესებს მკაცრი კანონზომიერებები წარმართავს. მოცემულ შემთხვევაში ჩვენი მიზანია სწორედ ამზოგად კანონზომიერებათა დადგენა.

მოძალებულ უცხოენობრივ გავლენას წოვათუშური მკვეთრი შინაგანი წინააღმდეგობით დახვდა: სცადა აემოქმედებინა სიტყვათქმნადობის საკუთარი შესაძლებლობანი და ამ გზით დაუფარა ღერძისკურ ქსოვილში გაჩენილი თეთრი ღამები. აღნიშნული მიზნით ენამ ერთდროულად მიმართა თხზვასაც, წარმოქმნასაც და მნიშვნელობის გაფართოებასაც. ცნობილია, რომ, როცა ამა თუ იმ ენის სიტყვათქმნადობას უცხო ენობრივი გარეშო განსაზღვრავს, ახალი ლექსიკური ერთეულები ფორმისა თუ შინაარ-

სის პლანში წყარო ენის ღერძემათა თავისებურ კალკებად წარ-  
მოგვიდგებიან. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას ეხვდებით  
ა. შიფრენის წოვათუშური ენის გრამატიკას დართულ ტექსტებში.  
ყურადღებას იქცევს ქართულიდან კალკირებული:

ა) თხზული სახელები:

ნახეთბურნი - „ხალხის დასაყენებელი, სასტუმრო“,

დახეჩი სა - „სულგრძელი“,

ჰათხლეინა - „წინმთქმელი, წინასწარმეტყველი“,

ტყუჩჭბაძწნიშა - „უკანავლები, მიმღევრები“.

ბ) წარმოქმნილი სახელები:

თეწვდურნი - „სწავლების მქმნელი, მასწავლებელი“,

ცხამდურნი - „სწავლების მქმნელი, მოსწავლე“,

ყაბურნი - „ცოდვის მქმნელი, შემცოდე“,

პელხოვა - „წესის მქმნელი, მოსამართლე“.

გ) მნიშვნელობა-გაფართოებული სახელები:

ჰალო გახინი - „მცხოვრები, მაცხოვარი“,

თეშე - „დამჯერი, მორწმუნე“.

თუშურში თავის დროზე მეტი იქნებოდა მსგავსი მაგალი-  
თები კალკირებული თხზვისა, წარმონაქმნისა თუ მნიშვნელობის  
გაფართოებისა, მაგრამ წერილობითი წყაროების სიმცირის გამო  
მოცემული რამდენიმე ერთეულით გცდილობთ ბილინგვიზმის  
განვლილი საფეხურის ენობრივი ტენდენციების აღდგენას.

მოვლენათა მსგავსობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა  
ის გარემოება, რომ არც ერთი ზემოთდასახელებული სიტყვა აღ-  
ნიშნული შინაარსით წოვათუშურს დღემდე არ შემოჰყება - ისევ  
ქართულიდან ნასესხებმა მზა ერთეულებმა შეცვალა: ქართული  
ენის გავლენით შექმნილი სიტყვები თუშურმა ქართულისავე გავ-  
ლებით დაკარგა. ამ ფაქტში ასახა ორენოფნების საფეხურების მი-  
ხედვით მსესხებელ ენაში მოქმედი ორი ურთიერთსაპირისპირი

ტენდენცია: მზა უცხოენობრივ ერთეულთა სესხებისადმი შინაგანი წინააღმდეგობისა და ამ ერთეულთა უცვლელი სესხებისადმი სწრაფვისა.

ნასესხები სიტყვების გაფლენით მსესხებელი ენის საკუთარ სიტყვათა და ერთგვა კოლექტიური ორენოვნების ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი თავისებურებაა. ამ დროს ინტენსიურად იყარგება არა მარტო ახალწარმონაქმნები, არამედ ხმარების ხანგრძლივი ტრადიციის მქონე საკუთარი ლექსიკური ერთეულებიც. ამ დროს, როგორც აკად. ლ. შჩერბა წერს: „თვით ყველაზე მარტივი სიტყვებიც კი, რომლებიც ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავენ, განსხვავებულნი აღმოჩნდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ეკუთვნიან ენებს, რომელთაგან ერთი ნაკლებპრესტიულია, ვიდრე მეორე“ (შჩერბა, 1958, 49), მკვიდრდება პრესტიული ენის სიტყვები და იყარგება ნაკლებპრესტიული ენის სთანადო მასალა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ქართული ენის გავლენით წოდათუმურმა მნიშვნელოვნად შეზღუდა სიტყვათწარმოების საკუთარი საშუალებების გამოყენება და წყარო ენიდან ისესხა როგორც მზა ლექსიკური ერთეულები, ისე სადერივაციო აფიქსები (ა. შიფნერი, დ. იმნაიშივილი, ი. დეშერიევი, რ. გაგუა, თ. გონიაშილი, კ. ჭრელაშვილი, ლ. სანიკიძე...).

ჩვენ საგანგებოდ ესვამთ ქართულიდან ნასესხები აფიქსების საკითხს. გვაინტერესებს:

- ა) რა გზით ხდება აფიქსთა სესხება?
- ბ) როგორი ინტენსიურობით ხორციელდება ეს პროცესი?
- გ) რომელ აფიქსებს ეძღვა სესხებისას უბირატესობა?

დასმულ კითხვებზე პასუხისათვის საჭიროა კონტაქტი მყოფი ენების სადერივაციო სისტემათა შეპირისპირებითი ანალიზი: საკვლევ სისტემათა დახასიათება როგორც ფორმობრივ, ისე შინაარსობრივ პლანში.

სიტყვაწარმოების მიხედვით ამ ორ ენას მსგავსებაც ახასიათებს და განსხვავებაც. მსგავსებას ისინი ავლენენ, როგორც ერთი და იმავე გენეალოგიური ოჯახის აგლუტინაციური ტიპის ენები, განსხვავება კი იმან განაპირობა, რომ ხელახალი შეხვედრის დროს ისინი დივერგენტული პროცესების სხვადასხვა საფეხურზე აღმოჩნდნენ. არსებითი ხასიათის სხვაობას ამ ორი ენის დერივაციულ სისტემებს შორის ქმნის ის გარემოება, რომ ტრადიციული დაყოფა ოდენ-პრეფიქსიანი, პრეფიქს-სუფიქსიანი და ოდენ-სუფიქსიანი წარმოების ჯგუფებად თუ შურ ლექსიკას არ უხერხდება. კიდევ უფრო მეტია განსხვავება შინაარსობრივ პლანში.

ერთადერთი თავსართი, რომელიც წიგათუშურში სიტყვას შეიძლება მოუდიოდეს, ესაა კლასნიშანი. იგი რთული ბუნების ფენომენია, შორსა დგას ჩეუულებრივი დერივატებისადან და მეტ სიახლოეს ავლენს დეტერმინანტებთან, კერძოდ:

ა) სიტყვის ძირის, რომელიც მოკლებულია ლექსიკურ მნიშვნელობას, კლასნიშანი გარკვეული შინაარსის მატარებელ ფუძედ აქცევს. ამ ფუნქციური დატვირთვით ეს მორთვება დეტერმინანტების რიგში დგება;

ბ) იმის გამო, რომ კლასნიშანთან გარკვეულწილად სიტყვის შინაარსიც არის დაკავშირებული, როგორიცაა სოციალური ღირებულების მიხედვით საგნის განსაზღვრა, კლასნიშანი თავისებურად დერივატებსაც ეკედლება;

გ) რადგან კლასნიშანი ზმნებსა, ნაზმნარ სახელებსა და ზედსართავებში სინტაგმათა კომპონენტების საკავშირებელ საშუალებადაც გვივლინება, მას ფლექსის კვალიფიკაციაც შეიძლება მიენიჭოს.

როგორც ითქვა, სიტყვაწარმოების პროცესში მონაწილეობის მიხედვით კლასნიშნები დეტერმინანტებს უტოლდებიან, რადგან სწორედ მათი საშუალებით ფორმდება მნიშვნელობის

მქონე ძირი, ანუ პირველადი ფუძე. მაგალითად: გვაქვს კლასიშნიანი სახელები მ-ოჲ (გოგო) და ვ-ოჲ (ბიჭი), რომელთაგან კლასიშნების ჩამოცილების შემთხვევაში უაზრო ბერძნობაში ბერძნობაში დაგერჩება. საკუთრივ დერივატები, რომლებიც წიგათუშურში მხოლოდ სუფიქსებად არიან წარმოდგენილნი, უკვე ასეთ შზა ფუძეებს დაერთვიან და ქმნიან ახალ გართულებულ ფუძეებს, ანუ მეორეულ ფუძეებს. მაგალითად,  
**მ-აჭ-ღქ** (გოგოსებური) და **ვ-აჭ-ღქ** (ბიჭისებური) ზემოთ დასახელებულ არსებითაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელებია.

სიტყვის ძირი, ანუ პირველადი ფუძე, როგორც მათ უუწოდებთ, კლასიშნიანია ან უკლასიშნიან. კლასიშნიანი ძირეული სახელისაგან დერივაციის გზით მიღებულ მეორეულ ფუძეში, ცხადია, ერთდროულად იყრის თავს ორი მორფემა: პრეფიქსი (კლასიშნანი - დეტერმინანტი) და სუფიქსი (დერივატი). მიუხედავად ამისა, ეს არ არის ჩვეულებრივი პრეფიქს-სუფიქსინი წარმოება, რადგან დაწყვილებული აფიქსები მოცემულ შემთხვევაში სხვადასხვა ფუნქციისანი არიან და კონფიქსებთან არაუერი აქვთ საერთო. გამორიცხულია ლაპარაკი ოდენ-თავსართაიანი წარმოების შესახებაც, რადგან როგორც აღვნიშნეთ, პრეფიქსი-დერივატები წიგათუშურს საერთოდ არა აქვს. ესაა მიზეზი, რომ ამ ენის ყველა წარმოქმნილი სახელი ოდენსუფიქსიანთა ჯგუში იყრის თავს.

მსგავსი ვითარება იყარაუდება ისტორიულად ქართულშიც, მაგრამ დღეს იქ პრეფიქსული წარმოებაც გვაქვს სახელებისა, პრეფიქს-სუფიქსურიც და ოდენ-სუფიქსურიც ამ უკანას კნელთა აშკარა პრიმატით. საგულისხმოა, რომ C და S ენათა სადერივაციო სისტემებს შორის გამოხატვის პლანში არსებული ეს სხვადასხვაობა ჯერხანად ინტერფერენტული „ინტერესების“ მიღმარჩება, მაშინ როდესაც გარდაქმნის ობიექტი გახდა სემანტიკური თვალსაზრისით არსებული უმცირესი სხვაობაც კი. აღნიშნული

მიზეზით ჩვენს შემდგომ მსჯელობას შინაარსობრივი პლანის განზომილებათა კვლევის გზით წარტმართავთ. გავრცელებული შეხედულების მიხედვით, წოვათუშური ენის ახალ სიტყვათა საწარმოებელ ძირითად გზას თხზება ანუ კომპოზიცია წარმოადგენს (დე-შერიევი, 1953), მაგრამ ირკვევა, რომ ფართოდ არის განვითარებული დერივაცია. ამ ენას სიტყვათწარმოქმნის კარგად ჩამოყალიბებული სისტემა აქვს, რომელიც ყურადღებას იქცევს შინაარსობრივი ჯგუფების სიმრავლით. ცალკე ჯგუფებს ქმნიან ქონებისა, უქონლობისა, კინობითობისა, წარმომავლობისა, მსგავსებისა, დანიშნულებისა, ხარისხისა, ხმაბაძვითი, აბსტრაქტული, ჩვეულებითი და ლოკატიური სახელები; საგანგებო მაწარმოებლები აქვს აგრეთვე სხვადასხვა შინაარსის ზმნიზედებსა და ნაზმნარ სახელებს.

C და S ენათა სიტყვათსაწარმოქმნო სისტემების შეპირისპირებისას ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ძირითადი რაოდენობა წარმოქმნილ სიტყვათა შინაარსობრივი ჯგუფებისა ამ ენებს თითქმის ერთნაირი აქვთ. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი სხვაობა გვაქვს თვით ამ საზიარო ჯგუფების შიგნით, სადაც ობიექტური სინამდვილე სიტყასაწარმოებელი მორფებით ხშირად სხვადასხვაგარად არის დაფასებულ-დანაწევრებული. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს გარემოება გადამწყვეტ როლს ასრულებს ინტერენტურულ პროცესებთან მიმართებით. თავისთავადი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ საზიარო ჯგუფების გარდა მეტობაც გვაქვს, როგორც თუშურის, ისე ქართულის მხარეს.

#### IV. § 2. ქონების სახელები

ქონების სახელები წოვათუშური ენის წარმოქმნილ სახელთა ყველაზე რიცხვმრავალ ჯგუფს ქმნიან და ორი განსხვავებული ლძ და რქ (>ლქ) სუფიქსით იწარმოებიან არსებითაგან.

პირველი სახელობითის ბაზისურ ფუძეს დაერთვის, მეორე კი ნა-  
თესაობითი ბრუნვის ფუძეს.

რე სუფიქსის დართვისას ძირეული სახელის ფუძეში და-  
ცული ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელი ხმოვანი კარგავს ნა-  
ზალობას, იცვლის ქვანტიტეტს და ჩეულებრივი არაგრძელი  
ხმოვნიდან გადაიქცევა გრძელ ხმოვნად; ბაზისურ ფუძეზე ღრმა სუ-  
ფიქსის დართვისას კი რაიმე სახის ფონეტიკურ ცვლილებას ადგი-  
ლი არა აქვს.

შრო.:.

ა) სახ. ბრ. დითხ (ხორცი)+ღრმ > სახ. ბრ. დითხ-ღრმ (ხორცი-  
ანი)

ბ) ნათ. ბრ. დითხ-ო (ხორცის) + რე > სახ. ბრ. დითხ-ო-რე (ხორციანი)

ამ სუფიქსების განაწილების პრინციპები არაა თვალსაჩი-  
ნო, რის გამოც ახალგაზრდები არასწორიად იყენებენ მათ, არც  
უფროსი თაობის ბილინგვებს შეუძლიათ ახსნან, რა შინაარსობრი-  
ვი განსხვავებაა პარალელურ ფორმებს შორის, მაგრამ ტრადიცი-  
ის ზეგავლენით დღემდე მკაცრად მიჟნავენ ერთმანეთისაგან. ბი-  
ლინგვთა უფროსი თაობის მეტყველებაში ერთმანეთს უპირისპირ-  
დება ორი წერტილის მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაქსებისა, სა-  
დაც მსაზღვრელები ღრმან რე (>ღრმ), სუფიქსებით გაფორმებული  
ქონების სახელებია. აღნიშნული ორი რიგის სინტაქსათა შეპირის-  
პირება საშუალებას იძლევა გამოვალინოთ საკვლევ აფიქსებს  
შორის არსებული სემანტიკური სხვადასხვაობა. შრო:

ა) სინტაქსები ღრმ - სუფიქსიანი მსაზღვრელებით:  
დაშ-მატ-ღრმ ადმე - „სიტყვა-პასუხიანი ადამიანი“, თუმც-მადგ-ღრმ  
სტაკ - „პურ-მარილიანი კაცი“, დეღ-ღრმ ჭოჭ - „ტანიანი, ტანადი  
ბიჭი“, ბას-ღრმ დოჭ - ფერიანი გოგო, კარგი სახის ფერი რომ აქვს“,  
ტათბული სტაკ - „ფულიანი კაცი“, ბაჯუმჩ მამლ-ღრმ კაბდილ -

„დიდ ფასიანი, ძვირი საკაბე“, გონ-ლი ბადერ - „ჭკვიანი ბაგშვი“, ცჰავნ ქოკ-ლი ვოჭ - „ცალფეხა ბიჭი“, უაბუღ-ლი ნახ - „ძროხებიანი ხალხი“, დითხ-ლი საკლავ - „ხორციანი ცხვარი, ბეგრ ხორცს რომ დაყრის“, მანქან-ლი სტაკ - „მანქანიანი კაცი“, ცჰავნი ბშარკ-ლი ადმენ - „ერთთევალიანი, ცალფეხალა ადამიანი“, ნიწყ-ლი ოჯახ - „ღონიერი ოჯახი“, ფუთ-ლი ვედრ - „ფუთიანი ვედრო“, საპალ-ნი-ლი ქოცრ - „საპალიანი ქვევრი“, კილუღ-ლი გირ - „კილოიანი გირი“, ჩამ-ლი დაყარ - „გემოიანი, გემრიელი საჭმელი“, ფხაუზტყ ფურცლი-ლი ქაგნი - „ასფურცლიანი წიგნი“, მზითვი-ლი მოჭ - „მზითვიანი გოგო“, ნაშმუ-ლი სტაკ - „ნაშმუსიანი კაცი...“

გარდა ზედისართავთა წარმოებისა, იგივე ლი სუფიქსი თუ-შურში გამოიყენება რიცხვით სახელთა სუბსტანციგაციის მიზნით. მაგალითად:

ში - „ორი, მაგრამ: შინ-ლი - „ორიანი“

ცჰა - „ერთი“ - ცჰან-ლი - „ერთიანი“

ფხი - „ხუთი - ფხი-ლი - „ხუთიანი“

იტ - „ათი“ - იტ-ლი - „ათიანი“...

აქ პირველი რიგის წევრები რიცხვითი სახელებია, მეორენი კი - ციფრისა. საინტერესოა, რომ თუშურისა და ქართულს შორის ამგვარი არსებითების წარმოებისა და გამოყენების სრული პარალელიზმი დასტურდება.

ბ) სინტაგმები რე (>ლე) სუფიქსიანი მსაზღვრელებით:

დათხი-რე ტოტ - „ოთლიანი ხელი“, შურე-ლე ჰერწრ - „რძიანი ქვაბი“, დათნე-რე ცუ - „ერბოიანი ქუმელი“, მაჭრე-ლე ქოცრ - „ღვინიანი ქვევრი“, არყე-ლე ბოთლ - „არყიანი ბოთლი“, მაწვე-რე ქილ - „მაწვიანი ქილა“, ხიე-რე დოქ - „წყლიანი დოქი“, წომლე-რე შუშ - „წამლიანი შუშა“, სუფე-რე ჯამ - „სუფიანი ჯამი“, კარქე-ლე მადვი - „კარაქიანი პური“, შაქრე-ლე ჩად - „შაქრიანი ჩაი“, ნაჩხო-რე ჭყინტკი - „ყველიანი ანტრია“, ლაფე-რე

ქოკდოუფებუ - „ლაფიანი ფეხსაცმელი“, ტკმელე-რქ შტოლ - „მტვრიანი მაგიდა“, ჰამნე-ლქ ხაკ - „თქენილიანი ხაკი“, დითხო-რქ დაყარ - „ხორციანი საჭმელი“, მათხო-რქ დე - „მზიანი დღე“, ბუბკა - რქ ეც - „ყვავილიანი მინდორი“, კერბალქ რიყე - „ქვანი რიყე“...

მიუხედავად იმისა, რომ თუშური ენის საკვლევი სუფიქსები ქართულ თარგმანში თითქმის ყოველთვის ერთი და იმავე იან სუფიქსით გადმოიცემა, მათ შორის შინაარსობრივი თვალსაზრი-სით ჩიშვინელოვანი სხვაობა დასტურდება, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ენაში არ სებობენ უფუნქციო, ზედმეტი ელემენტი.

შეიძლება ითქვას, რომ რქ (ლქ) სუფიქსი შინაარსობრივი თვალსაზრისით ადეკვატურია ქართულში თართოდ გაერცელებული იან სუფიქსისა. როგორია ამ მხრივ ლქ სუფიქსიანი სახელების პირიცა? მართალია, ლქ სუფიქსიც ყოლა-ქონას აღნიშნავს, მაგრამ შინაარსობრივ ასპექტში იგი ქართული იან-ის არც ერთ ჩიშვინელობას არ ემთხვევა ბოლომდე. მას უფრო ზედმიწევნით გადმოსცემს აწ უკვე მივიწყებული ქონების ქართული ად სუფიქსი. ამიტომაა, რომ ლქ-ს არ შეუძლია რომელიმე კონტექსტში შეცვალოს სუფიქსი რქ და პირიქით. ისინი დამატებითი დისტრიბუტის მიმართებაში არიან ერთმანეთთან. მათი ასეთი დამოკიდებულება უფრო თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც საყრდენს ორივესათვის ერთი და იგივე სახელი წარმოადგენს, ასეთი შემთხვევები კი საკმარისი ხდება. მაგალითად:

1) დოპე-რქ კოტორ- გულ-იან-ი ქადა

დაკ-ლქ სტაკ - გულ-იან-ი, გულ-ად-ი კაცი

2) შურე-ლქ ჰერწი - რძ-იან-ი ქვაბი

შური-ლქ დეთ - რძ-იან-ი ძროხა

3) დითხო-რქ ტოტ - ხორც-იან-ი ხელი (ხორცი დაჭრა)

დითხ-ლძ საკლავ - ხორც-იან-ი ცხვარი (ბეგრ ხორცს რომ დაყრის)

4) თუმანა ჯო-რქ ჩანთ - პურმარილ-იან-ი ჩანთა (პური და მარილი რომ დეგს)

თუმანა ჯო-ლძ სტაკ - პურმარილ-იან-ი კაცი, პურ-ადი...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ორი სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებს შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობა ზოგჯერ ქართულ თარგმანშიც იჩენს თავს: გულადი, ცხადია, არ უდრის გულიანს, ისევე როგორც: მუხლადი არ უდრის მუხლიანს, პურადი არ უდრის პურიანს, თვალადი - თვალიანს.

საანალიზო მასალაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რქ სუფიქსი დროებით „ქონებას“, დროებით თვისებას გამოხატავს, ლძ კი უფრო მუდმივსა და ორგანულად ქცეულს. ის, რაც ღვინიანია, ხელ შეძლება აღარ იყოს ამ თვისების მატარებელი: დაილიოს, გაირეცხოს და ა.შ. მაშინ როდესაც გულადი, პურადი, მუხლადი... უფრო ხანგრძლივი დროის, ან სულაც მუდმივი მახასიათებლებია. ქონების სუფიქსიანი მსაზღვრელების შემცველ სინტაგმათა ორი წყება თვალსაჩინოდ გახაზავს იმ ფაქტს, რომ უფროსი თაობის მეტყველებაში ამ ორი სუფიქსის დისტრიბუცია დღემდე ინახავს თუშური ენის შინაარსობრივი სტრუქტურის ნიშანდობლივ ასპექტს ყოლა-ქონების შეფასებისა დროებითსა და მუდმივ მახასიათებლებად.

ის გარემოება, რომ ამ ტიპის შინაარსობრივი სხვაობა რამდენიმე ქართულ სახელშიც განსხვავებული ფორმანგებით აისახა, გვიჩვენებს, რომ სინამდვილისადმი მიღებოდის ეს თვალსაზრისი არც ქართულისთვის ყოფილა თავის დროზე უცხო.

საინტერესოა, რომ რქ სუფიქსიანი მსაზღვრელები პარალელურად ხშირ შემთხვევაში ამ სუფიქსის გარეშეც იხსარებიან. წარმოქმნილ სახელებს ამ დროს მექანიკურად ჩამოსცილდება დე-

რივატი, რის შემდეგაც ბრუნვის ფორმანტი ხმოვანი აღიდგენს დაკარგულ ნაზალობას, მაგრამ შეინარჩუნებს შექენილ სივრცეს, რითაც გამოიყოფა და დაუპირისპირდება „წმინდა“ ნათესაობითის ფორმებს. ამ გზით იქმნება საინტერესო ფორმობრივ-შინაარსობრივი მიმართება საკუთრივ ნათესაობითსა და ნანათესაობითარ ფორმებს შორის. გვაქვს, მაგალითად:

- ა) 1. შურ-ქ - „რძის“
- 2. შურ-ქ-ლქ - „რძიანი“
- 3. შურ-ქ - „რძიანი“
- ბ) 1. კარქ-ქ - კარაქის
- 2. კარქ-ქ-ლქ - კარაქიანი
- 3. კარქ-ქ - კარაქიანი

საკულისხმოა, რომ ასეთი სუფიქსიამოცილებული ფორმები ეწარმოება არა ყველა სახელს, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც ნიგორიერებას აღნიშნავს. გვაქვს: ხი-ქ „წყლიანი“, მაჭრ-ქ „ღვინიანი“, ლავ-ქ „თოვლიანი“, არყ-ქ „არყიანი“, მურბ-ქ „მურაბიანი“, მოწ-ქ „თაფლიანი“, ქონ-ქ „ქონიანი“, დათონ-ქ „ერბოიანი“... ამ ფაქტში ასახული უნდა იყოს ენის ცდა ახალი, უფრო დაწვრილებითი დანაწევრება შეიტანოს ენის შინაარსობრივი სტრუქტურის არსებულ მოდელში - ცალკე გამოყოს ნივთიერებათა სახელები.

ქართულში ქონების რამდენიმე სუფიქსი ფიგურირებს: იან, იერ, ოვან, ოსან, ედ, ა. მათგან ყველაზე ფართო გავრცელებისაა იან სუფიქსი, რომელსაც საკმაოდ ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) ესადაგება ა, სხვა სუფიქსები კი - უფრო იშვიათად. ქართული იან-ის ფართო გავრცელება კარგად გამოჩნდა წოვათუშერი ქონების სახელების თარგმნის პროცესში, სადაც იგი თითქმის შეუცვლელი აღმოჩნდა. ქართულ-თუშერი ენების ქონების სახელთა შეპირისპირებისას კარგად გამოიკვეთა ის განსხვა-

ვება, რაც შინაარსობრივი პლანის თვალსაზრისით გვაქვს მათ შორის: თუ შური ენა რისამე ყოლა-ქონების აღნიშვნისას კუთხიდლების მუდმივსა და დროებითს ასპექტებს განარჩევს, თანამედროვე ქართულში კი ასეთი განსხვავების სულ რამდენიმე მაგალითი დაგვადასტურეთ (პურიანი-პურადი, გულიანი-გულადი, მუხლიანი-მუხლადი....).

შინაარსობრივ პლანში წოდათუშურის შხარეს არსებული ეს „მეტობა“, როგორც მოსალოდნელი იყო, ინტერტერენტული დაკარგვის ობიექტად იქცა: ახალგაზრდები დღეს ვერ მიჯნავენ რქ და ლძ სუფიქსების სამოქმედო არებს: ძალიან ხშირად ლძ სუფიქსის ადგილას რქ-ს ხმარობენ, პირიქით კი არ ხდება, რაც პირველის ხარჯზე ამ უკანასკნელის სამოქმედო არის გაფართოებასა და გაბატონებას მოასწავებს. ხშირად გაფიგონებთ არასწორ გამოთქმებს: დუკიჩი შურელქ ეთ - ბევრიანი ძროხა, თუმანი ადმქ - პურმარილიანი კაცი დუკიჩი შზითვე-რქ მოჭ - ბევრ შზითვიანი გოგო, დაუვაჟრა-ლქ მოჭ - დამმებიანი გოგო, ნაყბისტა - რქ ვოჭ - მეგობრებიანი ბიჭი...

ამრიგად, რქ და ლძ სუფიქსების სახით თუ შური საქმე გვაქვს ქონების შინაარსობრივი ჯგუფის სახელთა ორ მაწარმოებელთან, რომლებიც ისტორიულად ერთმანეთს უბირისპირდენენ როგორც ბევრითად, ისე სემანტიკური ნიუანსითაც და ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებოდნენ. დღეს ქართული ენის გავლენით უკვე დაიჩრდილა ლძ სუფიქსის შინაარსი, რქ კი უფრო გააქტიურდა, როგორც ქართული იან-ის სრული ადეკვატი. ამ ფაქტს, როგორც უშუალო შედეგი, მოჰყვა რქ სუფიქსის მიერ ლძ-ის სამოქმედო არეში შეჭრა და მათ შორის კონტრასტული დისტრიბუციის დამყარება. ჩვენს თვალწინაა საინტერესო ფაქტი ირი დამატებით დისტრიბუციაში მყოფი მსგავსი შინაარსის აფიქსიდან ერთ-ერთის მნიშვნელობის გაფარ-

თოებისა მეორის ხარჯზე. ამ პროცესს, როგორც ჩანს, ჯერ ყველა კონტექსტში რე სუფიქსის გაფრცელება მოჰყვება, მერე კი, როგორც ფუნქციადაკარგული, ღოძ სუფიქსი თვითონაც დაიკარგება. რე და ღოძ სუფიქსთა დისტრიბუციაში მომხდარი ცვლილება ქართული ენის უშუალო გაფლენის შედეგია და საინტერესოა, როგორც ენათა ასიმილაციის თავისებური გზა - ინტერფერენტული დაკარგება.

აღნიშნული შემთხვევა ღოძ სუფიქსის მნიშვნელობის დავიწროებისა გვიჩვენებს, რომ ენობრივი კონტაქტების დროს ხდება არა მარტო სესხება ამა თუ იმ ელემენტებისა, არმედ აგრეთვე დაკარგება იმ ელემენტებისა, რომელიც მეორე ენობრივი სისტემის ფონზე ზედმეტი ჩანს. ხდება საერთოდ „შესუსტება განსხვავებულობის ძალისა და ხარისხისა“ (ბოდუენი, 1963, 370). „კოდიდან კოდზე გადართვის ხშირი საჭიროება, რაც ასეთი აქტუალურია ბილინგვებისათვის, განაპირობებს კოდებს შორის მანძილის შემცირების მოთხოვნას“ (გამპერცი, 1972, 192).

#### IV. § 3. უქონლობის სახელები

ეს სახელები ქონების სახელთა საპირისპირო შინაარსის მატარებელია, რის გამოც ქონების თითქმის ყველა სახელის გვერდით უქონლობის სახელი დგას. აკად. ა. შანიძის განმარტებით: „ქონების სახელთა ანტონიმებია უქონლობის სახელები, ე.ო. სახელები, რომლებიც აღნიშნავენ უქონლობას ძირულის ფუძით აღნიშნული საგნისას“ (შანიძე, 1980, 126). გარკვეული მოსაზრებით ჩვენ აქვე ვაერთიანებთ უკუთქმით მიმღებებსაც.

ქართულს უქონლობის კარგად ჩამოყალიბებული სისტემა აქვს, სადაც უქონლობის შინაარსი დაკავშირებულია უ-თავსარ-

თთან, რომელიც შეიძლება მარტო იყოს ამ ფუნქციით, ან კიდევ ახლდეს სუფიქსები: -ური, -ულ, -ო. საყრდენ ფუძედ აღებულ სახელთაგან აღნიშნული მორთულებით იწარმოებიან უქონლობის ზედსართავები და აბსტრაქტული სახელები, ხოლო საყრდენად აღებულ ზმნურ ფუძეთაგან - უკუთქმით მიმღეობები და აბსტრაქტული სახელები. ისე, რომ იქმნება ერთი საწარმოქმნო მოდელის სამწევრა კორელაცია, როგორიცაა:

- ა) წყალი - უწყლო - უწყლობა,  
წიგნი - უწიგნური - უწიგნობა
- ბ) სწავლა - უსწავლელი - უსწავლობა  
თქმა - უთქმელი - უთქმელობა...

უქონლობის მწყობრი სისტემა აქვს წოვათუშურისაც, სადაც აღნიშნულ ფუნქციას სუფიქსი წ ასრულებს. იმის მიხედვით, რომელ მეტყველების ნაწილს წარმოექმნით, საყრდენ ფუძეზე დართულ წ-ს აუცილებელია კიდევ დაერთოს სუფიქსები: ზედსართავთა და მიმღეობათათვის ნაზალური ო, ხოლო აბსტრაქტული სახელებისათვის -ოლ. შედეგად ვიღებთ რთულ სუფიქსებს: წ-ძ და წ-ოლ.

საყრდენ ფუძედ აღებული არსებითი სახელებისაგან წოვათუშური, მსგავსად ქართულისა, უქონლობის ზედსართავები და აბსტრაქტული სახელები იწარმოებიან. გვაქვს, მაგალითად:

ხი წყალი - ხი-წ-ძ უწყლო - ხი-წ-ოლ უწყლობა,  
ბადერ შვილი - ბადერ-წ-ძ უშვილო - ბადერ-წ-ოლ უშვილობა,  
ტათებ ფული - ტათებ-წ-ძ უფულო - ტათებ-წ-ოლ უფულობა,  
ბოთხ საქმე - ბოთხ-წ-ძ უსაქმო - ბათხ-წ-ოლ უსაქმობა,  
დადი პატრონები - დადი-წ-ძ უპატრონო - დადი-წ-ოლ უპატრონობა,  
შარვი თვალები - ბშარვი-წ-ძ უთვალებო - ბშარვი-წ-ოლ უთვალობა...

საყრდენად აღებულ ზმნურ ფუძეებთან წოვათუშურში, განსხვავებით ქართულისაგან, მხოლოდ ორწევრა მიმართება გვაქვს, რომელსაც ქმნიან მასდარი და მისგან წარმოქმნილი უკუთქმითი მიმღეობა, გვაკლია სათანადო აბსტრაქტული სახელი. მაგალითად:

თიტარ „გაჭრა“ - თიტ-წ-ძ „გაუჭრელი“

მაღარ „სმა“ - მაღ-წ-ძ „უსმელი“

ალარ „თქმა“ - ალ-წ-ძ „უთქმელი“

გაღარ „ჭამა“ - გაღ-წ-ძ „უჭმელი“

დითარ „გარეცხვა“ - დით-წ-ძ „გაურეცხვავი“

გეხვარ „მოხარშვა“ - გეხვ-წ-ძ „მოუხარშავი“

ათარ „დანაყვა“ - ათ-წ-ძ „დაუნაყვავი“ ...

როცა შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთთან ვადა-რებთ თუშური და ქართული ენების უქონლობის სისტემებს, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზმნური ფუძეებისაგან ქართული უკუთქმითი მიმღეობასაც აწარმოებს და აბსტრაქტულ სახელებსაც, თუშურში კი მარტო უკუთქმითი მიმღეობები გვაქვს. საინტერესოა, როგორ აისახა ეს სხვაობა წოვათუშურის ინტერიერენტულ ინოვაციათა ქარგაზე.

დავიწყებთ იქიდან, რომ ქართული ენის ნაზმნარი უკუთქმითი აბსტრაქტული სახელების ადგილას თუშური ტრადიციულად აღწერით ფორმას იყენებს, რომლებიც სათანადო უკუთქმითი მიმღეობისა და მეშვეოლი ზმნისაგან შედგება. მაგალითად:

ქართ. უსწავლელობა - თუშ. ცჰამდაწინ დისარ „უსწავლელი დარჩენა“,

გაურეცხაობა - დითწინ დითარ „გაურეცხავი დატოვება“,

უთქმელობა - ალწინ დმტკარ „უთქმელი დარჩენა“ ...

უქონლობის სახელთა სისტემაში წოვათუშურის მხარეს არსებული ეს „უზუსტობა“, როგორც მოსალოდნელი იყო, დროთა

სფლაში ინტერიურენტული გავლენის ობიექტად იქცა: დღეს უკვე ხშირია შემთხვევები, როცა დასახელებული ტიპის აღწერითი ფორმების ადგილს ქართულიდან ნასესხები უფრო მარტივი წარმოების ორგანული ერთეულები იჭერს. ამ დროს ერთი და იგივე ქართული წინადაღება წოდათუშებში ორ შესატყვევის იძლევა: გათუშერებულსა და ზედმიწევნითს, ანუ გაქართულებულს.

შედროւები:

1. ქართ.: უსწავლელობა ძნელი არის.
2. ა) ცხამდაწინ ხილარ ხალა და - (უსწავლელი ყოფნა ძნელი არის);

ბ) უსწავლელობ ხალა და (უსწავლელობა ძნელი არის).

მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე კარგად მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ ამ რიგის კონტექსტებში დღითი-დღე მრავლდება ნასესხები აბსტრაქტული სახელები. სულ ურთო ხშირად იმისა:

1. ი ბადერ უჭირელბენ დადოლდარ დაწე - „ამ ბავშვის უჭირელობას პატიონობა (მიხედვა) უნდა“.

2. მოუგლელბევ ი ბაღ დაჭვადაშენბადიე - „მოუგლელობამ ეს ბაღი გადააშენა“.

3. უთქმელბევ მაწყ საქმ დავორრ - „უთქმელობა ზოგჯერ საქმეს აფუჭებს“.

4. მოურწყველბევ სიმინდ დაჭდაყდიე - „მოურწყველობამ სიმინდი გაახმო“.

წყარო ენის გავლენის მოცემული შემთხვევა ყურადღებას იქცევს იმით, რომ წოდათუშებრის ამჯერად აღარ უცდია დანაკლისი ფორმების შექმნა საკუთარი ინვენტარიდან, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ უფრო იოლ გზას დაადგა, გამოიყენა ნასესხები შზა ერთეულები. წყარო ენისკენ საფალი გზის ასეთი შემოკლება მხოლოდ კოლექტიური ორენოვნების დროს შეიძლება,

როცა ბილინგვისათვის თანაბრად ნაცნობია და ადგილად გასაზრებელი როგორც მშობლიური, ისე უცხო ენის ლექსიკურ-გრამატიკული მოდელები. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული როლი ქართული მოდელის შედარებით სიმარტივესაც უნდა მინიჭებოდა.

წოვათუშური ენის უქონლობის სახელთა მიკროსისტემაზე წყარო ენის სათანადო სისტემის გავლენა აქ არ დამთავრებულა. სულ ახლახანს, ჩვენ თვალწინ სათავე დაედო ქართული უ-ოთავსართ-ბოლოსართის სესხების პროცესს, რაც ცხადია იმავდროული იდენტური შინაარსის საკუთარი აფიქსის ფუნქციათა შეზღუდვას მოსწავლებს. მოვლენათა განვითარების თვალსაზრისით, საინტერესოა ის ფაქტი, რომ თითქმის ბოლო დრომდე საკუთრივ წოვათუშური უქონლობის წაფიქსი აქტიური იყო და აწარმოებდა ჰიბრიდულ ახალწარმონაქმნებს თვით ქართულიდან ნასესხებ საყრდენ ფუძეთაგან. ასეთია, მაგალითად:

გონ-წი (უგუნური, უჭკუ), გონ-წ-ოლ (უგუნურობა), ქონბე-წ-ი (უქონებო, უქონელი), ქონებ-წ-ოლ (უქონებობა, უქონლობა), ქეზობლი-წ-ი (უქეზობლო), წუმლე-წ-ი (უმწანილო), გორ-წ-ი (უგვარო), მომავლე-წ-ი (უმომავლო), სამსოუხრე-წ-ი (უსამსახურო), ეზუღ-წ-ი (უეზოვო), ნაოუსვი-წ-ი (უნათესაო...).

კონტაქტში მყოფი ენების ძალთა თანაფარდობაში მოხსელარ ცვლილებებს ასახავს ის გარემოება, რომ მოვლენათა განვითარებამ ამჯერად საპირისპირო მიმართულება მიიღო: როგორც აღვნიშნეთ, გაჩნდა ახლადწარმონაქმნები, სადაც საყრდენი ფუძე თუშურია, დერივატი კი - ქართული. ესენია:

უ-ბაშრ-რ-უშნო, უუნარო

უ-ტოტ-რ-უხელო, ხელგამოუგალი

უ-აღაზ-რ-ურგები, გამოუსადეგარი

## უ-კნათ-რ - უგაქო

მართალია ქართული უ-ო კონფიქსით მიღებული ჯერ-ჯე-რობით სულ რამდენიმე სახელი დავადასტურეთ, მაგრამ დაბეჭი-თებით შეიძლება ითქვას, რომ მისი სესხების პროცესი უკვე დაწ-ყებულია. სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულად ითვლება დებულება იმის შესახებ, რომ აფიქსი შეთვისებულად უნდა ჩა-ითვალის მას შემდეგ, რაც გამოყენებული იქნება მსესხებული ენის თუნდაც ერთ სიტყვაში (Вайнаих, 1956, 41). უამისოდ კი რაც უნდა ბევრი ნასესხები ფუძე ავლენდეს მას, სესხების საკითხი არ დაისმება.

ცნობილია, რომ აფიქსთა სესხების საფუძველი ხდება ერ-თი და იმავე ძირის აფიქსიანი და უაფიქსო ნასესხები სიტყვების ხშირი გამოყენება და ამის საფუძველზე მათი ქვეცნობიერი შეპა-რისპირება. თუშურში მართლაც გვაქვს ნასესხობათა ორი საქმა-ოდ გრძელი რიგი, რომელთა წევრები ერთმანეთს სწორედ უ-ო კონფიქსის დართვა-დაურთველობით უპირისპირდებიან.

### შედრ.:

ა) ძირეული სახელები: ცხვირ-პირი (ცხვირ-პირები, სახე), ხეირ, ფერ, ძოლ (ძგალი), ძირ, სინათლე, ღალ (ღალა), ქუდ, ჰაერ, წეს, წიწაკ, ბოროტ, იღბალ...

ბ) წარმოქმნილი სახელები: უ-ცხვირპირ-რ, უ-ხეირ-რ, უ-ფერ-რ, უ-ძვლ-რ, უ-ძირ-რ, უ-სინათლ-რ, უ-სამართლ-რ, უ-ღალ-რ, უ-ქუდ-რ, უ-ჰაერ-რ, უ-წეს-რ, უ-წიწაკ-რ, უ-ბოროტ-რ, უ-იღბალ-რ...

ბუნებრივია, რომ ამ რიგთა ზოგიერთი წევრი ნასესხობებში დაცულებულადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი: მათ ასეთ შემთხვევაში ან ქართულშივე აკლდა მეწყვილე, ან მსესხებელმა ენამ დააკლო, რაკი მათგან მხოლოდ ერთი ისესხა. მაგალითად, ქართულში გვაქვს ასეთი წყვილები: პირი - უპირო, მარილი - უმა-

რილო, გზა - უგზო, კაცი - უკაცო..., თუშურმა კი მათი მხოლოდ მეორე წევრები ისესხა, გვაქს: უპირო, უმარილო, უწყალო, უცეცხლო, უგულო... მათი ძირეული სახელები კი ნასესხობებში არა ჩანს. ისე რომ არაა სავალდებულო იმ წყვილწევრა ოპოზიციაში, რომელსაც ამა თუ იმ აფიქსის დართვა-დაურთველობა ქმნის, ყველა ნასესხები სიტყვა იყოს ჩართული. მოვლენათა მსვლელობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ სიტყვათა გარკვეული ჯგუფისათვის ეს ოპოზიცია რეალური და ხელშესახებია.

ნასესხები უ-ო თავსართ-ბოლოსართიანი წარმოქმნილი სახელების ამ რიგზე დაკვირვება, რომლებიც ძირეული სახელებისაგან დამოუკიდებლად ისესხა წოვათუშურმა, გვიჩვენებს, როგორი მნიშვნელობა ენიჭება კონტაქტში მყოფ ენათა ღექისის შინაარსობრივი სტრუქტურის მოდელებში არსებულ სხვაობათა ნიველირებას. დაცალებულ ნასესხობათა ადნიშნული რიგის თითოეული წევრი წოვათუშურის აღეკვატური წარმოების შესატყვისებთან მიმართებით გარკვეული დამატებითი შინაარსით გამოიჩინა. სწორედ ამ დამატებითი შინაარსის გამოხატვა ევალებათ მათ, როგორც ნასესხობებს, ძირითად მნიშვნელობას კი მსესხებელი ენის საკუთარი ღექისემები ატარებენ. ასე:

1. უმარილო - ნიშნავს ულამაზოს, არასანდომიანს, ხოლო როცა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის გადმოცემა სურთ, მაშინ უკვე ხმარებაში აქვთ საკუთარი თუხ-წ-ძ (თუხი - მარილი);

2. უგულო - ნიშნავს მკაცრს, დაუნდობელს, სასტიკს. პირდაპირი მნიშვნელობით კი იხმარება დაკ-წ-ძ (დოკ - გული);

3. უწყალო - შეუბრალებელი. პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება საკუთარი ხი-წ-ძ (ხი - წყალი);

4. უპირო - პირის გამტეხა. პირდაპირი მნიშველობით იხმარება საკუთარი ბაქ-წ-ძ (ბაქ - პირი);

5. უგზო - დაუფიქრებელი. პირდაპირი მნიშვნელობით გვაქვს ნაყ-წ-ძ (ნიყ - გზა)...

ამ დროს უცხოენობრივი პრესტიჟის ზეგავლენით მიიჩნევა, რომ აღნიშვნლი დამატებითი შინაარსის გადმოცემა შეუძლია მხოლოდ ნასესხებს, საკუთარს კი ამ მხრივ რაღაც აკლია, იგი ამ უნარს მოკლებულია.

უქონლობის უ-ო კონფიქსის სესხების დადასტურებული რამდენიმე შემთხვევა ცხადყოფს, რომ იდეალური ბილინგვიზმის დროსაც კი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული დერივატის სესხება, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხდება შენაცვლება მსგავსი ფუნქციის ადგილობრივ მაწარმოებელთან. დასაწყისში იგი სახელთა მცირე ჯგუფს უკავშირდება და მხოლოდ მას შეძეგ, რაც გარკვეულ ტრადიციას შეიძენს, უჩნდება სხვა სახელებზე გადანაცვლების შესაძლებლობა. დაბრკოლებას ქმნის ამ მხრივ ფონოლოგიური ფაქტორიც: ნასესხები მორთვემა თავისი აგებულებით (სიგრძით თუ ბერითით თანმიმდევრობით) არ უნდა არღვევდეს მსესხებელი ენის სიტყვათმოდელს.

#### IV. §4. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტული სახელები წოვათუშური ლექსივის დამოუკიდებელ ფენას შეადგენენ. მათ ორი სხვადასხვა მაწარმოებელი მოებოვებათ: **ომ** და **ოლ**. პირველი გადმონაშთის სახეს ატარებს და ახალ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით უფუნქციოა, შეორე კი ფართოდაა გავრცელებული და აქტიურ სიტყვათსაწარმოებნო აფიქსს წარმოადგენს. ამ დერივატთა სამოქმედო არები გამიჯნულია: **ომ** სუფიქსი ზმურ ძირებს დაერთვის, **ოლ**-ი კი არსებითებსა და ზედსართავებს.

წოვათუშურში, ისევე როგორც ქართულში, ყოველ ზმნურ  
ძირს სათანადო მასდარი გააჩნია. იგი მაზმნავებელი არ ეღემენ-  
ტით, ან დარ და დალარ მეშველი ზმნებით იწარმოება, რომელთა  
დართვაც ზმნის გვარის მიხედვით განისაზღვრება. ეს მასდარები  
ჩვეულებრივი ნაზმნარი სახელებია (იბრუნვიან) და საჭირო შემ-  
თხვევაში აპსტრაქტულობის შინაარსსაც იგუებენ. ზმნური აბ-  
სტრაქტული სახელები დღეს თუშურსაც ისევე აკლია, როგორც  
ქართულს. მოიძებნება მხოლოდ ათიოდე სიტყვა, რომლებიც ოშ  
სუფიქსით იწარმოებიან და საგანგებო ზმნურ აპსტრაქტულ სახე-  
ლებს წარმოადგენენ. ესენია:

ჯერდომ (ჯერდარ - შიში),

თეშომ (თეშარ - ნდობა),

თეგომ (თეგარ - შერიგება),

ქჰექომ (ქჰექადარ - მომზადება),

თივი-ომ (თივიარ - დასვენება),

დარჯომ - ქაკომ (არეულობა-დარეულობა).

ბოლო კომპოზიტი ტოლადშერწყმულია. ამ რთული სახე-  
ლის პირველი კომპონენტის შინაარსი ამოუხსნელია, თუმცა მასში  
აშკარად გამოიყოფა ოშ ბოლოსართი, ხოლო ქაკომ ნაწარმოებია  
მასდარისაგან ქაკ-დარ (არევა, მორევა).

ასეთ სახელთა შინაარსის გადმოცემა ძნელია, რის გამოც  
ფრჩხილებში მათი მასდარები მოვიშველიეთ. მართალია, ესენიც  
მოქმედების სახელებია, მაგრამ უფრო განზოგადებული, ვიდრე  
მასდარების შემთხვევაში გვაქს. თგასაჩინოებისათვის შეიძლებო-  
და გამოგვდგომლა ის შინაარსობრივი დაპირისპირება, რასაც  
ავლენს ქართული ნაზმნარი სახელები: მზადება და სამზადისი.

მსგავსივე წარმოებისა ჩანს დღეს უკვე საგნის სახელებად  
ქცეული ბაკუშ (კვარი) და ბერდომ (წაკა), რომელთა ამოსავალი

უნდა იყოს მასდარები ბაკ-არ (დაწვა) და ბეფლ-არ (მღაშე სითხისგან დაწვა).

როგორც ვხედავთ ომ სუფიქსის გამოყენება დღეს თუ-შურში უკიდურესად შეზღუდულია. იმის გამო, რომ იგი საერთოდ არ გააჩნია ჩეჩენური და ინგუშური ენების მთის დიალექტებს, აკად. ი. დეშერიევი მას ნასესხებად მიიჩნევს (დეშერიევი, 1962, 395). ამ-ჯერად მნიშვნელობა არა აქვს, როგორ გადაწყვდება მოცემული დერივატის გენეზისის საკითხი, არსებითი ის გარემოებაა, რომ მკვეთრად შემოსაზღვრული არ აქვს და ამ თვალსაზრისით უპირატყის დარღვევა მარტო მოიხდებოდა.

თლ სუფიქსი ფართოდ არის გაფრცელებული როგორც თუ-შურში, ისე სხვა ნახურ ენებში, რის გამოც საერთო ნახური წარმომავლობისად არის მიჩნეული (სანიკიძე, 1986). ჩანს, თავის დროზე იგი ერთნაირად დაერთვოდა როგორც ზედსართავ სახელებს, ისე არსებითებს და დამოუკიდებლად, სხვა სუფიქსების დახმარების გარეშე, აწარმოებდა მათგან აბსტრაქტულ სახელებს. დღემდე ეს ვითარება უცვლელად მხოლოდ ზედსართავმა სახელებმა შემოინახეს, რადგან მხოლოდ აქ არის საკმარისი თლ სუფიქსის დართვა აბსტრაქტული სახელების მისაღებად.

ზედსართავ სახელებზე თლ-ის დართვით მიღებული წარმოქმნილი სახელების შინაარსი მთლიანად ემთხვევა ქართულში სი-ე თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოება აბსტრაქტულ სახელთა შინაარსს. ამ შერივ სრული შესატყვისობა გვაქვს. მაგალითად:

ღაზ-ე (კარგი) - ღაზ-ოლ (სიკარგე), ღახ-უ (დაბალი) - ღახ-ოლ (სიღაბლე), კაწვ-ოლ (სიბატარავე), მუსტ-ოლ (სიმჟავე), ღურ-ოლ (სიმღაშე), ცშაჭრ-ოლ (სიშავე), ყან-ოლ (სიბერე), აფ-ოლ (სიმწვანე), შორ-ოლ (სიგანე), სტამ-ოლ (სისქე), ნიფს-ოლ (სისწორე), გამ-ოლ (სიმრუდე), ყი-ულ (სიღარიბე) წეგ-ოლ (სიწითლე), წან-ოლ (სისუფთავე), მალ-ოლ (სიზარმაცე), ყაჲ-ოლ

(სიმწარე), მოს-ოლ (სიავე), დავ-ოლ (სიმსუბუქე), ხაბრ-ოლ (სი-ძუნწე), ჭიშაღ-ოლ (სიმავრე)...

ის თავისებური გაუდიფერენცირებულობა არსებითი და ზედსართავი სახელებისა, რაც ოლ სუფიქსის გამოყენებაში უნდა გვქონდა, წარსულის კუთვნილებაა და რამდენიმე ხშირადხმარებულ არსებითსადა შემორჩა; ასეთია: ბადერ (ბავშვი) – ბადრ-ოლ (სიბავშვე), დად (მამა, პატრონი) – დად-ოლ (პატრონობა), ალქ (ბატონი – ალ-ოლ (ბატონობა). არსებითთაგან აბსტრაქტულ სახელთა წარმოების ყველა სხვა შემთხვევაში, თუშერ თლ-თან, როგორც სავალდებულო, გაჩნდა ობა. მისი სესხების ფაქტი აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ა. შითნერს (შითნერი, 1856, 30). ამავე ნასესხებ სუფიქსს საგანგებოდ განიხილავს პროფ. კ. ჭრელაშვილი და ადგენს ახალ ენობრივ გარემოში მის ფონეტიკურ სახესა და დისტრიბუციულ მოდელებს (ჭრელაშვილი, 1963, 216). ამჯერად ჩვენ მას ხელახლა განვიხილავთ დერივატია სესხების სრული სურათის წარმოსადგენად და ვამახვილებთ ყურადღებას ამ ფაქტთან დაკავშირებულ რიგ ახალ გარემოებაზე.

საკუთარ თლ სუფიქსზე ნასესხებ ობა-ს დართვით გაჩნდა საინტერესო ორმაგი გამოხატვა აბსტრაქტულობისა, როცა საკუთარი და ნასესხები აფიქსები ერთდროულად ასრულებენ ერთსა და იმავე ფუნქციას. ახალი სუფიქსის დართვის გამო ასეთ შემთხვევაში წინამავალი თლ რედუცირებულია და წარმოდგენილია ლ-თი, ხოლო თვითონ ობა-ს მოკვეცილი აქვს აუსლაუტის ხშირა-ნი.

მაგალითად:

ნან (დედა) – ნან-ოლ-ობ > ნან-ლ-ობ (დედობა), დაშ-ლ-ობ – „დობა“, ბადერ-ლ-ობ – „შვილობა“, ვაშ-ლ-ობ-„ძმობა“, წინუს-ლ-ობ – ბატარძლობა“, ნაყბისტ-ლ-ობ – „მეგობრობა“, ჰაშ-ლ-ობ – „სტუმრობა“, მასთხოვ-ლ-ობ – „მტრობა“, დონ-ლ-ობ –

„ცენობა“, დად-ლ-ობ – „მამობა“, ქაღრცხ-ლ-ობ – „ტანსაცმლობა“, დაყარ-ლ-ობ – „საჭმლობა“, ხი-ლ-ობ – „წყლობა“, ფსტუდინ-ლ-ობ – „ცოლობა“, წარ-ლ-ობ – „ცეცხლობა“, ცტუვ-ლ-ობ – „მწყემსობა“, ფჟარ-ლ-ობ – „ძაღლობა“ მაიდა-ლ-ობ – „პურიბა“...

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ ორმაგი სუფიქსის სამოქმედო არე მკაცრად არის შემოსაზღვრული არსებითი სახელებით და ზედსართავებთან ახლად გავლებული სადემარკაციო ხაზი არსად ირდვევა. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მათი გამიჯვინისას ქართული ენის შინაგანმა სტრუქტურამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, რადგან სწორედ მას ახასიათებს ამ ორი მეტყველების ნაწილის ასეთი გამოყოფა – გამიჯვინა აბსტრაქტულობის განსხვავებული მაწარმოებლებით: **სი-ე** დაერთვის ზედსართავეს, **ობა** კი – არსებითებს. ანალოგიური ვითარება ჩამოყალიბდა წოდათუშურშიც: თუ ადრე ერთი და იგივე **ოლ** ფიგურირებდა ყველგან, დღეს ზედსართავებს ისევ თლ დაერთვის, არსებითებთან კი გაჩნდა **ოლ-ობ** (-ლ-ობ).

დერიფატთა სესხების დინამიკაზე დაკვირვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ აღმოჩნდა მცირე-რიცხოვანი წყება აბსტრაქტული სახელებისა, სადაც აღნიშნული ფუნქციით **ობა - ობ** სუფიქსი უკვე მარტო დაერთვის წოდათუშურ საყრდენ ფუძეებს. მხედველობაში გვაქვს შემდეგი ლექსემები:

ფეხლათთრ-ობ – ხელისმომკიდეობა

მაქლათრ-ობ – ზედამდეგობა

ღათგ-ობ – მონიბა

ღაწმრ-ობ – აფადმყოფობა

კეთრ-ობ – მცოდნეობა (ნასწავლობა)

ხეცრ-ობ – მცოდნეობა (ამბისა)

ტყუდჰდაწრ-ობ – მაყრიბა

**ქართული ობა(>ობ)** ამ მაგალითებში უკვე დამოუკიდებელი მაწარმოებელია აბსტრაქტულობის შინაარსისა, ნამდვილ ნასესხობებადაც ასეთი მაგალითები უნდა ჩაითვალოს. რაც შექება შემთხვევებს, როცა ობა დაკისრებულ ფუნქციას ადგილობრივ ოლ-თან ერთად ასრულებს, აյ ანალოგიური მდგომარეობაა იმისა, რაც ხშირად შეიმჩნევა სახელთა სესხებისას სხვადასხვა ენებში, როცა ადგილობრივი სიტყვა მეგზურობას უწევს ნასესხებს და მასთან ერთად ქმნის სინონიმურ წყვილს (შდრ.: ქართ. ბედ-იღბალი). როგორც ვხედავთ, ასეთი მეგზურის როლს აფიქსებიც უწევენ ერთმანეთს. ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა ის გარემოება, რომ ობა სუფიქსის სესხება, როგორც აბსტრაქტულობის მაწარმოებლისა, დაწყებულია საუკუნეზე მეტი ხნის წინ, მისი დამოუკიდებელი გამოყენების პრაქტიკული ნაბიჯები კი მხოლოდ დღეს იღგმება, როცა ადგილობრივი ოლ აღარ ახლავს მეგზურად.

ცნობილია, რომ **ობა** სუფიქსი ქართულში კრებითობასაც გამოხატავს. „აბსტრაქტულობის პარალელურად იგივე ფუნქცია მოიპოვა მან წოდათუშურიშიც. ამჯერად საჭირო ადგილი წოდათუშურის თავისუფალი ჰქონდა, რადგან საგანგებო მაწარმოებელი კრებითობისა არ გააჩნდა. სათანადო შინაარსის გადმოსაცემად ეს ენა ხან მრავლობითის ფორმებს მიმართავდა, ხან კი აღწერით. რადგან კრებითობის **ობა-ს** ადგილობრივი მეწყვილე არ დახვდა და მან თავისუფალი ადგილი დაიკავა, ანუ დაფარა „თეთრი ლაქა“, მისი დამკვიდრება გაცილებით მარტივად მოხდა ყოველგვრი მონაცემების ფორმების გარეშე. მაგალითად:

1. დინ თხე უბნე ბაღრ-ობ კინოს იარ - მთელი ჩვენი უბნის ბაგშვობა (კრებითი სახელი) კინოში იყო.
2. ფსტე-ობ გორჩა კმა კ ცშედახ კერ ჩხინდრი დოშ - დედა-კაცობა (კრებითი) გორაზე ისხდნენ წინდების ქსოვით.

3. დინ გამ ნაყბისტ-ობ ქუმრწილებ დარ - მთელი ჩვენი მე-  
გობრობა (კრ. სახელი) ქორწილში იყო.

განსაკუთრებით ხშირია კრებითი ბის შინაარსით ობა-ს  
დართვა გვარებზე. ის გვაქვს ყველანაირი დაბოლოების გვართან,  
სადაც მისი დართვით ფონოლოგიურად გაუმართავ ფორმას არ  
ღებულობს წარმოქმნილი სახელი. მაგალითად:

- |                          |                                 |
|--------------------------|---------------------------------|
| ბლურჯი (ბლურჯოშვილები)   | - ბლუჯრ-ობ (კრებითი სახელი)     |
| მარჩი (მაჩაბლიშვილები)   | - მარჩრ-ობ (კრებითი სახელი)     |
| ჩაჩქნი (ჩაჩქანიშვილები)  | - ჩაჩქნ-ობ (კრებითი სახელი)     |
| იტლარ (იტლოშვილები)      | - იტლარ-ობ (კრებითი სახელი)     |
| იმიძევლარ (იმედაძეები)   | - იმიძევლარ-ობ (კრებითი სახელი) |
| ბავრთლი (ბართიშვილები)   | - ბავრთლ-ობ (კრებითი სახელი)    |
| შველაცლარ (შველაშვილები) | - შველალარ-ობ (კრებითი სახელი)  |
| წოტრი (წოტრიძეები)       | - წოტრ-ობ (კრებითი სახელი)...   |

კრებითი ბის ამ სუფიქსს სესხების ქრონოლოგიის დადგე-  
ნა არ უხერხდება, სათანადო მასალები არ დაუცავს ჩვენს ხელთ  
არსებულ შედარებით ადრინდელ ტექსტებსა თუ ლექსიკონებს.

თავისუფალი ადგილების, ანუ „თეთრი ლაქების“ საკითხში  
გასარჩევია ორგვარი შემთხვევა:

ა) როცა ესა თუ ის ზოგადი შინაარსი, ანუ ცნება გამოხა-  
ტულია საგანგებო მაწარმოებლის გარეშე, ე.ი. გვაკლია მხოლოდ  
ფორმანები;

ბ) როცა გვაკლია ცნებაც და მისი მაწარმოებელი ფორ-  
მანტიც.

პირველ შემთხვევაში, როცა გვაკლია მაწარმოებელი ელე-  
მენტი, ინტერფერენტიული ინვაცია ძნელად იკაფავს გზას, რად-  
გან მას ხელს უშლის, ანუ წინააღმდეგობას უწევს ენაში მანამდე  
არსებული ტრადიციული ფორმები. მეორე შემთხვევაში კი, როცა  
ადგილი მთლიანად თავისუფალია, უცხო ენობრივი მოდელი თავის

მაწარმოებლიანად ადგილად იკაფავს გზას. ასეთი ვითარება შეიქმნა სწორედ წიფათუშური კრებითობის ობა (ობ) მაწარმოებელთან დაკავშირებით. მან არა მარტო დაიკავა თავისუფალი ადგილი, არამედ ენის შინაგანი იმანენტური განვითარების გზით უფრო ფართო გაფრცელება მოიპოვა, ვიდრე წყარო ენაში ჰქონდა.

#### IV. § 5. წინა ვითარების სახელები

წინა ვითარების სახელები დამოუკიდებლ შინაარსობრივ ჯგუფს ქმნას ქართულ ში., „ქართულ ენას საშუალება აქვს, საგანი დაახასიათოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ, ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით“ (შანიძე, 1980, 133). საამისოდ ენას მოეპოვება წყვილი მაწარმოებელი: ნა-არ და ნა-ევ. ზოგჯერ ერთი და იგივე ფუძე თანაბრად იგუებს ორივე სახის წარმოებას, უმეტესად კი მათი გამოყენების არები გამიჯნულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ნა-არ ხშირად იხმარება თანამედროვე ქართულ ში., ნა-ევ კი თავისი შეზღუდული გამოყენებით გადმონაშთის შთაბეჭდილებას ახდენს.

წინა ვითარების სახელთა წარმოების მიხედვით ქართულის მხარეს თავისებური მეტობა გვაქვს, თუშურის მხარეს კი ღიობი ანუ თეთრი ღაეს, რადგან აღნიშნული შინაარსის დერივაციული ფორმები ამ ენას საერთოდ არ გააჩნია. მათ მაგივრობას ასრულებენ აღწერითი, ან კიდევ დამოკიდებული წინადაღების შემცველი კონსტრუქციები. შდრ..:

ქართული:

ჩვენი შარშანდელი ნაბინაფარი ადგილი ბალახმა დაფარა.

თუშური:

ა) გად მე დახერ სტოუნები, თ ადგილ დაურევ ლაჭყმიე „ჩვენ რომ გცხოვინობდით შარშან, ის ადგილი ბალახმა დაფარა“.

ბ) გაი სტოუნები დახინი ადგილ დაურევ ლაჭყმიე „ჩვენი შარშან ნაცხოვრები ადგილი ბალახმა დაფარა.

ქართული:

თქვენი ნადირექტორალი კაცი ახლა სხვაგან მუშაობს.

თუშური:

ა) შუ დირექტორ მე ვარ, თ სტაკოვინც პეტერები მუშებადო.

„თქვენი დირექტორი რომ იყო, ის კაცი ეხლა სხვაგან მუშაობს“.

ბ) შუ დირექტორებ ხილენო სტაკ ინც პეტერები მუშებალა.

„თქვენს დირექტორად ყოფილი კაცი ეხლა სხვაგან მუშაობს“.

წოვათუშურში გამოყენებული ამ ორი სახის აღწერითი კონსტრუქციებიდან ქართულისათვის უცხო ერთიც არაა. სიტუაციის შესაბამისად იქ პირველსაც შევხვდებით და მეორესაც, მაგრამ, ცხადია, წინა ვითარების სახელებით გაღმოცემული იგივე აზრი გაცილებით მოკლეა და მოხერხებული. ეს სახელები კარგად ესაძაგება ენის ეკონომიკურობის მოთხოვნებს და გამოყენების სიხშირული უპირატესობაც მათ მხარესაა.

წოვათუშურს, რომელიც მანამდე გამოხატვის საკუთარი საშუალებებით კარგად ართმევდა თავს სათანადო ქნიბრივ სიტუაციებს, აღბათ, ქართულთან კონტაქტის დაწყებისთანავე დაუდგა წინა ვითარების სახელთა საჭიროების პირობებში. ერთმანეთის პარალელურად ხმარებული ნასესხები წარმოქმნილი და მათივე ძირეული სახელების გრძელი რიგები წინა ვითარების სახელთა მორფოლოგიური დაშლის საფუძვლად იქცა. შეიქმნა წინა პირობა სათანადო მაწარმოებლის სესხებისათვის, ადგილიც მისთვის თავისუათვალი იყო; მიუხედვად ამისა, სესხებისაკენ მაინც ძუნწად გადაიდგა ნაბიჯები. შემთხვევები თითზე ჩამოსათვლელია. გვაქვს:

ნა-მარ-ალ - ნაქმარევი,  
 ნა-დეწ-რ-ალ - ნაშეყვარებულარი (ქალი),  
 ნა-ვეწ-რ-ალ - ნაშეყვარებულარი (ვაჟი),  
 ნა-ნაჟტ-რ-ალ - ცხვრის ნაბინავარი (ფარის),  
 ნა-ცარ-კ-ალ - ნაკბილარი,  
 ნა-ტოტ-რ-ი - ნახელურები,  
 ნა-თჭაქ-არ - ნაკვალევი...

ინტერვერენტული პროცესების კანონზომიერებათა  
 თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სესხები-  
 სათვის არსებულ იმ ოპტიმალურ პირობებშიც კი, რაც ამჯერად  
 შეიქმნა, ნა-არ კონფიქსის საკუთრივ თუშურ ფუძეზე დართვის  
 მხოლოდ შეიდიოდე მაგალითი აღირიცხა. აქაც, ისევე როგორც  
 სხვა აფიქსების სესხებისას, შეინიშნება ბერების მოსალოდნელი  
 შეუსაბამო ფონოლოგიური მიმდევრობების გამო დაბრკოლებუ-  
 ლი წარმოქმნის შემთხვევები. მაგალითად, როცა წოვათუშურმა  
 მარ (ქმარი) სიტყვისაგან აწარმოვა ნა-მარ-ალ (ნაქმარევი), ანა-  
 ლოგის წესით ფსტუ (ცოლი) სიტყვისაგან უნდა მიეღო მსგავსი  
 ფორმა, მაგრამ გერედი აუარი შესაძლო წარმოების ამ ხელსაყ-  
 რელ შემთხვევას სავარაუდო ფორმის ფონოლოგიური გაუმართა-  
 ბის გამო.

#### IV. § 6. მსგავსების სახელები

ფორმაწარმოებისა და შინაარსის მიხედვით წოვათუშურ-  
 ში ცალკე უნდა გამოიყოს გარკვეული ჯგუფი წარმოქმნილი სა-  
 ხელებისა, სადაც დერივატების როლს ასრულებს სუფიქსი -ღე-  
 იგი დაერთვის არსებითებს, ნაცვალსახელებსა და ზედსართავ სა-  
 ხელებს, რათა აღნიშნოს მსგავსება-სიახლოვე ძირული სახელით

აღნიშნულ საგანსა თუ თვისებასთან. ამ ნიშნით წარმოქმნილ სახელთა მოცემულ ჯგუფს მსგავსებისა შეიძლება გურიოდოთ. დაგასახელებთ მაგალითებს:

ა) სუფიქსი -ღე დაერთვის არსებით სახელებს:

ადმენ-ღე - „ადამიანისებური, ადამიანის მსგავსი“, ფჭარ-ღე - „ძალისებური, ძალური“, სტაკ-ღე - „კაცური“, მადკ-ღე - „პურისებური“, მალრე-ღე - „სასმელისებური“, დაყრე-ღე - „საჭმლისებრი“, ხილ-ღე - „ხილისებრი“, წინ-ღე - „სახლის მსგავსი“, ათ-ღე - „ძროხის მსგავსი“.

ბ) სუფიქსი -ღე დაერთვის ნაცვალსახელებს:

სო-ღე - „ჩემებური, ჩემნაირი, ჩემი მსგავსი“, ვაღ-ღე - ჩვენნაირი (ინკლუზიური), თხო-ღე - ჩვენნაირი (ექსკლუზიური), ჰან-ღე - „ვისებური, ვისი მსგავსი“, შარ-ღე - „თავისებური“, თხე-ჩო-ღე - „ჩვენის მსგავსი“, შუჩო-ღე - „თქვენის მსგავსი“, ოჯარ-ჩო-ღე - „იმათის მსგავსი“...

გ) სუფიქსი ღე დაერთვის ზედსართავ სახელებს:

კუმჩო-ღე - „თეთრის მსგავსი“, წეგჩო-ღე - „წითლის მსგავსი“, კაპრშჩო-ღე - „ყვითლისებრი, ყვითლის მსგავსი“, ყუდლჩო-ღე - „ქურდის მსგავსი“, სტამჩო-ღე - სქელისებრი“, დუდტყჩო-ღე - „მოწვრილო, წვრილის მსგავსი“...

მაგალითები კონტექსტებში:

1. ოჯუმთლეჩო ჰაშილო სტაკ-ღე ცომენა დაგურ, ვუმაც ფსტი დარ.

„იმდენ სტუმრებში კაცისნაირი არავინ ერია, ყველანი ქალები იყვნენ“.

2. დაყრე-ღე სუფრემაქ დაჭუმნი ცოშ ხილუნ სოგო.

„საჭმლისნაირი სუფრაზე მისატანი არათერი აღმომაჩნდა“.

3. ჰო-ღე მოკ ი ვად ფჭეჭ ცოჭანა კეთე.

„შენნაირი სიმღერა ჩვენს სოფელში არავინ იცის“.

4. ოკარ-ღქ დახარ სონ ეძალაც ცო წონალა.  
 „იმათებრი ცხოვრება მე სულ არ მომწონს“.
5. თეშლე სოხ, ყუდლჩო-ღქ თხე უბნე ცომენა დახე.  
 „დამიჯერე (თხოვნითი ბრძანებითი) მე, ქურდისნაირი ჩვენს უბან-ში არავინ ცხოვრობს“.
6. კაძიკ წეგჩო-ღქ ბაწარ დეწერსონ ჩხინდრი ყარწდად.
- „ცოტა წითლისნაირი ბაწარი მინდოდა წინდის გასაჭრელებლად“.

მსგავსების შინაარსის გადმოცემა ამ სუფიქსს საშუალებას აძლევს საჭირო შემთხვევაში წარმომავლობაც გამოხატოს (მსგავსებისა და წარმომავლობის გენეზისური დაკავშირება ბუნებრივია და ამის მაგალითებს სხვა ენებშიც ვხვდებით), მაგალითად:

კუმხ-ღქ → კუმხ-ქ – ქართველებისნაირს ნიშნავს, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს ქართულსაც. ასევე:

გაღ-ღქ – სიტყვასიტყვით ჩვენნაირს ნიშნავს მაგრამ იმავე დროს ნიშნავს ჩვენებურსაც...

გარდა აღნიშნულისა, -ღქ სუფიქსს თუშურში კიდევ ერთი ფუნქცია მოეპოვება – იგი რიგობითი რიცხვითების საწარმოებლად გამოიყენება, საყრდენ ფუქს ამ დროს რაოდენობითი რიცხვითის ლო(ში) თანდებულიანი ფორმა წარმოადგენს. როგორც წესი, ლო თანდებულის ხმოვანი მასზე ღქ სუფიქსის დართვისას რედუცირდება:

გვაქეს:

ში (ორი) < ში-ლო-ღქ > შილღქ (მეორე),

ფხი (ხუთი) > ფხი-ლო-ღქ > ფხილ-ღქ (მეხუთე),

იტა (ათი) > იტ-ლ-ღქ (მეათე),

ტყა (ოცი) > ტყა-ლ-ღქ (მეოცე),

ფხაუზტყ (ასი) > ფხაუზტყ-ლ-ღქ (მეასე)...

მსგავსების შინაარსის მქონე წარმოქმნილი სახელები ცალკე ჯგუფს ქმნიან თვითონ ქართულშიც. მხედველობაში გვაქვს ურ სუფიქსით და ებრ, თანა, ნაირი, გვარი, ფერი თანდებულებით მიღებული ლექსიკური ერთეულები. სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოქმნილ სახელთა ეს ჯგუფი ცალკე არაა გამოყოფილი, მაგრამ საგანგებო მსჯელობის საგანს წარმოადგენს. რადგან მისი წევრები აღნიშნავენ „თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით“ (შანიძე, 1980, 119).

საგულისხმოა, რომ მრავალსაუგუნვანი კონტაქტის მანძილზე თუშურმა ენამ ქართულიდან ისესხა ურ-სუფიქსიანი მსგავსების აღმნიშვნელი ბევრი სიტყვაც. ცხადია, როგორც დამოუკიდებელი ერთეულები, ნასესხობებში აღმოჩნდა მათი საყრდენი ფუძეებიც, რამაც შექმნა ნასესხები მარტივი და ურ სუფიქსიანი მონათესავე სახელების ორი რიგი, როგორიცაა:

ა) ვაჟგაც-ურ, ლაჩრ-ულ, დედო-ურ, მოყვრ-ულ, მე-ზობლ-ურ, მეგობრ-ულ, დამმ-ურ, მდიდრ-ულ, დარიბ-ულ, მეც-ურ, ქალ-ურ, ძაღლ-ურ, თხოვრ-ულ, კაც-ურ, მტრ-ულ, მოწავ-ურ...

ბ) ვაჟგაც, ლაჩარ, დედალ, მოყვარე, მეზობელ, მეგობარ, მდიდარ, მათხოვარ, მოწავე...

როგორც ცნობილია, ასეთი დაპირისპირება და სათანადო აფიქსის გაზრინანება ხდება ამ უკანასკნელის სესხების საფუძველი. მანამდე კი, როგორც წინაპირობა, იგულისხმება, რომ ენას გათავისებული აქვს აღნიშნული ნასესხები სიტყვები. „სესხება სიტყვის ენაში შემოსვლის ფაქტია, მაგრამ მოხვდება რა ენაში, იგი უკვე ამ ენის კუთვნილება ხდება თავისი ფონეტიკური და გრამატიკული იერსახით. „სესხება“ წმინდა ენათმეცნიერული კვალითურია, ონტოლოგიურად (საკუთრივ ენაში) ნასესხები სიტყვა

არათერით გამოიჩინა სხვა არანასესხები სიტყვებისაგან“ (ჯორ-ბენაძე, 2005, 20).

მართალია, გათავისება წინაპირობაა აფიქსის სესხებისა, მაგრამ ეს ორი მოგლენა დროში ერთმანეთს არ ემთხვევა: უკუქმე-დების ძალთა როლში გამოდის გამოყენების ტრადიცია, როგორც ინტერიურენტულ პროცესთა საწინააღმდეგოდ მიმართული ფაქ-ტორებიდან ყველაზე გამძლე.

აღნიშნულ დაპირისპირებათა საფუძველზე თუშურმა ენაშ ბოლოს მაინც ისესხა ქართულიდან სუფიქსი -ურ. ამ საკითხე სა-განგებოდ შეჯელობს აკად. ი. დეშერიევი, მაგრამ სესხების შესა-ხებ დასკვნა გამოაქვს არასწორი მაგალითებით. იგი იმოწმებს ქართულიდან უცვლელად შემოტანილ და დამკვიდრებულ ურ სუ-ფიქსიან წარმოქმნილ სახელებს, საკუთრივ წოვათუშურ ფუძეებ-ზე მისი დართვის შემთხვევებს კი საერთოდ არ ასახელებს (დეშე-რიევი, 1953, 284).

ურ სუფიქსის სესხება მოხდა მხოლოდ ერთი მნიშვნელო-ბით, როგორიცაა მსგავსების გამოხატვა, მისი მეორე ფუნქცია კი, წარმომავლობის აღნაშვნა, საერთოდ ჩამოსცილდა მას. ამ გზით იგი თუშურში ერთფუნქციური გახდა, რადგან ურთიერთობის ამ საფუძვლზე გვრ შეძლო, რღვევა შეეტანა წოვათუშური ენის აბ-სოლუტურად განსხვავებულ სისტემაში წარმომავლობის გამო-ხატვისა.

მსგავსების სახელთა წარმოების სისტემა ერთმანეთს ემ-თხვევა ქართულსა და წოვათუშურში, რის გამოც ურ სუფიქსმა შეძლო აღგილობრივი -ღქ სუფიქსის შეცვლა გარკვეულ სახე-ლებში, მაგრამ ეს მოხდა ძალიან შეზღუდულად, რადგან საკუთარ ფუძეებზე ახალი აფიქსის დართვის მხოლოდ ათიოდე შემთხვევა დაიძებნა. ესენია:

ფჰჰიტ-ურ - ბაყაყური (ცურვის სახეობა), კოხ-ურ - ქარ-თული, შობ-ურ - ფშაური, ფხე-ურ - მოხეური, კნათ-ურ - ბიჭური, მახკრ-ულ - ქალური, ბადრ-ულ - ბაგშეური, გასრ-ულ - კაცური, ფსტე-ურ - ღეღაცაცური, სტაბ-ურ - შემოდგომისებური, ყვითელი (იტყვიან ადამიანის სახის ფერზე).

დასახელებულ მაგალითებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მათი ძირეული სახელები ქართულში მხოლობითი რიცხვის ფორმაშია, წოვათუშური კი მრავლობითს იმარჯვებს. შინაარსობრივ პლანში არსებული ეს სხვადასხვაობა ქართულ თარგმანში არ გამოჩნდა, რადგან ეს თარგმანი არაა სიტყვასიტყვითო, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა: კაცებური (და არა კაცური), ქალებური (და არა ქალური), ღეღაცაცებური, ქართველებური, ფშავლებური, ბაგშეებური და სხვა. თუშური წარმოქმნილი სახელების საყრდენ ფუძეთა მრავლობითობა ხელშესახები ხდება იმის გამო, რომ ძირეული სახელების გარკვეულ ნაწილს რიცხვის სუბლეტური წარმოება აქვს და მათგან აქ სწორედ მრავლობითის ფუძეებია დაცული, გარკვეულ ნაწილში კი უშეალოდ მრავლობითის ფორმანტი ფიგურირებს.

წოვათუშური ენის ერთ-ერთი სემანტიკური თავისებურება ქართულთან შედარებით სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხოლობითში დასმული საგნის სახელს კონკრეტულობის, ანუ განსაზღვრელობის შინაარსი უკავშირდება, მრავლობითში დასმულს კი - განზოგადებულობის, ანუ განუსაზღვრელობისა. საქმე გვაქს თავისებურ შემთხვევასთან, როცა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა სახელის რიცხვთან არის დაკავშირებული. მაგალითად: ათინ დითხ (ძროხის ხორცი) - ეს რომელიმე კონკრეტული ნაცნობი ძროხის ხორცია, ხოლო თუ ზოგადად გვინდა ვთქვათ ამა თუ იმ ძროხაზე შითითების გარეშე, მაშინ საჭიროა უაბძ დითხ (ძროხის ხორცი). ასეთივე დაბირისპირებაა წყვილში უქ დითხ (ცხვრების

ხორცი) და უელრეჩო დითხ (ცხვრის ხორცი). ბაზარზე ნაყიდი ცხვრების ხორცია, სახლში რომ დაკლავ - ცხვრისა.

ზემოთ აღნიშნულ ურ სუფიქსიან ახალწარმონაქმნებში ამ ფაქტის თავისებური გამოვლენა გვაქვს, ეს კი მათს შედარებით სიძეგლეზე მიუთითებს, რადგან ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ბილინგვთა სამეტყველო ფსიქოლოგიისათვის აზროვნების ეს მო-დელი უკვე უცხოა და გაუგებარი.

ურ სუფიქსის სესხებას, ან უფრო სწორედ, გათავისებას საკმარისი ხნის ისტორია უჩანს. მისი სესხების ფაქტი აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ა. შიოზნერს. მის გრამატიკას დართულ ლექსიკონში გეხვდება ურ სუფიქსიანი ორი ახალ წარმონაქმნი:

დალ-ურ - „ღვთიური“ (დალე - ღმერთი)

დითხ-ურ - „ხორციული“ (დითხ - ხორცი)

დასახელებულთაგან სიტყვათხმარებას დღემდე ერთიც არ შემორჩია, გასაგები მიზეზით მათი ადგილი დაიკავა ნასესხებმა შესატყვისებმა ღვთიურ და კურულ.

გვაქვს თუშური ლექსიკის ერთი უბანი, სადაც მსგავსების ქართულმა ურ სუფიქსმა ფართო ასპარეზი პათვა - ესაა გვარები. აქ კარგა ხანია მსგავსების ღერ სუფიქსიან თუშურ ფორმებს პარალელიზმების უფლებით გვერდში ამოუდგა ქართული ურ სუფიქ-სიანი დუბლეტები. შდრ..:

ა) გვარები: ვოგრი, ბლურჯი, წკიპრი, მამჩრი, ფადვრი, დამჭრი, ბართლი, თურქლი...

ბ) მსგავსების სახელები: ვოგრ-ულ//ვოგრი-ღერ, ბლუჯრ-ულ//ბლუჯრი-ღერ, წკიპრ-ულ//წკიპრი-ღერ, ფადვრ-ულ//ფადვრი-ღერ, ბართლ-ურ //ბართლი-ღერ...

რო დაბოლოებიანი გვარების გვერდით წოდათუშურში ფართოდ არის გავრცელებული ღარ დაბოლოებიანი გვარებიც. საინტერესოა, რომ პირველებმა უგამონა კლისოდ დაირთეს მსგავ-

სების ახალი ქართული მაწარმოებელი და გაიჩინეს პარალელური ფორმები, მეორეები კი დღემდე საკუთრივ თუშურ და დაბოლოებას ინარჩუნებენ. გამონაკლისების მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი ჩანს ფონოლოგიური გარემო, ან უფრო სწორედ ფონოლოგიური შეუთავსებლობა: როგორც ჩანს, ვერ მოხერხდა საყრდენი ფუძისა, დარ მაწარმოებლისა და მსგავსება-წარმომავლობის ურ სუფიქსის ურთიერთშესამება და ამ ნიადაგზე წარმოქმნილ სიტყვათათვის ახალი მოდელის შექმნა. როგორც ირკვევა, წოვათუშურში თითოეული აფიქსისათვის იქმნება განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის მორგებული მოდელი, რომელშიც უნდა მოექცეს ყველა მისი მონაწილეობით წარმოქმნილი სიტყვა.

ნასესხები ურ სუფიქსის გამოყენებას საკუთრივ თუშურ მასალაში დიდი შეზღუდულობა ახლავს: გარდა იმისა, რომ მას არ იგუებს ნებისმიერი საყრდენი სახელი, იქაც, სადაც მისი დართვა ხდება, თითქმის ყველგან თავისუფლად ენაცვლება ადგილობრივი ღერ სუფიქსი. ამ ნიშნით თანამედროვე თუშურში გამოიყოფა მსგავსების სახელთა ორი ფენა:

ა) სადაც ერთადერთ მაწარმოებელს წარმოადგენს საკუთარი ღერ სუფიქსი.

ბ) სადაც გვაქვს ურ და ღერ სუფიქსების თავისუფალი მონაცვლეობა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ურ სუფიქსის პოზიცია დღეგანდელი ვითარების მიხედვით მყარია მხოლოდ ნასესხობებში, ჰიბრიდულ ახალწარმონაქმნებში კი იგი თითქმის მხოლოდ პარალელურ გამოყენებაშია ადგილობრივ ღერ სუფიქსთან. ფაქტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სუფიქსის სესხების პროცესი ჯერ თითქმის ისევ დასაწყის სტადიაზე, მას მხოლოდ პარალელური გმოყენების უფლება აქვს მოპოვებული და ისიც გარკვეულ სიტუაციებში. ეს კი გვიჩვენებს, თუ როგორი ინტენსივობისა

და ხანგრძლივობის კონტაქტია საჭირო, რათა ნასესხებმა აფიქ-  
სებმა ადგილობრივი აფიქსის ადგილი დაიკავოს. პარალელური  
გამოყენების უფლება და ისიც მხოლოდ ზოგიერთ სიტყვაში – აი,  
რის მოპოვება შეძლო დღემდე განვლილი საუკუნენახევრის მან-  
ძილზე ქართულმა ურ სუფიქსმა.

ზემოთ ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ქართულ ენაში მსგავ-  
სების აღსანიშნავად ურ სუფიქსის გარდა სხვა მაწარმოებლებიც  
გამოიყენება: ებრი, თანა, ნაირი, გვარი, ფერი და რიგი.

„ეს მაწარმოებლად გამოყენებული სახელები და თანდე-  
ბულები ჩვეულებრივად ნაცვალსახელებთან და რიცხვითებთან  
ერთად გვხვდება, ამათგან ფერი და რიგი სალიტერატურო ქარ-  
თულში ნაკლებად იხმარება და უფრო დიალექტურ ფორმებად  
არის ქცეული“ (შანიძე, 1980, 118).

საგულისხმოა, რომ საწარმოქმნო აფიქსების როლში ხმა-  
რებული თანდებულები ებრი და თანა სესხების პროცესის მიღმა  
დარჩნენ, დღემდე თუშურ ფუძეებზე მათი დართვის ერთი შემ-  
თხვევაც არ დასტურდება, სამაგიეროდ ნასესხობათა ფართე  
ჯგუფს ქმნიან ნაირი, გვარი, ფერი და რიგი. მათი გავრცელება  
ახალწარმონაქმნებში არაა ერთგვარი. ყველაზე მეტი ასპარეზი ამ  
მხრივ აღმოაჩნდა ნაირ-ს, რომელიც ახალ სიტყვებს აწარმოებს  
ნაცვალსახელებისა და რიცხვითებისაგან.

ნაირი დაერთვის სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელებს.  
საგულისხმოა, რომ ამ გზით მიღებულ ახალ ფორმებს პარალელ-  
რად ჯერ კიდევ ენაცვლება საკუთარი წარმოების ღწევისანი  
ფორმები. გვაძეს:

იგ-ნაირ || იგ-ღწევ - ამნაირი,

ოგ-ნაირ || ოგ-ღწევ - იმნაირი,

ეგ-ნაირ || ეგ-ღწევ - ამნაირი,

სე-ნაირ || სო-ღწევ - ჩემნაირი,

ჰე-ნაირ || ჰო-ლქ - შენნაირი,  
გად-ნაირ || გად-ლქ - ჩენნაირი,  
შუ-ნაირ || შუ-ლქ - ამნაირი,  
ჰავნ-ნაირ || ჰავნ-ლქ - ეისნაირი,

გუმაც-ნაირ // გუმაცხო-ლქ - ყველანაირი...

სულ სხვა მდგომარეობაა რიცხვებთან. აქ ნაირი დაერთვის ყველა რაოდენობრივ რიცხვითს უგამონაკლისოდ. საყრდენად ამ დროს აღებულია სათანადო რიცხვითის ნათესაობითი ბრუნვის ფუძე, უფრო ხშირად კი მარტივი ბაზისური ფუძე. აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ნახური ენის რიცხვითებს თავისუფალი აქვთ, რის გამოც ნაირი რიცხვითებთან შეუწლუდავად გავრცელდა. მაგალი-თები უსასრულოდ შეიძლება ჩამოვთვალოთ. გვაქვს:

ცჭა (ერთი) - ცჭაინ-ნაირ (ერთისნაირი, ერთნაირი),

ში (ორი) - შინ-ნაირ (ორისნაირი, ორნაირი),

ჯო (სამი) - ჯა-ნაირ (სამისნაირი, სამნაირი),

იტ (ათი) - იტ-ნაირ (ათნაირი),

ტყა (ოცი) - ტყა-ნაირ (ოცნაირი),

ათას (ათასი) - ათას-ნაირ (ათასნაირი),

მილიონ (მილიონი) - მილიონ-ნაირ (მილიონნაირი)...

იმავე რიგის დანარჩენი მაწარმოებლები, როგორიცაა გვა-რი, ფერი და რიგი, მხოლოდ ნაცვალსახელთაგან ვითარების ზმნი-ზედათა საწარმოებლად გამოიყენება ვითარებითი ბრუნვის ფორ-მით აღებული. აქ ისინი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთსაც და უკვე ნასესხებ ნაირ-საც.

გვაქვს:

ი (ეს) - იქ-ნაირათ, იქ-გორათ, იქ-ფერათ, იქ-რიგათ „ამ-ნაირად“

ო (ის) - უქ-ნაირათ, უქ-გორათ, უქ-ფერათ, უქ-რიგათ „იმნაირად“

ის (ეგ) - იცხ-ნაირათ, იცხ-გორათ, იცხ-ფერათ, იცხ-რი-გათ „შავნაირად“

ამრიგად, წოდათუშურში უკვე ნასესხებია ნაირი, რიგი, ფერი და გვარი, მაგრამ განაწილების მიხედვით მათ შორის დაიღი სხვაობაა: ნაირი გვხვდება ნაცვალსახელებთანაც, რიცხვითებთანაც და ზმნიზედებშიც, გვარი, ფერი და რიგი კი სულ რამდენიმე ზმნიზედაში დაფიქსირდა. ნასესხობებს შორის საერთოდ არა ჩანს სუფიქსი ებრი, რომელიც საკუთრივ ქართულშიც შეზღუდული გამოყენებით გამოიიჩევა.

#### IV. §7. ნასესხებაფიქსიანი ზმნიზედები

ხანგრძლივი ორენოვნების პირობებში ნასესხები აფიქსი-დერივატი გაჩნდა წოდათუშური ენის ზმნიზედათა საწარმოო სის-ტემაში: მხედველობაში გვაქვს უცხო აფიქსიანი ფორმები, რაც ქართული ვითარებითბრუნვიანი ზმნიზედების ანალოგით იწყებს დამკვიდრებას. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ თუშურს ზმნიზე-დათა წარმოების საკუთარი კარგად ჩამოყალიბებული სისტემა მოეპოვება, პარალელურად გაჩნდა ათ (>ად) მაწარმოებლიანი ქარ-თულისებური ფორმები. ათ სუფიქსის იმ ორი ფუნქციიდან (ფლექსიური და სადერივაციო), რაც მას წყარო ენაში მოეპოვება, თუშურმა მხოლოდ უკანასკნელი გაითავისა - დაფიქსირდა საინ-ტერესო ფაქტი აფიქსის ნაწილობრივი სესხებისა.

აღსანიშნავია, რომ არც აღნიშნული აფიქსის ერთადერთი მაზმნიზედავებელი ფუნქციით სესხების დროს აღმოჩნდა წოდა-თუშური განურჩეველი. სესხების პროცესს საფუძვლად დაედო საოცარი ზუსტი შეპირისპირება კონტაქტში შეოთვენათ სინტაქ-სურ-მორფოლოგიური მოდელებისა და მხოლოდ იქ, სადაც

მთლიანი დამთხვევა აღმოჩნდა, დაშვებული იქნა ახალი აფიქსი და ახალი ფორმები.

**დ/ად**, როგორც დერივატი, ქართულში თანაბრად აწარ-  
მოებს გითარებისა და მიზნის ზმნიზედებს. მიმღეობაზე დაფუძნე-  
ბული ფორმები მიზნის ზმნიზედებია (სათქმელად, საწერად...) და-  
ნარჩენი კი - გითარების ზმნიზედები (თეთრად, აღვილად...)

სინტაქსური კონტექსტები, რომლებშიც ჩართულია ქარ-  
თული ენის გითარებისა და მიზნის გარემოებები, განსხვავებული  
სირთულისაა.

ორი სხვადასხვა შინაარსის ზმნიზედა და სათანადოდ გა-  
რემოება, რაც ქართულში ერთი და იმავე **ად/დ** სუფიქსით იწარ-  
მოება, წოვათუშურში განსხვავებული მორთოლოგიური საშუა-  
ლებებით გადმოიცემა: მიზნის გარემოების გამოხატვა ზმნის ინ-  
ფინიტურ ფორმებს ეკისრება, ვითარების გარემოებისა კი **იშ-სუ-  
ფიქსიან ზმნიზედას**. განვიხილავთ მათ ცალ-ცალკე:

გითარების ზმნიზედა სრულ ანალოგიას გვიჩვენებს ქარ-  
თულიდან როგორც ფორმაწარმოების, ისე წყვილის წევრებთან  
სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით:

იგი მიიღება ზედსართავ სახელზე სათანადო სუფიქსის  
დართვით; ზმნას მიერთვის როგორც დამოკიდებული წევრი და  
მირთვით იკავშირებს თავისზე დამოკიდებულ წევრსაც. გვაქვს:

1. ღაზ-ე „კარგი“ - ღაზ-იშ „კარგად“, დაწ-ძ „მძიმე“ -  
დაწ-იშ „მძიმედ“...

2. ა) ღაზ-იშ ღელე „კარგად დადის“, დაწ-იშ ხაწე - „მძი-  
მედ ესმის“...

ბ) ზორადში ღაზ-იშ „ძალიან კარგად“, ზორადში დაწ-იშ  
- „ძალიან მძიმედ“.

ასეთმა სრულმა ანალოგიაშ ფორმაწარმოებისა და სინ-  
ტაქსური დამოკიდებულების საკითხში საშუალება მისცა, მზა

ქართულ ერთეულებს სათანადო კონტექსტებში ადვილად შენაც-  
ვლებიდნენ თუშური ენის ვითარების ზმინზედებს. გვაქვს ზუსტი  
პარალელიზმები წინადადებებისა:

1. ბადრევ მაღა ჩამლ-იშ დაყო // ბადრევ მაღა გემრიელათ  
დაყო.

„ბავშვი პურს გემრიელად ჭამს“.

2. ო სტაკოვ ვუმაც ნიფს-იშ ლეოდო // ო სტაკოვ ვუმაც  
სწორეთ ლეოდო.

„ეს კაცი ყველაფერს სწორედ ლაპარაკობს“.

3. თხე მდგმური ქოთ-იშ დახე// თხე მდგმური ვიწროთ  
დახე.

„ჩვენი მდგმურები ვიწროდ ცხოვრობენ“.

4. სე სათვალივ მუდ-ში დაგოდო // სე სათვალივ ცუდ-ათ  
დაგოდო.

„ჩემი სათვალე ცუდად აჩვენებს“.

წოვათუშურში ქართული ად> ათ სუფიქსიანი ნასესხები  
ზმინზედების გრძელი რიგი გვაქვს. უამრავმა ნასესხებმა სიტყვამ,  
სადაც ერთი და იგივე ძირეული სახელი ხან ათ სუფიქსის დარ-  
თვით იყო წარმოდგენილი, ხან კი უმისოდ, ამ სუფიქსის გამოყო-  
ფისა და სესხების საფუძველი შემნა.

ამ გზით წოვათუშურში ქართულიდან ისესხა ათ (<ად) სუ-  
ფიქსი, როგორც ახალი ტიპის ვითარების ზმინზედათა მაწარმოე-  
ბელი. გვაქვს თუშურსა თუ გათუშურებულ ფუძეებზე შისი დარ-  
თვის საქმაო შემთხვევები, როგორიცაა:

გუდხე-ათ - ქართულად; ფსტეურათ - ქალურად; ბუდრი-  
ათ - ქართულად; ვასრულ-ათ - მამაკაცურად; ფხივრ-ათ - მოხე-  
ურად; ბადრულ-ათ - ბავშვურად; შუდბრ-ათ - ფშაურად; ნიფსრ-

ათ - სწორედ; გუმბრი-ათ - უგუნურად; ლამბრი-ათ - ლამაზად; კულრ-ათ - ულამაზოდ; იგვათ - შებრუნებულად.\*

საინტერესოა, რომ **ათ** (<აღ) სუფიქსიანი ვითარების ზმნი-ზედები იწარმოება აგრეთვე ქართულიდან ნასესხები ნაირი, გვა-რი, ფერი მაწარმოებლების დართვით მიღებული ზედსართავები-საგან.

გვაქვს:

უკ-ნაძრ-ათ, უც-გორ-ათ, უკ-თევრ-ათ - „იმნაირად, იმ-გვარად იმფერად“.

იკ-ნაძრ-ათ, ინ-გორ-ათ, ინ-თევრ-ათ - „ამნაირად, ამგვა-რად, ამფერად“.

განსაკუთრებით პროდუქტებია ზმნიზედათა მაწარმოე-ბელი ათ სუფიქსი რიცხვითაგან ნაირ-ით ნაწარმოებ ზედსართა-ვებთან, ასეთი ზედსართავი კი, როგორც აღვნიშნეთ, მიღება ნე-ბისმიერი რიცხვითისაგან. აქ უკვე მაგალითების ამოწყრვა შეუძლებელია. გვაქვს:

ცჰაჭ-ნაძრ-ათ - ერთნაირად, შინ-ნაძრ-ათ - ორნაირად; ტყა-ნაძრ-ათ - ოცნაირად; ფერიგ-ნაძრ-ათ-ხუთმეტნაირად; ათას-ნაძრ-ათ-ათასნაირად; მიღიონ-ნაძრ-ათ- ⇌ მიღიონნა-ირად; დუჭიჩრ-ნაძრ-ათ - ბევრნაირად...

ამრიგად, წოვათუშურმა ახალი ტიპის ვითარების ზმნიზე-დათა საწარმოებლად ქართულიდან ისესხა აღ სუფიქსი, რომელიც ზოგიერთ კონტექსტში ადგილობრივი იშ სუფიქსის პარალელუ-რად გამოიყენება, ზოგგან კი დამოუკიდებელია. გასარკვევია, როგორ დგას იმავე სუფიქსის სესხების საკითხი მიზნის ზმნიზე-დებთან.

\* საყრდენი ფუქუების ბოლოს რედუცირებული სახით იჩენს თავს ქართუ-ლიდან ნასესხები ურ სუფიქსი, გვაქვს ანალოგის შემთხვევებიც.

მიზნის ზმნიზედა ქართულში გითარების ზმნიზედის ფორმას იმეორებს იმ განსხვავებით, რომ პირველს საყრდენად ზედსართავი სახელის ფუძე აქვს, მეორეს კი - მიმღეობისა (მომავალი დროის) წოდათუშურში ამ ორი სახის ზმნიზედას შორის აშკარა გარეგნული სხვაობა გვაქს: გითარების ზმნიზედას, როგორც ენახეთ, იშ სუფიქსი აწარმოებს ზედსართავისაგან, მიზნის ზმნიზედის როლს კი ინფინიტივის ფორმები ასრულებენ, რომდღებიც სათანადო ზმნურ ფუძეებზე ნაზალური ა-ს დართვით მიიღებიან.

ფორმაწარმოების თვალსაზრისით ამ ორი ენის მიზნის ზმნიზედებს საერთო აქვთ ის გარემოება, რომ ორივე ზმნურ ფუძეს ეყრდნობა, განსხვავებას კი მათი რეალიზაციის გზები ქმნის. მსგავსება-განსხვავება დასტურდება აგრეთვე სხვა წევრებთან მათი სინგაქსური ურთიერთობის მოდელებშიც: მსგავსებას ისინი გვიჩვენებენ, როგორც დამოკიდებული წევრები სინგაგმისა (პირიან ზმნასთან ორივე მართვითაა დაკავშირებული), განსხვავებულ კონსტრუქციებს კი ქმნიან ისეთ შემთხვევაში, როცა სინგაქსურ წყვილთა მთავარ წევრებს წარმოადგენენ. ასეთ წყვილთა დაქვემდებარებული წევრები ქართულში უბრალო დამატებებია, ან გარემოება, წოდათუშურში შეგვხვდება უბრალო დამატებაც, პირდაპირი დამატებაც, ირიბი დამატებაც და გარემოებაც. სინგაქსურ ურთიერთობათა მოდელებში არსებული ეს სხვაობა სესხების პროცესისათვის შემავერწებელი აღმოჩნდა.

დავიწყებთ სინგაქსურ ურთიერთობათა მოდელების განხილვით, სადაც მსგავსება გვაქს. როგორც აღვნიშნეთ, მიზნის ზმნიზედები ორსავე ენაში ზმნასთან მირთვითაა დაკავშირებული და ერთნაირ სინგაქსურ კონტექსტს ქმნიან. სინგაქსურ მოდელებში არსებული დამთხვევა გახდა მიზეზი იმისა, რომ მსგავს კონტექსტებში ქართული მიზნის ზმნიზედები თავისუფლად ენაცვლებიან თუშურს. ერთმანეთის პარალელურად გვაქს:

1. თიგებ ვახე// დასასენებლათ ვახე - „დასასენებლად წა-  
ვიდა“
2. ლაფსდაქ კოხკდიქ// გასაშრობათ კოხკდიქ - „გასაშ-  
რობად გაფინა“
3. დოხეკ დიგე// გასაყიდათ დიგე - „გასაყიდად წაიყვანა“
4. მოფხდალაქ ღზ აცი// გასაშრობად ღზ აცი - „გასაშრო-  
ბად აანთო“
5. ღზ ამდაქ ვახე// სასწავლებლათ ვახე - „სასწავლებლად  
წავიდა“.

მიუხედავად სათანადო კონტექსტებში ასეთი თავისუფა-  
ლი შენაცვლებისა, წოვათუშური ენის მიზნის გარემოებაზე ქარ-  
თული ათ სუფიქსის დართვის ერთი შემთხვევაც არ დასტურდება.  
ხელშეშლელ გარემოებას აქ მიძღვნილია და ინფინიტივს შორის  
არსებული დიდი შინაგანი სხვაობა უნდა წარმოადგენდეს.

სესხების თვალსაზრისით კიდევ უფრო რთული მდგომა-  
რეობაა მაშინაც, როცა მიზნის გარემოება გაბატონებული წევრია  
სინტაგმისა, თვითონ არის აქტიური და განაგებს დაქვემდებარე-  
ბული წევრის ფორმას. ამ დროს მისი სინტაგმური ძალა გაცილე-  
ბით დიდია და გამოკვეთილი. ქართულთან მიმართებით უჩვეულოა  
ისეთი კონტექსტები, სადაც მიზნის გარემოება მართავს პირდა-  
პირსა და ირიბ დამატებებს: პირველს - სახელობითში, მეორეს -  
მიცემითში. სხვაობას აძლიერებს ინფინიტივის ფორმაში წარმოა-  
გენილი პირდაპირი დამატების კლასნიშანიც. შედრ.:

სტაკ ეფთ ბ-ოცბძ ვახე - კაცი ძროხა (ძროხის) მოყვანად  
(მოსაყვანად) წავიდა.

ეფთ (ძროხა)დგას სახელობით ბრუნვაში, რადგან იგი პირ-  
დაპირი დამატებაა. ბ-ოც-ბ-ძ - რთული ზმნის ინფინიტივია და მას-  
ში ორგზის არის წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტის კლასნიშა-  
ნი ბ. ასეთ შემთხვევაში ქართულში ყოველთვის ნათესაობითბრუნ-

ვიანი უბრალო დამატება გვაქვს, წოვათუშურში კი ნათესაობით-ბრუნვიანი მოდელი საერთოდ დაუშეგვებელია.

ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ ასეთ კონტექსტებში საერთოდ გამოირიცხა არა მარტო ნასესხები მაწარმოებლით გა-ფორმება საკუთარი მიზნის ზმნიზედებისა, არამედ ნასესხები შეა-ღეპსებით მათი რამენაირი შენაცემლებაც კი. როგორც ჩანს, საა-მისოდ ჯერ ლინგვისტური კონტექსტი უნდა მოეწყოს:

ა) სახელობითბრუნვიანი ბირდაპირი დამატება და მიცე-მითბრუნვიანი ირიბი დამატება - ორივე ნათესაობით ბრუნვიან უბ-რალო დამატებად უნდა გადაიქცეს;

ბ) ინფინიტივმა უნდა დაკარგოს ზმნური ძალა.

ეს ყოველივე რთულ მორფოლოგიურისა და სინტაქსურ ძვრებთან არის დაკავშირებული, რაზეც კონტაქტის თანამედროვე დონეზე მსესხებელი ენა ჯერ კიდევ არაა თანახმა.

ამრიგად, წოვათუშურშა ისესხა ქართული ვითარებითი ბრუნვის ად სუფიქსი მისი მხოლოდ ერთი დერივაციული ფუნქცი-ით და მთლიანად გაათავისუფლა იგი ფლექსიის მოვალეობისაგან. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სუფიქსის არც სიტ-ყვათსაწარმოქმნო ფუნქციაა განურჩევლად რეალიზებული მსეს-ხებელ ენაში: წოვათუშური მას იყენებს მხოლოდ ვითარების ზმნი-ზედათა საწარმოებლად, რადგან აქა გვაქვს მარტო სრული დამ-თხვევა წყარო ენასთან ფორმაწარმოებისა და წინადადების სხვა წევრებთან სინტაქსური დამოკიდებულების მხრივ.

როგორც ვხედავთ, ვითარების ზმნიზედათა მიკროსისტე-მების მსგავსება ხელშემწყობი ბირობა აღმოჩნდა სესხებისათვის, ხოლო მიზნის ზმნიზედათა სინტაქსურ-მორფოლოგიური მოდე-ლების სხვაობამ დიდი ხნით დააბრკოლა ინტერფერენციის პრო-ცესი. ცხადია, ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში პროფ. ბ. ჯორბენაძეს, როცა აკეთებდა უმნიშვნელოვანეს დასკვნას იმის

შესახებ, რომ „მონათესავე ენა უფრო შეღწევადია, ვინემ ამ თვალსაზრისით საკმაოდ შორს მდგომი ენა“ (ჯორბენაძე, 1989, 73).

## ზოგადი დასკვნები

1. წოგათუშურ-ქართული ორენოვნების სახით საქე გვაქვს მკვეთრად გამოხატულ ცალმხრივ მიმართულ ინტერფე-რენციასთან: ქართული წყაროა გავლენისა, წოგათუშური კი - ობიექტია. წოგათუშურებისათვის ქართული მეორე დედაქანაა, ბევრ ოჯახში ის აკმის ენადაც იქცა, ქართველებმა კი წოგათუშური საერთოდ არ იციან. ორენოვნების კოლექტიური ხასიათი, წყარო ენის ცოდნის მაღალი დონე, კოდიდან კოდზე გადართვის დიდი სიხშირე ქართული ენის კულტურულ-პოლიტიკური პრესტიჟი, უთანასწორობა დამწერლობის მხრივ, უკიდურესი კონტრასტი მოუბართა რიცხობრივ თანაფრდარდობაში და მოძალებული შერეული ოჯახები - აი, არასრული სია იმ ხელშემწყობი ფაქტორებისა, რამაც განსაზღვრა აღნიშნული ორენოვანი სიტუაციის ხასიათი.

2. წოგათუშურ-ქართული ორენოვანი სიტუაცია განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ მნელია მოინახოს ინტერფერენტულ პროცესთა წარმართველი ფაქტორების სხვა, უფრო ხელსაყრელი ერთობლიობა, რომელიც ასეთ ოპტიმალურ პირობებს შექმნიდა ცალმხრივი, ღრმად გამჭვილი და შეუძლებელი გავლენისათვის. საკვლევ რეგიონში თავისებური მინიატურული მოდელია წარმოდგენილი მსოფლიო ენათა კონტაქტების გლობალური პროცესებისა, რომელთა ამჯერად უკვე შაქსიმალურად დაჩქარებული ტექნიკი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ცალკეულ ინოვაციათა გავრცელების დინამიკას დაწყებიდან დასასრულადევ.

3. ინტერფერენციის პროცესში ერთმანეთის პირისპირ დგანან ენები, როგორც სრულყოფილი და რაფინირებული სისტემები. სწორედ მათი ეს ორგანიზებული ხასიათი განაპირობებს ურთიერთგავლენისა და ურთიერთშედევნობის შესაძლებლობებს.

თითოეული ენობრივი მაკროსისტემა სრულ შესატყვისობაშია მისი მატარებელი ხალხის კულტურულსა, ისტორიულსა, სოციალურისა და ფსიქოლოგიურ რეალიებთან, მაგრამ იმის გამო, რომ ბილინგვის აზროვნება ერთიანი და განუყოფელი რჩება ბოლომდე, საკონფიდენციალო სისტემა კი ერთზე მეტია, დასაბამი ეძღვა უცხო გრამატიკული სქემების შედწევადობის პროცესს.

4. გავლენის მიმართულებისა და შედეგების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ძალიან დიდხანს, ასეული წლების მანძილზე, ქართული წარმოადგენდა წოდათუშებისათვის სწავლა-განათლებისა, მეზობელ ქართველ ტომებთან ურთიერთობისა და მათივე კულტურულ-ტექნიკური მონაპოვრების შეთვისების ძირითად წყაროს. დასაწყისი პერიოდის ინდივიდუალური ორენოვნება დროთა სელაში საყოველთაო კოლექტიურმა ორენოვნებამ შეცვალა, ხოლო ლექსიკური ერთეულების სესხებით დაწყებული „უკნებელი“ ზეგავლენა მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოდელებზე აქტიურ იქრიშში გადაიზარდა.

5. ინფაციების თანმიმდევრულ განხილვას ორენოვნების საფეხურებთან მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს წოდათუ-შურში ფიქსირებული ინტერიერენტული პროცესების ისტორია თითქმის ყველა თანამედროვე თაობის ასაკს სცილდება, რელიქტურად შემორჩენილი „გადაუსწორებელი“ ფლექსიური თუ დერივაციული ფორმები ნასესხები სახელებისა გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ორენოვნების დასაწყის საფეხურზე აქტიურია თვითონ მსესხებელი ენა და მისი თავისებურებანი კანონისმიერ ასახვას პოულობენ ნასესხობათა ფონოლოგიასა თუ მორფოლოგიაში.

პოზიციები შეკვეთობად იცვლება კოლექტიური ორენოვნების პერიოდში, როცა ბილინგვის სამეტყველო ცნობიერებაში

ხდება მორიგება - გათანაბრება ორი სააზროვნო მოდელისა. ამ დროს ინიციატივას მთლიანად იღებს წყარო ენა, ზეწოლაა მსესხებელი ენის აზროვნების მოდელზე და, როგორც იტყვიან, მისი მსხვერპლი ხდება გრამატიკა: ჯერ სინტაქსური მოდელები, შეძლებ კი გამოხატვის ბლანი - მორფოლოგია.

6. სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით ინტერფერენტული პროცესების გამოვლენისა და სწორი კვალიფიკაციისათვის ერთმანეთს შევუძირისპირეთ ქართულ - წოგათუშური ენების ბრუნვათა რაოდენობა, სინტაქსური შინაარსი და ფორმაწარმოების მოდელები. ამ მიზნით ქართული ენის შვიდ ბრუნვას მივუსადაგეთ ცხრაბრუნვინი პარადიგმა წოგათუშური ენისა. როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდის გამოკვლევების მიხედვით, წოგათუშურში ითხ ძირითად ბრუნვას გამოყოფენ: სახელობითს, ერგატივს, ნათესაობითსა და მიცემითს. ამ ბრუნვათა რიგში ჩვენი შეხედულების მიხედვით, შევიტანეთ კიდევ სამი მიცემითი (მიცემით II, მიცემითი III, მიცემითი IV) გარდაქცევითი და ინსტრუმენტალისი.

7. ბრუნების სისტემათა მსგავსების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ:

ა) წოვათუშურის დაცალკევებული მიცემითები ქართულის ერთი მიცემითის სინტაქსურ ფუნქციებს ინაწილებენ და ერთმანეთთან დამატებით დისტრიბუციის მიმართებაში არიან. აღნიშნული მიზეზით ეს დიფერენცირებული ფორმები ერთ რთულ მიცემითად შეიძლება გავაერთიანოთ და ვილაპარაკოთ C და S ენების ბრუნვათა თანაბარ რაოდენობასა და მსგავს სინტაქსურ ფუნქციებზე (მხედველობაში გვაქვს, რომ ქართულის წოდებითი გვიანდელი ფორმაციისაა).

ბ) შესადარებელ ენებს მოებოვებათ სპეციფიკური ბრუნვა ქვემდებარისა - ერგატივი. სწორედ ზმნის საერთო ამ ერგატიულ-

მა კონსტიტუციაში განაპირობა აქტანტების ბრუნვათა ერთნაირი ფუნქციებით დატვირთვა ორსავე ენაში.

გ) წოვათუშური ენის ერგატიული ბრუნვის თავისებური ვითარება რომ გამოვრიცხოთ, სადაც ორსუფიქსიანობა ორი სხვა-დასხვა ბრუნვის შერწყმით არის მიღებული, შეიძლება დავას-კვნათ, რომ ამ ენას, მსგავსად ქართულისა, ბრუნების ერთი სახე აქვს ბრუნვის ნიშანთა ერთი რიგით.

დ) ორსავე ენაში აგლუტინაციის პრინციპით იწარმოება მრავლობითი: ბაზისურ ფუძეს ცალ-ცალკე დაერთვის ჯერ რიც-ხვისა და შემდეგ ბრუნვის ნიშნები.

ე) ორივე ენის სახელთა ბრუნების პარადიგმებში მოქმე-დებს სიტყვის ორმარცვლიანობის ფონოლოგიური მოდელით შე-პირობებული ფუძისეული ხმოვნის რედუქციისა, აუსლაუტის ხმოვნის მოკვეცისა და ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი კომპონენტის დასუსტება-დაკარგვის პროცესები.

8. მსგავსების მიხედვით ამ ორი ენის სახელთა ბრუნების ერთი საერთო მორფოლოგიური სისტემის საკითხი დგება, თვი-თონ სისტემის რეალიზაციის გზებსა და საშუალებებში კი სხვა-დასხვაობა ვლინდება. ხშირად ერთსა და იმავე საკითხში, სადაც მსგავსება დაფადასტურეთ, განსხვავებაც იჩენს თავს, რის გამოც უკვე განხილული საკითხის განსჭა ხელმეორედ გვიწევს ამ უკა-ნასკნელი თვალსაზრისით.

წოვათუშური ენის შხარეს განსხვავებას აგლუნს:

1. კლასკატებორიის მიხედვით გარჩეული ერგატივის ფორმები;

2. გარკვეული ჯგუფის სახელთა ორფუძიანობა;

3. ნიერის კლასის სახელთა ერგატივ-ინსტრუმენტალისის ზიარი ფორმები;

4. წოდებითი ბრუნვის უქონლობა;

5. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ ფორმანტთა სიმრავლე;

6. ბრუნვის ფორმანტთა მასალობრივი სახე.

შესაპირისპირებელ სისტემებს შორის ორგვარი სხვაობა დაფიქსირდა: ერთ შემთხვევაში ცალკეული ბრუნვების მიერთოს მა-ტემათა რეალიზაციის განსხვავებულ გზებთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი სხვაობას ქმნის S ენის ფონზე აღმოჩენილი ცარიელი ადგილი, ანუ თეთრი ლაქა. წყარო ენასთან დასაახლოებლად ერთგან მიკროსისტემის მაორგანიზებელ ერთეულთა ადგილგადანაცვლება იყო საჭირო, მეორეგან კი სათანადო საკიდი-ფიკაციო ნიშნის სესხება. როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე მიმართულებით ამოქმედდა ინტერფერენცული პროცესები.

9. მეტ-ნაკლები დაყოვნებით მოსალოდნელ ინტერფერენ-ცულ პროცესთა საასპარეზო გახდა C ენის სახელთა ბრუნების პა-რადიგმებში ფიქსირებული თითქმის ყველა ადგილგადასანაც-ვლებელი განმასხვავებელი რგოლი, კერძოდ:

ა) წოვათუშური ენის სახელთა ბრუნების სისტემაში ერგა-ტივის განსხვავებული ს და ფ ფორმანტებით ადამიანისა და ნივთის კლასის სახელთა დაპირისპირება უჩვეულო აღმოჩნდა წყარო ენის თვალსაზრისით, ისევე როგორც უჩვეულო გამოჩნდებოდა ქარ-თული ერგატივის ერთსუფიქსიანობა, თუ სხვაობათა ათვლისას ახლა უკვე წოვათუშურს დავეყრდნობით. სხვადასხვა ასაკის ბი-ლინგვთა მეტყველების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება სწო-რედ ერგატივის აღნიშნული სუფიქსებისადმი დამოკიდებულება-ში გლინდება. ქართული ენის მოძალებული ზეგავლენით ბილინ-გვები ქვეცნობიერად დგანან ორი მაწარმოებლიდან ერთ-ერთის საფალდებულო არჩევანის წინაშე. იმის გამო, რომ შეგნებული აქ-ტივობა პირის სახელთა პრეროგატივაა, მოქმედების არეს იფარ-თოებს ადამიანის კლასის სახელთა ფორმანტი ს, რაც ჩვეულებრი-

ვი პარალელური ფორმების წესით ხორციელდება: ერთმანეთის გვერდით იხმარება ერთი და იმავე სახელის ვინიანი და სანიანი ერგატივის ფორმები.

ბ) ბრუნების ერთ-ერთ თავისებურებას წოდათუშურში საკმად დაღი ჯგუფის სახელთა ორფუძიანობა ქმნის: გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ნახურ ენათა ერთიანობის პერიოდში, სახელობითი ბრუნვის ფუძე ასეთი სახელებისა განსხვავებული აღმოჩნდა დანარჩენ ბრუნვათა ფუძისაგან. საქმე იმაშია, რომ ამოსავალ ფუძეში ყველა საანალიზო ლექსება ა ხმოვანს შეიცავს, ცვლილების შედეგი კი სხვადასხვანაირია: ფონეტიკური გარემოს მიხედვით ა-ს მონაცვლედ შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი ხმოვანი დარჩენილი ოთხეულიდან (ე, ი, ო, უ). იმის გამო, რომ აღნიშნული ტიპის სახელთა ფუძეები მხოლოდ ერთმარცვლიანია, ერთადერთი ძირეული ხმოვნის ცვლილება მეტად თვალსაჩინო აღმოჩნდა.

აღნიშნული ორფუძიანობა დროთა სეღლაში გრამატიკებული გახდა, ფუძეთა შიგნით ხმოვანთა მონაცვლეობაში კი ფონოლოგიური სტატუსი მოიპოვა, რის გამოც აღრინდელ ლექსიკურ ნასესხობათა გარკვეული წყება ამ წესების გავლენაში მოექცა და თავისებურ ორფუძიანობაში აღმოჩნდა ჩართული. როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო კოლექტიურმა ორენოვნებაში დიამეტრულად შეცვალა ინტერფერენტულ პროცესთა მიმართულება: დაიწყო ორფუძიანობის რღვევა როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ სახელებში. საამისოდ პარალელურ ფორმათა მისაღავების ჩვეული გზა იქნა გამოყენებული. გარდაქმნები ისეთი თანდათანობით ხორციელდება, რომ ზოგიერთი სახელის პარადიგმაში თუ ამ მხრივ გაქართულების ყველა საფეხური გაიარა, ზოგი შეუაგრძელებელი წრედში.

გ) ქართულთან მიმართებით მნიშვნელოვან თავისებურებას ეხედებით წოვათუშური ენის სახელთა მრავლობითის ფორმებში. საგულისხმოა, რომ, როგორც ქართულში, მარტივი აგლუტინაციის პრინციპზეა აგებული ეს ფორმები წოვათუშურშიც: სახელის ბაზისურ ფუძეს თანმიმდევრობით დაერთვის ჯერ რიცხვისა, შემდეგ კი – ბრუნვის ნიშნები. მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, აღნიშნულ სისტემებს შორის თვალსაჩინო სხვაობას ქმნის რიცხვის მარტიმოებელ ფორმანტთა რაოდენობრივი შეფარდება: ქართულში ძირითადად ერთი ფორმანტი ფიგურირებს, წოვათუშურში კი მათი რაოდენობა ათსა და უფრო მეტს აღწევს.

როგორც კანონზომიერი შედეგი ასეთი განსხვავებისა, წოვათუშურში ამოქმედდა მრავლობითის ფორმათა ერთ მარტიმოებელზე გადართვის ტენდენცია. საგულისხმოა, რომ ფორმანტი, რომელიც ინტენსიურად იწყებს განზოგადებას, როგორც მრავლობითის მარტიმოებელი, წყარო ენიდან კი არ ისესხა წოვათუშურმა, არამედ შეარჩია საკუთარ მორფოლოგიურ ინვენტარში, როგორც ყველაზე მარტივი და ფონოლოგიურად ყველაზე შეთავსებადი.

დ) თავისებური ვითარება წოვათუშურის ინსტრუმენტალისშიც. ქართულში ეს ბრუნვა თავისთავადია და მოეპიგება ყველანაირი სემანტიკური ჯგუფის სახელს, წოვათუშურში კი მნიშვნელოვანი სხვაობაა ამ ბრინჯის ფუნქცია თანაბის უბრალო დამატების გადმოცემით არის შეზღუდული, ნივთის კლასის სახელებს შორის. ადამიანის სახელებთან ამ ბრუნვის ფუნქცია თანაბის ბინალო დამატების გადმოცემით არის შეზღუდული, ნივთის კლასის სახელებში კი თავისებურებას ქმნის ერგატივთან საზიარო ომოფორმები, სადაც გარჩევის ერთადერთ საშუალებას კონტექსტი წარმოადგენს.

სხვადასხვა თაობის ბილინგვთა შეტყველებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოცემულ მიკროსისტემაში ინტერფერენტუ-

ლი პროცესები სწორედ აღნიშნულ განსხვავებათა ნიველირების გზით მიემართება: ფართოვდება აღნიშნული ბრუნვის სინტაქსური ფუნქციები ადამაინის კლასის სახელებთან, ხოლო რაც შეეხება ნივთის კლასის სახელებს, აქ უკვე დაწყებული პროცესი სანაინი ერგატივის განზოგადებისა მალე ერთფუნქციურს გახდის სათანადო ინსტრუმენტალისის ვინიან ფორმებს.

10. განხილული თავისებურებანი წოვათუშურის სახელთა ბრუნებისა ერთგიბიურია და ინტერფერენტული პროცესებიც მათთან ერთნაირ მიმართებაშია. შეიმჩნევა ზოგადი კანონზომიერებანი:

ა) ინტერფერენტულ ინოვაციათა შეღწევა, ანუ დამკვიდრება მსესხებელი ენის გრამატიკაში მხოლოდ პარალელური ფორმების საშუალებით ხორციელდება, რომელთაგან ერთი ტრადიციულია, ანუ მსესხებელი ენის მოთხოვნებზეა აგებული, მეორე კი ახალია და წყარო ენის თარგზეა გამოჭრილი. ახალი ფორმები დასაწყისში გარკვეული სემანტიკური ჯგუფის სახელებს უკავშირდებიან და უცხო ენის „შემთხვევითი“ ციტატების სახით გვევლინებიან, შემდეგ კი, დროთა სვლაში, გამოყენების საკუთარ ტრადიციას იძენეს და მკვიდრდებიან. უცხო მოდელის პარალელიზმების შექნას, როგორც შორეული და გარდაუგალი შედეგი, ადგილობრივის დაკარგვა მოსდევს.

ბ) ინტერფერენტული გარდაქმნა ყველა შესაძლო შემთხვევაში ნასესხები სახელებით იღებს სათავეს. ყველაზე აღრე ინოვაციას უახლესი ნასესხობები ეგუებიან, შემდეგ ადრინდელ ნასესხობათა „გადასწორება“ ხდება, ბოლოსდა საოცარი ნელი ტემპით ერთვებიან გარდაქმნათა პროცესში მსესხებელი ენის საკუთარი ფონდის სიტყვები. აქაც სერიოზული გარჩევაა მოსალოდნელ სიახლესთან მიმართებაში: რაც უფრო დიდია ამა თუ იშვიათ სახელის მოხმარების სიხშირე, მით უფრო გვიან ექვემდებარება

იგი ინტერთერნეტულ პროცესებს. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს იმ უდიდეს მნიშვნელობაზე, რაც გამოყენების ტრადიციას აქვს უცხო ენობრივი გავლენის წინააღმდეგ.

გ) მორთოლოგიური ინიციატივი უკიდურესი თანდათანობით ხორციელდება. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ იკაფავენ გზას ადგილობრივ ფორმებთან ბარალელური მონაცემებით, მაგრამ ეს შენაცვლება არაა ქაოტური, ანუ ნებისმიერი: ბარალელური ფორმების დინამიკა სრულ შესატყვისობაშია ენის დრეკადობის მაჩვენებელთან. ხოლოდ მას შემდეგ, რაც ესა თუ ის ინიციატივა დამკვიდრდება სახელთა გარკვეულ ჯგუფში და შეიძენს გამოყენების საკუთარ ტრადიციას, ჩნდება შესაძლებლობა ინტერთერნეტის აღნიშნულ პროცესში ახალი სახელების ჩართვისა. ამიტომაა, რომ ზემოთვანხილული ინტერთერნეტიული პროცესები დაიდა ხნის დაწყებულია, მაგრამ ყველა სახელს ჯერაც არა აქვს შეძენილი „საფალდებული“ ბარალელური ფორმა. ამ გზით ურყოვად არის დაცული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ენა ნებისმიერ მონაცემთაზე მაქსიმალური სიზუსტით უნდა ასრულებდეს თავის საკომუნიკაციო ფუნქციას და გადახრა ნორმიდან არ უნდა გადასცილდეს დრეკადობის ზღვარის.

11. თავისებური ვითარება იქმნება შესადარებელ სისტემებს შორის არსებული თავისუფალი ადგილების შემთხვევაში. თავისუფალი ადგილი ამ სიტყვის ბირდაპირი მნიშვნელობით წოვათუმურის სახელთა ბრუნებაში არ აღმოჩნდა. როცა ასეთ კონტექსტში წოდებითი ბრუნების ვითარებას განვიხილავთ შედეველობაში გვაქვს ნაწილობრივი ღიობი, რაც ამ ენის მიმართვის ფორმათა სახელობითის ფორმათაგან გარეგნულ განურჩევლობაში მდგომარეობს. გაუდიფერენცირებელი სახელობით-წოდებითი ქართულში დღეს საკუთარი სახელებით არის ღოვანიზებული, წოვათუ-

შურმი კი ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს და თანაბრად მო-იყავს როგორც საკუთარი, ისე საზოგადო სახელებს.

მიიჩნევა, რომ მსგავს შემთხვევებში ინტერფერენტული პროცესები დაბრკოლებით ვითარდებიან, მაგრამ წოვათუშურის მდგომარეობა ასეთ შეხედულებას აქალწყლებს: მართალია, ამ ენამ მთელი ორი საუკუნის წინათ უკვე სცადა ქართულიდან სათა-ნადო თ აფიქსის სესხება და წოდებითის ფორმათა მარკირება, მაგრამ გარკვეულ საფეხურზე პროცესი შეწყდა. მიუხედავად იმი-სა, რომ გარკვეული სემანტიკური ჯგუფის სახელებში უკვე და-ფიქსირდა ფლექსის სესხება, ისევ იძალა საკუთრივ წოვათუშუ-რის გრამატიკულმა მოდელმა და მიმართვის თ-ნიშნიანი ქართუ-ლისებური ფორმები სახელობითში აიტანა. მოხდა უკვე ნასესხები წოდებითის ფორმების გადააზრება სახელობითად, რითაც გამო-იყვეთა მსესხებელი ენის დიდი შინაგანი წინააღმდეგობა მორფო-ლოგიური ინოფაციებისადმი.

საგულისხმოა, რომ ფლექსის სესხებისათვის კვლავ ჩვეუ-ლებრივი პარალელური ფორმების გზა გამოიყენა ენამ იმ განსხვა-ვებით, რომ მორფოლოგიური გარდაქმნის ყველა სხვა შემთხვევა პერიფერიული ლექსიკით იწყებოდა, ამჯერად კი ნასესხები ფორ-მანტი დაირთეს და პარალელური ფორმები გაიჩინეს ყველაზე ხშირად ხმარებულმა ნათესაობის აღმნიშვნელმა სახელებმა.

12. წოვათუშური ენის წარუმატებელი ცდა მიმართვის ფორმებისათვის ფორმანტის სესხებისა ყურადღებას იქცევს რამ-დენიმე თვალსაზრისით:

ა) ორენოვნების მრავალსაუკუნოებანი ისტორიის მანძილზე ესაა ერთადერთი შემთხვევა წყარო ენიდან ბრუნვის ფორმანტის სესხებისა და ისიც გარკვეულ საფეხურზე შეწყდა საერთოდ (ან დიდი ხნით შეჩერდა). მრავლისმეტყველია ფაქტი იმ თვალსაზრი-სითაც, რომ იგი ეხება არა რომელიმე აქტანტისათვის განკუთ-

გნილ ბრუნვას, არამედ წოდებითს, რომელსაც ყველაზე ნაკლები სინტაქსური დატვირთვა აკისრია წინადაღებაში. ფლექსის სესხების ეს უპრეცენდენტო შემთხვევა კარგად გვიჩვენებს, რამდენად რთულია და წინააღმდეგობრივი ეს პროცესი შორსწასული იდეალური ბილინგვიზმის დროსაც კი და რამდენად გამძლე და მოქნილია მსესხებელი ენა ამ თვალსაზრისით..

ბ) გამოიკვეთა საინტერესო კანონზომიერება იმის შესახებ, რომ წყაროენიდან შემოტანილი მიმოსახრელი აფიქსი თავდაპირველად ლექსემათა გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფს უნდა დაუკავშირდეს და მხოლოდ მას შემდეგ რაც ამ ჯგუფში დაიწყებს იგი ბუნებრივ ფუნქციონირებას, გაეხსნება გზა საყოველთაო გამოყენებისკენ.

გ) მოცემული ცდა ახალი ბრუნვის ჩამოყალიბებისა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ხანგრძლივი ორენოვნების დროს ინტერფერნცია გარდაუგალი აუცილებლიობით გულისხმობს თითოეული ღიაობის შევსებას ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეზე. განსხვავებას ამ მხრივ მხოლოდ დროის ფაქტორი ქმნის, რომელიც სხვადასხვაგარია იმის მიხედვით, თუ გრამატიკული იერარქიის რომელ საფეხურთან გვაქვს საქმე.

13. ორენოვნების თანამედროვე საფეხურზე ინტერფერნცული პროცესები მეტ-ნაკლებად უკვე შეეხო წოვათუშური ენის სახელთა ბრუნვების პარადიგმებში ფიქსირებულ თითქმის ყველა განმასხვავებელ რეალობა, ბრუნვის ნიშანთა მასალობრივი სხვადასხვაობა კი ამ პროცესებიდან განხე დარჩა და ამ მხრივ რაიმე ცვლილებისაკენ მიღრეკილებაც კი არ შეიმჩნევა. აღნიშნული გარემოება ნათელს ხდის, რომ თვით უკიდურესად განვითარებული ბილინგვიზმის დროსაც კი ზეწოლა ხდება უპირატესად სააზროვნო მოდელზე, კონკრეტული საკოდიფიკაციო მასალა კი ყურადღების გარეშე და ხელუხლებელი რჩება.

საკოდიფიკაციო მასალის მიმართ წყარო ენის ნეიტრალური დამოკიდებულება და მსესხებელი ენის განსაკუთრებული მიკერძოებულობა საკუთარი ფორმანტებისადმი აისახა იმ ფაქტშიც, რომ, როცა წოვათუშურის სახელთა მრავლობითი რიცხის ათი სხვადასხვა მაწარმოებლის ერთით შეცვლა გახდა საჭირო, სათანადო ფორმანტის ქართულიდან სესხების საკითხი კი არ დაღგა, არამედ განზოგადდა იმავე წოვათუშურის ყველაზე მარტივი აგებულების სუფიქსი იყო.

14. ცნობილია, რომ სისტემების გადაც უფრო შეკრულ-შემოზღუდულია მეტყველების ესათუ ის ნაწილი, მით უფრო შეუფალია იგი ინტერიურენტული პროცესისათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებას წარმოგვიჩენს წოვათუშური ენის ზედსართავი სახელი.

ა) ეს მეტყველების ნაწილი როგორც აგებულების, ისე მოხხრის თვალსაზრისით მკვეთრად უპირისპირდება დანარჩენ სახელებს და ქმნის ბრუნების დამოუკიდებელ მარკირებულ სისტემას: ბაზისური ფუძის საწარმოებლად ძირებს, რომლებიც თითქმის ყოველთვის ერთმანცვლიანია, დაერთვის ნაზალური ხმოვანი, რომელსაც ირიბ ბრუნვებში კიდევ ემატება ჩო მახასიათებელი და ბოლომდე გასდევს პარადიგმებს. შედეგად იქმნება თავისებური ფონოლოგიური-მორფოლოგიური ჯებირი, რომელმაც დიდხანს შეუნარებუნა ამ მეტყველების ნაწილს კონსერვატიული დამოკიდებულება როგორც ცალკეული ლექსიკური ერთეულების სესხების, ისე ბრუნების პარადიგმებში მოსალოდნელი ინოვაციებისადმი.

ბ) მიუხედავად სერიოზული დაბრკოლებისა, უცხო ენის ცოდნის მაღალი დონე და ზემოქმედების ხანგრძლივობა აღმოჩნდა ის ყოვლისშემძლე ფაქტორები, რომელთა დახმარებითაც ინტერიურენტულმა პროცესებმა დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც

გადალახეს ზედსართავი სახელის საზღვარი. საგულისხმოა, რომ ჯერჯერბით ეს მოხდა მხოლოდ ნასესხები ლექსიკის დონეზე, სადაც ნაბიჯ-ნაბიჯ მოიხსნა ჯერ ნაზალური ხმოვანი და საფალ-დებულო გაორმარცვლიანების წესი, შემდეგ კი - ჩო მახასიათებელი.

გ) აღნიშნულ გარდაქმნათა შედეგად ნასესხები ზედსართავებისათვის შეიქმნა ბრუნების განსხვავებული მოდელი, რომელიც დაუპირისპირდა ტრადიციულს და შეუქმნა მას გარდაუვალი საფრთხე. მიუხედავად ინტერფერენტულ პროცესთა ასეთი მოძალებისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ განხილულ ინვაციას ძალიან დიდი დრო დასჭირდება კიდევ, რათა წოვათუშური ენის საკუთარ ზედსართავთა ბრუნების სისტემაში შეაღწიოს. ის გარემოება, რომ მორფო-ფონოლოგიის დონეზე ეს მეტყველების ნაწილი გაფორმებული, მას ინტერფერენტული პროცესებისათვის თითქმის შეუვალად აქცევს.

15. უცხოენობრივი გავლენისადმი წინააღმდეგობის თვალსაზრისით მორფოლოგური რგოლის სისტემებრივი შეკრულ-შემზღვდულობის ფაქტორმა განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი სახელის გრამატიკული კლასის კატეგორიასთან მიმართებით.

ინტერფერენტულმა პროცესებმა დიდად შეცვალეს სახელის კლასის სემანტიკა. მხედველობაში გვაქვს ნივთის სახელთა კლასებს შორის განაწილების პრინციპთა თითქმის სრული გაბუნდოვნება და, რაც მთავარია ქალისა და მამაკაცის კონკრეტული კლასების ადამიანის ერთ საერთო ზოგად კლასად უნიფიკაციის მეტად საინტერესო პროცესი, რომელიც ინტენსიურად ვითარდება წოვათუშურში, უახლესი მონათესავე ჩეჩენური და ინგუშური ენებისათვის კი უცხოა. ასეთი ცვლილებისათვის, ცხადია, საფუძველს იძლეოდა ის გარემოება, რომ ქართულს, რომელიც დღეს

ბილინგვებმა შშობლიურ ენაზე უკეთ იციან, მხოლოდ ორი სემანტიკურ კლასი აქვს: კლასი ადამიანისა და კლასი ნივთისა.

მიუხედავად კლასების გარეგონის სემანტიკაში მომხდარი სერიოზული ძერებისა, მის მოშლამდე გრძელი და რთული გზაა ჯერ კიდევ გასასვლელი, რადგან კლასი ძირითადი საშუალებაა სახელური აქტანტების ზმნასთან დაკავშირებისა. მართალია, ისევ ქართული ენის გაფლენით, დღეისათვის წოვათუშურში ამ ფუნქციას პირის კატეგორიაც ასრულებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ პარალელურ გამოყენებაში კლასის კატეგორიასთან, ისიც ფაკულტატური უფლებით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღარ იქნება საფალდებულო ზმნასა და ზოგიერთ სხვა მეტყველების ნაწილში კლასის აღნიშვნა, შესაძლებელი გახდება კლასის გარეშე დარჩეს სახელი. სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები იქნება დასაწყისი კლასების გარებისათვის. ჯერ კი საამისოდ მხოლოდ ნიადაგი შზადდება პირის კატეგორიის დანერგვის მცდელობით.

16. წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგიაში მიმდინარე ცვლილებების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იდეალური ბილინგვიზმის დროს დედაენასთან გატოლებული, ან უფრო აღმატებული ცოდნა წყაროენისა მეტ-ნაკლები წარმატებით ხსნის ნასესხობათა მიმართ C ენის შინაგანი წინააღმდეგობის ყველა ფაქტორს. დიდი დაბრკოლებით, მაგრამ, როგორც ყველა სხვა რგოლი ენობრივი იერარქიისა, ინტერფერენტულ ცვლილებებს ექვემდებარება მორფოლოგიაც.

წოვათუშური ენის ვითარება საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ კითხვებს, რომლებიც ხშირად ისმის ზოგად ლინგვისტიკაში მორფოლოგიური ინტერფერენციის შესახებ:

I. როგორია ინტერფერენციულ პროცესთა მასშტაბები ენის მოცემულ დონეზე?

II. როგორია მათივე შეღწევადობის სიღრმე?

აღნიშნულ პროცესთა მასშტაბებზე წარმოდგენას გვაძლევს ის გარემოება, რომ ქართულის ცოდნის განუხრელ ზრდას-თან ერთად ინტერფერენციულ პროცესებში თანდათანობით ჩართული აღმოჩნდა წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგიაში ფიქსირებული თითქმის ყველა განმასხვავებელი რგოლი. რაც შეება შეღწევადობის სიღრმეს, მასზე შეიძლება გამსჯელოთ იმის მიხედვით, რომ უკვე დაიწყო გადართვა წოვათუშებისა ქართულ ენაზე, ჩვენ მიერ განხილული მორფოლოგიურ ინვაციათაგან კი ერთიც არა ჯერ ბოლომდე მისული და დამკვიდრებული.

17. დიდი ხანია ცნობილია, რომ ბრუნების სისტემასთან შედარებით ინტერფერენციულ პროცესთა მეტი შეღწევადობა ახასიათებს სიტყვათსაწარმოქმნი სისტემას. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გამოხატვის პლანში C და S ენათა სადერიქაციო სისტემებს შორის არსებული სხვადასხვაობა ინტერფერენციული „ინტერსეპტის“ მიღმა რჩება, უმცირესი სემანტიკური სხვაობა კი გარდაქმნის ობიექტად იქცევა. კერძოდ:

ა) მოშლის ობიექტი ხდება წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივ პლანში არსებული მეტობა და სათანადო დერიგატი.

მეტობის თვალსაზრისით წოვათუშური ენის სიტყვათსაწარმოქმნი სისტემაში ყურადღებას იქცევენ ქონების სახელები. ამ ენაში რისამე ყოლა-ქონების აღნიშვნისას ორი სხვადასხვა დერიგატით კუთვნილების დროებითი და მუდმივი ასპექტები განიჩევა: ძირეული სახელის ფუძეზე დართული რქ სუფიქსი დროებით თვისებას გამოხატავს, მუდმივ მახასიათებელზე კი ლძ მიუთითებს. ქართულს, როგორც ცნობილია, ასეთი დაპირისპირება აღნიშნული ჯგუფის სახელებისა არ ახასიათებს და ქონების მუდმივი მახასიათებლის გამოჩევა დროებითისგან მისთვის უცხოა.

შინაარსობრივ პლანში წოდათუშერის მხარეს არსებული ეს მეტობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ინტერესული და-კარგვის ობიექტად იქცა: ახალგაზრდები დღეს ვეღარ მიჰვავენ ამ ორი სუფიქსის სამოქმედო არეებს. ისინი სულ უფრო ხშირად ლძე სუფიქსის ადგილას რწევას ხმარობენ, პირიქით კი არ ხდება, რაც პირველის ხარჯზე ამ უკანასკნელის გაბატონებას მოახწავებს.

ბ) ნასესხები დერივატები ფარავენ „თეორი ლაქებს“.

ქართულთან შებირისპირებისას წოდათუშერი ენის სიტყვათსაწარმოქმნი სისტემაში სრული ღიობი, ანუ „თეორი ლაქა“ აღმოჩნდა წინა ვითარების სახელთა ადგილას, სადაც აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად C ენა აღწერით ფორმებს მიმართავდა. გრძელი რიგები ნასესხები წინა ვითარებისა და მათივე ძირებით სახელებისა საუკუნეების მანძილზე ქმნიდა წყვილის წევრთა ქვეცნობიერი შებირისპირებისა და სეგმენტაციის პირობას. აღწერით ფორმებთან შედარებით ეკონომიკურობის თვალსაზრისით წარმოქმნილი სახელების მხარეს არსებული დიდი უპირატესობა აიძულებდა წოდათუშერს შემოეტანა აღნიშნული შინაარსის მზა წარმოქმნილი შესატყვისები საკუთარი ფონდის სიტყვებისათვის, ან ესესხა სათანადო ნა-არ კონფიქსი; საგულისხმოა, რომ ენა პირველზე ძალიან ადრე დათხმება, მეორეზე - ძალიან გვიან. დღე-საც კი, იდეალური ბილინგვიზმის პირობებში, საკუთარ ფუძეზე აღნიშნული კონფიქსის დართვის მხოლოდ შეიძი შემთხვევა და-გადასტურეთ წოდათუშერში.

გ) მოქმედებს ტენდენცია „გასწორდეს“ ისეთი საერთო დერგაციული მოდელები, სადაც შეინიშნება რაიმე სახის გადახრა ენის თარგიდან.

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო ვითარება დაუცავს ამსტრაქტულ სახელებს. წოდათუშერში ყველანაირ აბსტრაქტულ სახელს ერთი და იგივე ოდნ სუფიქსი აწარმოებს, ქარ-

თულში კი ამ მხრივ ერთმანეთს უპირისპირდებიან საყრდენ ფუქე-  
ებად აღებული არსებითი და ზედსართავები. პირველი ობა სუ-  
ფიქსს დაირთავენ, მეორეებთან კი სი-ე კონფიქსი გვაქვს. ცხადია,  
განსხვავებულ დერივატებთან ქართულში სინამდვილის განსხვა-  
ვებული დაფასებაა დაკავშირებული.

ქართული სააზროვნო მოდელის მოძალებაშ წოდათუშური  
აიძულა ორად გაეთიშა საკუთარი ერთიანი სისტემა აბსტრაქტუ-  
ლი სახელებისა: მისმა საკუთარმა ოლ დერივატება მნიშვნელობის  
დავიწროება განიცადა და ზედსართავებით შემოიფარგლა, რაც  
შეეხება არსებითებს, აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად მათ-  
თვის ნასესხები იქნა სუფიქსი ობა.

(დ) სინონიმური მიმართების დერივატებიდან უპირატესობა  
ეძლევა პრესტიული ენის კუთვნილს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოქმნილ სახელთა შინაარ-  
სობრივი ჯგუფის მიხედვით საკმაოდ ბევრი პარალელიზმი ახასია-  
თებს ამ ორ ენას, მაინც ხშირად დასტურდება წყარო ენიდან სი-  
ნონიმური მნიშვნელობის დერივატების სესხების ფაქტები. მხედ-  
ველობაში გვაქვს მსგავსებისა, უქონლობისა და აბსტრაქტულო-  
ბის სახელებთან დაცული ვითარება. მსგავსების სახელებს წოდა-  
თუშურში ერთადერთი ღწე სუფიქსი წარმოქმნის, ქართულში კი  
გვაქვს სუფიქსები ურ, ნაირი, გვარი, ფერი, თანა. სათანადო ლინ-  
გვისტური კონტექსტის მიხედვით აქ სესხება გამორიცხული უნდა  
ყოფილიყო, წოდათუშურმა კი მაინც ისესხება მათგან ჩამდენიმე  
(ურ, ნაირი), რადგან პრესტიულ ენას ეკუთვნოდნენ და მიიჩნეო-  
და, რომ შინაარსობრივად მეტი ტერმონიმი ახასიათებდათ. ანალო-  
გიურსავე ვითარებაში შეითვისა წოდათუშურმა ქართულიდან აბ-  
სტრაქტულობის სუფიქსი ობა და უქონლობის პრეფიქს-სუფიქსი  
უ-ო.

17. ინტერუერენტულ პროცესთა მასშტაბებისა და შეღწევადობის საკითხები დგება სიტყვათსაწარმოქმნის სისტემასთან მიმართებითაც.

ა) დერივაციულ სისტემაში მოქმედი ინტერუერენტული პროცესების შეზღუდულ მასშტაბებზე წარმოდგენას იძლევა მოკლე სია ნასესხები, დაკარგული ან მნიშვნელობა დავიწროებული აფიქსებისა. მაშინ, როცა უკვე მთლიანი ლექსიკის ორი მესამე-დი ქართულია, დღეისათვის ნასესხებია სულ ხუთი დერივატი:

მსგავსებისა - ურ, ნაირი.

აბსტრაქტულობისა - ობა.

უქონლობისა - უ-ო.

წინა ვითარებისა - ნა-არ.

დაკარგვის გზაზე დგას ქონების სახელთა საკუთარი მაწარმოებელი ლრ, მნიშვნელობის დავიწროება განიცადა აბსტრაქტულობის ოლ-მა.

გასათვალისწინებულია ისიც, რომ დასახელებულთაგან ზოგ ნასესხებ დერივატს გამოყენების შედარებით მეტი ასპარეზი აქვს (ობა, ურ, ნაირი), ზოგი კი გვიანდელი ნასესხებია და ძალიან შეზღუდულად იხმარება (უ-ო, ნა-არ). ეს არცთუ ხელგაშლილი შედეგები დერივატთა სესხებისა ხანგრძლივ მრავალსაუკუნეოვან თრენინებას ეკუთვნის, რომელიც თავის ბოლო სტადიაშია და გასავლელია გზა თითქმის აღარ დარჩენია.

ბ) შეღწევადობის სიღრმის თვალსაზრისით მრავლისმეტყველია ნასესხებ ურ სუფიქსთან დაკავშირებული ვითარება, რაკი იგი ყველაზე აღრე შეთვისებულ და დამკვიდრებულ ფორმანტად ითვლება. მისი პოზიცია მყარია ქართულიდან ნასესხებ სახელებში, რაც შეეხება პიბრიდულ ახალწარმონაქმნებს, აქ იგი დღემდე მხოლოდ პარალელურ გამოყენებაშია იმავე მნიშვნელობის ადგილობრივ მაწარმოებელთან. ისე რომ სუფიქსი, რომლის სესხებაც

დაფიქსირდა მთელი ორი საუკუნის წინათ, ჯერ კიდევ მხოლოდ პარალელური გამოყენების უფლებით სარგებლობს და ისიც მხოლოდ განსაზღვრულ სიტყვებში. ანალოგიურია, ან კიდევ უფრო შეზღუდული, სხვა ნასესხები დერივატების პოზიციები; ეს კი გვიჩვენებს, თუ როგორი ინტენსივობისა და ხანგრძლივობის კონტაქტია საჭირო, რათა ნასესხებმა დერივატებმა შეცვალოს ადგილობრივი.

საგულისხმოა, რომ არც დიობის დაკავება გამოდგა უცხო აფიქსისათვის ადვილი. ასეთ მდგომარეობაში ნასესხები წინა ვითარების ნა-არ კონფიქსი წოვათუშურის მხოლოდ ექვს ძირეულ სახელზე აღმოჩნდა დართული.

18. დერივატების სესხების კანონზომიერებებთან მიმართებით ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება:

ა) გავრცელებული აზრი მსესხებულ ენაში სადერივაციო აფიქსთა ადვილი შეღწევადობის შესახებ შეიძლება გავიმუროთ მხოლოდ პირობითად მიმოსახრელ აფიქსებთან მიმართებაში. მართალია წოვათუშური სახელების მორფოლოგიაში ნასესხები მიმოსახრელი აფიქსი ერთიც არ დასტურდება დღემდე, ხოლო, რაც შეეხება დერივატებს, მათი რაოდენობა ხუთს აღწევს, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ნასესხებია ლექსიკის ორი მესამედი, წყარო ენის ცოდნის დონე კი ისეთი მაღალია, რომ გადართვის საფრთხეს უქმნის მშობლიურ ენას.

ბ) სადერივაციო აფიქსის სესხების წინა პირობას წარმოადგენს ერთი და იმავე ძირის აფიქსიანი და უაფიქსო სიტყვების ხშირი გამოყენება, რაც ხდება საფუძველი მათი ქვეცნობიერი შეპირისპირებისა და სეგმენტაციისა. ბუნებრივია, რომ ამგვარი ოპოზიცის ზოგიერთი წევრი ნასესხებში დაცალებულადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი: ასეთ შემთხვევაში საპირისპირო ცალი ან წყარო ენას აკლია, ან მსესხებელმა ენაშ უგულებელყო. ასე

რომ არაა სავალდებულო იმ წყვილწევრა ოპთიციაში, რომელ-საც ამა თუ იმ აფიქსის დართვა-დაურთველობა ქმნის, ყველა ნა-სესხები სიტყვა იყოს ჩართული. მოვლენათა მსელელობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ სიტყვა-თა გარკვეული დიდი ჯგუფისათვის ეს დაპირისპირება რეალურია და ხელშესახები.

გ) წყარო ენის აფიქსის ჩანაცვლება მსესხებელი ენის სა-კუთარი აფიქსის ადგილას რთული და ხანგრძლივი პროცესია. თა-ვიდან, დიდი ხნის განმავლობაში ისინი ერთდროულად დაერთვიან საწარმოქმნო ძირეულ სახელს, თუ ფონოლოგიური კონტრექსტი ამის საშუალებას იძლევა. ამ დროს მსესხებელი ენის საკუთარი აფიქსები ერთგვარი მეგზურის როლს ასრულებენ და ასპარეზს ტოვებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალი დერივატები გამოყე-ნების საკუთარ ტრადიციას შეიძენენ. მაგალითად გამოგვადგება წოვათუშურში აბსტრაქტულობის საკუთარ ოლ სუფიქსზე დარ-თული იმავე შინაარსის ქართული ობა (ობ + ობა). ობა სუფიქსის სესხების ფაქტი დაფიქსირებულია მთელი ორი საუკუნის წინ, მისი დამოუკიდებელი გამოყენების შემთხვევებს კი ახლადა ვხვდებით.

დ) არც „თეორი ლაქების“ დაფარვა აღმოჩნდა ნასესხები დერივატებისათვის ადგილი, რადგან გამოყენების ხანგრძლივი ტრადიციის გამო მათ წინააღმდეგობას უწევენ აღწერითი ფორ-მები იმავე შინაარსისა. ამიტომ მოხდა, რომ ქართულიდან შეთვი-სებულმა წინა გითარების ნა-არ კონფიქსმა სანახევროდაც კი ვერ აითვისა თავისუფალი ადგილი, რაც მას დახვდა მსესხებელ ენაში. მიუხედავად იმისა, რომ წოვათუშურს აქტიურ მიმოქცევაში აქვს მისი დართვა-დაურთველობით დაპირისპირებული გრძელი რიგი ნასესხები სახელებისა, საკუთარ ფუძეზე აღნიშნული დერივატის დართვის მხოლოდ შვიდი შემთხვევა დადასტურდა.

19. აფიქსების სესხებისადმი დიდი წინააღმდეგობის ფონზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წოვათუშურში ქართულის გავლენით კალკირებული გრძელი რიგები უარყოფითი და მიმართებითი ნაცვალსახელებისა. სესხება აღგებრულია, რადგან მოდელი წყარო ენას ეპუთენის, საშენი მასალა კი მსესხებული ენის საკუთარ ლექსიკურსა და მორფოლოგიურ ინვენტარში დაიძებნა.

ინტერვერენცია მოცემულ შემთხვევაში სინტაქსური სისტემების დონეზე განხორციელდა, კერძოდ:

ა) ისტორიულად წოვათუშურს, ისევე როგორც სხვა ნახურ ენებს, მხოლოდ ერთი ოდენ უარყოფითნაწილაკებიანი ცალმაგი უარყოფის მოდელი ჰქონდათ, დღეს კი ამ ენაში ქართულის გავლენით თავისუფალ მიმოქცევაში აღმოჩნდა ჩართული კიდევ ორი მოდელი უარყოფისა: I. უარყოფით ნაცვალსახელებიანი და ზმინზედებიანი ცალმაგი უარყოფის მოდელი და II. მოდელი კონტაქტირებული სახის ორმაგი უარყოფისა. უარყოფის სწორედ აღნიშნული ქართული მოდელების რეალიზაციისათვის გახდა საჭირო უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმინზედების აღნიშნული უჩვეულოდ ხელგაშლილი კალკირება.

ბ) მთის იკე ენებში რთულ წინადადებათა ჰიპოტაქსური მოდელები ჯერაც არაა ჩამოყალიბებული, ისტორიულად ეს მოდელები ეკლდა წოვათუშურსაც. მათს მაგიგრობას საკმაოდ მარჯვედ ეწეოდნენ მიმღება-ინფინიტივ-აბსოლუტივები, რომელთაც გაფართოებული აზრობრივი ტევადობის გამო შემოკლებული მარტივი წინადადებები უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ რთული შინაარსის გადმოცემის ეს გზა დღემდე აქტიურია წოვათუშურში, ჰიპოტაქსის ქართულისებურმა მოდელებმა ფართო ასპარეზი მოიპოვა ამ ენაში, რისთვისაც გახდა სწორედ საჭირო სა-

თანადო მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმინზედების წარმოება.

20. ამჩიგად, ქართული ენის გავლენით წოვათუშურში გაჩნდა უარყოფისა და დაქვემდებარების ახალი სინტაქსური მოდელები და შესაბამისი კალკირებული უარყოფითი და მიმართებითი ნაცვალსახელების გრძელი რიგები, შზამზარეული სესხების მაგალითი კი თითქმის არ აღმოჩნდა. აღნიშნული გარემოება კი-დევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ინტერფერენტულ პროცესთა მთავარი სამიზნე თავად სამეტყველო აზროვნების სისტემაა, რის გამოც ცვლილება აზრის წინადადებებად გარდაქმნის სინტაქსურ მოდელებს ეხება მხოლოდ, საკოდიფიკაციო საშუალებები კი ყურადღების მიღმა რჩება, როგორც ნაკლებმნიშვნელოვანი.

21. წოვათუშურის ნაცვალსახელთა გრძელ რიგებში პირდაპირ სესხების გზით შემოგანილი აღმოჩნდა მხოლოდ ორი: მქ (ვინ) და მავჭ (მავანი). მაშინაც კი, როცა წყარო ენის მოძალუბული პრესტიუს გამო ზოგი ქართული ნაცვალსახელის შინაარსი უფრო გამჭვირვალე აღმოჩნდა საკუთართან შედარებით, წოვათუშურმა ენამ მთლიანად კი არ ისესხა ისინი, მხოლოდ მაწარმოებელი დერივატები შემოიგანა (ნაირი, ფერი, გვარი). აღნიშნული ფაქტები საჩინს ხდის, შესაძლებლობის ფარგლებში როგორ მტკიცედ იზღუდავს თავს მსესხებელი ენა საკუთარი მასალით.

22. წოვათუშური ენის მონაცემები ინტერფერენტული ინოვაციების საკითხში კიდევ ერთხელ ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ენობრივი სისტემის ყველა ელემენტის ერთი ენიდან მეორეში შეღწევა ერთნაირად არ არის შესაძლებელი: იგი ჩვეულებრივია ლექსიკაში, არც თუ იშვიათია ბგერით სისტემაში, საკმაოდ ადვილად იკაფავს გზას სინტაქსური კონსტრუქციების სფეროში, მაგრამ უკიდურესად შეზღუდულია მორფოლოგიაში.

23. იმავე წოდათუშურის ვითარება არღვევს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ აზრს იმის შესახებ, რომ ინტერ-ფერენციის პოტენციური შესაძლებლობებიდან ყველა არ ხდება გარდაქმნის ობიექტი. ჩვენს ხელთ არსებული უხვი საილუსტრაციო მასალა გვიჩვენებს, რომ ორი ენობრივი სისტემის მჭიდრო კონტაქტის დროს უცხო ენის ცოდნის მაღალი დონე და კოდიდან კოდზე გადასვლის დიდი სიხშირე განაპირობებს კოდებს შორის მანძილის განუხრელი შემცირების მოთხოვნილებას, რის გამოც თანდათანბით ინტერფერენციული გარდაქმნების წრედში აღმოჩნდება ჩართული ამ სისტემებს შორის არსებული ყოველი განმასხვავებელი რგოლი. სხვა საკითხია, რომ ასეთი საყოველთაო მასშტაბები ინტერფერენციული ინფაციებისა დამახასიათებელია მხოლოდ უკიდურესობამდე განვითარებული ორენოვნებისათვის, როცა უკვე იწყება გადართვა წყარო ენაზე, რის გამოც აღნიშნულ პროცესთაგან ბევრი მხოლოდ ჩანასახის დონეზე რჩება.

24. რაკი ესა თუ ის ენა დიდი რაოდენობის მიკროსისტემა-თა ორგანიზებული მთელია, სწორედ მიკროსისტემათა ეს სიმრავ-ლე ხდება მიზეზი იმისა, რომ მათგან ცალკეული რგოლის მოდერ-ნიზება, ხმარებიდან ამოვარდნა თუ სულაც ახლის ჩართვა ადგი-ლად ვერ არყევს მსესხებული ენის მაკროსისტემის თავისთავადო-ბას. თვით უკიდურესად განვითარებული იდეალური ბილინგვიზ-მის დროსაც კი ენა დიდხანს დგას ურყევად, როგორც გოლიათუ-რი ციხეკოშკი, რომლის ცალკეულ ქონგურებს ცვლიან, ანგრევენ თუ უმატებენ ახალს. ცვლილებები გარედან დამკვირებლისათვის საკლებად შესამჩნევია, რადგან აღგებრული ხასიათისაა და საკო-დიფიციციო მასალას იშვიათად ეხება: ძირითადად ხდება თითქმის მხოლოდ მსესხებელი ენის საკუთარი მორფების ადგილგადა-ნაცვლება წყარო ენის განსხვავებული სინტაქსური სქემის მიხედ-ვით. ესაა მიზეზი, რომ, თუნდაც C ენის მათგანიზებელი სისტემა

რადიკალურად გარდაიქმნას, საკუთარი მოწოდებულები ინფენტარი მას კვლავ დამოუკიდებელ ერთეულად წარმოაჩენს.

25. თუ ქართულ-წოვათუშური ორენოვნება ბოლომდე გაგრძელდება და რომელიმე ეტაპზე ნააღმდევად არ მოხდება წყარო ენაზე ბილინგვთა სრული გადართვა, მაშინ შესხებელ ენაში წყარო ენასთან მიმართებით არსებული ყველა განსხვავება ინტერფერნციის ობიექტი გახდება თანდათან და საფეხურებრივად.

ინკვევა, რომ ენის დრეკადობას, ანუ შემგუებლობას ინვაციათა მიმართ გარკვეული ზღვარი აქვს, რის გამოც დაუშვებელია ყველა შესაძლო ცვლილება ერთდროულად განხორციელდეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკვე დამკვიდრდება, ანუ დრეკადობის ზონიდან გამოვა გარკვეული რეალიები, როგორც ენისაგან უკვე გათავისებული, ინტერფერნციის პროცესში ჩაერთვება ახალი. ამ დროს ცალკეული მიკროსისტემა გარდაქმნათა მიმართ ისე იქცევა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და გათვლაც ცვალებადი და უცვლელი ნაწილებისა ერთი მიკროსისტემის ფარგლებში ხდება. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ენაში ერთდროულად შეიძლება გაჩნდეს ინტერფერნციის ბევრი დამოუკიდებელი კერა.

26. ორენოვნების განხილული შედეგების ფონზე წოვათუშურში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიტყვის ორმარცვლიანობის მოთხოვნით მოტივირებული მწყობრი და უგამონაკლისო წესები მარცვალდაკლებისა, რაც უცხოა ჩეჩნური და ინგუშური ენებისათვის და წოვათუშურში ქართულის გავლენას მიეწერება. აღნიშნული ფონოლოგიური პროცესები უკვე ბევრად შეცვლილი სახითაა დაცული თვით V საუკუნის ქართულში, რაც წყარო ენასთან წოვათუშურის გაცილებით ადრინდელ კონტაქტზე მიგვანიშნებს. რაკი ის დონე ურთიერთობისა, რასაც ადრინდელი ნასესხები ლექსიკა გვავარაუდებინებს, ასეთ გავლენას გამორიცხავს, ფაქტის ახსნის ერთადერთ შესაძლებლობას ქართული სუბ-

სტრატის დაშვება წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სუბსტრატი ენებში თითქმის მხოლოდ ლექსიკისა და ფონოლოგიის დონეზე ფიქსირდება (მეიე, უთურგაიძე).

## რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება წოგათუშური ენის სახელთა მორფოლოგიას. ჩვენ, ცხადია, ვიცნობთ და ვიყენებთ ამ საკითხზე არსებულ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას, ვიზიარებთ ავტორთა მოსაზრებებს, ან ვასაბუთებთ ჩვენს განსხვავებულ შეხედულებას ამათუ იმ საკითხზე.

ჩვენს ნაშრომში ზოგჯერ მთლად ახლად არის შესწავლილი და განხილული წოგათუშურის სახელთა მორფოლოგიის გარკვეული მონაკვეთები. ასეთია, მაგალითად:

ა) წოგათუშური ენის სიტყვათმოდელები და მათი როლი ბრუნების პარადიგმებში;

ბ) მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპები და ბრუნების თავისებურებანი;

გ) წოგათუშური ენის სიტყვათსაწარმოქმნო სისტემა და უკუთქმითობის მოდელები...

ჩვენი ნაშრომის როგორც სტუქტურა, ისე შინაარსი წოგათუშურის დღემდე გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან მთლიანად განსხვავდება იმ მხრივ, რომ სახელთა ფლექსიის ყოველი მონაკვეთი განხილული გვაქვს უხვად მომრავლებულ მორფოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებით, ვიკვლევთ ცალკეული შეტყველების ნაწილების ღიაობის საკითხებს ორენოვნების დონეებთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით შსჯელობისას სისტემატურად მიემართავთ ქართული (C ენა) და წოგათუშური (S ენა) ენების მორფოლოგიური სისტემების პარალელური დახასიათებისა და შეპირისპირების გზასაც. თავისი ასეთი ორმხრივი ხასიათის გამო ნაშრომი შეიცავს უხვ საილუსტრაციო მასალას, სადაც ვლინდება საინტერესო კანონზომიერებები ინტერუერენტულ პროცესთა მაშტაბებისა და სიღრმის შესახებ. ის გარემოება, რომ წყარო

ენის გავლენით დღეისათვის ცვლილება შეეხო მსესხებელი ენის მორფოლოგიის ყველა რეალს, სიახლე კი ერთგანაც უკი განვითარდა ბოლომდე, ახლებურად სტამს გლობალიზებული მსოფლიოს ერთი საერთო ენის საკითხს.

**Makvala Mikeladze**

## **Morphology of Nouns of Tsova-Tush Language S u m m a r y**

The work deals with morphology of names of Tsova-Tush Language. It's clear that we know and use the rich scientific literature existed about the given issue, we agree with the authors' opinions or express our different ideas about this or that issue.

In our work specific morphological elements of names of Tsova-Tush Language are studied in quite different and new way. For instance, these are the following:

- a) Word models of Tsova-Tush Language and their role in paradigms of case;
- b) Types of determiner-determined and peculiarities of case;
- c) Word Building System of Tsova-Tush Language and models of retro speech.

Structure and content of our work are thoroughly different from the published works about Tsova-Tush Language. We discuss each element of inflexion of names in connection with the various morphological innovations; we research the questions about transparency of each part of speech being appropriate to bilingual levels. While discussing the expressed question we systematically use even the ways of parallel describing and comparing of the morphological systems of Georgian (language) and Tsova-Tush (language) languages.

According to its questionable nature the work contains various illustration material, where interesting regularities about intensity of interfere processes are shown. The fact is that each circle of morphology of borrower language has undergone any kind of

alternations under the effect of main language though innovations aren't revealed. Due to the revealed fact the question about the common language of global world is raised in different and new way.

## დამოწმებული ლიტერატურა

1. აღექსიძე, 2003 – ზ. აღექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და დამწერლობა, თბილისი, 2003.
2. ანდოლულაძე, 1951 – ნ. ანდოლულაძე, გრამატიკული კლასების კატეგორია იძერიულ-კავკასიურ ენებში (საკანდ. დისერტ.), თბილისი, 1951 (მანქანაზე ნაბეჭდი).
3. ანგონ I, 1997 – ანგონ I, ქართული ლრამმატიკა (მე-2 რედაქცია, 1767), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელექტ ბაბუნაშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ, ლია კინაძემ, თბილისი, 1997.
4. არჩილიანი, 1936 – არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1936.
5. ახვლედიანი, 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.
6. ბერტოლდი, 1972 – В. Бертолди, Греческий и латинский языки служащие средством передачи местных традиций и орудием колонизации в Западней Средиземноморье, НЛ., VI, Москва, 1972.
7. ბოდუენი, 1963 – И.А. Бодуен де Куртене, Избранные труды по общему языкознанию, Москва, 1963.
8. გაგუა, 1943 – რ. გაგუა, ძირითადი და ერთთანდებულიანი ბრუნვები ბაცბურში (საკანდ.დისერტ.), თბილისი, 1943 (მანქანაზე ნაბეჭდი).
9. ერგატივისა და ინსტრუმენტალისის ურთიერთობისათვის ბაცბურ ენა-ში, იკე, II, თბილისი, 1948.
10. გაგუა, 1956 – რ. გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვებში, იკე, VIII, თბილისი, 1956.
11. გაგუა, 1960 – რ. გაგუა, კავშირი ბაცბურ სახელთან და ზმნაში, იკე, XII, თბილისი, 1960.
12. გაგუა, 1983 – Р. Гагуа, Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского языка, Эжегодник ИКЯ, X, Тбилиси, 1983.
13. გავრანეკი, 1972 – Б. Гавранек, К проблематике смешения языков, НЛ. Ю VI, Москва, 1972.

14. გამპერცი, 1972 — Джон Гамперц, Переключение кодов Хинди-пенджаби в Дели, НЛ. Ю VI, Москва, 1972.
15. გლისონი, 1959 — Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, Москва, 1959.
16. გულდენბეგები, 1962 — გულდენბეგების მოგზაურობა საქართველოში, I, თბილისი, 1962.
17. გულდენბეგები, 1964 — გულდენბეგების მოგზაურობა საქართველოში, II, თბილისი, 1964.
18. დეშერიევი, 1953 — Ю. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953.
19. დეშერიევი, 1963 — Ю. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских-кавказских народов, Академия Наук СССР, институт языкоznания, 1963.
20. დეშერიევი, 1966 — Ю. Дешериев, Закономерности развития и взаимодействия языков в советском обществе, Москва, 1953.
21. ვაინраих, 1972 — У. Вайнраих, Одноязычие и многоязычие, НЛ., VI, Москва, 1972.
22. თოფურია, 1924 — გ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, ქართული საქანათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, თბილისი, 1923-1924 წწ.
23. თოფურია, 1942 — გ. თოფურია, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურში, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XII, 1942 წ.
24. თოფურია, 1946 — გ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკნ. I, თბილისი, 1946.
25. თოფურია, 1956 — გ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1956.
26. თოფურია, 1956 — Г. Топурия, Морфология склонения в дагестанских языках, Тбилиси: изд. Наук Груз. респ., 1995.
27. იაკობი, 1986 — იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, გოორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება: ტექსტი გამოსაცემად მოაზადეს, ლექ-

- სიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ, კ. დანელიაშ და ე. გოუნაშვილმა, თბილისი, 1986.
28. იმნაიშვილი, 1941 – დ. იმნაიშვილი, ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურში (საკანდ. დისერტ.), თბილისი, 1941 (მანქანაზე ნაბეჭდი).
29. იმნაიშვილი, 1942 – დ. იმნაიშვილი, ძირითადი და ერთთანდებულიანი ბრუნვები ინგუშურშა და ჩახნურში, ენიმკის მოამბე, XII, 1942.
30. იმნაიშვილი, 1948 – დ. იმნაიშვილი, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ჩემური კაგუფის ენებში, იკე, II, თბილისი, 1948.
31. იმნაიშვილი, 1953 – დ. იმნაიშვილი, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები კავკასიურ ენებში, იკე, IV, თბილისი, 1953.
32. იმნაიშვილი, 1956 – დ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1956.
33. კლიმოვი, 1978 – Г. Климов, С. Хайдаков, А. Шагиров, Лексические общности, см. сборник: Структурные общности кавказских языков, Академия Наук СССР, институт языкознания, Москва, 1978.
34. მარი, 1926 – Н. Я. Марр, Пособие для изучения живого грузинского языка, Труды яфетического семинария, II, Ленинград, 1926.
35. მეიე, 1954 – А. Мейе, Сравнительный метод в историческом языкознании, Москва, 1954.
36. მიქელაძე, 1977 – მ. მიქელაძე, ხმოვანთა რედუქცია ბაცბურ ენაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბილისი, 1977.
37. მიქელაძე, 1977 – მ. მიქელაძე, მეტყველების ნაწილები ნასესხობათა თვალსაზრისით, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი, 1977.
38. მიქელაძე, 1977 – მ. მიქელაძე, ენის შინაარსობრივი სტრუქტურის როლი სიტყვათა დაკარგვის პროცესში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 87, №3, თბილისი, 1977.
39. მიხალჩენკო, 1976 – В. Михальченко, Условия развития литовского-русского двуязычия, в кн.: Развитие национально-русского двуязычия, Москва, 1976.

40. ნებიურიძე, 1991 – გ. ნებიურიძე, ენათმეცნიერების შესაფალი, თბილისი, 1991.
41. ნიკოლასკი, 1976 – Л. Б. Никольский, Синхронная социолингвистика, Москва, 1976.
42. ნოზაძე, 1995 – ნოზაძე, ბრუნვის მორფემასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში, ივე, XXXIII, თბილისი, 1995.
43. ონიანი, 1989 – ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საფუძლები, თბილისი, 1989.
44. ონიანი, 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.
45. პატარიძე, 1980 – რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980.
46. რემანი, 1972 – Ж. Реман, Очерк одной ситуации многоязычия: Люксембург, НЛ., Москва, 1972.
47. სანიკიძე, 1986 – ლ. სანიკიძე, ოლ, აღლა, ალ, ა სუფიქსები ნახურ ენებში, ივე, XXV, თბილისი, 1986.
48. უსლარი, 1887 – П. Услар, Этнография Кавказа, Языкознание, I, Тифлис, 1887.
49. უსლარი, 1888 – П. Услар, Чеченский язык, Тифлис, 1888.
50. უთურგაიძე, 1960 – თ. უთურგაიძე, ზოგიერთი ნასესხები და საერთო წარმოშობის სიტყვა ბაცბურ-ჩეჩენურსა და ქართველურ ენებში, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, 1960.
51. უთურგაიძე, 1960 – თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1966
52. უთურგაიძე, 1966 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1966.
53. უთურგაიძე, 1973 – თ. უთურგაიძე, სტრუქტურული შესატყვისობები, სპირანგიზაციისა და დესპირანტიზაციისათვის ქართველურ ენათა სტრუქტურაში, ივე, XVIII, 1973.
54. უთურგაიძე, 1986 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986.
55. უთურგაიძე, 2002 – თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთობისათვის ქართულ ზენაში, თბილისი, 2002.

56. ფანჩვიძე, 1974 – გლ. ფანჩვიძე, უდური ენის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974.
57. ფოჩხევა, 1974 – ბ. ფოჩხევა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
58. ქადაგიძე, 1953 – Н. Д. Кадагидзе, Грамматические классы в глаголе бацбийского (цова-тушинского) языка. Автореферат кандидат. диссертации, Тбилиси, 1953.
59. ქადაგიძე, 1984 – ღ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.
60. შანიძე, 1976 – ა. შანიძე, ძეგლი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.
61. შანიძე, 1981 – ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, თხზულება-ნი 12 ტომად, გ. II, თბილისი, 1981.
62. შანიძე, 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, გ. III, თბილისი, 1980.
63. შენგელია, 1999 – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიისათვის, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციისა, თბილისი, 1999.
64. შიფნერი, 1856 – A. Shiefner, Versuch über die Thusch-Sprache oder die Khistiche Mundart in Thuschetien, st. Peterburg, 1856.
65. შერბა, 1958 – Л. В. Щерба, О понятии смешения языков, в кн.: Л. В. Щерба, Избранные работы по языкоznанию и фонетике, I, Ленинград, 1958.
66. ჩიქობავა, 1936 – არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, I, 1936.
67. ჩიქობავა, 1936 – არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, I, 1936.

68. ჩიქობავა, 1939 – არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, სტალინის სახელობის თსუ შრომები, ტ. X, 1939.
69. ჩიქობავა, 1942 – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური გარიანტები, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მომბეჭ, XII, თბილისი, 1942.
70. ჩიქობავა, 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
71. ჩიქობავა, 1946 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
72. ჩიქობავა, 1954 – არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზიზოსათვის ქართველურ ენებში, იკე, VI, თბილისი, 1954.
73. ჩიქობავა, 1975 – Ари. Чикобава, Отраслевая лексика и научная актуальность ее изучения, Эжегодник иберийского-кавказского языкоznания, Тбилиси, 1975.
74. ცისკაროვი, 1848 – И. Цискаров, Краткая Тушино-цовская грамматика (рукопись), 1848. Архив востоковедов ИВ АН ССР, разряд II, описание, №2.
75. ძიძიგური, 1941 – შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის მომაბეჭ, II, №7, თბილისი, 1941.
76. ძიძიგური, 1946 – შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე, I, თბილისი, 1946.
77. ჭავჭავაძე, 1988 – ჭ. ჭავჭავაძე, თხზულებანი ხუთ ტომად, II, თბილისი, 1988.
78. ჭუმბურიძე, 1970 – ზ. ჭუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი, კრ.: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბილისი, 1970.
79. ჭრელაშვილი, 1961 – კ. ჭრელაშვილი, მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა გენეზისის საკითხისათვის ბაცბურში, იკე, XII, თბილისი, 1961.

80. ჭრელაშვილი, 1963 – პ. ჭრელაშვილი, ქართულიძან ნასესხები ერთი სუფიქსი ბაცბური (წოდათუშურ) ენაში, იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, გ. 96, თბილისი, 1963.
81. ჭრელაშვილი, 1977 – პ. ჭრელაშვილი, ჩა (ჩუ, ჩო) ელემენტის გენეზისისათვის ნახურ ენებში, იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, გ. 93, თბილისი, 1977.
82. ჭრელაშვილი, 1979 – პ. ჭრელაშვილი, ქართული ენის ლექსიკა წოდათუშურ ენაში, კრებული: პ. ჭრელაშვილი – წოდა-თუშური და ქართული ენის მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1979.
83. ჭიბჭარაული, 1960 – ალ. ჭიბჭარაული, ხეგსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.
84. ხაუგენი, 1972 – Э. Хауген, Языковой контакт, НЛ., VI, Москва, 1972.
85. ჯავახიშვილი, 1992 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი 12 ტომად, X, თბილისი, 1992.
86. ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.
87. ჯორბენაძე, 1995 – ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი, 1995.

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	5
ტრანსკრიფცია.....	9
თავი I, წოდათუშური და ქართული ენების სახელთა მორფოლოგი- ის ზოგიერთი საკითხი.....	23
I. § 1. წოდათუშური ენის ბრუნვათა რაოდენობა და რიგი.....	24
I. § 2. სიტყვის მოდელი და ბრუნვების პარადიგმები ქართულში..	53
I. § 3. ქართულ-წოდათუშური ენების ბრუნვების სისტემათა შეპირისპირებითი ანალიზი.....	69
თავი II, ინტერფერენტული პროცესები წოდათუშური ენის სახელ თა ბრუნვების პარადიგმებში.....	78
II. § 1. ერგატიული ბრუნვა ინტერფერენციის თვალსაზრისით..	78
II. § 2. ინსტრუმენტალისი.....	98
II. § 3. ბრუნვის ფუძეთა სხვადასხვაობა.....	108
II. § 4. სახელთა მრავლობითის ფორმები.....	122
II. § 5. „თეთრი ლაქები“ სახელთა ბრუნვების პარადიგმებში.....	137
II. § 6. ზედსართავი სახელი.....	153
II. § 7. ნაცვალსახელი.....	188
თავი III, სახელის გრამატიკული კლასის კატეგორია	
§ 1. წოდათუშური ენის გრამატიკული კლასების კატეგორია ზოგადი დახასიათება.....	211
III. § 2. ინტერფერენტული ინოდაციები წოდათუშური ენის გრამა- ტიკული კლასის კატეგორიაში.....	224
თავი IV, წოდათუშური ენის სიტყვათსაწარმოქმნო სისტემა	
IV. § 1. ზოგადი დახასიათება.....	231
IV. § 2. ქონების სახელები.....	237
IV. § 3. უქონლობის სახელები.....	244
IV. § 4. აბსტრაქტული სახელები.....	251

IV. § 5. წინა ვითარების სახელები.....	258
IV. § 6. მსგავსების სახელები.....	260
IV. §7. ნასესხებათიქსიანი ზმნიზედები.....	270
ზოგადი დასკვნები.....	278
რეზიუმე.....	303
Summary.....	304
დამოწმებული ლიტერატურა.....	306
სარჩევი.....	313



gamomcemloba 'universal'

---

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22

30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

